05
8-979

1900

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

მპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11—28.

№ 8 1883—1900 30 აპრილი

Р 38838

## გოლგოთამდე.

დასასრული [1])

შეკრული მაცხოვარი პირველად მიიყვანეს ანნა მღვდელ-მთავართან, რომელსაც, როგორც სიმამრს კაიაფა მღვდელ-მთავრისას, დიდი ზედ-გავლენა ჰქონდა მმართველ-გამგეობის საქმეებში. ანნამ დაუწყო ქრისტეს გამოკითხვა მის სწავლასა და მოწაფეების შესახებ. ამ გამოკითხვით ანნას ის კი არ სურდა, რომ მსწრაფლად შეეტყო მოძღვრება იესო ქრისტესი, იგი ცდილობდა, მის პასუხში მოენახა ისეთი რამ, რითაც შემდეგ დაემტყუნებია იგი, უნდოდა შეეტყო მის მოწაფეთა რიცხვი და მერე სურდა წარედგინა ქრისტე, როგორც ამბოხებელი ხალხისა და მთავრობის მტერი. უფალმა, რომელმაც კარგად უწყოდა ყველა საიდუმლო აზრები ცბიერი მღვდელ-მთავრისა, მიუგო მას: მე განცხადებულად ვეტყოდი სოფელსა, და მე მარადის ვასწავებდი შესაკრებელსა და ტაძარსა შინა, სადა იგი ყოველნი ჰურიანი შეკრბიან, ხოლო ფარულად არა არას ვეტყოდი. რასა მკითხავ მე? ჰკითხე მათ, რომელთა ესმოდა, რასა ვასწავებდი მათ: აჰა, ამათ იციან, რასა იგი ვეტყოდი მათ (იოან. 18, 20). იესოს ამ მშვიდობიანმა პასუხმა, რომელშიაც ასე ცხადად გამოიხატა ნამდვილი სიმართლე და უმანკოება მისი, ჩააჩუმა მღვდელ-მთავარი. მაგრამ ერთმა მოსამსახურეთაგანმა, რომელსაც სურდა ესიამოვნებია და სამსახური გაეწია თავისი ბატონისათვის, საწყენად მიიღო იესო ქრისტეს თითქო კადნიერი პასუხი და ამიტომ შემოჰკრა მაცხოვარს

[1]) იხ. „მწყემსი“ № 7, 1900 წ.

ვარს ყვრიმალზე, და თან უთხრა: „ესრეთ სიტყვას უგებ მღვდელ-მთავარსა?“ რომ შთაუგონებლად არ დაეტოვებია ეს პირმოთნე მოსამსახურე, უფალმა მშვიდად მიუგო მას: უკეთუ ბოროტსა ვეტყოდე, ჰწამე ბოროტისათვის, უკეთუ კეთილსა, რაისათვის მცემ? ამ თავმდაბალი პასუხით გულთამხილველმა ამხილა ერთის მხრით ცუდკაცობა და პირმოთნეობა მოსამსახურისა, ხოლო მეორეს მხრით ურიგო საქციელი მღვდელ-მთავრის და ყველა მეუფროსეთა, რომელთაც თავისი ავაზაკური განზრახულება სურდათ დაეფარათ ვითომდა მართლ-მსაჯულების სიყვარულობით. თქვენ, თითქო ასე ეუბნება მათ უფალი, შემიპყარით მე, როგორც მძიმე დამნაშავე, თქვენ მამხილებთ მე, ვითომ მე ხალხს ვამბოხებდე, წინააღმდეგი ვიყო მთავრობისა, ვარღვევდე კანონთა; მაგრამ იგივე კანონები, რომელთა დაცვისათვის თქვენ ასე ზრუნავთ, ითხოვენ, რომ უტყუარი საბუთებით ცხადათ იქნეს დამტკიცებული დამნაშაობა თითოეული დამნაშავისა, საქმის მიუდგომელი განხილვით და არა ძალდატანებით, რომელიც ცხადზე უცხადესად მოწმობს თქვენს უმართლოებას და ჩემს უმანკოებას, მსაჯულნი აშორებულნი უნდა იყვნენ ყოველივე მრისხანებას და ვნებათა; მათ გულდასმით და მიუდგომლად უნდა განიხილონ საქმე, და სამსაჯულოში ადგილი არ უნდა აქვნდეს ძალმომრეობას და არავითარ შეურაცხებას ბრალდებულისას. მაგრამ ამპარტავან მღვდელ-მთავარს ხმაც არ ამოუღია ამ მხილებაზე. ანნამ მაცხოვარი გააგზავნა კაიაფასთან, რომლის სახლში სიჩქარით შეკრიბა სინედრიონი, რათა განესამართლონ ქრისტე. ამ მსაჯულების ერთი შეხედვა კაცს დაარწმუნებდა, თუ რა მოელოდა მათგან ბრალდებულ ქრისტეს. მსაჯულნი ცდილობდნენ გარეგანად კანონიერ ნიადაგზე დაეყენებიათ მხილება ქრისტესი და ამიტომ ცდილობდნენ მოენახათ მოწმები ქრისტეს წინააღმდეგ, რომ სიკვდილით დაესაჯათ იგი; თუმცა მრავალი ცრუ მოწმენი მონახეს, მაგრამ მათი ჩვენებები საკმაონი არ შეიქმნა. არც ერთ მხილებაზე უფალი არაფერ პასუხს არ იძლეოდა. ასეთმა სიჩუმემ მაცხოვრისამ, რომელიც ხმა მაღლა ამხილებდა უმართლო. მსაჯულთა სინდისს, ძლიერ აღაშფოთა მსაჯულთა თავმოყვარება. და აი კაიაფა წამოდგა თავის ადგილიდან, გამოვიდა შუა ადგილზე, სადაც იესო იდგა და მრისხანეთ წარმოსთქვა: რას მაუგებ? ნუ თუ არ ესმის, რასა ესე შეგწამებენ შენ?

მაგრამ მღვდელ-მთავრის კითხვაზედაც პასუხი არ გაუცია უფალს. ამ პასუხის გაუცემლობამ კიდევ უფრო გააბრაზა მღვდელ-მთავარი, ვინაიდგან ქრისტეს სიჩუმე აშკარად და ცხადად უჩვენებდა მათ, რომ მათ კითხვებზე პასუხის გაცემა არა ღირდა, ვინაიდგან მათ წინდაწინვე დადგენილი ჰქონდათ, თუ რა მსჯავრი უნდა დაედგინათ იესოს შესახებ, არ ღირდა პასუხის გაცემა, ვინაიდგან მათ სამსაჯულოს მარტო გარეგანი სახე ჰქონდა სამსაჯულოსი, თორემ მათი კრება წარმოადგენდა ავაზაკთა ბრბოს. ამიტომაც გულთამხილველი არ აძლევს მათ პასუხს. მაშინ კაიაფა, რომ რამე პასუხი მიეღო ქრისტესაგან, ხმარობს მღვდელ-მთავრისადმი მინიჭებულ უფლებას, ე. ი. ჰკითხავს იესოს ფიც-ქვეშ. ასეთ კითხვაზე არ შეიძლებოდა პასუხის გაუცემლობა, ვინაიდგან ეს დაამტკიცებდა ფიცის უარის ყოფას, უპატივცემულობას მღვდელ-მთავრისას და სჯულისას. გაფიცებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რათა მითხრა ჩვენ, უკეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა? კაიაფა შეეკითხა იესოს თითქოს დიდის კრძალულებით. მე, მიუგო უფალმა, უფრო მომეტებულს გეტყვით: ამიერიდგან იხილოთ ძე კაცისა მჯდომარე მარჯვენით ძლიერებასა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა (მათ. 26, 63—64). მალე თვით საქმენი გიჩვენებენ თქვენ, რომ მე ის დიდებული მეფე ვარ, რომელიც, წინასწარმეტყველის დანიელის აღწერილობისაებრ, ზის ღრუბელთა ზედა მარჯვენით მამისათანაა... (დან. 7, 14).

დიდის სიხარულით მოისმინა ეს პასუხი კაიაფამ, მაგრამ ბოროტმა და პირმოთნემ დაჰფარა თავისი სიხარული; თითქო საშინელი ღვთის გმობა ესმა, იგი ვითომ მოთმინებისაგან გამოიყვანა ასეთმა სიტყვებმა, რომელნიც ჯერეთ მის ყურთ არა სმენოდა და უზომო მწუხარებისა და მღელვარების ნიშნად შემოიხია ტანთსაცმელი. გესმისთ თუ არა თქვენ, რაც მან სთქვა? დაიყვირა კაიაფამ, მიუბრუნდა რა მსაჯულთ. ის ცხადად გმობს ღმერთსა, რასღა გვიხმან მოწამენი? აჰა ესერა, გესმა გმობა მაგისა. რას ჰგონებთ თქვენ? ყველა მსაჯულებმა, რომელთაც კაიაფასთან ერთად თითქო რაღაც თავზარი დაეცათ, მიუგეს: თანამდები არს—სიკვდილისა. როცა სამსაჯულოს წევ- [illegible] რომ მიზანს მიაღწიეს, წავიდ-წამო-

ვიდნენ, რომ ცოტა-ხნის შემდეგ ხელახლად შეკრებილიყვნენ და საბოლოოდ დაემტკიცებიათ სასიკვდილო განაჩენი, ხოლო იესო გადაეცეს მცველებს, რომელთაც გამოიყვანეს ის მღვდელ-მთავრის ეზოში.

მღვდელ-მთავრების მოსამსახურეთა თავხედმა ბრბომ, რომლის შეკავება ვერავის შეეძლო, თითქო თავის მოვალეობად ჩათვალა შეურაცხება მიეყენებია იმ კაცისათვის, რომელიც, მათის აზრით, მტერი იყო მათი უფროსებისა. და რა საოცარ ზომამდე მიაღწია ამ პირთა ცუდკაცობამ! იგინი გამალებით ცდილობდნენ სხვა და სხვა ახალი წვალება და შეურაცხება მიაყენონ იმ კაცს, რომელსაც არას დროს არაფრით არ უწყენინებია მათთვის, რომელსაც, შეიძლება, ბევრნი მათგანნი კიდეც ვერ იცნობდნენ! მაგრამ ასეთია, სამწუხაროდ, კაცთა ზნე-ჩვეულებანი. ვინც მიჩვეულია თავი დაიმდაბლოს, იპირმოთნეოს, სამსახური გაუწიოს უფროსთ, რომელნიც პირფერობით მშვიდი და პატივისმცემელნი არიან ძლიერთა, საზოგადოდ ასეთი პირნი მეტისმეტად უზრდელად, თავხედად და ამაყად ექცევიან მათზე უნცროსთ; იგინი ცდილობენ, რომ თავიანთი თავი დაისაჩუქრონ უფროსთა წინაშე თავიანთი თავის დამცირებით. ასეთი პირნი რაღაცა გაუგებრად, უაზროდ, სიბოროტით და თან სიხარულით დასცინიან მათ, რომელნიც მათზე სუსტნი არიან, რომელნიც, საუბედუროდ, მათ ჩაუვარდათ ხელში. და აი მღვდელ-მთავრების შეუბრალებელი მოსამსახურენი, რომელნიც სიბოროტით და ავკაცობით თავიანთ ბატონებს არ ჩამოუდგებოდნენ, „ნერწყვიდნენ პირსა იესოსა, და კურთითა სცემდეს თავსა მისსა და რომელნიმე ყურიმალსა ჰსცემდეს და ეტყოდენ: გვიწინასწარმეტყველე ჩვენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ?“ რა საჭირო იყო ასეთი ლანძღვა-გინება? ამბობს წმ. ოქროპირი. განა იმისთვის, რომ დავინახოთ მათი თავხედი ზნე-ჩვეულებანი? მართლაც, თითქო რაღაც დავლა ნახეს და მათ ბოროტებას საზღვარი აღარ აქვს. სრულებით აღარ ზოგავენ იმ პირს, რომლისაც ზღვას ეშინოდა და რომლისგან მზემ, როცა იხილა იგი ჯვარზე, დამალა თვისი სხივები, იგინი კი ამ პირს ნერწყვიდნენ, ყურებს უწევდნენ და სცემდნენ თავზე, თითქო მათ წინაშე იდგა ყოვლად უპატიოსნო კაცი.

აი რა მოხდა ამ უსჯულო მსჯავრისა და გარდაწყვეტილების შემდეგ, ამბობს წმ. ტიხონი ზადონსკი. ნერწყავენ, ყურებს უწევენ, სცემენ, დასცინიან და ლანძღვენ იესოს... ვინ არის იგი? ძე ღვთისა, საუკუნო სიტყვა ღვთისა, რომლის წინაშე კრძალვით დგანან ქერაბინნი და სერაფიმნი! ვინ შეურაცხებს მას? მისივე ქმნილება, რომლის საცხონებლად მოვიდა იგი; მისი ხალხი, რომელთაც მისცა სჯული და წინასწარმეტყველნი. ვისთვის ხდება ყოველივე ეს? ვინ არის იგი ასეთი პატიოსანი, ასეთი ძვირფასი, რომ ღმერთი განხორციელებული ასე შეურაცხყოფილ და ვნებულ იქმნა? თავისი წარწყმედული ქმნილებისათვის, უზომო ცოდვილისათვის. ამაში დამნაშავე ვართ ჩვენ, კაცნი, ჩვენ დალუპულნი. ჩვენს მაგიერ ინერწყვება, ყურებს უწევენ, სცემენ და შეურაცხებას აყენებენ, ჩვენ მაგიერ იხდის ვალს მოწყალე მხსნელი ჩვენი და შემქნელი. ჩვენ და ჩვენს წინაპრებს, ადამს და ევას, გვსურდა გაღმერთება, და ღვთაებრივი დიდება გვსურდა მოგვეტაცნა, როგორც ავაზაკთ, ამისათვის ღირსი ვიყავით, როგორც ღვთის მგმობნი, საუკუნო სიკვდილისა, დაცინვისა და ცემისა ეშმაკისა და მის ბოროტ ანგელოსთა მიერ. ჩვენ შეგვეფერის დავიფაროთ პირი მართლ-მსაჯული ღვთის წინაშე, სირცხვილით ვსდგეთ და აღვიაროთ ჩვენი დანაშაობა შემდეგი სიტყვებით: შენ, უფალო, სიმართლე, ჩვენ კი შერცხვენა პირთა» (დან. 9, 7). მაგრამ ძე ღვთისა იტვირთა ამ სასჯელს; იგი ჩვენ მაგიერ ინერწყვება, ილანძღება, იცემება, რომ ჩვენ მოგვანიჭოს უფლება, რათა ძედ ღვთისად ვიწოდნეთ, გაბედულად მიუახლოვდეთ ზეციურ მამას და გამოჩინებული და შეურცხვენელი პირით ვუცქეროდეთ მის ყოვლად წმიდა პირის სახეს.

## მწარე ფიქრები სოფლის ხუცისა.

დიდი ხანია, ვაკვირდებით და თვალს ვადევნებთ შობის და აღდგომის დღეებში გამოსულ სასულიერო და საერო ჟურნალ-გაზეთების ნომრებს. სასულიერო ჟურნალებში, რასაკვირველია, შესაფერ სტატიებს სწერენ დღესასწაულების გამო. საერო ჟურნალ-გაზეთებმაც წაჰბაძეს, რასაკვირველია, სასულიერო ჟურნალ-გაზეთებს და მოჰყვენ თავისებურად მსჯელობას. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ვაჟბატონებმა არ იციან საღმრთო წერილი, არ იციან ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო ისტორია, არ ესმისთ ჩვენი სარწმუნოების უმთავრესი დოგმატები და ასე არარაით ალჭურვილნი სწერენ, რაც ენაზე მოადგებათ; ალბათ სურთ გაზეთის თუ ჟურნალის ნომრები გაავსონ როგორმე და ნაწერის სიმართლეს და საფუძვლიანობას არ დაგიდევენ. ჩვენი საერო ჟურნალ-გაზეთების ცენზურაც ხომ ისეთია, რომ თუ მთავრობის წინააღმდეგი არა არის-რა დაწერილი სტატიაში, ძლიერ ადვილად იძლევა ნებას. ავიღოთ, მაგალითებრ, „ივერიის“ ამ წლის სააღდგომო ნომერი. მაგრამ ჩვენს მაგიერ თვითონ „ივერია“ გველაპარაკოს. აი, როგორ ესმის ამ გაზეთს და როგორ მოგვითხრობს იგი ზეთის ხილის, გეთსამანიის ბაღში იესო ქრისტეს ლოცვას:

„დიახ, ეს იყო „იესო რაბბი“, როგორც თვით ებრაელნი ეძახდნენ, იესო რაბი, მკურნალი სნეულთა და მხსნელი დავრდომილთა. ერთის წუთის შემდეგ მის გარშემო შეიკრიბა რამდენიმე ასი მლოცავი. ერთი მეწვრილმანე ებრაელი ჩუმად მიუახლოვდა იესოს და შეეხო მისს კალთას. ეს ის მეწვრილმანე ტკოსტა იყო, რომელიც დღე და ღამეს სულ იმის ზრუნვაში ატარებდა, რომ როგორმე გამდიდრებულიყო და ეგონა, იესოს კალთის მიკარების შემდეგ ჩემი დახლი თავისდა თავად აივსებაო. ეს არ გამოეპარა მის მეზობელ ხანანს და სიშურით ის უფრო ზედ აეკრა რაბბის, მაგრამ უმრავლესობა-კი მოუთმენლად მოელოდა კვლავ გაეგონათ იესოსაგან გულის საოხი და ტანჯულ სულის აღმაფრთოვანებელი სიტყვა...

მთელს ღამეს სინაგოგაში არ შეწყვეტილა ლაპარაკი. ერთნი არჩევდნენ ხალხის ჩუმად მოელოთ ბოლო იესოსათვის, მეორენი ამტკიცებდნენ: საჭიროა თვით ერის წინ მოვუსპოთ სიცოცხლეო. „ამით მთელს ურიასტანს ვიყიდითო“! დაიძახა სიზომ და მოხსნა თავისს მონას ვერცხლით სავსე პარკი. მართლაც. იმის დანახვაზე თვით სინაგოგის წევრებს ჩაუწყდათ ხმა და იგრძნეს, რომ ყველაზედ მომეტებულ შემწეობას ისევ ვერცხლი გაუწევდათ. იმ ღამესვე მრავალი ოქრო იქმნა გაფანტული იერუსალიმის სხვა და სხვა კუთხეში, როგორც მოწყალება იეგოვასი, რომელიც ვითომდა ებრაელთაგან სამაგიეროდ მორჩილებას თხოულობდა. უპირველესი ჯილდო შეხვდა იუდა ისკარიოტელს, რომელსაც უნდა ეჩვენებინა მათთვის, სად იქნებოდა იესო იმ ღამეს, როდესაც დაჭერას უპირებდნენ...

გათენდა მეორე დღე. იერუსალიმის ტაძარს თანდათან უფრო ემატებოდა მლოცველი, ურიასტანის სხვა და სხვა მხრიდგან ჩამოსული პასექის დღესასწაულზედ დასასწრებლად. აქამდე ამაყნი და მიუკარებელნი ფარისეველნი ეხლა გაფაციცებით დაძვრებოდნენ ხალხში და იწვევდნენ ხვალინდელ დღისათვის პონტოელ პილატესთან, სადაც ერთის საშინელის ავაზაკისათვის სასჯელი უნდა გადაეწყვიტათ. იესო რაბბი ამ დღეს განუშორებლივ თვისს მოწაფეებთან იყო და ასწავებდა. ხოლო საღამო ხანს იგი ჩვეულებრივ გაემართა მოწაფეებთან ერთად ზეთისხილის მთისაკენ, რომლის კალთებზედაც გადაჭიმული იყო გეთსამანიის ბაღი. მან ერთ ყვავილნარ კორდის ძირს დასტოვა თვისი მოწაფენი და თვითონ ბაღის ზევითა მხარეს წავიდა. აქ ერთის ტინიდგან გამოჩუხჩუხებდა პაწია წყარო და მისი ხმა ვერცხლის წკრიალსავით ისმოდა მიჩუმებულს არე-მარეში.

მთვარის შუქი ძლივს ატანდა დაბურულ ხის შტოებს და აქა-იქ ნათელით ჰფენდა ჩრდილთა შორის ნამიან მწვანეს. ხოლო თვით ზეთის ხილის მთის წვერი ისე გადმოხრილიყო თვისის უზარმაზარის ხეებით, თითქოს უნდოდა ჩაეხედნა შიგ და გაეგო: რა ხდებოდა ამ მიწყნარებულ შვენიერ ბაღში. საცა ბუჩქში ბულბული უსტვენდა. მისი ხმა ხან ნაზი იყო, როგორც უმანკო სიყვარული, ხან ათრთოლებული და ხან კი მიწყნარებული, მიმშვიდებული, სევდიანს, თითქოს თან მოჰქონდა

უბედურთა ცრემლები და ნამად აპკურებდა ცელქ ნიავის საარშიყო მწვანე ფოთლებს.

აი, ამ ადგილას შესდგა იესო რაბბი, მიიხედ-მოიხედა და შემდეგ წყნარად დაეშვა მოცქრიალე წყაროს პირს. ღრმა ფიქრებში იყო გართული.— გაფითრებული ტუჩები ერთმანეთს დაჰკროდა და მისი მტრედის ფერი თვალები შორს, შორს სადღაც გაიცქირებოდა. აგერ, სწორეთ მის ზურგთან ჩაიკახკახა მოუსვენარმა ბულბულმა. რაბბი შეკრთა, მერე კვლავ ჩაფიქრდა და ერთის წუთის შემდეგ მისი დიდრონი თვალები ცრემლებით აივსო, იგი პირქვე დაემხო. «მამაო ჩემო, უკეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმხედინ ჩემგან სასუმელი ესე!“ იმეორებდა ის. კარგა ხანს იყო რაბბი ასე პირქვე დამხობილი და სთხოვდა ღმერთს ასცდენოდა მას განსაცდელი. ბევრის მღელვარების შემდეგ მან თავი მაღლა აიღო, მიეყრდო ტინს და თვალები დახუჭა. მთვარემ უკვე შეიმაღლიურა და გეთსამანიის ბაღი ახლა უფრო თვალწარმტაცს და გულის მომხიბლავს სურათს წარმოადგენდა. მის ძირს იერუსალიმი იყო გაქიმული თვისის შესანიშნავის უზარმაზარის ტაძრით. სანთლის შუქი მხოლოდ აქა-იქ-ღა მოსჩანდა. მისწყდა ფეხის ხმაც.

მხოლოდ გამალებულის ნაბიჯით გეთსამანიის ბაღისაკენ მიეშურებოდა ათი-თორმეტი შეიარაღებული კაცი.

იესო დიდხანს იყო ისევ ისე მიყრდნობილი ტინზედ, როდესაც იმის პირდაპირ ბუჩქებიდგან გამოჩნდა ვიღაცას აჩრდილი. ის ხან ამოჰყოფდა თავს ზეთის ხილის პატარა შტოებში, მიიხედ-მოიხედავდა აქეთ-იქით და ხან კი ისევ ჩაიმალებოდა. აჩრდილი შემდეგ ფეხაკრეფით წამოვიდა იესოსაკენ და გაჩერდა მისს წინ. ეს იყო შვენიერი, ლერწამივით მოსული ახალგაზრდა ქალი, მან სასოებით აღგზნებული თვალები დააშტერა რაბბის და შემდეგ მოწიწებით ეამბორა მისს განიერ შუბლს. იესო შეკრთა, წამოიწია და რა დაინახა თვისს წინ თავისი საყვარელი მოწაფე, გაიღიმა. ეს იყო სიბიტოს ერთად ერთი ასული, იესოს საიდუმლო მოსავი და მოწაფე. რებბეკა, ასე ეძახდნენ ამ ქალს, იდგა თვისის მოძღვრის წინაშე და ვერა ბედავდა ხმის ამოღებას, მაგრამ რაბბიმ გადაუსო მას ხშირს თმაზედ ხელი და მით ანიშნა ეთქვა, რის გამჟღავნებაც სწადდა მოძღვრისათვის. რებბეკას ცრემლები ყელში ებჯინებოდა, ბაგენი უთრთოდებოდა და ხმა უწყდებოდა, მაგრამ მაინც უამბო იესოს, რაც კი თვისს მამის სახლში გაეგონა ამ ორის დღის განმავლობაში. როგორც იყო დაათავა ქალმა სიტყვა, მოეხვია მუხლებზედ იესოს და რამდენიმე ჩქარის ნაბიჯით მიეფარა ისევ ბუჩქებს.

იესო ხმა ამოუღებლად, წყნარად წავიდა იქ, სადაც მას მოწაფეები ელოდებოდნენ. ხოლო ერთი მათგანი არ იყო მათ შორის. „აღსდეგით, ნუ გძინავთ, უთხრა მან მოწაფეებს, მოახლოვებულ არს ჟამი იგი!..“ მოწაფეებმა ვერ მოასწრეს ეკითხნათ იესოსთვის, რას ნიშნავდა ეს სიტყვები, რომ რამდენიმე შეიარაღებული კაცი წამოადგათ თავზე...

.... გათენდა წითელი პარასკევი... კვლავ გაიღვიძა ქალაქმა, კვლავ ამოძრავდა იერუსალიმის ქუჩები. ხვალ დიდი დღესასწაული იყო ებრაელებისა და ლოცვითა და მარხულობით იწმინდებოდნენ, რომ პირნათლად შეგებებოდნენ პასექს. გოლგოთას მთის ძირას აუარებელი ხალხი მოსჩანდა, ყველანი მთისაკენ მიეშურებოდნენ, ხოლო ხანდახან შესდგებოდნენ ხოლმე და ამ დროს იმათი სიცილ-ხარხარი ახმაურებდა მიდამოს. ესენი დასცინოდნენ ერთს წელში მოხრილს ჭაბუკს, რომელსაც დიდი ხის ჯვარი ეკიდა ზურგზედ, და რადგანაც ვერა ზიდავდა, ხშირად დაეცემოდა ხოლმე პირქვე ტვირთის ქვეშ. ყოველი მისი მწარე გმინვა ხალხში სასიამოვნო სიცილ-ხარხარს იწვევდა. ეს იყო იესო, რომელსაც წამების ჯვარი მიჰქონდა გოლგოთას მთაზედ...“

მწერალს დიდი მაცადინობა გამოუჩენია, რომ თავის მოთხრობაში შვენიერად დაესურათებინა ხეივნებიც, წყაროებიც, ბულბულებიც და სხვა მომღერალი ფრინველებიც გაუჩენია გეთსამანიის ბაღში. მაგრამ რაიცა შეეხება სახარების ისტორიულ მოთხრობას, იმაში კი ძლიერ კოჭლობს და ისეთ რამეებს უმატებს, რომლის მიმატება უადგილო, უჯერო და შეუძლებელია. შეიძლება ავტორმა გვითხრას, რომ ასე სწერენ რუსულ ენაზე ან სხვა უცხო ენაზეო, მაგრამ ეს არ არის თავის გამართლება. რამდენ სისულელეს სწერენ უცხო ენებზედ, ვინ მოსთვლის?!..

# ჩემი თავ-გადასავალი.

(გაგრძელება*)

მასწავლებელმა პირველად მომცა დასასწავლად შემდეგი რუსული ასოები: А, Б, В, Г, Д, Е, Ж, З, И, І, К, Л, М, Н, О. თავი დავუკარი მასწავლებელს და ჩემს ადგილზე წავედი. ერთმა მოსწავლემ მასწავლა ამ ასოების გამოთქმა. გაკვეთილი მალე დავისწავლე და ასე ვკითხულობდი: ა, ბე, ვე, გე, დე, ე, ჟე, ზე, ი, კა, ლე, მე, ნე, ო. ასე გათავდა ჩემი პირველი გაკვეთილი. მეორე დღეს მივედი სკოლაში და სხვებთან ერთად მეც წავიკითხე ჩემი გაკვეთილი. მასწავლებელმა მომიწონა და მერე შემდეგი ასოები მომცა დასასწავლად. მეორე გაკვეთილიც პირველი გაკვეთილისამებრ შევისწავლე. მე გაკვეთილები მეცოტავებოდა და თხოვნას ვაპირებდი, რომ მასწავლებელს უფრო მომეტებული გაკვეთილები მოეცა ჩემთვის. მაგრამ ამხანაგებმა მითხრეს: „არ უთხრა მეტი გაკვეთილის მოცემა, თორემ გაგროზგავსო“. მეც გავჩერდი. თურმე მატყუებდნენ. ზოგს ჩემს ამხანაგებს სწავლა ეზარებოდათ, მცირე გაკვეთილებსაც ვერ სწავლობდნენ და არ სურდათ, რომ სხვას გაესწრო მათთვის. ერთ კლასში ოთხმოცი მოსწავლე ვიყავით და თითოეულს მოწაფეს თავისი საკუთარი გაკვეთილი ჰქონდა. მასწავლებელი წაიკითხავდა გაკვეთილს და მერე თითს დაადებდა და იტყოდა: აქედან აქნობამდე დაისწავლეთო. შაგირდებიც თვითონ დაისწავლიდნენ, მეორე დღეს სხვა გაკვეთილს ნიშნავდა და ამ ნაირად მიდიოდა სწავლის საქმე. არავითარი ახსნა და განმარტება გაკვეთილისა არ იყო. მასწავლებელიც ძლიერ სუსტი იყო და სწავლება არ შეეძლო. მასწავლებელს ხშირად ძილი მოდიოდა ხოლმე კლასში. ერთ დროს მან თავი დადვა სტოლზე და ისე გულიანად ჩაეძინა, რომ ხვრინი ამოუშვა. მაგიდის გვერდზე ამწკრივებული შაგირდები იდგნენ გაკვეთილების წასაკითხად. უცბად კლასში შემოვიდა რექტორი, ისე ეძახდნენ იმ დროს ოთხ კლასიანი სასწავლებლის ზედამხედველებს, გაიარ-გამოიარა კლასში და მაგიდის სიახლოვეს გაჩერდა. მასწავლებელი ხვრინავდა.

—გააღვიძეთ მასწავლებელი, გვითხრა. რექტორმა. მაგრამ ვერავინ ბედავდა მის გაღვიძებასა. ბოლოს ერთმა მოწაფე თავადიშვილმა მაჭუტაძემ გაბედა, მივიდა მასწავლებელთან და დაუწყო ღვიძება. მასწავლებელმა გაიღვიძა, ერთი კარგად გაიზმორა, მაგრამ ამ დროს უცბად შეხედა რექტორს და, ვაი იმ შეხედვას, იმან რომ დასანახი დაინახა! იგი წამოვარდა ზეზე და მუნჯივით დადგა რექტორის წინ მთლად ათრთოლებული და ფერმიხდილი. ყველა შაგირდებს გაგვიკვირდა მასწავლებლის ამისთანა მდგომარეობა. რექტორმა რაღაცა რუსულად უთხრა მასწავლებელს და თავის ბინაზე წავიდა.

მართალია მასწავლებელს ძილი მოდიოდა კლასში, რადგან რაღაც უბედური მეტოდი ჰქონდა შემოღებული სწავლებისა, მაგრამ ჩვენს გაჭირვებასაც არ იკითხავთ?.. როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, კლასში 80 მოწაფე ვიყავით და თითოეულს შაგირდს სულ სხვა და სხვა გაკვეთილი ჰქონდა მიცემული. თითოეულს თავისი გაკვეთილის წაკითხვა თუ ეხალისებოდა, თორემ სხვისას რას დავეძებდით და კიდეც რომ ყური გვევდო, რას გავიგებდით?

ნაადგომევს ხმა გავრცელდა, რომ რევიზორი მოდისო. შეიძრა მთელი სასწავლებელი. სწავლა დილითაც გვქონდა და ზოგიერთ არჩეულ შეგირდებს საღამოობითაც. თითო კლასიდან რევიზორისათვის საგანგებოდ რვა-ათ მოსწავლეს გვამზადებდენ. პირველ კლასში გამოგვიცხადეს: „რევიზორმა რომ რუსულად გკითხოსთ, თქვენც რუსულად უნდა მიუგოთო“. დაგვაწერინეს კიდეც დასაზეპირებლად შემდეგი კითხვა-მიგება:

1) კითხვა: Чей ты сынъ?

მიგება: Священническій.

2) კითხვა: Сколько тебѣ лѣтъ?

მიგება: Мнѣ 9 лѣтъ.

3) კითხვა: Что ты знаешь?

მიგება: Я знаю читать и писать по русски и по грузински.

4) კითხვა: Понимаешь?

მიგება: Понимаю.

5) Знаешь?

მიგება: Знаю.

ეს ხუთი კითხვა და მიგება პირველ კლასში დავიზეპირეთ. გაიარა ერთმა კვირამ და კიდეც მობრძანდა რევიზორი. ერთ კლასში მოაწყვეს ყველა-

*) იხ. „მწყემსი“ № 5, 1900 წ.

ფერი, იქ შებრძანდა რევიზორი და ყველა მასწავლებლები რექტორითურთ. პირველად მეოთხე კლასის მოსწავლეები შეიყვანეს და შემდეგ რიგ-რიგობით სხვა კლასის ამორჩეული მოსწავლეები. მოახლოვდა რიგი ჩვენზე. შეგვიყვანეს პირველი კლასის მოწაფეები. რევიზორმა მე მომაქცია ყურადღება· ალბათ გაუკვირდა, რომ პირველი კლასის პატარა ბავშვებში ასეთი დიდი კაცი დამინახა. გაიძახეს ერთი მოსწავლე. რევიზორმა ჰკითხა რაღაცა ამ მოსწავლეს და შაგირდმა რუსულად მიაძახა: „მე მღვდლის შვილი ვარ! კიდევ ჰკითხა რაღაცა რევიზორმა, შაგირდმა მიაძახა: ,,მე ცხრა წლის ვარ!'' რევიზორს გაეცინა და რექტორს რაღაცა უთხრა. მოსწავლემ მი ძახა: „მე ვიცი წერა-კითხვა რუსულად და ქართულად". რევიზორმა და ყველა მასწავლებლებმა ლაიწყეს სიცილი. რევიზორმა იკადრა და ქართულად უთხრა მოსწავლეს: «შენ ყველაფერი გცოდნია, კარგი, წადით' და შეგირდიც ასე გამარჯვებული წამოვიდა!..

მოვიდა ჩემი გაყვანის რიგი. გაველი და დავდექი მაგიდასთან. რევიზორმა მკითხა: ,,А что ты знаешь?» მაშინვე მიგაყოლე რაც მიგება მქონდა დასწავლილი. რევიზორმა გაიცინა და მითხრა, საჭირო აღარ არის, კმარაო. მე გახარებული გამობრუნებას ვაპირებდი, მაგრამ თანაც ვსწუხდი, რომ სხვა კითხვებიც არ მომცეს. ამ დროს რექტორმა დაუწყო რაღაცაზე ლაპარაკი რევიზორს და პერე ინსპექტორს უთხრეს ცოტა გულმოსულად რაღაცაები. ინსპექტორი მობრუნდა და მკითხა: понимаешь? მე ვუთხარი: понимаю·მეთქი. ამის შემდეგ რექტორი თითის ქნევით რაღაცას დამემუქრა და გამომიშვეს.

ყველანი გადავრჩით მშვიდობით. გავიდენ კლასიდან ყველა უფროსები, დარჩა მარტო ინსპექტორი, მომიბრუნდა იგი და წყრომით მითხრა:

—ვინ დასცი, ბიჭო, შენ გუშინ, რომ ზეზე ველარ წამოდგა დიდ ხანამდე?!

—არავინ, ბატონო, მივუგე მე. ჩემ სიცოცხლეში მე არავის არ შევჭიდებივარ.

—რექტორმა რომ სთქვა შენზე, მითხრა ინსპექტორმა, რომ ვიღაცა დასცა გუშინ ისე ძლიერ, რომ ძლივს ააყენეს დაცემული მოსწავლე და პერე დამალულიყავი, თორემ გაროზგავს ვერ გადურჩებოდაო. შენ რატომ არა უთხარი რა, რომ მე არავინ დამიცია-თქო?

—ბატონო, მე არ მესმოდა, რაღაცას ისინი ლაპარაკობდენ. მე არასოდეს არავის შევჭიდებივარ, თორემ აბა ერთი ვინმე თუ იტყვის, რომ მე ვისთვისმე რამე დამეშავებიოს. მოახდინეს გამოძიება და სულ ტყვილი ცილის წამება აღმოჩნდა, რასაც მეწამებოდენ.

გათავდა ჩვეულებრივი გამოცდაც და რევიზიაც; შაგირდები დაასაჩუქრეს კარგი ყოფაქცევისა და სწავლისათვის. მეც შემხვდა საჩუქარი. საჩუქრად მომცეს ერთი № ჟურნალის „Вольн. экономич. Общества". ამ ჟურნალის პირველ ფურცელზე ასე ეწერა: ეს წიგნი ეძლევა საჩუქრად კარგი ყოფაქცევისა და კარგი სწავლისათვის ამა და ამ მოსწავლესო. ძნელად წარმოიდგენს კაცი იმ სიხარულს, როგორი სიხარულიც ამ უბრალო საჩუქარმა დაბადა ჩემში. პერმე იმ დროს, როცა შინ წასასვლელადაც დაგვითხოვეს. წიგნები და ეს საჩუქარი გავახვიე კარგად, მოვიკიდე ჩანთა ზურგზე და გამოვუდექი შინისკენ გზას. მეორე დღეს მივედი შინ და მამას მივახარე ჩემი დასაჩუქრება. მამას ძლიერ იამა ეს ამბავი და სერიოზულად მითხრა: „შვილო, იცოდე ყოველთვის, რომ ეგ შენი დასაჩუქრება და გამარჯვება ღვთის საქმეა. ღმერთი შეგწევია და იმას უნდა შესწირო მადლობა, იმას უნდა შეეხვეწო ეკკლესიაში, რომ ყველაფერში გაგამარჯვებიოს ხოლმე. ხვალ სანთელი აუნთე ხატს ეკკლესიაში. მეორე დღე კვირა იყო და ნაწირვებს მამამ პარაკლისი გარდაიხადა ჩემთვის. პარაკლისის ამბავი გაიგეს გლეხებმაც და ყველა მილოცავდა გამარჯვებას. ამნაირად ჩემი სიხარული გაორკეცდა. ასე გათავდა პირველი წელიწადი. ეხლა მე მეორე კლასის მოწაფედ ვითვლებოდი და უფრო პატივი მქონდა, ვინემ პირველი კლასის მოწაფეს.

პირველი და მეორე კლასის ოთახები ფიცრის კედლით იყოფოდა, იმიტომ რასაც ლაპარაკობდენ მეორე კლასში, ყველაფერი გვესმოდა. მეორე კლასში მასწავლებლად იყო დ. მიქ—შვილი. არ შეიძლებოდა, რომ ამ მასწავლებელს ხუთი-ექვსი მოწაფე არ გაეროზგა დღეში. განსვენება აღარ იყო აყვირებული და აწიავებული მოწაფეებისაგან. როცა გული ნაუვიდოდა გასაროზგად წაყვანილ მოწაფეს, მხოლოდ მაშინ გაანებებინებდა თავს როზგს. წინა დღით გაროზგეილ მოწაფეს თუ მეორე დღეს გაკვეთილი არ ეცოდინებოდა,. როზგს ხელმზედაც

სცემდა. მეორე კლასის ერთ მოსწავლეს ვჰკითხე. თუ რატომ როზგავდნენ მოწაფეებს ასე ხშირად და აი რა მითხრა მან: „რომ გაგვიყვანს მასწავლებელი, ძლარ ვიცით, სად ვართ. რაც უნდა კარგად ვიცოდეთ გაკვეთილი, ყველაფერი გვავიწყდება იმ დროს და ვკანკალებთ; შეგვცდება თუ არა ერთი სიტყვა, გათავდა, დაიძახებს როზგიო, მოგვვარდებიან, წაგვაქცევენ, სამი თავზე დაგვაწვება და სამ-ოთხი —ფეხებზე და დაგვიშენენ როზგს. ჩვენს ფეოდვილესი ძალლი არ არის. მასწავლებელს უხარიან, როცა დავიბნევით ხოლმე და სიცილით დაიძახებს: „როზგი მაკასო". თუ მაგრად არ დავვარტყა როზგი „პალაჩმა" *). იმასაც გაროზგავს და ამიტომ გვირტყამენ, რაც ძალი და ღონე აქვსთ!"...

კარგი და სასიამოვნო იყო მეორე კლასში გადასვლა, მაგრამ ეს გარემოება კი მაშინებდა, მაგრამ, მადლობა ღმერთს, სექტემბრის თვეში ჩვენ ის მასწავლებელი ძლარ დავვხვედრია, უკვე დაეთხოვათ. მის მაგიერ დაენიშნათ მასწავლებლად გ. დეკ—ძე, რომელიც, როგორც მასწავლებელი, კარგი იყო და კეთილი გულიც ჰქონდა.

## შესანიშნავი სასტუმრო.

(მოთხრობა)

დასასრული *)

თუმცა ყოველივე ბლომად იყო ამ სასტუმროში, მაგრამ ყმაწვილის გასაოცრად იქვე ბლომად იყო ურიცხვი საწყალი, ჩამოძლეტილი, მშიერი ხალხი, რომელნიც შორით უცქეროდნენ ამ შვენიერად გამართულს სტოლებს, რომელთაც უსხდნენ სტუმრები. ეს ღატაკნი ხშირად შეთხოვდნენ ხოლმე სტუმართ ლუკმა-პურს.

განა ესენიც ისეთივე სტუმრები არ არიან, როგორც სხვები? ჰკითხა ყმაწვილმა მოხუცს და ხელი გაიშვირა ამ საცოდავებზე.

დიახ! ესენიც იმგვარივე სტუმრები არიან, მიუგო მოხუცმა, მაგრამ ხედავ, როგორ ექცევიან პირველნი მეორეთ? სახლის პატრონმა ჩააბარა ისინი ამ სტუმრებს და აი ხედავ, რას შვრებიან ისინი აქ?

—მაშ რატომ არ გაჰყრის ის აქედგან ასეთს სტუმრებს? თქვა ყმაწვილმა:—რატომ აძლევს მათ ნებას იავკაცონ აქ?

—ჩემო შვილო, იმას უყვარს თავისი სტუმრები; იმან იცის, რანაირი საშიშარი ღამეა, როგორი უსაშველო სიცივე და სიბნელე მოელის მათ ამ სახლის გარეთ და მას ელოდება ეს უგუნურები: ის ელის მათი ხასიათის გასწორებას.

მაშინ ყმაწვილს მოაგონდა, რაც თვითონ გამოსცადა მინდორში და უნებურად ტანში გააჟრიალა.

ოჰ, დიახ! უთხრა მან მოხუცს: ალბად ელოდება ისინი. წავიდეთ მათთან და გავახსენოთ მათი მოვალეობა, რომელიც დაავალა მათ ამ სახლის პატრონმა და რა დაემართებათ მათ, თუ რომ ისინი არ გაისწორებენ ხასიათს და თვის მოვალეობას მტკიცედ არ აღასრულებენ.

—შენ გგონია, რომ იმათ არ იციან ეს, მიუგო მოხუცმა. ვთქვათ მოაგონე მათ მათი მოვალეობა, მოაგონე სახლის პატრონი; შეეწიე საწყლებს, მაგრამ აქ შენ შეგხვდება ბევრი დაბრკოლება. რომ შენ წარმოიდგინო ის, თუ რამდენად უყვარს სახლის პატრონს თვისი სტუმრები და როგორ სწუხს მათზე, მე გიამბობ მას, რაც მოხდა ამ რამდენიმე ხნის წინად. სახლის პატრონმა ნახა, რომ აყაკობა საშინლად გავრცელდა, სტუმრები ცარცვენ და ხოცვენ ერთი მეორეს, ძლიერნი ავიწროებენ სუსტთ, ყველამ დაივიწყა სახლის პატრონი. მაშინ მეუფემ გამოგზავნა მათთან მხოლოდ შობილი ძე, თვისი, რომ მას მოეგონებინა მათთვის მათი მოვალეობა და ეჩვენებინა მაგალითი, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ მათ. ძე მეუფისა მოვიდა აქ წყნარი სტუმრის სახით, ის არ დადიოდა გამოჩენილ და მდიდართა კრებაში, არამედ ცხოვრებდა ღარიბ საზოგადოებაში, ეწვოდა საწყლებს, არჩენდა ავადმყოფებს, ასაზრდოებდა მშიერთ და ყველას ელაპარაკებოდა სახლის პატრონზე, სურდა ყველას დახსნა უბედურებისაგან. თავისი მოკლე აქ მყოფობის დროს მას არც არავინ გაულანძღავს, არც არავისთვის რამე

*) იმ დროს „პალაჩათ" იყო მეორე კლასის მოწაფე ბეკო მდ—ნი.

*) იხ. „მწყემსი" 1899 წ. № 7.

[წ]აურთმევია, პირიქით, შემწეობას აძლევდა ყველას, [ვ]ინც კი საჭიროებდა მის შემწეობას.

არც ყოფილა და არც იქმნება აქ იმისთანა [ვ]ინმე, რომელსაც სახლის პატრონის შვილზე მშვი[დ]ად ეცხოვროს: ის ლაპარაკობდა მხოლოდ სიყვა[რ]ულზე, უნდოდა ყველასი შერიგება და თვისი [მ]ისადმი ყველას მიქცევა. როგორ ფიქრობ, რა [უ]ყვეს მას სტუმრებმა? იწყინეს მისი კანონიერი [შ]ილება, შეიკრიბნენ, შეიპყრეს და მოჰკლეს მეუ[ფი]ს შვილი, მოჰკლეს მისთვის, რომ ყოვლის მფლო[ბე]ლი და პატრონი ცხოვრებდა გლახაკსავით, — იგი [მ]ოიძულეს მისთვის, რომ ის შემწეობას აძლევდა [გლ]არიბებს, და სურდა ყველანი დაეხსნა! როგორც [ი]ს იქცეოდა, ისე შენ არ შეგიძლია მოქცევა, ჩემო [შ]ვილო, მაგრამ ეცადე გააკეთო ყოველისფერი, რის [გ]აკეთებასაც კი შეიძლებ.

მოხუცის სიტყვები ღრმად ჩაუჯდა ყმაწვილს [გ]ულში. — მშვიდი სახე სახლის პატრონის შვილისა [მ]უდამ თვალ წინ ედგა მას.

როცა გაერეოდა ღარიბთა, მოხუცებულთა, [ბ]რმათა და დავრდომილთა საზოგადოებაში, ყმაწვილი ცდილობდა ყველასთვის მიეცა შემწეობა, რი[ც]ც შეეძლო! დიდხანს დაიარებოდა ის მოხუცე[ბ]ულთან ოთახიდან ოთახში, შემწეობას აძლევდა ღარიბებს, არიგებდა წაჩხუბებულთ, და უთითებდა სახლის უფროსზე მათ, რომელთაც დავიწყებული [ჰ]ყავდათ იგი. იყვნენ იმისთანაებიც, რომელთაზედა [ი]მოქმედა ამ ყმაწვილის სიტყვებმა და მაგალითმა და ისინი მოიქცნენ, მაგრამ იყვნენ იმისთანაებიც, რომელნიც არ ისმენდნენ ამ ყმაწვილის სიტყვებს და ეწინააღმდეგებოდნენ მას; ზოგნი ლანძღავიდნენ, ზოგნი დასცინოდნენ მას; ამ სტუმრებში [ე]რიენ ისეთებიც, რომელთაც თითქმის ცემა დაუპირეს ყმაწვილს, — ასე გულსაკლავად ეჩვენებოდათ მათ სიტყვა სიმართლისა! მაგრამ როდესაც ყმაწვილი ამნაირი ქცევის წინააღმდეგ აღიძრებოდა, მაშინ მოხუცი, რომელიც მას ერთ წამსაც არ სტოვებდა მარტო, ხშირად მოაგონებდა მას მეუფის შვილს, რომელიც, ყოვლისფრის მეპატრონე, ითმენდა დაცინვას, ლანძღვას და ცემას, და სიკვდილიც კი დაითმინა იმათგან, რომელნიც [ს]ცხოვრობდნენ და რჩებოდნენ მამა მისის უხვი [დ]ოვლათითა,

საშინელმა ხმაურობამ, რომელიც ერთ ოთახში მოხდა, მიიქცია ყურადღება ყმაწვილისა და მისის ჭაღარა მოგზაურისა. შეიხედეს იქ და ნახეს სისხლის ღვარა; შვენიერი სტოლი გადაებრუნებიათ; ნამტვრევი ღრმა საინებისა. ვერცხლის ჭურჭლებისა და ნაგლეჯი ძვირფასის ყვავილებისა ისრისებოდნენ მოჩხუბართა ფერხ ქვეშ; ზოგნი სტუმრები მამაცურად იბრძოდნენ; ზოგნი ეჭიდებოდნენ ერთი მეორეს თმაში, ზოგნი იკბინებოდნენ, როგორც მგლები, უმეტეს ნაწილს ხელში ეჭირათ დანები; იატაკზე რამდენიმე მკვდარი ეგდო და მრავალი დაჭრილები საბრალოდ ცოცავდნენ და შველას ეძიებდნენ. ყმაწვილს ფერი წაუვიდა, ეს სურათი რომ ნახა, მაგრამ ყველაზე უარესად შეაწუხა ყმაწვილი ერთი დედაკაცის სახემ, რომელიც, დაჩოქებული და თმებ გაშლილი, დახეულის და სისხლით დასვრილის ტანისამოსით, ცდილობდა გადაერჩინა თავისი შვილები და ისინიც ფერ-მიხდილნი და აკანკალებულნი შიშით დედას მიჰკროდნენ. უბედურმა დედამ რამდენჯერმე მოინდომა გაქცევა ოთახიდან, მაგრამ კარებთან იყო საშიშარი ჩხუბი; საწყლის თავზე ყოველ წამში ბრწყინავდნენ დანები და ის ყოველ წამს მოელოდა, რომ ვინმე გაჰკლეტდა, ან და ყელს გამოჰრიდა მის ძვირფას შვილებს. ის ხმამაღლა უძახოდა სახლის პატრონს.

ყმაწვილს თითქო მოესმა: „წადი და დაიხსენი ის დედაკაციო“. ყმაწვილი დაუყონებლივ გაერია ხალხში და არ გრძნობდა შემოკვრას, რომელიც მას ყოვლის მხრით ხვდებოდა, თითქმის ხელით გამოიყვანა საწყალი დედაკაცი და მისი ბალღები. როდესაც ისინი მეორე ოთახში იყვნენ, მაშინ დედაკაცმა მუხლი მოიყარა, თავისი პალღები გულზე მიიკრა და ცრემლით მადლობა შესწირა ყმაწვილსა. მოხუცი თანამგზავრი ყმაწვილისა იქვე იყო და უყურებდა მას. ბოლოს ალერსიანად გაუცინა ყმაწვილს და უთხრა: „შენ გაათავე შენი საქმე, აწი დაიძინე მოსვენებით“. ამ წამში სტუდენტმა გულში ძლიერი ტკივილი იგრძნო, და რომ მოიხედა, ნახა, რომ იგი სასიკვდინედ დაჭრილი იყო დანით მკერდში და ფართე ჭრილობიდან ბლომად მოდიოდა თბილი სისხლი. ფეხები მოეკვეცა ყმაწვილს და ის უსათუოდ დაეცემოდა იატაკზე, თუ რომ მოხუცს არ მიეწვინა თავის ფართე მკერდზე. „მე ვკვდები, იფიქრა ყმაწვილმა და იქვე დაინახა თავის წინ ფრთიანი

ყმაწვილი უუშვენიერესის სახისა, თეთრ ტანისამოსში, გაბრწყინვებული, როგორც თოვლი. ფრთიანი ყმაწვილი უთითებდა ხელს სტუდენტსა და ეუბნებოდა: „შენ გაათავე შენი საქმე, წამომყევი მე, სახლის მეუფე გეძახის შენ“.

გამოუთქმელი სიამოვნების გრძნობა აღიძრა მომაკვდავის სულსა და გულში: ის შეშინდა, დაიყვირა და გამოეღვიძა!

იმის წინ, ანგელოზის ნაცვლად, იდგა მისი საყვარელი და, რომელსაც ეჭირა ის ხელით, თავი თავისი მოხუცებული მამის გულზე ჰქონდა მიყრდნობილი; ხოლო დედა, უმცროსის ძმებითურთ დაჩოქილი ხატების წინ, ევედრებოდა ღმერთსა, რომ მას დაებრუნებინა მისთვის უფროსი ვაჟი. სტოლზე, ხატების წინ, სადაც ეკიდა ლამპარი, იდვა „დაბადება“ დაცვეთილის ხავერდის ყდითა.

—«მადლობა ღმერთს, რომ გამოფხიზლდი“, უთხრა დამ, როცა ძმამ თვალები გაახილა.

საჭიროა ავწეროთ, თუ რანაირს აღტაცებაში მოვიდა მთელი ოჯახობა.

ყმაწვილი, მინდორში სიარულის დროს, დაიღალა და დაეცა, ის უსათუოდ დაიღუპებოდა, თუ რომ ერთს გლეხს, რომელიც მიდიოდა ამ დროს მინდვრად, არ აეყვანა ის. როდესაც იცნო, რომ ეს უგრძნობლად დაგდებული ყმაწვილი იყო მისი მღვდლის შვილი, კეთილმა გლეხმა მოიყვანა სახლში, პირდაპირ მამასთან; სწორედ ერთი საათი დასჭირდა სტუდენტის გრძნობაში მოყვანას.

ყმაწვილი მას აქეთ ცხოვრობდა დიდხანს, მარა თავისი. სიზმარი კი არ ავიწყდებოდა მას არას დროს: მას ეს ქვეყანა მიაჩნდა როგორც სასტუმრო, რომლის კარების უკან გვიცდის ჩვენ მისი უხილავი პატრონი.

როგორც კი გაათავა კურსი სემინარიისა, სტუდენტი ეკურთხა მღვდლად და იყო კეთილის მოქმედი თავისი სამრევლოისათვის; ყოველი ღარიბი, მახინჯი, უპირისუფლონი მასში ჰპოებდნენ ჭეშმარიტს მამასა. ის არ ზოგავდა ფულებს კეთილ საქმეზე და თუმცა თვითონაც ღარიბად იყო, მაგრამ იმასაც არიგებდა, რაც ჰქონდა. როდესაც მეზობლები და ნათესავები უშლიდნენ მას ამნაირს, როგორც ისინი უწოდებდნენ, უგუნურს სიუხვეს, —ის მუდამ ასეთ პასუხს აძლევდა მათ:

—ყოველი ეს არც ჩემია და არც თქვენი; ეს ყოველივე ეკუთვნის ქვეყნის პატრონს: ჩვენ ყველანი აქ სტუმრები ვართ და უნდა ვეწეოდეთ ერთი მეორეს.

ასე ღრმად ჩაუჯდა სულში ყმაწვილს ეს სიზმარი.

## ჟურნალ.გაზეთებიდან

წინა წლებში ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველად იყო აპუხტინი, რომელმაც ძლიერ შეავიწროვა პოლშური ენა სასწავლებლებში. ამ ენამ დაჰკარგა გემნაზიებში და სხვა საშუალო სასწავლებლებში სავალდებულო საგნის უფლება. მისი სწავლება მოისპო სრულიად უფროსს კლასებში, შერჩა მას თითო-ოროლა გაკვეთილი მხოლოდ უმცროსს კლასებში, და აქაც სწავლობდა მარტო ის, ვისაც უნდოდა და ცალკე ფასის შეტანა შეეძლო; ახსნა მიდიოდა რუსულს ენაზე. მასწავლებელს პოლშურის ენისას სამსახური აღარ ეთვლებოდა, პენსიას ვერ ელირსებოდა და ჯამაგირიც ცოტა ჰქონდა. მასწავლებლებად მწესდებოდნენ უვიცნი კაცნი: რომელთაც არაფრის საქმის რიგიანად გაკეთება არ შეეძლოთ. პოლშურის ენის ბალებს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდათ კლასიდგან კლასში გადაყვანისათვის, და მოწმობაშიაც არ იხსენიებოდა.—პოლშელებს ძალიან უყვართ თავიანთი ენა, ისტორია და ლიტერატურა და ამიტომ დიდად გულს ატკენდა მათ ასეთი მდგომარეობა სამშობლო ენისა სასწავლებლებში.

მაგრამ, მათდა სასიხარულოდ, ბოლოს წლებში ძირეულად შეიცვალა პოლშურის ენის მდგომარეობა. აი, რასა ვკითხულობთ რუსულის გაზეთის Недѣли-ს უკანასკნელს, მეათე, ნომერში:

ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ლიგანის შუამდგომლობის თანახმად, რომელსაც გულმხურვალე სარჩლი აღმოუჩინა თავადმა იმერეტინსკიმ, პოლშის გენერალ-გუბერნატორმა, პოლშურის ენის სწავლება გიმნაზიებში ამიერიდგან სრულიად ახალს საფუძველზედ უნდა დამყარდეს: გაკვეთილები ყველა კლასში უნდა სრულდებოდეს პოლშურს ენაზედ, პოლშური ენა შედის

სამოსწავლო გეგმაში და ხდება ერთს უმთავრესს და სავალდებულო საგნად («становится однимъ изъ важныхъ и обязательныхъ предметовъ»), მას ასწავლიან ყველა კლასებში. უმცროსა კლასების პროგრამაში მოქცეულია გრამატიკა, უფროსისაში ისტორია ლიტერატურისა. სივრცე პოლშურის ენის პროგრამისა იმოდენაა, როგორიც რუსულის ენისა“.

ამასთანავე სანუგეშო ცვლილება მომხდარა სახალხო სკოლებშიაც. წინად აქ პოლშურს ენას რუსულს ენაზედ ასწავლიდნენ, საგნებიც რუსულს ენაზედ ისწავლებოდა, გაკვეთილებიც პოლშურის ენისა იყო მცირე—სამი კვირაში. ახლა-კი სხვანაირად დატრიალებულა საქმე. იგივე გაზეთი განაგრძობს:

„სახალხო სკოლების მასწავლებლებმა მიიღეს ცირკულიარი სამოსწავლო მთავრობისაგან და მასთან ახალი გეგმა სწავლებისა, რომლის ძალით პოლშური ენის გაკვეთილები ერთი ორად არის მომატებული. ნაცვლად სამი გაკვეთილისა კვირაში დანიშნულია ექვსი გაკვეთილი; ამასთან სწავლება პოლშური ენისა ამავე ენაზედ უნდა სწარმოებდეს. ოთხს საგან შორის, რომელსაც ასწავლიან სკოლებში, ორი—რუსული ენა და არითმეტიკა ისწავლება რუსულს ენაზედ და ორიც—პოლშური ენა და სჯული—პოლშურს ენაზედ“.—

---

თუმცა ბ-ნს სარდალს ინგლისის ჯარისას უკვე გუშინვე მოახსენეს, რომ ბურების ის რაზმი, რომელსაც ეხლა უპირისპირდება თავ-დასხმას, მცირეა, მაგრამ სიფრთხილისათვის მიუახლოვდა თუ არა ცხვირ წამოწვდილს კლდეს, ადგილ-მდებარეობის დასათვალიერებლად აქ თიქით მაინც მზვერავები გაჰგზავნა.

— ვიდრე კარგად არ გავცდებით იგერ იმ წამოწვდილს კლდის ცხვირს, თითის გაშვერით მოახსენა სარდალს უკვე დაბრუნებულმა უფროსმა მზვერავმა: ბურები ვერ დაგვინახავენ. ისინი არხეინად დაბანაკებულან პატარა გორაკის ძირას და სრულიად არ ეტყობათ, რომ მიგველოდნენ. კარვების წინ გაჩაღებულ კოცონებთან მარტო დედაკაცები ფუსფუსებენ. როგორც ეტყობოდათ, ხვალინდელ დღესასწაულისათვის მზადებაში არიან. კაცებს ალბად კარვებში სძინავთ, ან იქნება ხვალის დღესასწაულისათვის ირთვებიან...

— ძალიან კარგად დაგინახე, ბ-ნო სარდალო, აგერ იმ კლდის წვეროდგან,—გააწყვეტინა ლაპარაკი უფროსს მავ-კანიანმა მზვერავმა, კარვებში გამოტილი ვეებერთელა ბურები.

— ძალიან კარგი.—ჰბრძანა სარდალმა,—მცირე მოფიქრების შემდეგ. აბა დაამზადეთ ზარბაზნები და აგერ იმ კლდისაკენ გასწით. ცოტად გასცდებით თუ არა, გაჩერდით; არამც და არამც ბურებს არ დაენახოთ. თქვენ-კი, მიუბრუნდა სარდალი ცხენოსან ჯარის უფროსს.—აქ იყავით, ქვეითა ჯარი-კი, თან გამომყევს! ბურების ჯარი გამოიშლება თუ არა ჩვენსკენ, მიუბრუნდა ხელ-ახლა ცხენოსანთა უფროსს, თქვენ უკანიდგან მოუარეთ, აგერ იმ ხეობით, და იმედი მაქვს, რომ თითქმის უბრძოლველად ჩავიგდებთ ბურებს ხელში. აბა გასწით, ფრთხილად-კი.

მშვენივრად იყო მოფიქრებული ბრძოლის გეგმა და ინგლისელები ეჭვლადაც გაიმარჯვებდნენ, რომ ბურებს თავიანთის ჯაშუშების შემწეობით წინად მესვე არ შეეტყოთ მათი განზრახვა და თადარიგს არ შესდგომოდნენ. ბურებმა ამაოდ დრო ძალი დაჰკარგეს და იმავე ღამეს დაფაცურდნენ: ხელად აათრიეს თავიანთი პატარა ზარბაზნები გასავლის აქით-იქით გორაკებზედ, სადაც ინგლისელებს უეჭველად უნდა გაევლოთ და თვითაც ამ გორაკებს შეეფარნენ. ჯერ არც-კი გარიჟრაჟებულიყო, რომ ბურები, სულ განაბულნი, თოფებით ხელში ქვებს ამოჰფარებოდნენ. პატარა ზარბაზნები სრულიად არ განირჩეოდა იმ ქვებიდგან, რომლის ძირშიაც ამოეყენებინათ.

---

რამდენიმე ათასმა თოფმა სწორედ მაშინ მოიღო გრიალი, როდესაც ცხვირ წამოწვდილ კლდის ახლოს ამაყად თავი ამოყო თვით სარდალმა 10,000 კაცისამ. თოფებს მოჰყვა ხუთის ზარბაზნის გრიალი; აირია თოფისა და ზარბაზნის ხმა ერთმანეთში და ამათთან ერთად აირია ინგლისელთა ჯარიც. დაფრთხნენ ინგლისელების ზარბაზნებში შებმული ცხენებიც. მხედარნი სცდილობდნენ მოეყენებინათ, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა; საშინელ მდგომარეობაში იყო ინგლისის ჯარი: მარცხნივ—ღრმა ღელე, მარ-

ჯვნივ—მტრის ტყვიის სეტყვა. თუ ჯოჯოხეთი მართლა ისეთია, როგორსაც ხატავენ, ეს ადგილი იმ დროს სწორედ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა.

* *
*

სამი ზარბაზანი, ოთხმოცამდის დაჭრილი და სამასი ტყვე დარჩათ ბურებს, რომელსაც ინგლისელებმა უკან დაიწიეს და აჩქარებულის ნაბიჯით გასწიეს თავიანთ ბანაკისაკენ. გამარჯვებულ ბურების ხმა ბანაკში მყოფ დედაკაცებმა შორიდგანვე იცნეს და გახარებულნი გარედ გამოცვივდნენ მამაც მეომართა მისაგებლად.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენს რედაქციას მოუვიდა მრავალი წერილები, რომლებშიაც ზიზღს უცხადებენ „ივერიის“ ახლად მოვლენილს მწერალს „ახალ მოსულს“ იმ სამარცხვინო პოლემიკისათვის, რომელსაც იგი უწევს ბ. ჟორდანიას. სამწუხაროდ ამ წერილებს რედაქცია არ აძლევს ადგილს, თუმცა იგი სრულებით ეთანხმება წერილების ავტორთ და თავის მხრითაც უცხადებს უკმაყოფილებას „ახალ მოსულს“ იმ სამარცხვინო ხაკიელისათვის მწერლობაში, რომელსაც იგი ჩადის „ივერია“-ში ბ. ჟორდანიის წინააღმდეგ. როგორც წერილების ავტორთ ისე ჩვენს რედაქციასაც გასაკვირვლად მიაჩნია, რომ ბ. ი. ჭავჭავაძე ასე ათარეშებს ამ მწერალს თავის გაზეთის ფურცლებზე. ყველა მოუთმენლად ელის, რომ ნიღაბი ჩამოეხადოს ამ ახირებულ მწერალს...

* *
*

სადმრთო-სჯულის სასწავლო წიგნი სამრევლო და პირველ დასაწყის სასწავლებლებში რუსულ-ქართულ ენაზედ ხმის ამაღლების ნიშნებით, შვენიერ ქაღალდზე დაბეჭდილი უკვე მზად არის და ყველა მსურველს შეუძლია მოიპოვოს. ვინც თვით «მწყემსი»-ს რედაქციისაგან დაიბარებს, მას მანეთზე 20 კაპ. დაეთმობა.

*
* *

ჩვენს საექსარხოსო სასულიერო უწყებაში ცვლილებებია მოსალოდნელი.

*
* *

მაისიდან თფილისის და ქუთაისის სემინარიებში იწყება ეკზამენები და ამ თვის 27 თავდება.

*
* *

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი ბესარიონი ავათმყოფობისა გამო ორი თვით ბორჯომის წყლებზე მიბრძანდება საექიმოდ.

*
* *

ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გრიგორი, როგორც ჩვენ შევიტყეთ, მარტვილში მობრძანდება.

* *
*

დაბა ყვირილაში გზაზე იპოვნეს სამი-ოთხი გოჯა პრტყელი რიყის ქვა, რომელზედაც არის მშვენიერად ამოჭრილი მხედარი კაცის სახე მისი შესამჩნევი ქუდით და ირგვლივ კი იეროგლიფური წარწერა აქვს ორ სტრიქონად. ეს შესანიშნავი ქვა „მწყემსი“ს რედაქციაშია დღეს.

*
* *

ბ. ფ. ყაზბეგმა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში გამოგზავნა მისგან შეგროვილი 350 მან. ეს ფულები „ცნობის ფურცლის“ სიტყვირთ უნდა მოხმარდეს ქართული საგალობლებისა და სიმღერების ნოტების დაბეჭდვას. ჯერ კიდევ არ დაუსრულებია ბ-ნ ყაზბეგს ფულების მოგროვება, ასე რომ, იმედია, ამ სიმპატიური მიზნისათვის უფრო მეტი თანხა შეიკრიბება.

* *
*

შავი ქვის წარმოების საქმე მეტის-მეტად გაძლიერდა. ჩვენდა სამწუხაროდ მარგანეცის პატრონები ვერ შეთანხმდნენ და ამით უცხოელნი ვაჭარნი სარგებლობენ და იაფად ყიდულობენ ქვას.

*
* *

ბლაღოჩინი მღვდელი ნესტორ შავგირაძე დაითხოვა კანტორამ თანამდებობისაგან, რადგან ის სხვა საბლაღოჩინო მაზრიდან იყო დანიშნული ბლაღოჩინად.

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

## საალდგომო საუბარი.

განმარტება ბრწყინვალე აღდგომის ზოგიერთ ეკკლესიურ ჩვეულებათა მნიშვნელობისა.

ქრისტე აღდგა!

დიდება აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვარ!! რა გამოუთქმელის სიყვარულით, აღფრთოვანებულის სიხარულით და აღტაცებით ეგებება მორწმუნე ქრისტიანე კაცი შენს ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულ დღესა! რომელი ენა გამოსთქვამს, ანუ რომელი კალამი აღწერს იმ განუსაზღვრელ—უზომო სიხარულსა და მხიარულებასა, რომელსაც გრძნობს გული ქრისტიანისა ბრწყინვალე დღესასწაულის საგალობელის სმენითა: «აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვარ, ანგელოსნი უგალობენ ცათა შინა“... სიხარულით თვალებში ცრემლი მოგდის—და უნებლიედ გასცქერი ცაში ვარსკვლავებსა, რომლებიც ანგელოზებად გეჩვენებიან და ჰგონებ, ვითომც ისინიც ერთად შენთან ღაღადებენ ამ გულის დამატკბობელ საღმრთო გალობასა! დიაღ, ძმანო, დღესასწაული აღდგომისა თვისის ეკკლესიურის წესრიგითა და ჩვეულებაებითა მეტად სასიხარულო და საგულისხმოა ქრისტიანეთათვის და ამიტომ, როგორც მღვდელს, საღმრთო მოვალეობად მიმაჩნია განვიმარტოთ თქვენ ამ დღესასწაულის მნიშვნელობა. აღდგომის დღესასწაულის შესაფერ სალმად ჩვენ გვაქვს დადებული წმიდა ეკკლესიისაგან შემდეგი სიტყვები: „ქრისტე აღდგა!“—„ჭეშმარიტად აღდგა“. ამ წესით ჩვენ ვბაძავთ იესო ქრისტეს პირველ მოწაფეთა, რომლებიც ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შემდეგ შეუსაიფობდნენ ერთმანეთთან და ამბობდნენ: „ჭეშმარიტად აღდგა უფალი!“ (ლუკა 24, 14—35). ჩვეულებრივის სალმის შემდგომ ჩვენ კიდევ ამბორს უყოფთ ერთმანეთსა. საზოგადოდ ცხოვრებაში, ამბორება არის შემოღებული ნიშნად ურთიერთის გულითადი სიყვარულისა. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამბორებას ამ დღესაც, მაგრამ ამ დღის ამბორება უნდა იქმნეს განსაკუთრებით წმინდა, უმანკო და სავსე სრულის ქრისტიანულის სიყვარულითა. წინააღმდეგ შემთხვევაში ამბორება იქმნება მსგავსი იუდის ამბორებისა. შემდგომად ამბორებისა—ვასაჩუქრებთ ერთმანეთს კვერცხებითა. რას ნიშნავს კვერცხი? კვერცხი არის მომასწავებელი ნიშანი ჩვენი მომავალი მკვდრეთით აღდგომისა. როგორც მაგალითად, კვერცხიდგან, რომელზედაც რამდენიმე დღე აჯდის ქათამი და გამოდის იქიდან ახალი არსება (წიწილა), რომლის სიცოცხლეც დაფარული იყო ხეჭოთი, ისე დადგება დრო, რომ ყოვლად შემძლებელის ღვთის მოქმედებით პირველ ხმისათანავე მთავარ-ანგელოსის საყვირისა, ჩვენი ხრწნადი სხეულიც გამოვა გულისაგან დედამიწისა და შემოსება უხრწნელებითა. რა დროიდგან ანუ ვისგან არის შემოღებული კვერცხით მილოცვა? ეს ჩვეულება ეკუთვნის უძველეს დროს. ძველ დროში, შესანიშნავ დღესასწაულ დღეებზე ნიშნად პატივისცემისა მდიდართა, მეუფროსეთა და მოწყალეთა ღარიბნი ასაჩუქრებდენ კვერცხებითა. ქრისტიანეთა შორის იგი არის შემოღებული მოციქულთა სწორის მარიამ მაგდალინელისაგან. ქრისტეს აღდგომის შემდეგ, როდესაც მარიამი მისულა ქ. რომში სახარების საქადაგებლად, წამდგარა იმპერატორის ტიბერიოსის წინაშე, მიურთმევია წითელი კვერცხი და უთქვამს: „ქრისტე აღდგა!“ მერე რა მიზეზით, ანუ რა შემთხვევით არის შემოღებული ეს ჩვეულება ქრისტიანეთა შორის? ამის შესახებ აი რას მოგვითხრობს საღმრთო გარდმოცემა:

„თვით ქრისტეს აღდგომის დღეს, როდესაც ყველა ურიანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მაცხოვარი მკვდრეთით ველარ აღდგებოდა, ერთ ურიას მიჰქონდა კალათით თეთრი კვერცხები ბაზარში გასასყიდათ. ამ ურიას გზაში შეხვდერია ქალაქიდან მომავალი სხვა ურია და უთქვამს:

—მეგობარო, არ გაგიგია რა გასაოცარი ამბავი მოხდა ჩვენს იერუსალიმის ქალაქში?

—რა ამბავი?

—იესო ქრისტე, რომელიც ამ სამის დღის წინეთ მოკვდა, არ კი აღდგა მკვდრეთით!

—მატყუებ?

—არა, ვადაი, უნახავსთ აღდგომილი ქალებსაც და კაცებსაც.

—მე მაინც არ დავიჯერებ. ეგ ისეთი შეუძლებელი ამბავია, როგორც ისა, რომ ამ კალათში ეს თეთრი კვერცხები ეხლავე თავის-თავად არ გაწითლდებიან". მაგრამ ოჰ, საკვირველებავ! ურიას ჯერ კიდევ თავისი სიტყვები არ დაესრულებია, რომ კალათში თეთრი კვერცხები გაწითლებულიყვნენ. საკვირველებით თავზარდაცემულმა ურიამ დაუყოვნებლივ მიიღო ქრისტეს სარწმუნოება. ამბავი სასწაულთ-მოქმედებისა ელვის უსწრაფესად მოედვა მთელს ქრისტიანობას და სახსოვრად ამა ღირს შესანიშნავ შემთხვევისა იქიდან ვიდრე აქამომდე შემოღებულია წითელი კვერცხის კვლევა აღდგომა დღეს. კვერცხის წითელ ფერს კიდევ სხვა განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს. იგი მოასწავებს ქრისტეს ცხოველს მყოფელს სისხლსა, რომელიც დასთხია მან ჩვენისა ცხოვრებისათვის და გვიხსნა მონებისაგან სიკვდილისა და ჯოჯოხეთისა საუკუნოდ. აი, ძმანო, მნიშვნელობა იმ წეს-რიგთა და ჩვეულებათა, რომელნიც გვაქვს ჩვენ დაწესებული წმ. ეკლესიისაგან ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომის დღესა.

მღვდელი მიხეილ კავშელოვი.

## გოლგოთაზე.

გოლგოთაზე გვიწვევს დღეს წმ. ეკლესია, იქით არის მიმართული ყველი გონება და გული ყოველთა ქრისტიანეთა; იქ წავიდეთ, საბრალო სულო ჩემო, შეიძლება იქ შენთვისაც მოინახოს ადგილი, შე. შეიძლება შენც ისწავლო და გაიგო რამე. აი ჯვარზე იტანჯება ძე ღვთისა, რომელიც თავის ნებით ევნო ჯვარზე; ცის სიმაღლიდან დასცქერის გოლგოთას მამა ღმერთი, რომელიც მართლმსაჯულებისა გამო სწირავს ჯვარზე თვის მხოლოდ შობილ ძეს, სიყვარულობით იწირავს ჯვარზე მის ვნებას; ზეციურ ძალთა კრებული გარსარტყია ჯვარს დიდის კრძალულებით. ჯვრის ძირში, მაცხოვრის სისხლის ნაკადულში, კრთიან ძვლები ადამისა, რომელიც მრწის, ხედავს-რა, რომ ცოდვისაგან მისი დახსნისათვის საჭირო შეიქმნა მხოლოდ შობილი მის ჯვარზე ვნება. მაგრამ შენ ვერ მისწვდები ამ საიდუმლოებას, საბრალო სულო ჩემო; შენ ჩაფლული ხარ უსჯულოებათა შინა, ვერასოდეს ვერა გრძნობ შენი ცოდვის სიმძიმეს და საძაგლობას. შენ მოკლებული ხარ სულიერ მხედველობას და გაგებას, შენ ვერ შეიცნებ დაუშრეტელ სიყვარულს ღვთის მისას, რომელიც ჯვარზე ევნო კაცთა ცოდვებისათვის; შენ ვერ იგრძნობ სიმძიმეს ცოდვებისას, რომელთაგან გამოხსნისათვის საჭირო შეიქმნა ასეთი დიდი მსხვერპლი. ვაი საბრალო და ბრმაო სულო ჩემო! რას იხილავ და ან რას გაიგებ შენ გოლგოთაზე, ან შენთვის ადგილი იქნება იქ თუ არა? აი უხმოდ სდგას ჯვარცმული იესოს წინ ყ-დ წმიდა დედა მისი, რომელმაც ანგელოზისაგან გაიგო, რომ ძე მისი არის ძე ზეციური ღმრთისა; უხმოდ შესცქერის ჯვარზე მსხვერპლს, მტკიცედ სწამს, რომ მის ძეს საუკუნოდ მიეცემა ტახტი მისი მამის დავითისა; და რა მდგომარეობაშია მისი ერთგულობა ღვთისადმი, რა მდგომარეობაშია მისი დედობრივი სიყვარული მისადმი, ნუ თუ შენ შეგიძლია ყოველივე ესენი შეიგნო. სულო ჩემო, და-

რიბო სარწმუნოებით, რომელმაც არ იცი მოთმინება და ერთგულება ღვთისადმი? ვაი, უბადრუკო სულო ჩემო, შენ იესოს დედასთან ერთად ადგილი არა გაქვს გოლგოთაზე.

აი იესოს ჯვართან სდგას საყვარელი მოწაფე მისი, სდგარან ქრისტესათვის თავდადებულნი დედანი. როგორ სწუხს მათი სათუთი, მოსიყვარულე გული, როცა ხედვენ საშიშარ წვალებათა, როცა წარმოიდგენენ, რომ სრულებით უდანაშაულოდ ივნება იესო, შენ ვერ გაიგებ ამას, უბადრუკო სულო ჩემო; შენ ანთებული არ იყავი ქრისტესადმი სიყვარულით, არ მიჰყევი მას, არ ემსახურებოდი მას მხურვალეს გულით და ერთგულობით; შენი გულის სიღრმიდგან არ წარმოდინდება მწარე ცრემლები მწუხარებისა იმის შესახებ, რომ შემოქმედი ცისა და ქვეყანისა ეწამება ჯვარზე, რომ უტკბილესი იესო, ნუგეში მწუხარეთა, განსასვენებელი მაშვრალთა, ცხოვრება ცოდვილთა, იქანცება ჯვარზე შენი სიყვარულისათვის. ვაი, საბრალო სულო ჩემო, შენ ადგილი არა გაქვს გოლგოთაზე არც უფლის საყვარელ მოწაფესთან და არც ქრისტესათვის თავდადებულ დედებთან.

გოლგოთის სანახაობის საცქერლად მოდის უსაქმო სალხთა გროვა, მაგრამ ეს უსაქმურნიც თვალს ვერ უსწორებენ იესოს ჯვარზე წამებას და მათი გულიც სკდება მწუხარებისაგან. ვაი, საბრალო სულო ჩემო, ყოველ დღე ხედავ შენ ქრისტეს ჯვარს, ხშირად გესმის ჯვარცმულის წამება შენი გულისათვის. მაგრამ მაინც არ ძრწის შენი გაქვავებული გული, გულგრილად ისმენ, უყურადღებოდ იცქირები, უყურადღებოდ მიდიხარ ქრისტეს ჯვრის მახლობლად. ვაი, უბადრუკო სულო ჩემო, შენ უარესი ხარ სალხის უსწავლელ გროვაზე და ამიტომ მათთანაც არ გექნება შენ გოლგოთაზე ადგილი.

სდგარან ჯვარის წინ უსჯულონი, რომელთაც არ სწეიან სარწმუნოება, გულმეუბრალებელნი არიან, გულგრილად და დაცინვით შესცქერიან ღვთაებრივ წამებულს, როგორც ჩვეულებრივ კაცს. ვაი, საბრალო სულო ჩემო, აი იმათთან გექნება შენ ადგილი გოლგოთაზე. ცოდვილმა ცხოვრებამ მთლად ჩააქრო შენში სარწმუნოება, გააქვავა შენი გული. შესახებ ღვთისა, შესახებ მის საიდუმლოთა და მისი წმიდა სიტყვისა, შენ ისე გულგრილად ხარ, როგორც უსჯულონი, მაგარია შენი გული როგორც ქვა. ვაი, უბედურო სულო ჩემო, რისთვისღა უწოდებ შენს თავს ქრისტიანეს?

გოლგოთის მახლობლად მიდის ჭროვა ღვთის მკვლელთა და ბოროტად გმობენ ჯვარცმულს. მიდის გროვა უზრდელ კაცთა, რომელთაც წინეთ ახილეს სასწაულები ქრისტესი, და ღვთის მკვლელთა მსგავსად ისინიც აუგებენ ქრისტეს. ვაი, საბრალო სულო ჩემო, იმათთან ხომ არ გექნება შენ ადგილი გოლგოთაზე? შენ აღზრდილი ხარ ქრისტეს მიერ, ცხებულ ხარ მისი სისხლით. აღბეჭდილი ხარ სული წმიდისაგან, მაგრამ შენში არ არის მტკიცე სარწმუნოება, არ არის გონება და სიყვარული, ღვთის საგმობელად იმეორებ ღვთის მკვლელთა გმობას, ადვილად გიზიდავს მასხრად აგდება და სარწმუნოების წინააღმდეგი მსჯელობა და სწავლა ქრისტეს მოწინააღმდეგეთა. ვაი, საბრალო სულო ჩემო, ვინ

დაივიწყე. ვინ უარჰყავი შენ, ვის შეუდექ ზურგს, ვის ბაძავ, შე უსჯულო! ღვთის მკვლელებთან და ღვთის მგმობელებთან არის შენი ადგილი გოლგოთაზე და საუკუნო მომავალშიც მათი მსგავსი გექნება.

ეი, გესმის, სულო ჩემო, ურწმუნო მხედარმა იცნო და აღიარა ჯვარცმულში ძე ღვთისა; მუდამ ბოროტებაში გაქვავებულმა გულმა ავაზაკისამ იგრძნო ღვთაებრივი ძალა წამებულისა და ვედრებით გაიღო კარი სამოთხისა. ამის შემდეგაც კიდევ იქნები შეუსმენელი, მაინც კიდევ იქნება შენი გული უგრძნობელი? დავარდეთ ჯვარცმულის წინაშე, უბედურო სულო ჩემო, და ვტიროთ მის წინაშე.

შემიბრალე მე, ძეო ღვთისაო, განმაცხოველე მე შენი სარწმუნოებით, შეურყეველი სარწმუნოებით, რომ ყველაზე უმაღლესი იყოს ჩემთვის შენი სიტყვა, უძვირფასეს ყოველივეზე შენი წმიდა სიტყვა, შენი წმიდა ეკლესია, რომელიც დაადგინე შენ შენი წმ. **სისხლით.**

შემიბრალე მე, ძეო ღვთისაო, დასთრგუნე ცოდვებში ჩემი გაქვავებული გული, აღავსე იგი სიყვარულით შენდამი, აღავსე იგი ქვეყნის ულამაზესი შვენიერებით, სიკვდილის უძლიერესი შიშით, უძლიერესი სიხარულით.

შემიბრალე მე, ძეო ღვთისაო, დაიფარე ჩვენთვის ჯვარცმული, რომელმაც კაცთათვის დაანთხიე შენი ყოვლად წმიდა სისხლი, რომელმაც ჩვენთვის დაითმინა სამარცხვინო სიკვდილი, დამიფარე საუკუნო განსჯისაგან მე პირველი ცოდვილთაგან და ღირს მყავ ავაზაკთან ერთად შენი საუკუნო სასუფევლისა.

## წერილი რედაქციისადმი.

მ. რედ.! დიდი ხანია, რაც ჩვენ აქ გადმოხვეწილი ქართველები ვსარგებლობდით მუქთად ქართულ ჟურნალ-გაზეთებით, რომელთაც პატივცემულნი რედაქტორები უფასოდ გვიგზავნიდენ. მაგრამ სულ ყოველთვის მუქთად სარგებლობა და უფასოდ გზავნა ცოტა არ იყოს საწოთიროთ შეგვექმნა მას შემდეგ, როცა ზოგიერთებმა ხმები დაჰყარეს, რომ ციმბირში ოქრო სახვეტად არისო. ამას კი შეიტყობს ზოგიერთები, თუ როგორი სახვეტია ოქრო და ვერცხლი. ამისათვის აქ მცხოვრებმა ქართველებმა ყველამ ერთად გარდავსწყვიტეთ შეგვეკრიბა ფულები და გამოგვეწერა ქართული ჟურნალ-გაზეთები. მართლაც ამ შემთხვევაში უფრო თანაგრძნობა აღმოგვიჩინა ღარიბებმა ვინემ შეძლებულებმა. სულ შეგროვდა ოცდა-ოთხი მანეთი. ეს ფულები შემოიტანეს შემდეგმა პირებმა: დავით მთდებაძემ 5 მან., სამსონ ჩინჩალაძემ 3 მ., ლევანტი კიკნაძემ 2 მ., ტარიელ ხურციამ 2 მ., ალექსანდრე მხეიძემ 2 მ., გიორგი ილიშვილის პატარა ქალმა ნინამ 2 მ., ლევან ჩხრიკიშვილმა 2 მ., იულიანე ხაინდრავამ 3 მ., აბრამ კვირკველიამ 3 მ., სულ შედგა 24 მან. ტელეგრამებში დამეხარჯა 3 მ. 45 კ; ფოსტის მარკებში და ფულების გამოგზავნაში ერთი მანეთი. [illegible] ამის დასამტკიცებლად გიგზავნით ტელეგრამის და ფოსტის რასპისკებს. გიგზავნით ამ 19 მანეთს და გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი გამოცემა, „კვალის“ ჟურნალი და „ივერიული“ აკაკისა, ამ 1900 წელში.

თქვენი.... დასჯილი ქართველი.

დიდის კმაყოფილებით ვასრულებთ თქვენს თხოვნას, თუმცა ჩვენ ვანო არდიშვილის საშუალებით უკვე ვგზავნით ვლადივოსტოკში ქართველების სამკითხველოსთვის ჩვენს ჟურნალს, მაგრამ არა მიუხედავად ამისა კიდევ ვაგზავნი მეორე ცალსაც.

რედაქტორი.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიტერატურო განყოფილება:** გოლგოთამდე.—მწარე ფიქრები სოფლის ბუცისა;—ჩემი თავგადასავალი —შესანიშნავი სასტუმრო.—ჟურნალ-გაზეთებიდან,—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მეცნიერება ქრისტიანულის სარწმუნოებისა და კათოლიკოსობაზე;**—სააღდგომო საუბარი,—გოლგოთაზე; წერილი რედაქციისადმი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

*Дозволено цензурою, Тифлисъ,* 27 Апрѣля *1900 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Елiсѣевъ*

Типог. редакцiи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.

# მწყემსი




მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის დასდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული... [illegible] იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენნოთ თქვენ. მათ. 11—28.


№ 12 — 1883—1900 — 30 ივნისი


## რედაქციისაგან.

ვსთხოვთ ყველას, ვისაც-კი ფული ექნება გამოსაგზავნი ჩვენს სახელზე ან რედაქციის სახელზე, პირდაპირ ჩვენ ან რედაქციას წარმოუგზავნოს ფოსტით; სხვა პირებზე გადაცემული ფული რედაქციისაგან მიღებულად არ ჩაითვლება. ფულის ფოსტით გამოგზავნა-კი ძალიან გაადვილებულია. უკანვერტოდ, (გარდასაცემ ბლანკით გაგზავნას ოცდახუთ მანეთამდე უნდა სამი შაური, უფრო მეტს-კი—ას მანეთამდე—ხუთი შაური, რომელსაც თვით რედაქცია ანგარიშში მიითვლის.

## კიდევ ჩვენ მღვდელთა საყურადღებოდ.

ამ დღეებში საქართველოს მთელ სამღვდელოებას დაურიგდა გასაფრთხილებელი ცირკულიარული უკაზი სინოდალნი კანტორისაგან სხვა და სხვა გამოწერილობათა და მოწმობათა რიგიანად მიცემის შესახებ. ეს უკაზი გამოწვეულია იმის გამო, რომ ზოგიერთი მღვდლები თავის მოვალეობას რიგიანად ვერ

ასრულებენ სალდათად გასაწვევ პირთა შესახებ საჭირო ცნობების მიცემის საქმეში. საქართველო-იმერეთის სინოდალნი კანტორამ, როგორც კი სამხედრო ბეგარა შემოვიდა ჩვენში, მაშინვე გამოუცხადა სამღვდელოებას, თუ როდის როგორი მეტრიკული გამოწერილობანი უნდა წარუდგინონ მათ სალდათად გასაწვევ პირთა შესახებ. ამ ნაჩვენები ფორმისამებრ ჩვენ მაშინვე შევადგინეთ ამ გამოწერილობის ფორმა, მაგრამ როგორც სხვას, ისე ამ ფორმაზე დაბეჭდილ მოწმობასაც არ მიაქციეს ყურადღება. ზოგიერთები ისეთ გამოწერილობას აგზავნიდენ და დღესაც აგზავნიან მაზრის სამხედრო საკრებულოში, რომელიც სრულებით გამოცხადებულ სავალდებულო მოწმობათა ფორმას არ ჰგავდა. ამასთან ამ საჭირო ცნობებს აგზავნიდა ძლიერ გვიან. ამნაირად ზოგიერთი დაუდევნელი მღვდლების წყალობით ბრალი ედება მთელს სამღვდელოებას. ზოგიერთი მოსამსახურე პირნი მაინც თავის უსაქმობას და თვის მოვალეობის აღუსრულებლობას პირდაპირ მღვდლებისაგან ამ მეტრიკულ გამოწერილობათა თავის დროზე წარუდგენლობას მიაწერენ ხოლმე…

ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით და ეხლაც მზად ვართ, ხელი შეუწყოთ და დავეხმაროთ სამღვდელოებას, რითაც კი შეგვიძლია. ჩვენ შევადგინეთ მღვდლებისაგან მრევლთადმი მისაცემი ყოველგვარი მეტრიკული გამოწერილობანი და მოწმობანი რუსულად და ქართულად. ყოველ ბლაღოჩინს თითო ცალი ა… გამოწერილობათა და მოწმობათა ბლანკები დაეთმობა ნახევარ კაპეიკად. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი მღვდელი ამისთანა მოწმობათა და გამოწერილობათა ბლანკებს თავიანთ ბლაღოჩინებისაგან იყიდიან თითო კაპეიკად. ბლაღოჩინები, რომელნიც რამოდენიმეთ ზრუნავენ თავიანთ საბლაღოჩინო სამღვდელოებაზე, არ დაიზარებენ ამ საჭირო ბლანკების მოთხოვებას ჩვენის სტამბიდან სამღვდელოებაზე დასარიგებლად. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ყოველ მრევლის მღვდელს აქვს უფლება ეს საჭირო მოწმობათა ბლანკები, ქაღალდი, მელანი, კალამი და ლაქა მოითხოვონ ეკკლესიის საშუალებით, თუ, მართლა ისე დაღარიბდა მოწმობის მიმცემი, რომ ნახევარი ან ერთი კაპეიკის მიცემა აღარ შეუძლია საჭირო ბლანკში. მღვდლებიც, რომელნიც ამისთანა ბლანკებს მოითხოვს არა ნაკლებ ერთი მან., მიიღებენ თითო ცალს ნახევარ კაპეიკად.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

## ბუნებითი სვანი იღუმენი მ. თეოფანე.

სოფელ იფარში (ზემო სვანეთშია) რომ შეხვალთ, ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ ფერდობზედ დაინახავთ, თითქო არწივის ბუდეა მიკოსებული, ახალს საყანეს «ფეხს». აქ მიგიყვანთ თქვენ საცალფეხო გზა, რომლით სიარული ხანდისხან საშინელიც არის ზვავისა გამო (მთა სწუდება). თქვენ შორიდგანვე დაინახავთ მაღალ გუმბათიანს ეკკლესიას, თეთრად შეღებილს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ არის დამთავრებული. თუმცა ის ახალს არქიტექტურულს გემოზედ არ არის აშენებული, მაგრამ მისს ამშენებელ არხიტექტორისაგან ისიც გაგიკვირდებათ და დიდათ მიიჩნევთ. ამ უმთავრესს ეკკლესიას აქვს მოდგმული პატარა ეკკლესია, რომელიც მორწმუნე და ღვთის ნიერს კაცს ზედ დიდს შთაბეჭდილებას ახდენს თავისი სიწმიდით, უბრალო მოწყობილობით და სიღარიბით. ამ ეკკლესიას მოდგმული აქვს რამოდენიმე სენაკი ზოგი პაწია, ზოგიც ზომიერი. ესეც ის სიღარიბე, მაგრამ სისუფთავე და უბრალო მოწყობილობა!.. აქვე ნახავთ აბანოს, სხვა-და-სხვა გვარს ხეხილებს, მშვენიერად მოვლილს ბოსტანს და სხვას. შესვლისთანავე თქვენ გაიგონებთ ზეცის მუშის სალორს, პატიოსან მუშაკ-ფუტკრის ზუზუნს.., ის, თითქო უხარიან თქვენი მოსვლაო, გარს გეველებიან, ხან წინ მოგივლიან, ხან უკან, გეალერსებიან და თან თითქო თქვენი ცნობაცა სურთ: წმინდა გულით მოდიხარ სავანეში, თუ არაო? ცოტას გაივლით ამ მუშაკების სადგომს-ბინას, დაინახავთ—რკვალ ხის ბუკებს. ზოგს-კი ბინა შენობის კედლებში აქვსთ გაკეთებული... აქვე ახლოს მოჩანჩქარებს ანკარა წყარო. აქა-იქ გაჭიმულან სათიბები და ყანები, სადაც ითესება პური, ქერი, შვრია, ფეტვი, ცერცვი, ოსპი და სხვ. ამას გარშემო შემორტყმია ტყე-მუხნარი. ყველგან ბუნების სილამაზე, სიმშვენიერე და დიდება!..

ეხლა შევიდეთ ერთს საშუალო ოთახში და რას დავინახავთ? ერთს კუთხეში ხის ფიცრებზედ ლოგინია გაკეთებული; ლოგინს აღმოსავლეთით უდგია ოთხკუთხიანი მაგიდა. იქვე ორიოდე უბრალო სკამი. მაგიდაზედ აწყვია საეკკლესიო წიგნები, რამოდენიმე წიგნაკები წმიდანების ცხოვრებიდგან, რამოდენიმე №-რი ჟურნალ „მწყემსი"-სა, მიბაძვა ქრისტესი, ხელთნაწერები და სხვა. ჩრდილოეთით კედელს ბუხარი აქვს; ბუხარს აღმოსავლეთით უდგია პატარა კიდობანი—ფქვილის ჭურჭელი და ზედ გობი. აგერ ბუხარზედ მიყუდებულია კეცები (პურის გამოსაცხობად). მის ახლო აგდია ხის მაშა. ლოგინის ჩრდილოეთ მხარეს გაკეთე-

ბულია ჰაწია შკაფი და შიგ აწყვია სხვადასხვა ჭურჭელი. იქვე ჰკიდია ხის კანის „ბოყვით" ლობიო, მის კვერდით მარილი და სხვა საკმაზავი მასალები. ფანჯრიდგან შემოყვანილია სიმა და კედელზედაა მიბმული ზარის დასარეკად, რომელიც გარედ აივანზედა ჰკიდია. ავგრლოკინის ერთს ნაპირას აწყვია დარჩული მატყლის მაფები, იქვე საქსოვი სავარცხალი და ყოველგვარი მოწყობილებაი, რაც-კი რამ საჭიროა ქსოვისათვის და რაც სვანეთში ხმარებაშია.

მკითხველს ეჭვი შეჰპარება და იფიქრებს, ალბად ეს ოთახი დედაკაცის ბინაა, თორემ საქსოვ იარაღებს აქ რა უნდაო? არა… ლოგინზედ თქვენ დაინახავთ მწოლარეს თმა-ჭაღარას და ლმობიერი სახის ადამიანს. ის ეს ოთხი წელია სენმა შეიპყრო და ფეხები დაუკავა-დაუსუსტა. მიუხედავათ ამისა მას წინანდელი ენერგია-მოძრაობა არ დაუკარგავს… არცა ჰყავს მომვლელი, არცა პატრონი! თვითონ აცხობს, იკეთებს საჭმელს, თვითონ რთავს, ქსოვს, თვითონ რეცხავს ჭურჭლებს და სხვა. ლოგინთან უდგია მისგანვე გაკეთებული ბორბლებიანა სკამი, რომლის შემწეობითაც მიდიმოდის ოთახში და ოთახიდგან ოთახში (უიმისოდ ვერ დადის). ვინ არის ეს ბუნებისაგან დასჯილი? იკითხავს პატივცემული მკითხველი? ეს არის ბუნებითი სვანი, იღუმენი მამა თეოფანე, რომელსაც შეიძლება იცნობდეთ.

აი ამ გამრჯელის, დაუშინებელ მუშა ბერის ხელს ეკუთვნის ყველა ის, რაც ზემოდ ავსწერეთ. ბევრი იშრომა ამ პატივცემულმა სულიერმა მამამ, ააგო სავანე, რომელსაც მრავალ საკუთრად მისგან შეძენილი აუარებელი ადგილები, ბევრ დატაკსა და დავრდომილებს ამლევდა ლუკმას, სცემდა ნუგეშს და ეხლა, როდესაც მას მოძრაობა აღარ შეუძლია, ვიმეორებ, ახლაც არ უძლებს გული რომ საწყალს არ შეეწიოს!.. რთავს, ქსოვს და იმითი ჰმოსავს გაჭირვებულებს! აი სად არის ნამდვილი სიყვარული! აი სად სუფევს ქრისტეს მადლი! აი ჩვენი მაცხოვრის მიმდევარი!…

—„დიდ არს ღმერთი, შვილო,—მეუბნებოდა ის საუბრის დროს ღიმილით; მე დამსაჯა ღმერთმა ამ სოფლად და მომეცა როგორ სამებრ!.. მე დავისაჯე, რათა ვადიდო ღმერთი: მიუწდომელი! დიდება მისსა სახიერებასა!"… ის ამ სიტყვებით არც სამდურავს აცხადებს ღმერთზედ და არც სასოწარკვეთილებაში შედის, არამედ მადლობასა სწირავს ღმერთს და იმედოვნებს რაღაცაზედ.,.

მღვ. ი. მარგიანი.

## ქიზიყის სამღვდელოების ცხოვრებიდგან.

---

დღეს ყველა შეგნებულისათვის ცხადია, რომ ცოდნით დახელოვნებული საეკლესიო გალობა ტკბილ-ხმოვანი და საამებელი ადამიანის სულისა და გულის სასოებით ამმაღლებელი და გამასპეტაკებელი ღვთიური ძალაა, რომელიც ამასთანავე ერის გულსა და გონებაში მტკიცე სარწმუნოების დამკვიდრების ერთი დედაბოძთაგანიც არის, მეტადრე სარწმუნოებაზედ გულ-აცრუებულ ჩვენის დროის ხალხისათვის.

როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, დღეს ქიზიყშიაც, სამწუხაროდ, ძალიან კოჭლობს საეკლესიო გალობის საქმე, რის გამოც სიღნაღის მაზრის სამღვდელოების პირველ ოლქის ბლაღოჩინმა მღვ. კირილე ღვთისავრიშვილმა 21 აპრილს მოახდინა სამღვდელოების კრება, განუმარტა გალობის დიდი მნიშვნელობა და ბოლოს სთხოვა: „შევიწიროთ ყოველ-წლივ თითოეულმა კრებულმა ხუთი მანათი და გამოვძებნოთ კიდევ სხვა წყარო გალობის მასწავლებლისათვისო. შეიძლება მეორე, მესამე და მეოთხე საბლაღოჩინოს კრებულნიც შემოგვიერთდნენ ამ საქმეში და მაშინ უფრო გალობის საუკეთესო მასწავლებელ-სპეციალისტს მოვიწვევთ და უფრო ფართოდ გაიდგამს ფესვებს ეს საკეთილო საქმეო". კრებამ ერთხმად მიიღო ბლაღოჩინ კირილე ღვთისავრიშვილის წინადადება.

გალობის მასწავლებელი ხირსის მონასტერში იქნება, სადაც მას ყოვლად უსამღვდელოესობის ეპისკოპოზის ლეონიდისაგან დაარსებული სამრევლო სკოლაა დღეს. ქიზიყის დიაკვნები და მონასტრის მორჩილნი პრაქტიკულად შეისწავლიან გალობას მონასტერში ყოველ დღე წირვა-ლოცვაზედ, ხოლო თეორიულადაც შეისწავლიან გალობის საქმეს სკოლის უფროსი მოწაფენი.

ხალხში მტკიცე სარწმუნოების დამკვიდრებისა და მისის გონებრივ განვითარებისათვის, როგორც მოგეხსენებათ, დიდი გავლენა აქვს აგრეთვე ცოცხალ,- ზნეობრივ სიტყვასაც, და აი, ამიტომაც ბლაღოჩინი კირილე ღვთისავრიშვილი ყოველთვის ურჩევს მღვდლებს: ჩაგონეთ ხოლმე მრევლს სწავლის ძუძუთი აღზრდილი ცოდნა გონების თვალის ასახილებლადაო. მამა კირილე არა იშვიათად უქადაგებს მრევლს ეკლესიაში და ხშირად ეკლესიის გარედაც ჭირშიაცა და ლხინშიაც ესაუბრება ხალხს საკეთილო, მამა-შვილური სიტყვით. წარსულს წელს თფილისში საეპარქიო კრების დროს ბლაღოჩინმა ღვთისავრიშვილმავე აღძრა კითხვა: ვთხოვოთ მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას ფლაბიანეს, რათა მან ნება მოგვცეს მსჯელობა ვიქონიოთ კრებებზედ შემდეგ კითხვების შესახებაცო: 1) შეიცვალოს დღევანდელი წესრიგი კალის პურის აღებისა, რომელიც დიდის უთანხმოებას ბადავს მღვდელსა და მრევლს შორის სარწმუნოების დასამცირებლადო, 2) ყოველ ეკლესიას მიეზომოს ხაზინისაგან სახნავ-სათიბი მიწებით და 3) ყველგან აშენდეს საეკლესიო სახლები კრებულისათვისო. ეს წინადადებანი მიღებულ იქმნა და დღეს მის შესახებ კომისიაცაა აღმორჩეული საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს თავმჯდომარეობით.

კეთილსა და გონიერულს სიტყვას ბევრი რასმე გაკეთება შეუძლიან ხალხში და ბლაღოჩინ ღვთისავრიშვილმა მაჩხაანის დეპოს დამაარსებელს ბ-ნს ლ. ნადირაძეს დიდი დახმარება გაუწია: მისი რჩევით და დარიგებით ბევრი მღვდელი და ერის კაცი ჩაეწერა დეპოს წევრად და ბევრი მუშტარიც შეემატა დეპოს. წრფელის გულითა და სულით ვუსურვებთ ბლაღოჩინს მამა კ. ღვთისავრიშვილს ყოველ ამ საკეთილო საქმეში გამარჯვებას და მსგავსსავე საქმეებში სხვებისაგანაც წაბაძვას და თავ დადებას, ვითარცა თვით მაცხოვარი გვიბრძანებს მოციქულ იოანეს პირით: „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვისო". („ივერია").

## მცხეთის საკრებულო ტაძრის განახლება ამ მიმდინარე საუკუნეში (XIX ს.).

ამ მიმდინარე მე-XIX საუკუნეში, დღიდგან საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, ორ გზის შეკეთდა მცხეთის ტაძრის სახურავი: ერთი საქართველოს ეგზარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის ევგენის დროს 1837—1844 წწ., ხოლო მეორე საქართველოს ეგზარხოსის, მთავარ-ეპისკოპოსის ევსევის დროს 1860 წ. პირველად ტაძრის სახურავის შეკეთება დაუჯდა საქართველო იმერეთის სინოდალნი კანტორას 28,696 მანეთი, ხოლო მეორედ 28,333 მან. $8^3/_4$ კაპ.

უწმიდესი უმართებულესი სინოდის უქაზით, 30 იანვრიდამ 1828 წ., ეცხადებოდა საქართველოს ეგზარხოს, მიტროპოლიტს იონას, რომ მათ მეუფებას წარედგინა დაწვრილებითი ცნობები საქართველოს ეკკლესიების ცუდი მდგომარეობის და მათი შესაფერისად შეკეთებისათვის საჭირო თანხის შესახებ. სინოდის ასეთი განკარგულება გამოიწვია ტფილისის სამხედრო ღუბერნატორის, ღენერალ-ადიუტანტის სიპიაგინის შენიშვნებმა, რომელნიც მან გაუგზავნა უმთავრესის შტაბის უფროსს მის იმპერატორებითი უდიდებულესობას გორის და დუშეთის მაზრების დათვალიერების შესახებ 1828 წ. დეკემბრის თვეში. ეს შენიშვნები უმთავრესი შტაბის უფროსმა მიართვა მათ. იმპერატორებით უდიდებულესობას. მათმა იმპერატორებით უდიდებულესობამ ამ შენიშვნებიდან, სხვათა შორის, დაინახეს, რომ საკრებულო ტაძარი სოფელს მცხეთაში იმყოფება ძლიერ ცუდს მდგომარეობაში ისე, როგორც საქართველოს სხვა ეკკლესიებიც. და ამიტომ ბრძანეს, რათა ღენერალ-ადიუტანტის სიპიაგინის შენიშვნები მოხსენებოდა სინოდის ობერ-პროკურორს, რომ მან ეს აცნობოს უწმ. და უმართებულეს სინოდს. ხელმწიფე იმპერატორს სურს,—ნათქვამი იყო აქ,—რომ უწმ. სინოდმა ყურადღება მიაქციოს საქართველოს ეკკლესიების შენობათა და განსაკუთრებით ყურადღება მიექცეს, რომ საქართველოს ეკკლესიების შემოსავალი ჯეროვანად იხარჯებოდეს, მასთან ზომები იქნეს ხმარებული, რომ საქართველოში ტაძრები შესაფერისი ღირსებით იქნენ დაცულნი; აგრეთვე ნაჩვენები იქნეს მიზეზნი, რომელთა გამო საქართველოს ეკკლესიები ასეთ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ამ მოწერილობის შესახებ მიტროპოლიტმა იონამ მისწერა უწმ. უმართებულეს სინოდს, 28 თებერვლიდან 1828 წ. დაწვრილებითი ცნობები, რომლებშიაც აღწერილი იყო 1) მდგომარეობა საქართველოსი, 2) ეკკლესიების მდგომარეობა საქართველოში, 3) შემოსავალი საეკკლესიო გლეხებიდან და მამულებიდან 4) საშუალებანი, რომელთა დახმარებით შეიძლებოდა გაშენება საქართველოს ეკკლესიებისა. ამ ცნობებთან ერთად საქართველოს ეგზარხოსი იონა, სხვათა შორის, სწერდა სინოდს, რომ საქართველოს ეკკლესიების ცუდი მდგომარეობა შედეგია არა ადგილობითი სასულიერო მთავრობის უყურადღებობისა, არამედ იმის, რომ ეკკლესიების შენობები ძლიერ დიდი ხნის არიან, ზოგი შენობები აგერ 1400 წ. იქნება, რაც აშენებულნი არიან, მასთან ეს შენობები სხვა და სხვა დროს არა ერთ გზის აოხრებულან მტერთაგან და ყველაზე უფრო მტერთაგან დაზიანებულია მცხეთის ტაძარი. ბოლოს მიტროპოლიტი იონა დასძენდა, რომ როგორც ეს უკანასკნელი ტაძარი, ისე საქართველოს სხვა ეკკლესიები მან შეძლებისადაგვარად შეაკეთა, მაგრამ ერთ დროს განახლება საქართველოს ყველა მონასტრებისა, სობოროებისა და ეკკლესიებისა და მათი შენახვა მარტო საეკკლესიო გლეხების და მამულებისაგან შემოსავლით, შეუძლებელია, ვინაიდგან ეს შემოსავალი მიდის სამღვდელოების, სინოდალნი კანტორის, ეგზარხოსის კანცელარიის, სემინარიის და ოთხი სასულიერო ოთხკლასიანი სასწავლებლების შესანახადო. მართალია, ყოველ წლობით ამ შემოსავლიდან ცოტაოდენი რჩება ხარჯებს, მაგრამ, მიტროპოლიტის აზრით, ეს გადანარჩენი ფული მარტო მცხეთის ტაძრის შესაკეთებლადაც არ კმარა, ვინაიდგან ეს ტაძარი ძლიერ დიდია და მასთან ძლიერ ძველი, ხოლო მეორეს მხრით, საქართველოში ძლიერ ძვირია მასალა და მოხელენიც ძლიერ დიდ ფასს ითხოვენ. ამ მიზნისათვის საჭირო იქნება, ნათქვამია მოხსენებაში, არა ნაკლებ 300,000 მანეთისა, რომელიც გადარჩენილია ეკკლესიების

ყოველგვარი ხარჯების შემოკლებით და ინახება მოსკოვის საპეკუნო რჩევაში.

ამ მოსაზრებათა მიხედვით უწ. უმართებულესი სინოდი, უმაღლესი ბრძანების აღსასრულებლად, უქაზით, რომელიც გამოგზავნილ იქმნა მიტროპოლიტის იონას სახელობაზე, სწერდა: 1) მცხეთის ძველი ტაძრისაგან გადაღებულ იქმნეს ნამდვილი გეგმა, პირი შენობისა და პირის გამოხატულება გვერდიდან შეხედვით (профил.), შეადგინეთ სხვა გეგმა, თუ როგორ უნდა განახლდეს აწი, აგრეთვე შეადგინეთ საჭირო ხარჯის ჯამი, რომელიც საჭირო იქნება ამ ტაძრის ვანახლებისა და მის გამშვენებისათვის და ასეთები წარუდგინოს უწმ. სინოდს. 2) საქართველოს ძველი ქვის ეკკლესიებისაგან, რომელნიც აღშენებულნი არიან IV, V და VI საუკუნებში ქრისტეს დაბადების შემდეგ, გადაღებულ იქმნეს გეგმა, პირი შენობისა, რომელნიც სასარგებლონი იქმნებიან როგორც საეკკლესიო არქეოლოგიისათვის, ისე შემდეგ დროში აღსაშენებელი ეკკლესიების გეგმის შედგენისათვის. 3) საქართველოს საეკკლესიო შემოსავალთაგან გადადებულ იქმნეს უფრო მომეტებული ნაწილი დარჩენილი ფულებისა საქართველოს იმ ეკკლესიებისა და მონასტრების შესაკეთებლად, რომელთაც ჰყავსთ გლეხები და სხვა მამულები, რომელნიც შემოსავალს აძლევენ ეკკლესიას; სხვა სამრევლო ეკკლესიების შეკეთება და განახლება დაევალოს მრევლთ, რომელთაც შეუძლიანთ ამ საქმისათვის იხმარონ ყულაბებით შეგროვილი ფული და წმინდა სანთლის მოგებაც. უწმიდესი სინოდის ასეთი დადგენილება მოწონებულ იქმნა მათი იმპერატორებითი უდიდებულესობისაგან.

ამ უქაზის შესახებ მიტროპოლიტის იონას მოადგილემ, საქართველოს ეგზარხოსმა, მთავარეპისკოპოსმა ევგენიმ წარადგინა უწ. სინოდში ორი ხარჯთა აღრიცხვა: ერთი მცხეთის ტაძრის შეკეთების შესახებ და მეორე ახალი სამრეკლოს აღშენების შესახებ, ნაცვლად დანგრეულისა. ამავე დროს გაგზავნილ იქმნა სამხედრო-სამოქალაქო მთავრობის მიერ შედგენილი ნახატები და აღწერილობანი მცხეთის ტაძრისა: ა) გეგმა და პირი შენობისა იმ სახით, რა მდგომარეობაშიაც იყო ეს ტაძარი იმ დროს; ბ) გეგმა, შენობის პირი ტაძრისა ხარჯთა აღრიცხვითურთ, რომელიც მოსალოდნელი იყო ამ ტაძრის შესაკეთებლად, რომ მას თავისი უწინდელი სახე მისცემოდა; გ) გეგმა, წინა პირი და ხარჯთა აღრიცხვა ტაძართან ახალი სამრეკლოს აღსაშენებლად. აღნიშნული ხარჯთა აღრიცხვისაგან, რომელიც შეადგინა ინჟინერ-პორუჩიკმა უფ. ყორღანოვმა, სჩანდა, რომ მცხეთის ტაძრის შესაკეთებლად უწინ გამოანგარიშებული იყო 49,239 მან. 67 კ. ხოლო შემდეგ წითელი მელნით ამ ჯამის ნაცვლიდ დაწერილია 29,931 მან. 36 კ., ხოლო სამრეკლოს აღსაშენებლად კი გადადებული იყო 6,227 მ. 65 $^{3}/_{4}$ კ. აღნიშნული პირველი ხარჯთა აღრიცხვით ნაანგარიშები იყო მცხეთის ტაძრის კედლების შეკეთება გარედგან და შიგნით, აგრეთვე შეკეთება თაღისა, სახურავისა და იატაკისა.

(გაგრძელება იქნება)

## ГАБРИЕЛ ЕПИСКОПОСИС САХЕЛОБАЗЕД АРСЕБУЛИ

## გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობაზედ არსებული წიგნთ-საცავ-სამკითხველო ქუთაისში.

შემოხსენებული წიგნთ-საცავ-სამკითხველო დაარსდა 1897 წ. დაარსების პირველ ხანებში სამკითხველო როგორც თანხით ისე წიგნებითაც ღარიბი იყო, მაგრამ მიუხედავად ამ სიღარიბისა დღეს ეს წიგნთ-საცავ-სამკითხველო სანუგეშო მდგომარეობაშია თვისი წევრების წყალობით. აი წიგნების და ჟურნალების სია შემოკლებით: ა) ქართული წიგნები: 1) სასულიერო შინაარსისა—80 წიგნი. 2) ბელეტრისტიული—604. 3) ისტორიული 186 წიგნი, 4) საბავშო და სახალხო—234, 5) სამეცნიერო 54, 6) ჟურნალი 254 წიგნი. ბ) რუსული წიგნები: ა) სასულიერო—26 წიგნი. ბ) ბელეტრისტიული—298. გ) ისტორიული—76. სახალხო და საბავშო—100. ე) ფილოსოფიური—41. ვ) ჟურნალი 364.

ამ სახით დღეს ამ წიგნთსაცავ-სამკითხველოს შეუძლია ასაზრდოვოს გონებრივათ როგორც გაუნათლებელი ხალხი, ისე გვარიანად შეგნებული ინტელიგენტიც. სახლში წიგნების წაღებით სარგებლობენ 200 კაცამდე, რომელთა შორის უმეტეს ნაწილს მოსწავლე ახალგაზრდობა და მოქრების უმ-

ცირესი ნაწილი შეადგენს. განათლებულ ქვეყნებში უბრალო მუშებიც კი, რომელთა რიცხვში ნოქრებიც ურევიან, იარსებენ საკუთარ წიგნთსაცავ-სამკითხველოებს, კლუბებს, იკრიბებიან იქ, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გულის თქმას, უკვირდებიან ცხოვრებას და შეძლებისადაგვარად წინ იწევენ და ამგვარად ებრძვიან ცხოვრების უსამართლო ტალღებს. დილიდან შეაღამემდე მუშაობს მუშა ქარხნებში, ფაბრიკებში ან მაღაზიებში. იშოვნის თუ არა თავისუფალ დროს, იგი მაშინვე ხელს ჰკიდებს ჟურნალ-გაზეთობას ან სხვა რაიმე წიგნს და მეცადინობს სანამ ძალღონე შესწევს. თავი დავანებოთ კლუბებსაც, საკუთარ წიგნთ-საცავებსაც, მაგრამ როდესაც მზად გაქვს წიგნები (თვეში ერთი შაური ღირს კითხვის ქირა, სამკითხველოშივე უფასოთ) და ჟურნალ-გაზეთებიც, ასეთ დროს როგორ არ უნდა გადადვა ერთი ორი საათი დღეში გონების საზრდოს მოსაპოებლად? რასაკვირველია ჩვენ აქ სახეში არა გვყავს ყველა ნოქრები და მუშები. ჩვენ აქ სახეში გვყავს ისინი, რომლებიც თავისუფალ დროს ქუჩა-ქუჩა სეირნობას ანდომებენ და გონების საზრდოზედ არ ჰფიქრობენ. სამკითხველოს საშუალო რიცხვით დღეში 50 მკითხველი ჰყავს. სამკითხველოს წინა წლებში თანხა ჰქონებია 136 მან. 24 კ. დღეს კი 956 მან. 88 კაპ., რომლიდანაც ძირითად თანხას შეადგენს 845 მან. სამკითხველოს მოდის შემდეგი ჟურნალ-გაზეთები: „კვალი", «კრებული», „მწყემსი", «ცნობის ფურცელი», «მოამბე" და «ივერია"; რუსული: „Кавказъ", «Вѣстникъ Иностранной литературы», «Тифлисскій листокъ", «Кут. Вѣд." «Нива» და „Недѣля". ძლიერ კარგი იქნება, რომ ზოგიერთა ვრცელ პროგრამიან რუსულ ჟურნალებს გამოუწერდეს სამკითხველოს გამგე ქ. ელ. ჯინოვიძე. აქვე უნდა მოვიხსენიო ერთი გარემოება, რომელიც, ჩემის აზრით, ყურადღების ღირსია. წიგნთსაცავი იხდის წელიწადში 240 მან. სახლის ქირას. ქუთაისში შესაფერ ალაგას ისეთის სახლის აგებას, როგორიც ეს სახლია, მოუნდება თუ არ ვცდები არა მეტი 2000 მანეთისა. თუმცა ერთად ორასი თუმანი ბევრია, მაგრამ წიგნთსაცავისათვის ძლიერ სასარგებლო იქნება, რომ ეხლავ ამ თავიდგან აიგოს საკუთარი სახლი, მინამ ყოველ წლიურად იხდის 240 მან. მას შეუძლია ამ 240 მანეთით 2000 მანეთის %-ზე იხადოს—წლიურად და თავნიც დაწვას ცოტაოდნად. ამგვარად რამოდენიმე წლის განმავლობაში წიგნთსაცავი გადაიხდის ამ ფულს. და ბოლოს წიგნთსაცავს საკუთარი სახლი ექნება. სასურველია, რომ ეს საქმე მალე განხორციელდეს.

ბენიამენ ჩხაკვიშვილი.

## ბრძენ და მეცნიერ კაცთა გონების საღაროდან.

ლიტერატურა არის აპოლლონის საჭმელი, ხოლო თითონ ლიტერატურული შრომა-კი—ავტორების და გამომცემლებისა.

—

სულელი, რომელიც ეცდება თავის-თავის ჭკვიანად გამოჩენას, უფრო ძლიერ გამოაშკარავებს თავის სისულელეს.

—

მოისმინე საზოგადო აზრი, მაგრამ შენც გასინჯე იგი: გახსოვდეს, რომ კაცის მკვლელიც კი იქნება ქველ-მოქმედებდი—ერთ დროს.

—

საზიზღარ სულელსაც კი გენიოსათ ვხვდით ჩვენ, როდესაც იგი გვაქებს და გვეფერება.

—

ადამიანი არის ნავი, ცხოვრება ოკეანე თავის ქარიშხლებით, რომელიც მიაქან მოაქანებს ამ ნავს თავის ზვირთებში.

—

დიპლომი არის სქელი პირ-ბადე, რომელიც ფარავს თავის პატრონის ნაკლოვანებას.

—

ცხოვრება სასიამოვნოა, როცა მისი არაფ გაგვეგება რა.

—

სიკვდილის შემდეგ უფრო შეიტყობენ და აფასებენ ხოლმე ხშირად კაცს, ვიდრე სიცოცხლეში.

—

შეხედულება, შურზედ დამყარებული, მოკლებულია ლოღიკას.

—

უსაქმოდ მოყიალე კაცი ხორც მეტია იმ საზოგადოებისა, რომელსაც იგი ეკუთვნის.

ღვარძლიანი მსჯელობა არის დამამტკიცებელი საბუთი მოლაპარაკის ტვინ შერყეულობისა.

—

შრომა ქმნის მშრომლებს, უსაქმობა კი სუ-ლელებს.

—

კაცი არის ბურთი, რომელსაც ბედი საითკე-ნაც უნდა—იქით გადააგდებს.

—

ის სიტკბოებაა კარგი, რომელსაც თან არ მოსდევს სიმწარე.

—

ის სჯობს, რომ მთელ შენ სიცოცხლეს ღა-რიბულად იმედით ატარებდე, ვინემ ბატონიეთ ცხოვრებდე უიმედოთ.

## ცდომა

(ვუძღვნი ზოგიერთ ჩვენს მანდილოსნებს).

ვიცით, პირველ დედა-კაცსა
მცნება რომ არ დაუმარხავს,
ნათელი, ღვთის სამოსელი
სულ-მოკლობით განუძარცვავს.
ქმარსაც მისწვდა ქალის ცდომა,
ჩამოშორდა მას ნათელი,
შერცხვათ შიშვლებს, შეიკერეს
ლეღვის ფურცლის სამოსელი!
კაცმა იწყო: თავში ცემა,
ცრემლი ქვეყნის მოსარწყველად...
მაგრამ ცდომით დაკარგული
ადვილია საპოვნელად?!..
მანდილოსნებს მოეახსენებ:
რით გადარჩენ ღვთისგან დასჯას?!.
ლეღვის ფურცლის ნაცვლად, დღეს რომ
იკერავენ მძიმე ფარჩას?!..
ამისათვის გინდ დამსაჯონ,
გინდ აწვიმონ, გინდ ათოვონ,
მაინც ვურჩევ: მოდის დევნა,
პრანჭვა-გრეხა მიატოვონ...
თორემ ჩვენცა მოგვენთება
როგორც ცეცხლი, მათი ცდომა
დავიწვებით, ვერ გვიშველის
იმ კაცსავით თავში ცემა!...

რ. საჯაოხელი.

## სამსახურის დაწყობილება იმერეთის მეფე სოლომონ II დროს.

საისტორიო მასალა

უფროსი პირი მეფის კარს იყო სახლთ-უხუცესი. ეს თანამდებობა ეკუთვნოდა ზურაბ წერეთელს. უპირველესი მისი მოვალეობა იყო გაწერა და მო-გროვება სახელმწიფო ხარჯისა, საიდანაც მას ეკუ-თნოდა მეათედი ნაწილი. ამას გარდა მებაჟენი მოუ-ტანდნენ საჩუქრად ორსა ან სამს ქესსა წელიწადში. მეფის ნაბოძებიდან ყმათ—სახლთუხუცეს ეკუთვნოდა თითო კომლზე თითო ხარი. სახლთუხუცესობა რჩებოდა ერთ გვარში, თუმც, ხშირათ მემკვიდრე-ობით იგი არ გადადიოდა მამისაგან შვილზე.

სახლთუხუცესი გამგებელი იყო ყველა სახელ-მწიფო საქმეებისა. იგი თვალს ადევნებდა მეფის შემოსავალს. შემოსავალს შეადგენდა: 1) იჯარეთი-დან 1809 წ. 97 ქესსა (ოსმალური ფული) ანუ 20.000 მან. 2) საურნე—თითო კომლზე ორი მარჩილი (=1 მან.), 3) საუდიერო—კომლზე ექვსი ბათმანი ხორბალი (ბათმანი 11 გირვანქაა), ან 15 ბათმანი ღომი და 120 თუნგი ღვინო. მთელ სო-ფელს შეაწერდნენ აგრეთვე პირუტყვს ასე, რომ ათ კომლზე მოდიოდა ერთი ძროხა და რამდენიმე ცხვარი და ქათამი. სახასო ყმათ ედვათ განუსაზ-ღვრელი ხარჯი, მათ შეაწერდა სახლთუხუცესი „თავის მიმხედველობით“. 4) მეფის შემოსავალს შეადგენდა აგრეთვე ჯარიმა, ქურდს ერთმეოდა ერთი-ხუთათ. ამ ხუთი ნაწილიდან ორი წილი შე-რიცხებოდა სახელმწიფოთ, ორი წილი ეძლეოდა ნაპარევის პატრონს და ერთი წილი ბოქაულთ-უხუცესს. 5) ქონება უმემკვიდროთ ამოწყვეტი-ლისა შეირიცხებოდა სამეფოთ. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, კერძო საკუთრება მეფისა და სახელ-მწიფო ქონება არ იყვნენ განსაზღვრულნი,—ორივე მეფის სარჩო იყო. დედოფალს შემოსავალი ჰქონდა საკუთრათ: 12 ქესსა და 274 კომლი აზნაური და გლეხი. მისი შემოსავალი არ აღემატებოდა 2000 მ. ბატონიშვილებს ჰქონდათ საკუთრება—საბატონი-შვილო.

მეფის ქონების გამგებლობისათვის სახლთუხუ-ცესს ყავდა თანაშემწენი: 1) ხაზინთუხუცესი.

თანამდებობაზე ამოირჩეოდა ყოველთვის თავადი ნიჟარაძეთაგანი. ის იგზავნებოდა ხორბლის და ღომის მოსაკრებათ, თითონვე იყო მოვალე მის შენახვისა და ამ შრომისათვის მას ეკუთვნოდა მეათედი ნაწილი. 2) მეღვინეთ უხუცესნი: სვიმონ წერეთელი და ერთი იოსელიანთაგანი. ესენი აგროვებდენ და ინახავდენ ღვინოს, რისთვისაც მათ ორივეს ერთათ მიეცემოდათ მეათედი. 3) მესტუმრეთ-უხუცესი. ამ თანამდებობაზე ირჩევდენ იოსელიანთაგანს და ან ,საყვარელიძიანთაგანს. ესენი მოაგროვებდენ პირუტყვსა, რისთვისაც მათ ეძლეოდათ ტყავი და თითო ბათმანი ხორცი თითო ძროხაზე.

მეფესთან იყვნენ შემდეგი თანამდებობის პირნი: 1) მორდალი ანუ **ბეჭდის** შემნახავი (ავალიშვილთაგანი). სიგელზე ბეჭდის დამსმელს აძლევდენ ხუთ მარჩილს კომლზე და იჯარიდან თითო მანეთზე ორ-ორ გროშს. 2) მალფეთ-უხუცესი (წერეთელთაგან) მათ ებარათ სახელმწიფო ფული და ქონება. იღებდენ მეათედს საჩუქრის გაცემის დროს. **3)** ფარეშთ-უხუცესი (აზნ. აბაშიძეთაგანი) ებარა სასმელ-საჭმელი მეფის სახლისა. ეძლეოდათ საჩუქარი მეფის ნებით და მეათედი მეფისაგან ნაბოძები ტანისამოსისა, მეფის ძველი სადამური ტანისამოსი. ქვეშაგები, ხალიჩები, ალთაფი, ტაშტი და სხვ. 4) მეჯინიბეთ-უხუცესი (თავ. აბაშიძეთაგანი), ეძლეოდა მეათედი მეფისაგან განსაჩუქრებული ცხენისა. მეფის ჯოგიდან კვიცი და თვალ-წამხდარი ცხენები; მეფის ომში და ნადირობაში გამონაცვალი ტანისამოსი და ძველი უნაგირი. 5) ბაზიერთ-უხუცესი (აზნ. ყორჩევთაგანი. რომელსაც ებარა მეფის მიმინო, ქორი, ბაზიერი და სხვ.) 6) მეძაღლთ-უხუცესი (თავდგირიძეთაგანი), რომელსაც ებარა მეფის ძაღლები, ამ ორ მოხელეს ჯამაგირათ ქონდა მეათედი ფრინველისა და სხვა სტაგირა, რომელიც გროვდებოდა ქორთა და ძაღლებთა საზრდოთ. რასაკვირველია, როგორც ზურაბ წერეთელი სწერს, ქონდათ საერთოთ მოხელეებს სხვა სარგებლობაც, მაგალითათ, მომატებულ ხარჯს აგროვებდენ და ან მეტათ აფასებდენ მეფის ნაჩუქარს, რათა მეტი სარგებელი მიეღოთ. ხშირათ ძალათ უფუჭებდენ ქუჩებს და სხვ.

სოლომონ მეფის დროს იმერეთი ექვს მაზრათ იყო გაყოფილი. სამოქალაქო გამგებლობისათვის: ვაკე, ოკრიბა, საჩხეიძეო, არგვეთი, რაჭა და ლეჩხუმი. სამოურაონი იყვნენ: 1) ქუთაისისა (თავ. წულუკიძეთაგანი), 2) ჩხეიძისა (თავ. წერეთელთაგანი), 3) ლომსიანთხევისა (აზნ. მაჭავარიანთაგანი), 4) **ხონისა** (აზნ. აბულაძეთაგანი), 5) საპაიჭაოსი (თავ. ლორთქიფანიძეთაგანი), 6) საჯავახოსი (თ. ლორთქიფანიძე], 7) საჭილაო (აზნ. კორძაია,) 8) ფარცხანყანევი (თავ. ნიჟარაძე), **9)** გეგუთისა (თ. იაშვილი), **10)** რიონისა (აზნ. მესხი), 11) ვარციხისა (თ. წერეთელი), (12) **სიმონეთისა** (აზნ. კლდიაშვილი), 13) მუხურისა [აზნ. საყვარელიძე), 14) საზანისა (თ. ავალიშვილი), **15)** საქარისა და კვარისა (თ. აბაშიძე), 17) მანდისა და ხიდის-კარისა (თ. ლეონიძეთაგანი), 18) გლოლისა,. ღერბისა, ჭადრათისა (თ. ჯაფარიძე),. 19) ჭყვისისა (თ. გელოვანი) და სხვ. დასახელებულნი მოურავნი ცხოვრებდნენ ან მეფის ციხეში, ან საცა სახასო ყმანი იყვნენ.

საეკკლესიო მამულების მოურავებათ ირჩეოდენ ეკკლესიის ნებით. მოურავი შემოსავალს გაყოფდა ხშირად იმდენ ნაწილათ, რამდენი ოჯახიც იყო იმათ გვარში. მოურავს შემდეგი სარგებლობა ქონდა: მოგზაურობაში სასმელ-საჭმელი იყო მოუკლებლათ და სახლში ძღვენი. სარგებლობდა ამორჩევით ერთი სახასო გლეხით, რაც დებულება იყო. ქვრივების საჩექმო ეკუთვნოდა მას. მოურავს მოუხნავდენ, დაუთესავდენ და მოუმკიდენ. ეძლეოდა მსახური და მეფის ნაჩუქარიდან მიეცემოდა რამდენიმე ნაწილი.

ქუთაისის მოურავს საზრდოთ ქონდა: იჯარების შემოსავალი მარილისა, თევზისა, საქონლისა, საქმის გარჩევისა. მას ეკუთვნოდა სარდლობის ხარისხი. სამართალს აწარმოებდენ მდივანბეგნი ან სახლში, ან „ჩრდილოეან ხის ქვეშ“. სამოქალაქო საქმე განირჩეოდა ფიცით: უნდა დაეფიცნა პასუხის მგებელს რამდენიმე თანამოფიცარითა, რომელნიც თანასწორნი უნდა ყოფილიყვენ მოჩივრისა ხარისხით. ათ მარჩილათ ღირებულ საგანზე საჭირო იყო ერთი თანამოფიცარი, ოცს მარჩილზე—ორი და სხვ. ვინც ვერ იშოვებდა საჭირო რიცხვს მოფიცართა, ის გამტყუნდებოდა. შეადგენდენ პატარა **ბარათს და აქვე აძლევდენ გამართლებულ მხარეს.** როცა ირჩეოდა საქმენი გაცარცვისა, მკვლელობისა, ტყვეთა გაყიდვისა, მაშინ მდივანბეგნი მოი-

წევდენ მოწმეთა და ჭეშმარიტების დასამტკიცებლათ დამნაშავეს თავს ამართლებინებდნენ გახურებული რკინით, მდუღარე წყლით და ხმალში გასვლით. რადგანაც ვახტანგ მეფის კანონით კაცის მკვლელს დიდი ჯარიმა ედვა ფულად, ამიტომ სხვანაირ სასჯელს მიუწყოდენ: 1) ვინც გულში განზრახვით მოჰკლავდა კაცსა, მას დაწვამდენ, ან ცოცხალს დამარხავდენ და მოკლულის სასარგებლოთ ფულსაც ახდევინებდენ. 2) ვისაც გაეყიდნა სამზე მომეტებული ტყვე, მას ორივე ხელ-ფეხს მოსჭრიდენ; სამზე ნაკლების გამყიდავს ან ხელს, ან ფეხს მოჰჭრიდენ. ნაქურდალი ერთი ხუთათ გადახდებოდათ! ქურდების და ავაზაკების პოვნა ვალათ ედოთ ხევისთავთ (თავ. ბარათაშვილი), რომელნიც იღებდენ ჯარიმის მეხუთედს. სამოქალაქო და სუყველა საქმე, დაბოლოვებული ჯარიმის გამორთმევით, ასრულებაში მოჰყავდათ ბოქაულებს. ბოქაულთ-უხუცესი იყო წერეთელთაგანი. ამას ეკუთვნოდა მეათედი მამულის ფასისა ან ჯარიმისა; თითო აბაზი თანამოფიცარზე; თითო ოჯახიდან საურის აკრეფაზე ცამეტი ფარა. ამ შემოსავლიდან ბოქაულთ-უხუცესი აძლევდა ბოქაულებს. უკმაყოფილონი დიანბეგთა განაჩენით ჩიოდნენ მეფესთან. მეფე კვალად გაარჩევინებდა საქმეს ან თითონ აპატიებდა დამნაშავეს სიკვდილით დასჯას.

სოლომონ მეფის დროს იყვნენ სამნი სარდალნი, უფროსს მათ შორის, თავ. ქაიხოსრო წერეთელს, ჰყავდა განკებლობაში ჯარი ახლანდელი შორაპნის და რაჭის მაზრისა. იმას ჰქონდა ორი ბაირაღი: ერთი მწვანე აბრეშუმის ფარჩისა წმ. გიორგის ხატით, მეორე წითელი ადგილიანი ფარჩა და ზედ გამოხატული ჯვარცმა იესო ქრისტესი, ოკრიბის სარდალს აგიაშვილს ჰქონდა თეთრი და ჩალის ფერი ბაირაღი, ზედ გამოსახული ჯვარით მზე-მთვარით; ჯარი ვაკისა (ქვემო იმერეთისა) ებარა სვიმონ წულუკიძეს თავის ბაირაღით. ვინც ომში მოერიდებოდა სამსახურს, მას ყაბალახის მაგივრად დაახურავდნენ ლეჩაქს. ვინც ავადმყოფობის მიზეზით ... ახირებით უარს ჰყოფდა ომში წასვლის, მას ჩამოართმევდენ ყმას. ასაჩუქრებდენ გამოჩენილთ თოფით, ცხენით, თანამდებობით. მაგრამ ომში უფრო საშოვრისათვის მიდიოდენ, დავლის მოსაპოებლათ, რის შესახებ მეფე ვახტანგი დაწვრილებით განმარტავს. თუ წალებული საგზალი, თვითოეულს თავისთვის არ ყოფნიდა, მოჰკრეფავდენ გარეშემო მდებარე სოფლებში, უთანასწოროთ ვინც შეხვდებოდათ. მშვიდობიანობაში ჯარს დაითხოვდენ და რჩებოდენ მეფის გუშაგნი. ზოგ-ზოგს ციხეში ეყენათ ჯარი და ზარბაზნები ბოლოს დროს (კვარის ციხე, ჩხერი, ნაგორევი, ხოტევი).

—

ეს წერილი დამყარებულია იმ ცნობებზე, რომელნიც ჩვენ ამოვკრიბეთ ჟურნალ „ცისკრიდან“ (1860, 1).

(„კვალი“).

## გლეხების ყოფა-მდგომარეობის შესახებ ახალი განკარგულება.

სამართებლობის უწყებაში არის დაბეჭდილი შემდეგი უმაღლესი განკარგულება;

კავკასიაში მცხოვრებ სახელმწიფო გლეხთა გამოურკვეველმა მდგომარეობამ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. მოვისურვეთ რა გაწყობა-რიგება მათი ყოფა-მდგომარეობისა, ჩვენ მივანდეთ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს შემუშავება ზემო ხსენებულ გლეხთა მიწად-მფლობელობის უფლებათა და გაწყობა-რიგების პროექტის შედგენა და მისი სახელმწიფო საბჭოსა წარმოდგენა.

ეხლა, განვიხილეთ რა სახელმწიფო საბჭოში წარმოდგენილი პროექტი, მასში გამოთქმულნი დასკვნანი და სხვა მოსაზრებანი, ვბძანებთ: იმ სახელმწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრების და მიწის მფლობელობის შესახებ, რომელნიც სცხოვრობენ სახელმწიფო მამულებზე ტფილისის, ელისავეტპოლის, ბაქოს და ერევნის გუბერნიებში,—ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის, ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებში, აგრეთვე სოხუმის ოლქში,—მიღებულ უნდა იქმნას ქვემო მოყვანილი დაკანონებულნი. ხოლო ეს განკარგულებანი არ შეეხებათ იმ პირთ, რომელთა მფლობელობა განმარტებულია განსაკუთრებულ კანონებში.

1) ეძლევათ ნადელები სოფლის საზოგა-

დოებებს, სოფლებს და უბნებს მფლობელობის იმ უფლებათა დაცვით, რომელნიც ყოფილა აქამომდე.

2) სახელმწიფო მოსახლეთა კრებას (сходъ) ეძლევა ნება საზოგადო მფლობელობა მამულებისა შეცვლილ იქმნას ჩამომავლობით, მფლობელობით თუ ამის თანახმა იქნებიან ორი მესამედი იმ მცხოვრებთა, რომელთ ნება აქვთ კრებაზე დასწრებისა.

3) სახელმწიფო გლეხ-კაცთა მიწად-მფლობელობის განწეს-რიგებას შეუდგებიან ჯერ-ჯერობით იმ ადგილებში, სადაც მიწები უკვე გამიჯნულია და გამორკვეულია სახელმწიფო მიწები.

4) მიზომილ ადგილების მფლობელობის საბუთად ყოველი მოსახლე მიიღებს განსაკუთრებულ ქაღალდს, რომელსაც ჰქვია «отводная запись"

5) სახელმწიფო მოსახლეთ, ყოველ წლივ უნდა იხადონ განწესებული გადასახადი მიწის მფლობელობისათვის. ამ გადასახადს ეწოდება «государственная оброчная подать".

6) საზოგადოებები, სოფლები და უბნები, რომელთ მიეც მათ ნადელები დამტკიცებულის წესით, იყუფლებენ ამ მამულებზედ იმ შემთხვევაშიაც. თუ ნადელები ადგილობრივ არ აქვთ მიზომილი.

8) ნადელების მიზომის დროს აღძრული დავა საზოგადოებათა, სოფლებსა და უბნებს შორის გაირჩევა დაარსებული წესით.

9) საზოგადოებებს და სოფლებს, რომელთ კავკასიის მთავარ-მმართებლად ნამყოფ პირთაგან ნება აქვთ მიცემული სახელმწიფო ტყეებიდან სხვა-და-სხვა ხის მასალის გამოტანაზედ საოჯახო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად,—ეს უფლება შემდეგშიაც მერჩებათ. ამ საგნის საბუთ-ველი განწეს-რიგება მიენდობა მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს და კავკასიის მთავარ-მართებელს.

10) იმ ადგილებში, სადაც ტყე იმდენად ბევრია, რომ შესაძლებელი შეიქმნება ხის მასალის მაგივრად—სოფლებს და საზოგადოებებ, მიეცეს პირდაპირ ტყეები ნადელად, ტყეები ეძლევა საზოგადოებებს და სოფლებს.

11) ტყის მასალის სარგებლობისათვის, ან ტყის ნადელად მიზომისათვის გლეხ-კაცობამ უნდა იხადოს ხაზინის სასარგებლოდ ტყის ბაჟი „лѣсной налогъ».

12) ნადელად მიზომილ მიწებით და ტყეებით გლეხ-კაცობა ხელ-შეუხებლად უფლობს, და არ შეიძლება ამისი სხვისთვის გადაცემა ან ვალებში წართმევა. მხოლოდ ის მიწები და ადგილები, რომელთ გლეხი კაცი მფლობელობს მემკვიდრეობით, შეიძლება შეისყიდოს იმავე საზოგადოების გლეხმა ან მთელმა საზოგადოებამ, ასეთი ადგილები თავისუფალნი არიან სასამართლოსაგან დაკისრებულ გადასახადისა და ჯარიმისაგან.

13) მიწის გულში აღმოჩენილ მადნეულობის შესახებ, აქაც შეურყეველ ძალაში უნდა იყოს ის წესები, რომელნიც ჩამოთვლილია სამთო კანონების 201 მუხლში. (კანონთა კრებული. ტ. VII. ნაწ. I. გამოც. 1893 წლისა).

14) მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს დაევალება წარადგინოს კანონმდებლობის წესით დასამტკიცებლად: I პროექტი ნადელების განაწილების და საქმის წარმოების მოწყობის შესახებ ტფილისის, განჯის, ბაქოს და ერევნის გუბერნიებში; ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის, ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებში, აგრეთვე სოხუმის ოლქში. მოსაზრება იმის შესახებ, თუ სად შეიძლება გლეხ-კაცს ტყის მასალის და შეშის მაგივრად მიეცეთ ტყე ნადელად და 2) ნუსხა საჭირო მოხელეთა და საჭირო ხარჯთ აღრიცხვა.

II ნადელების მიცემა საეკლესიო კრებულს ტფილისის, განჯის, ბაქოს და ერევნის გუბერნიებში, ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის, ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებში და სოხუმის ოლქში, თუ ამისათვის აღმოჩნდება ზე-

7) ნადელებათ მიეზომებათ: ა) სახლ—კარის ადგილი და ეზო, ბოსტნები, ბაღები, ვენახები, სახნავი მიწები—სარწყავი და ურწყავი, საძოვარი ადგილები, საწყლიპირო ადგილები, ხეხილის და სხვა დარგულ ხეებით სავსე ადგილები, გამოშმრალი ჭაობები. ნაკაფები (ნაკვერე) და სხვა მიწები, რომელნიც მიეცემათ გლეხთ, სახელმწიფო გლეხთა კანონების 198 მუხლის ძალით, კანონთა VII ტ. II ნაწ. 1857 წ. გამოცემა, სამეურნეო და სამრეწველო დაწესებულებათა ასაშენებლად; ბ) საზოგადოდ ყველა ის მიწები და ადგილები, რომელნიც მისცემია გლეხ-კაცობას კანონით ჩამომავლობით სამფლობელოდ. და გ) ყველა ის ადგილები, რომლებითაც მას უსარგებლნია დიდი ხნით ვისიმე წაუდავებლად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ის ოღლეები, ბურჩნარები და მდარე ხარისხის მიწები, რომლებიც მოყოლილია სანიადელო კარგ მიწებ შუა, მიეცემათ აგრეთვე ნადელებათ მიჯნების გასაწორმოებლად და გამიჯვნის შესასწორებლად.

ვასუფალი ადგილები თანახმად გამიჯვნის კანონების 349 მუხ. 1 და 2 შენიშვნისა; უკეთუ არ აღმოჩნდება მიწები ეკლესიის კრებულის დასაკმაყოფილებლად, მაშინ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო მამულების მინისტრი უწმინდესის სინოდის ობერ-პროკურორის თანახმად მიიღებს ზომებს სასულიერო წოდების დასაკმაყოფილებლად.

III მიენდოს მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს, რათა, შინაგან საქმეთა მინისტრთან და კავკასიის მთავარ-მართებელთან შეთანხმებით, სახელმწიფო ადგილებზედ მცხოვრებთა შესახებ კანონების თანახმად გააწესრიგოს მიწის მფლობელობა უბინადრო გლეხთა (кочевники) იმ ადგილებში, სადაც ეს შესაძლოდ აღმოჩნდება.

დედანზედ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობათა ხელით მოწერილია

«ნიკოლოზ».

---

## ახალი ამბები და შენიშვნები.

გაზეთები გვაცნობებენ, რომ მალე პეტერბურგში გაიმართება მთელის რუსეთის შინა-მრეწველობის გამოფენა. ამ ჟამად საორგანიზაციო კომიტეტმა უკვე შეიმუშავა შემდეგი წეს-რიგი გამოფენისა: გამოფენას ხელი უნდა შეუწყონ და შეაგროვონ ექსპონატები ადგილობრივ საადმინისტრაციო და საზოგადოებრივ დაწესებულებათ, ერობამ, შინა-მრეწველობის კომიტეტებმა და ყველა კერძო პირებმა, ვის ყურადღებასაც მომავალი გამოფენა იზიდავს. გამოფენაში მონაწილეობის მიღება შეუძლიანთ როგორც ცალკე მრეწველთ, ისე საზოგადოებათაც. ადგილის დაჭერისათვის გამოფენაზე ექსპონენტს არაფერი არ გადაჰხდება. გამოფენაზე ნებადართული იქნება საოჯახო ნაწარმოებით ვაჭრობა. საუკეთესო ექსპონატები დაჯილდოვებულ იქნებიან. ვისაც სურს გამოფენაში მონაწილეობა მიიღოს, სურვილი უნდა წინ-და-წინვე განუცხადოს მიწად-მოქმედების სამინისტროს სასოფლო ეკონომიის განყოფილებას წერილობით. ამ ჟამად საორგანიზაციო კომიტეტი წეს-რიგსა და პროგრამას ადგენს შინა მრეწველობის მოღვაწეთა საერთო კრებისათვის, რომლის მოწვევაც ხსენებულ გამოფენის დროს არის განზრახული.

* *
*

ქუთაისის გუბერნიის ქალაქების უძრავ მამულებზე დაიდვა 1900 წლისთვის საერობო გარდასახადი სულ **31,500** მანეთი, რომელიც ასე განაწილდება: ქ. ქუთაისის მამულებზე—**7176** მანეთი, ბათუმის—**16,119** მანეთი 50 კ., ფოთის—**2058** მანეთი, ოზურგეთის—**508** მანეთი და 60 კ., სოხუმის—**4245** მან., ართვინის—**1010** მან., რედუტკალესი—**67** მან. და ზუგდიდის—**316** მანეთი.

• •
•

მთავარმართებლის საბჭოს, გაზ. „ტფ. ფურცლის“ სიტყვით, გარდაუწყვეტია საერობო საშუალებიდან დახმარება აღმოუჩინოს სასოფლო სკოლებს ტფილისის გუბერნიაში—**13,500** მან. და ქუთაისისაში—**14,100** მან.

• •
•

ოთხის წლის წინად, როგორც ვიცით, საერო განათლების მინისტრმა ნება დართო საეპარქიო სასწავლებლებში კურს დასრულებულ ქალებს ქალების გიმნაზიების პირ-და-პირ მერვე კლასში შესვლისა უეგზამენოდ. მაგრამ ამ ჟამად ეს განკარგულება ისევ გაუქმებულ იქმნა.

*
* *

ამას წინად უწმ. სინოდს წარედგინა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების 100 წლის იუბილეის აღსანიშნველად დაარსებულ იქმნას პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში განსაკუთრებული კათედრა საქართველოს საეკკლესიო ისტორიისა. როგორც იტყობინებიან სატახტო ქალაქის გაზეთები, ეს შუამდგომლობა, სინოდის დადგენილების თანახმად, გადაეცა განსახილველად საგანგებო კომისიას, რომლის წევრებად დაინიშნენ: დამსახურებული პროფესსორი ტ. ვ. ბარსოვი, დამსახურებული პროფესსორი ნ. ვ. პოკროვსკი და დოცენტი ა. ი. ბრილიანტოვი. კომისიის გადაწყვეტილება წარედგინება სასულიერო აკადემიის საბჭოს.

* *
*

ბათუმის ქართველებში დიდი მწუხარება ისმის, რომ ამდენს ხალხს აქ თავიანთი ეკკლესია არა აქვს. სომეხთა კათოლიკეების რიცხვი აქ 500 კაცი იქნება და ეკკლესია აქვთ, თათრებს—სამი ჯამე, სომხებს, სხვებს და ქართველებს-კი, რომელთა რიცხვი 7—8 ათასზედ მეტი იქნება, სალოცავი ადგილი არ მოეპოვებათ.

* *
*

გამოვიდა მესამე ტომი ოფიციალურის გამოცემისა „გრძელ-ვადიან კრედიტის სტატისტიკა რუსეთში". ამ გამოცემაში მოთავსებულია ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ვალი ადევს რუსეთში ადგილ მამულს, ცალკ-ცალკე თითოეულს გუბერნიაში,—ვალი, რომელიც პატრონთ მართებთ სახელმწიფო და კერძო საკრედიტო დაწესებულებათა. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ 1898 წელს მთელის რუსეთის კერძო მემამულეთ მართებდათ ყველა ბანკებისა—1,468.930,876 მანათი; სულ დაგირავებულია 67 გუბერნიაში 119,280.496 დესეტინიდან 44%. ყველაზედ ნაკლებ დაგირავებულია ადგილ-მამულები კავკასიის გუბერნიებში და ჩრდილოეთ-რუსეთში; ყველაზედ მეტად კი—რუსეთის ცენტრალურ, სამხრეთ, ვოლგისა და ბალტიის ზღვის გუბერნიებში.

* *
*

# სახელმძღვანელო, საფუძვლებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

## მღვდელთა მსახურების წეს-რიგი მღვდელ-მთავრის წირვაში და სხვა საჭირო ცნობანი სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთათვის.

(თარგმნილი რუსულიდგან მეექვსე გამოცემისა).

გაგრძელება.

უკეთუ დიაკვნათ ხელ დასასხმელია ვინმე არქიდიაკვნის მიერ თქმის დროს: «ცხოვრებისათვის უკეთილმსახურესისა და უთვითმპყრობელესისა....», პირველი და მეორე დიაკვნები წაიყვანებენ დიაკვნათ ხელდასასხმელს მაღალი დასაჯდომელისაკენ და იქ ვედრებასა ჰყოფენ აღმოსავლეთით; შემდეგ მობრუნდებიან, თაყვანს სცემენ მღვდელ-მთავარს, გამოვლენ საკურთხევლიდან ჩრდილოეთის კარით და დადგებიან ამბიონს დაბლა. გამოსვლის დროს დიაკვნათ ხელდასასხმელი პირველ დიაკონს მიჰყვება, ხოლო მეორე დიაკონი უკან მოზდევს მღვდელმთავრის მიერ ასამაღლებელის „და იყვნენ წყალობანი დიდისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა...." თქმის შემდეგ, როცა მგალობლები იგალობებენ „და სულისაცა შენისათანა", დიაკვნები იმავე რიგით და იმ ლოლადისით, როგორც მღვდლათ ხელდასასხმელის შესახებ იყო ნათქვამი, გამოჰყვებიან დიაკვნათ ხელდასასხმელს, მიაცილებენ სამეუფო კარებამდი და შეიყვანენ საკურთხეველში ჩრდილოეთისა და სამხრეთის კარებით. ხოლო დიაკვნათ ხელდასასხმელს შეეგებება სამეუფო კარებით არქიდიაკონი და იტყვის: „ბძანე ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო». ამის შემდეგ შემოატარებენ ტრაპეზის გარემემო სამ გზის იმ წესით, როგორც მღვდლის კურთხევის შესახებ ვსთქვით წინათ. მღვდელ-მთავრის მიერ ხელდასასხმელზე საიდუმლო ლოცვის: „საღმრთო მადლი, რომელი ყოვლადვე, უძლურებათა ჩვენთა ჰკურნებს...."-ის წაკითხვის წინ

*) იხ. „მწყემსი" 1900 წ. № 11

არქიდიაკონი მოხდის მიტრას მღვდელ-მთავარს და ხმა ჰყოფს: „მოხედენ“, ხოლო «კირიელეისონ“-ის გალობის დროს იტყვის კვერექსს ახალ ხელდასხმულზე. კვერექსის სავედრებლებზე ჩვეულებისამებრ პირველი დიაკონი მიუგებს: „უფალო შეგვიწყალენ“ და „შენ უფალო“-ს. ხელდასასხმელზე ყველა ლოცვების წაკითხვის შემდეგ, როცა არქიდიაკონი მიტრას დაახურავს მღვდელ-მთავარს, ხოლო ახლად ნაკურთხი დიაკონი დადგება და გაჩერდება ტრაპეზთან, არქიდიაკონი მიართმევს მღვდელ მთავარს გინგილას საკურთხებლად და კურთხევის შემდეგ, როცა ახლად ნაკურთხი დიაკონი ემთხვევა მას და აგრეთვე მღვდელ მთავარსაც ხელზე, დაადებს მარცხენა მხარზე. ამის შემდეგ პირველი დიაკონი მისცემს არქიდიაკონს სამქლავეებს, ხოლო იგი მიართმევს საკურთხევლად მღვდელ-მთავარს და მერე ორნივე გაუკეთებენ ახალ ნაკურთხ დიაკონს. შემდეგ ამისა კიდევ არქიდიაკონი მიიღებს პირველი იპოდიაკონისაგან რიპიდს, რომელსაც მღვდელ-მთავრის მიერ კურთხევის შემდეგ ვადასცემს ახალ ნაკურთხს.

ასამაღლებელის „და ღირს მყვენ ჩვენ მეუფეო....“-ს წინ, „მამაო ჩვენოს“ გალობის დროს და აგრეთვე ასამაღლებელის „წმიდა-წმიდათა“-ს წინ არქიდიაკონი მოხდის მღვდელ-მთავარს მიტრას, ოველს ზიარების შემდეგ კი დაახურავს მას.

როცა ასამაღლებელის შემდეგ იტყვის მეორე დიაკონი: „მოხედენ“ და საკურთხეველში შევა სამხრეთის კარით, არქიდიაკონი და სხვა ყველა დიაკვნებიც, რომელნიც მომზადებულია საზიარებლად, დადგებიან ტრაპეზის ზემო მხარეს და იმ დროს, როცა მღვდელ-მთავარი ეზიარება იესო ქრისტეს სისხლს, არქიდიაკონი სამ გზის იტყვის: „ის პოლლა ეტი დესპოტა“. შემდეგ მოუბრუნდება თანამწირველთ და ეტყვის: მღვდელ-არქიმანდრიტნო, დეკანოზნო, მღვდელნო და დიაკონნო მოვედით. მღვდლების შემდეგ მივლენ არქიდიაკონი და დიაკვნებიც და მიიღებენ მღვდელ-მთავრისაგან ქრისტეს პატიოსან ხორცს, ხოლო სისხლს ეზიარებიან უფროსი თანამწირველის ხელით. ზიარების შემდეგ ნაწილებს მეორე დიაკონი ჩასწმენდს ფეშხუმიდან ბარძიმში.

სამეუფო კარების გაღების შემდეგ მიიღებს არქიდიაკონი წმ. ბარძიმს მღვდელ-მთავრისაგან და გამოასვენებს სამეუფო კარებში, ხოლო როცა მღვდელ-მთავარი ჯვარს გადასახავს მლოცველ ერს და ისევ ტრაპეზთან მობრუნდება, მიართმევს მას. არქიდიაკონივე მიართმევს მღვდელ-მთავარს საცეცხლურს წმ. ძღვენთა ზე დასაკმევად და წაასვენებს ფეშხუმს სამკვეთლოზე, ხოლო უფროსი თანამწირველის მიერ ბარძიმის წასვენების დროს, იგივე უკმევს წმ. ძღვენთა და ამბობს: „რომელი ამაღლდი ზეცად....“ შემდეგ საცეცხლურს მისცემს ეკლესიის მსახურს. ამ დროს გამოვა მეორე დიაკონი საკურთხევლიდან ჩრდილოეთის კარით კვერექსის „აღემართენით მიღებულნი....“-ს სათქმელად და კვერექსის დასასრულს შევა საკურთხეველში, ვედრებასა ჰყოფს ჩვეულებისამებრ და თაყვანს ცემს მღვდელ-მთავარს. ხოლო ამბიონის ლოცვის კითხვის დროს მივა მღვდელ-მთავრის წინაშე ლოცვის „ალვსება სჯულისა და წინასწარმეტყველთა....“ მოსასმენად და ლოცვა-კურთხევის დიაკონს და ანიშნებს, რათა ემთხვიოს რიპიდზე საღმრთო გამოხატულებას; ხოლო როცა იგი კვლავ ემთხვევა მღვდელ-მთავარს მხარსა და ხელზე, წაიყვანს ტრაპეზის მარცხენა მხრისკენ და ასწავლის, თუ როგორ უნდა რიპიდით წმ. ძღვენთა მიღების შემდეგ წავა სამკვეთლოსთან და დასწმენდს ბარძიმს.

განტევების შემდეგ მღვდელ-მთავრის შესამოსლის გახდის დროს «აწ განუტევე», „წმიდაო ღმერთო“ და სხვანი ითქმის არქიდიაკონის მიერ. არქიდიაკონივე მიიღებს ჯვარს და პანაგიას და, როცა მღვდელ-მთავარს ანაფორას ჩააცმევენ, დაკიდებს მათ. სხვა დიაკვნები მიიღებენ სამღვდელმთავრო შესამოსელს და დააწყობენ თეფშზე; შემდეგ მოახვევენ მანტიას და მიაცილებენ მღვდელ-მთავარს კარის ბჭემდე. აქ მოხდის ისევ და დაბრუნდებიან საკურთხეველში.

მღვდ. ი. ფანცხავა.

# განცხადება

## დახელოვნებულის მხატვარის იოსებ მალაქიას ძე გაბუნაშვილისაგან.

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე, რომელსაც მისწავლია ხატვა ადესიდგან ჩამოყვანილის კარგის მხატვრისაგან და მაქვს ატესტატიც ამისთანა სწავლისათვის, შევუდგი ეკკლესიების ხატების ხატვას. მინდოდა-რა საზოგადოდ დამტკიცებულიყო ჩემი ხელობა, თუ როგორ ვხატავ, ამისთვის ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა ჩემი ნახატავი ხატები: 1) ტყიბულის, 2) გოგნის, 3) სიმონეთის, —ეს სამი ეკკლესიების მხატვრობები მიანდო შესამოწმებლად 1) ქუთაისის სემინარიის რექტორს მ. ბენიამენს, 2) ქუთაისის საბოროს წინამძღვარს გაბრიელ ჯავარელს, 3) დეკანოზ იოსებ ჭეიშვილს და 4) ჯრუჭის მონასტრის წინამძღვარს ნიკიფორეს. ამ არჩეულმა პირებმა შეამოწმეს ეს ჩემი ნახატი ხატები ეკკლესიებისა და დარჩა მოწონებული. ამისათვის გთხოვთ მობრძანდეთ და ინახულოთ, თუ როგორ ვხატავ ჩემის უპირველესის მხატვრებით იმ ფასებში და იმ საშუალებით, რომელსაც დიდ სასიამოვნოთ მიიღებთ.

ჩემი სამხატვრო ქარხანა იმყოფება ქუთაისში მისაილოვის ქუჩაზე ქალაქის „უპრავის" წინ.

პატივისცემით იოსებ მალაქიას ძე გაბუნაშვილი და ვლ. მ. ლატი.

---

**კერძო საავათმყოფო ამბულატორიითურთ**

## ს. ბ. თოფურიასი.

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი. ქირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავათმყოფებს მიიღებს ექ. ს. ბ. თოფურია.

ქირურგიულ შარდით სიფილისით და —თვა ავათმყოფობისათვის.

ექ. ფ. ა. ბერრადი.

დედაკაცურ ავათმყოფთა- და საბებიო ქალი.

ექ. მ. ფ. კოზანი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

---

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიტერატურო განყოფილება**: რედაქციისაგან.—კიდევ ჩვენ მოძმეთა საყურადღებოდ.—ბუნებითი სვანი იღუმენი მ. თეოფანე.—კიზიყის სამღვდელოების ცხოვრებიდგან.—მცხეთის საკრებულო ტაძრის განახლება ამ მიმდინარე საუკუნეში.—გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობაზედ არსებული წიგნთ-საცავ-სამკითხველო ქუთაისში.—ბრძენ და მეცნიერ კაცთა გონების სალაროდან.—ცდომა (ლექსი).—სამსახურის დაწყობილება იმერეთის მეფე სოლომონ მეორის დროს.—გლეხების ყოფა-მდგომარეობის შესახებ ახალი განკარგულება.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**საჭირო და სასარგებლო** ცნობათა განყოფილება: მღვდელთა მსახურების წეს-რიგი მღვდელ-მთავრის წირვაში და სხვა საჭირო ცნობანი სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთათვის. რუს. თარგ. ი. ფანცხავას მიერ.—განცხადება.

---

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Іюня 1900 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ*

Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის დასდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. იხარეთ იყოს სიხარული [illegible] 15—[illegible].

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 17 1883—1900 15 სექტემბერი.

შემობრძანება იმერეთის ეპარქიაში ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა და პირველი მისი წირვა ქუთაისის საკათედრო ტაძარში, 17 სექტემბერს 1900 წელსა.

მათი მეუფება 17 სექტემბერს წამობრძანდა ღამით შიო მღვიმის მონასტრიდან და მცხეთის პლატფორმაზე მობრძანდა, თფილისიდან მათი მეუფებისათვის ფოსტის მატარებელზე იყო მიბმული საკუთარი ვაგონი, რომელშიაც ჩაბრძანდა და დილის ხუთ საათზე მობრძანდა ქუთაისის რკინის გზის სადგურზე. დილის ექვსი საათიდან ქუთაისის საზოგადოება გაეშურა რკინის გზის სადგურისაკენ. ცხრის ნახევარ საათზე მობრძანდა ქუთაისის გუბერნატორი, გუბერნიის მარშლის თანამდებობის აღმასრულებელი თავადი ნიჟარაძე, ქალაქის თავი, ქალაქის სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სასულიერო სემინარიის და ეპარქიალურ სასწავლებლის მოწაფეები. ცხრა საათზე ხალხის რიცხვმა იმატა. შეიკრიბა სამღვდელოებაც. შემოსეს მათი მეუფება და გაიმართა „ჯვრით-სვლა“. მათ მეუფებას წინ უძღოდა შემოსილი სამღვდელოება, ჯვარ-ბაირაღებით და მგალობელთა გუნდით. „სვლა“ მეტის-მეტად სასიამოვნო და დიდებულ სურათს წარმოადგენდა. იგი თქვენ უნებლიეთ მოგაგონებდათ იმ დიდებულ წუთს, როცა მაცხოვართან ერთად მოციქულებმა „გალობა წარსთქვეს და განვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა“ (მათე. თავი, 26,30).

«ჯვრით სვლა» ერთი უძველესი ჩვეულებათაგანია მართლ-მადიდებელი ეკკლესიისა. იგი მეტად საამოა ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის განსაკუთრებით მაშინ, როცა ის ცოტა თუ ბევრად მაინც მიემზგავსება იმ «სვლას», რომელიც საფუძვლად უდევს ამ ძველ ჩვეულებას. ჯვრით სვლა მოგვაგონებს ჩვენ ქრისტეს მიერ ჯვრის ზიდვას გოლგოთის მთაზე ხალხის გამოსახსნელად. მღვდელ-მთავრის ჯვრით სვლამაც სწორედ ეს წუთი მოგვაგონა ჩვენ. და მართლაც რა ღრმა და მძიმე აზრებით უნდა იყოს გამსჭვალული მღვდელ-მთავარი, როცა იგი პირველად შედის თავის სამწყსოში. უეჭველია, ერთად ერთს ნუგეშს, მომავალ მძიმე მოვალეობის წარმოდგენის დროს, მისთვის უნდა შეადგენდეს ქრისტე და ჯვარი მისი. ახალი მღვდელ-მთავრის სახეზე თქვენ ადვილად შეგეძლოთ ამოგეკითხათ ღრმა ფიქრი და მწუხარება იმ ძნელი ტვირთის წარმოდგენაზე, რომელიც უთუოდ მოელის მას თავის ახალ სამწყსოში.

ათ საათს 15 წუთი აკლდა, როცა პროცესია მოუახლოვდა საკათედრო ტაძარს. ამ უკანასკნელის მოედანი მთლად ხალხით იყო სავსე. სამღვდელოება მღვდელ-მთავრითურთ შევიდა ტაძარში დიდის გაჭირვებით, რადგან ასავალი კიბე ხალხით იყო გაჭედილი. ვინაიდგან პოლიციას თავდაპირველადვე ჯეროვანი განკარგულება ვერ მოეხდინა. ყველას სურდა ტაძარში შესულიყო, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, უკანასკნელი მეტად პატარაა და ამის გამო ირამც თუ ხალხის უმრავლესობა ბევრი საპატიო პირიც კი კარში დარჩა.

ხატების წინაშე მუხლმოდრეკისა და მთხვევის შემდეგ, როცა მათი მეუფება ამბიონზე დადგა და ხალხი აკურთხა, კათედრის დეკანოზმა გაბრიელ ცაგარეიშვილმა მათ მეუფებას რუსულ ენაზე მოახსენა გრძელი სიტყვა, რომელსაც შემდეგ №-ში დავსტამბავთ. მისი სიტყვის შემდეგ, სიტყვა სთქვა, რუსულადვე, ეპარქიის სკოლების მეთვალყურემ, მ. მელიტონ კელენჯერიძემ. ამ სიტყვების შემდეგ, დაწყებულ იქმნა ქამნობა და შემდეგ წირვა, რომელიც სლოვენურ ენაზე სრულდებოდა. წირვაზე გალობდა არქიელის გუნდი სლოვენურად და ორიოდე საგალობელი თქვეს ქართველმა მგალობლებმა მთავარ დიაკვნის მ. რაჟდენ ხუნდაძის ლოტბარობით.

წირვის გათავების შემდეგ მათმა მეუფებამ წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა მიმართული ახალი სამწყსოსადმი. სამწუხაროდ ამ სიტყვას ახლა ვერ ვბეჭდავთ, რადგან იგი იყო წარმოთქმული ზეპირად და შემდეგში კი, იმედი გვაქვს დავსტამბოთ.

სიტყვის გათავების შემდეგ სამადლობელი პარაკლისი იქმნა გადახდილი, რომელიც დასრულდა მათ დიდებულებათა, სამეფო სახლის, უწმინდესი სინოდის და ახალი მღვდელ-მთავრის „მრავალ-ჟამიერობითი" მოხსენებით.

ნაწირევებს მათი მეუფება წაბრძანდა პირდაპირ თავის სასახლეში. აქ მთელი ქალაქის სამღვდელოება გამოცხადდა და რამოდენიმეც სოფლებიდანაც მოსული ამ შემთხვევისა გამო. მცირე ლიტიის გარდახდის შემდეგ ყოვლად სამღვდელოსაგან ლოცვა-კურთხევა მიიღეს და თავთავიანთ ბინებზე დაბრუნდენ.

ასე დასრულდა ახალი მღვდელ-მთავრის შემობრძანება თავის სამწყსოში და უნდა აღვიაროთ, რომ ასეთი აღტაცებით და სიყვარულით მიგებება ახალი მღვდელ-მთავრისა იშვიათი მოვლენაა *).

დეკ. დ. ლამბაშიძე.

*) აქ არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ ერთი არა ჩვეულებრივი შემთხვევა. როცა შეიტყვეს ბესარიონ ეპისკოპოსის გარდაცვალება, თითქმის ყველა ფიქრობდა შეუძლებლად წირვისა და ლოცვის აღსრულებას მღვდელ-მთავრის მოუხსენებლად, ასე რომ თითქმის მთელს ეპარქიაში, როცა ჯერ კიდევ მთავრობის განკარგულება არავინ არ იცოდა ყოვლად სამღვდელო დეკანოზს ახსენებდნენ.

## ხ ა რ ე ბ ა

ასრულდა ოქმი, რომელიც
ზეცას გარდასწყდა დიდებით,
ღვთის დედამ მისი წილ-ხვედრი
აღარ დასტოვა მიგდებით.

—

ცოდვა შეგვინდო, გვაკმაა,
დღემდისინ რაცა გვანანა...
და წყლული გულის სატკბობლად
დაგვასხა ტკბილი მანანა.

—

აღმოსავლეთით ვარსკვლავი
იმერთ დაადგა ვით ბეთლემს,
და მისი სხივი მზის დარად
ჩვენს გულში ჩამოგვინათებს.

—

მაღლით გაბრიელ ღაღადებს:
„ღმერთმან შეგინდოსთ ყველასო,
ზეცამ ისმინა, რასაც მე
თქვენთვის შევთხოვდი შველასო,

—

და მოგივლინათ კაცი მხნე,
მადლ-მოსილი გონიერიო,
იკურთხოს ამისი მოსვლა
და თვით ქართველთა ერიო.

—

ჩემსა პირნათელს სამწყსოში
ეს ზეცით განაწესია,
და ერთს ათასად ამრავლებს
მე თუ რამ დამითესია“.

რ. საჯათხელი.

## ზოგიერთთა საგულისხმოდ

(უძღვნი ჩვენი დროის ფარისევლებს)

ვინც მიყვარდა, ისევ მიყვარს,
მიყვარს, სანამ მიდგას სული,
იმიტომ რომ მარტის მგზავსად
არ იცვლება ჩემი გული ..

—

სიმართლე და ერთპირობა
ჩემი არის წმიდა სჯული,
ამ სიმბოლოს გუნდრუკს უკმევ,
სანამ მიფეთქს მკერდში გული.

—

ისე, ვით სხვებ დღეს მოყვარე
ხვალ კი მოყვსის გამყიდველი,
არ ვიქნები არასოდეს
ამას ჩემგან ნურვინ ელი...

თ. [illegible]

## ჩემი სასიხარულო და სამწუხარო შთაბეჭდილებანი აზიის და ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს.

(გაგრძელება*)

გაცილდებით თუ არა საზღვარს, ყველაფერი გამოიცვლება. არ გვჯერა, რომ ბუნება და ნიადაგი სხვა-და-სხვანაირი იყოს ამ ორ მეზობელ სახელმწიფოების შორის ერთ ოთხმოც ვერსზე მაინც, მაგრამ თქვენი თვალის წინ სულ სხვა სურათი იხატება ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფოში. მშვენიერად დამუშავებული ყანები და ბაღები ყოველ სოფელში, მშვენიერი გზა-ტკეცილები, რომელთაც

*) იხ. „მწყემსი“ № 16, 1900 წ.

ჩრდილი ფარავს გზის პირებზე აქეთ-იქით სასია-მოვნოდ ჩამწკრივებული ხეებისა, მშვენიერი სათა-ბები, ბოსტნები და ხეხილები, პატარა „პოვოზ-კებით“, კაბრიოლეტებით მოგზაური ქალები და კაცები, საუცხოვო სუფთა და დიდრონი ძროხები დიდის ჯიქნებით, რომელთაც საღამოზე მიერეკები-ან მწყემსები, მოგზაურის თვალსა და გონებას იზიდავს და გინდა, რომ დიდხანს უცქირო. მაგრამ რკინის გზის მატარებელი მიგაქანებს საოცრად. არა მიმხედველი ამისა თქვენ მაინც ხშირად ხე-დავთ მეტის-მეტად სასიამოვნო სურათებს, რად-გან რკინის გზას თითქმის გვერდით ყოველგან მშვენიერი გზა-ტკეცილი მიჰყვება. ჩვენში თუ რკინის გზა გაიყვანეს, უთუოდ სასოფლო გზებს ყველგან მოშლიან და დააქცევენ, რომ ხალხმა არ დაიწყოს მათზე სიარული, რადგან ამით რკინის გზას უფრო მეტი სარგებლობა ექნება. მაგალითებრ, ქიათურის გზა, რომ გაიყვანეს, დიდის შრომით და ვაებით სოფლელებისაგან გაყვანილი გზა სულ დააქციეს და სოფლის გზა, ყვირილაზე მიმავალი შორაპნიდან ჭიათურამდის, მოსპეს. უმთავრესი ნა-წილი ყვირილის სასოფლო გზისა რკინის გზათ მოიხმარეს და სოფელი უგზოთ დარჩა და დღემ-დის შეკრულნი არიან და თავის მოსავალი აქა-იქ ზურგით უნდა ზიდონ უშველებელ შემართე-ში. ამ ნაირად წაახდინეს გზები შორაპნიდან სუ-რამის ქედამდე. ჯერეთ წყალ-დიდობამ გააფუჭა გზები 1895 წელში და რაც დარჩა, რკინის გზის მართველობამ ბრძანა ხერიმელა წყლის გადაყვანა ძველ ნაგზაურზე, რომ ამ ნაირად რკი-ნის გზის ლიანდაგი მოეშორებინა მდინარესათვის. ერთ ორჯერ ფულიც კი გამოვიდა ამ გზის შეკე-თებისათვის, მაგრამ ამ ფულებით მარტო „პოდ-რიადჩიკებმა“ ისარგებლეს და მათგან გაკეთებული გზა არსად არა სჩანს. დიახ, იმას მოგახსენებდით, რომ საზღვარ გარეთ ასეთი ყურადღება ქონიათ მიქცეული გზების კეთებაზე და მართლადაც ხალ-ხი ურმით, „პოვოზკით“, ეტლით, კაბრიოლეტით ისე ადვილად დაიარება როგორც ქალაქებში. ერთ ადგილას ვერ დაინახავთ იქით ურემსა და კაცს გზის ტალახში ჩაფლულს, რომ იქედან მაშველს ეძახოდეს. ჩვენი თვალები ასე მოხიბლული იყო მთელი დღე საღამომდის. საღამოზე მივედით ვე-ნის რკინის გზის სადგურზე. უცბათ გაიღო ვა-გონების კარები და ნახევარ წამში მთლად დაი-ცალა მოგზაურებისაგან ვაგონები. მოვიდენ კა-ცები და ლაპარაკი დაგვიწყეს. ჩვენ „ჩინოვნიკე-ბი“ გვეგონა, მაგრამ ეს ჩინოვნიკები თურმე ჩვე-ნებურად ბარგის გადამტანი ყოფილან! ჩამოგვარ-თვეს ჩემოდნები და სასტუმრომდის ზურგით მივ-ვიტანეს, რადგან ახლოს იყო სასტუმრო ამ სად-გურზე. აქ დავისვენეთ და გავათიეთ ღამე.

სანამ ჩვენ აქაურ შთაბეჭდილებას მოგი-ხრობდეთ, მკითხველო, საჭიროთ ვსთვლით მოგითხრათ მოკლედ საზოგადო ცნობები ავსტ-რო-უნგრეთის სახელმწიფოზე. აი ეს ცნობები: ავსტრო-უნგრეთის იმპერია (თითქმის ნახევრობით მთა-გორიანი ადგილებისაგან შესდგება) არის 25000 ინგლისური კვადრატი მილი, რომელსაც ჰყოფს მდინარე დუნაი. ეს სახელმწიფო მეტის-მეტად აჭრელებულია სხვა-და-სხვა თემის ხალხით. მცხოვრებლების რიცხვი დღეს ადის ორმოცდა სამ მილიონამდის. უნგრეთს 1867 წლიდგან მი-ნიჭებული აქვს თვით-მმართველობა. საზოგადოდ სახელმწიფო საქმეებს განაგებს პარლამენტი თავის მინისტრებით. პარლამენტის დეპუტატებს კი ხალხი ირჩევს. მთელი სახელმწიფო ოლქებათ არის დაყო-ფილი და პარლამენტისაგან დადგენილი კანონებით იმართებიან. ამ სახელმწიფოს მშვიდობიანობის დროს ჰყავს 36000 ჯარის კაცი. ომიანობის დროს ერთ მილიონ და რვაასს ათას კაცს გამოიყვანს. აქ საომარი გემი ჰყავს, რვა გემი მდინარეების ნაპირის დასაფარავი, 14 კრეისერი და ოთხმოცამდე ნაღ-მის მოსატანი ნავები. ამ სახელმწიფოში დასავლე-თით მდებარეობს ტიროლი და ალპის მთები, რომელი ადგილებიც თქვენ წარმოგიდგენს ერთ უმშვენიერესს ადგილს მთელს ევროპაში. ეს და შვეიცარიის ადგილები თქვენ თვალს იზიდავს უნებლიეთ და მიმავალი მოგზაური ხედავს ისეთ სანახავებს, რომელთაც თქვენ არც ერთი მშვენი-ერად მოწყობილი „პანორამა“ არ დაგანახვებს. შვეიცარიაში თქვენ ბუნებას შეკეთებულს, გამშ-ვენებულს ხედავთ, მაგრამ ტიროლში კი ყოვე-ლივე ბუნებრივია და მეტის-მეტად სასიამოვნო და კეთილ სანახავია სადგომი სახლები კარგად გაწყობილი და სუფთა. ამ სახელმწიფოში ბევრი მშვენიერი საზაფხულო ადგილია. აქ არის ბადენი ვე-ნის ახლოს, კარლსბადი, ფრანცენსბად, იშლი, მა-

ვანბად, ტეპლიცი და სხვა-და-სხვა საზაფხულო სასიამოვნო სამყოფები. ეს სახელმწიფო, განსაკუთრებით ვენგრია, ძლიერ მდიდარია პურით, კარგი ღვინოებით. ამ სახელმწიფოში მზადდება რკინა, სპილენძი, ქვის ნახშირი, მარილი. აქვე საკმაოდ გავრცელებულია აბრეშუმის მოყვანა.

რკინის გზები საზოგადოდ ავსტრო-უნგრეთის იმპერიაში კარგი არის და ირგვლივ შემოსავლელი ბილეთების ფასიც კარგა დაკლებულია. ყოველ წლობით დიდი შესავალი აქვსთ მკვიდრ მცხოვრებთ უცხო ქვეყნელ მოგზაურთაგან. ამ სახელმწიფოში მეტის მეტად მშვენიერი საზაფხულო ადგილები არის და მიდის კიდეც ხალხი. ადგილების სიკეთეს გარდა კაცი ადვილად გამოდის ხარჯში. სასტუმროს ოთახები და საზოგადოდ სადგომების ქირა იაფია, სასმელ-საჭმელიც არ არის ისე ძვირი, როგორც ჩვენში.

ეხლა შეუდგეთ თვით ამ სახელმწიფოს სატახტო ქალაქის ვენის აღწერას. ვენას აქვს გარშემო შვიდი რკინის გზის სადგური. რუსეთიდან მიმავალი მოგზაურები ქალაქში შედიან ჩრდილოეთის მხრით — ჩრდილოეთის სადგურით. როგორც სატახტო ქალაქში, ვენაში არის ყველა უმთავრესი სასამართლო დაწესებულებანი აქვეა ხელმწიფის სასახლეც. ქალაქი გაშენებულია მდინარე დუნაის ორივე მხრით და იყოფა ცხამეტ ოლქად. მცხოვრებთა რიცხვი არის ერთი მილიონი და ნახევარი, მაგრამ მეტის-მეტად აჭრელებულია სხვა-და-სხვა თემის ხალხით. აქ ცხოვრობენ ნემცები, სლავიანები, ჩეხები, ვენგრიელები და მრავალი ებრაელნი, რომელთაც ვაჭრობა ჩაუგდიათ ხელში. ზოგიერთი ნივთი აქ უფრო იაფად იყიდება, ვინემ პარიჟში, მაგრამ აქ ბევრ ყალბ და უვარგის ნივთებსაც ჰყიდიან მოტყუებით.

ერთი უმთავრესი ქუჩა, სახელდობრ რინგშტრასე, თითქმის, გარს უვლის ვენას. ეს ქუჩა არის გაყოლებული სწორედ ძველი ვენის ციხის ზღუდეების ადგილას და სწორედ ამ ქუჩით შეუძლია ვენას იამპარტავნოს სხვა ქალაქების ქუჩებთან შედარებით. ამ ქუჩაზე არის გაყოლებული მშვენიერი და დიდებული შენობანი, ტაძრები, მუზეი, პარლამენტი, უნივერსიტეტი და სხვა. ყველა ეს შენობანი დიდი და მშვენიერად აგებულნი არიან და მეტის-მეტად ამშვენებენ ვენას. ახალი ქუჩები ვენის ქალაქისა სწორი და სუფთანიც არიან, სამაგიეროდ ძველი ქუჩები კი უსწორ-მასწორია და უწმინდურათაც ინახებიან. ქუჩები საზოგადოდ ვიწროები და მიხვეულ-მოხვეულნი არიან.

ვენაში თუმცა მცხოვრებლების რიცხვი მილიონ ნახევრამდის ადის, მაგრამ ისეთი სიცოცხლე არა სჩანს, როგორიც ევროპიის სხვა ქალაქებში. ზოგიერთ ქუჩებში, მართალია, შესამჩნევია ხალხის მოძრაობა, მაგრამ არა დიდხანს, საღამოს ეს ხალხის მოძრაობა თვალ-საჩინოდ კლებულობს და ათ საათზე, თითქმის, დაკეტილია მაღაზიები და ხალხი ოჯახში იმყოფება. ძველ დროში ვენა ითვლებოდა თურმე დროების გასატარებელ ქალაქად, მაგრამ დღეს ის აღარ არის, რაც ძველად ყოფილა, თუმცა დღესაც დროების გატარებაში ტ ხალხსობაში ბევრად მაინცა და მაინც არ ჩამოუვარდება ზოგიერთ სხვა ქალაქებს.

ვენის ისტორია ძლიერ ძველი დროიდან იწყება. რომის დროს ვენა ყოფილა რომის ციხეთ, რომელსაც ეწოდებოდა ვინდობონი, როგორც ქალაქი ვენა დაწყებულა მეთორმეტე საუკუნიდან. ორჯელ შემორტყმია გარს თათრები, თათრების მეორე შემოხვევის დროს იან სობესკისაგან განთავისუფლებულა. 1806 და 1808 წლებში დაუპყრია საფრანგეთს. 1816. წელში აქ ყოფილა კონგრესი და 48 წელში მომხდარ არეულობის შემდეგ ტახტზე ასულა დღევანდელი იმპერატორი ფრანც იოსები.

მოგზაურთა-საყურადღებო და დასათვალიერებელი ადგილები ქალაქ ვენისა.

1) იმპერატორის ფრანც იოსების სასახლე და შესანიშნავი ვენის პარკი პრატერი.

პრატერი არის საყვარელი სასეირნო ადგილი ვენის მცხოვრებთათვის განსაკუთრებით გაზაფხულის დროს. ეს პარკი ხალხისათვის სასეირნოდ გახსნილა 1766 წლიდან. ეს ადგილი სივრცით არის 1712 გეკტარი. ამ პარკში მრავალი ადგილებია სასეირნო, როგორც ქვეითა მოსიარულეთათვის, ისე ეტლებით და კარეტებით. ერთ ადგილას არის აგრეთვე ცხენების საჭენებელი ადგილი. ამ პარკის გვერდითვე არის მოწყობილი სახალხო დროს

გასატარებელი ადგილი, რომელსაც ეწოდება გვენეცია ვენაში. აქ არის მოთავსებული ყოველ გვარი დროს გასატარებელი ყველა წოდების ხალხისათვის. აქ მდიდარსაც და ღარიბსაც შეუძლია დრო გაატაროს და იხილოს ყოველ გვარი წარმოდგენები, მოისმინოს მუზიკა, სიმღერები, ცეკვა-თამაში. ერთის მხრით კაცს გეგონება თავის თავი ვენეციაში. აქ მომღერლები ვენეციურათ არიან ჩაცმულნი. გაუკეთებიათ არხები და გორგოლებით დასეირნობენ. არის გაკეთებული ვეებერთელა გორგოლა, რომელზედაც დაეტევა სამასამდე კაცი. გორგოლა ნელ ნელა ტრიალებს და მთელ ქალაქს თავზედ დაჩერებიხარ. აქვე არის ათას გვარი სახალხო მუზეუმები სანიადაგო და დროებით სხვა-და-სხვა უცხო მოგზაურთაგან გაწყობილი.

მშვენიერ სანახაობას წარმოადგეს ამ პარკის ერთი მაღლობი ადგილი, რომლიდანაც მთელ ქალაქს ზემოდან დაჰყურებ. აქ სულ მაღლობზე არის ერთი მოგრძელო ჰიშკრის მსგავსი შენობა კარგა მაღლათ აგებული. კიბით ადიხარ მოგზაური ამ შენობაში და ხულ მაღლიდან მთელ ვენის არე მარეს დასჩერებიხარ. ამ შენობას სამხრეთის მხრით აქვს დიდი ოთხ-კუთხი ტბა და ჩრდილოეთითაც ორსამს ადგილას ერთი მეორეზე დაბლათ ოთხ-კუთხიანი ტბები. ეს ტბები სავსეა სხვა-და-სხვა თევზებით. ირგვლივ მშვენიერი მწვანე ბალახით არის დაფარული მინდორი და ხშირად ხედავთ აქეთიქით ყვავილებითა და ხეებით მორთულ მინდვრებს ხალი`ების მსგავსად აფერადებულს· დიდხანს ველარ მოვაშორეთ თვალი ხელმწიფის სასახლეს და მშვენიერად, ხელოვნურად შეკრეჰილ ხეების ალეიებს. ამ დროს უნებლიეთ მომაგონ კა ისტორია კაცის გაჩენაზე, მის დანიშნულებაზე, კაცის მდიდრულ და ღარიბულ ცხოვრებაზე, უნებლიეთ შეენატრები ზოგიერთების ფუფუნებით ცხოვრებას, სიმდიდრეს და ქვეყნის დიდ კაცობას. იტყვიან ხოლმე: „ჰე, ღარიბი კაცის ცხოვრებაში ღმერთი არ გარეულა, ღარიბის ცხოვრება ცხოვრება კი არა, ტანჯვა-წვალება არის მარტოო". აი ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ყველა ამაების (უჩვენებენ ხოლმე ხშირად ხელმწიფის სასახლეებს და მშვენიერ პარკებს და ბაღებს) პატრონი ვიყო და მათთანა ბატონი და თავისუფლად აქ დავსეირნობდე. რა ძლიერ მოტყუებულია ასეთი მოაზრე კაცი!.. დღემდის კიდევ უმეტესობას არა აქვს შეგნებული, რომ ბედნიერი ცხოვრება სიმდიდრით და დიდკაცობით არ მოიპოვება. არ იციან კიდევ, რომ ბედნიერების წყარო თვითონ კაცშია და არა მის სიმდიდრეში და მის მაღალ ხარისხოვნებაში. არ გჯერათ, მკითხველო? აბა დამიგდეთ ყური და მე დაგიმტკიცებთ თქვენ, რომ ხშირად ხალხის უმეტესობის აზრით ყველაზე ბედნიერი ამ ქვეყანაზე უბედურია. ფაქტათ მოვიყვანთ თვით ავსტრო-უნგრეთის იმპერატორის ფრანც იოსების მეუღლეს იმპერატრიცა მარია ტერეზას. ერთის მხრით ვინლა უნდა ყოფილიყოს ამ ქალზე უბედნიერესი. იმპერატრიცა დიდებული მეფის, პატრონი და ბატონი ხალხისა, მფლობელი სასახლეებისა დ სიმდიდრეთა, რომლის გასართობად და შესაქცევად მზად იყვნენ;.. ახლა დააკვირდით კარგად ამ ქალის ცხოვრებას. ამ ქალს ჰყავდა ერთი ძმა, სულით ავადმყოფი. ერთ დღეს ეს ძმა თავის ექიმით ერთ შვეიცარიის ტბაში ნახეს დამრჩვალი. ალბად სეირნობის დროს ნავი გადაუბრუნდათ და დაიღუპენ. მართალია ძმა სნეული იყო, მაგრამ მაინც ძლიერ სამწუხარო იყო დისთვის ძმის დაკარგვა. ამ იმპერატრიცას ჰყავდა ერთად-ერთი შვილი და როგორ ეყვარებოდა, თქვენც კარგად წარმოიდგენთ, მკითხველო. როცა საცოლო შეიქნა ვაჟი, ამ ტახტის მემკვიდრემ შეიყვარა ერთი ლამაზი ქალი მისივე ქვეშევრდომისა. ამ ამბავმა ყველა შეაწუხა და დედა ხომ ყველაზე მეტად, რადგან იმ ქალზე ქორწინება შეუძლებელი იყო, როგორც მემკვიდრისა, ერთ დღეს ეს შეყვარებულნი ერთად მწოლარენი ნახეს და ორივეს ტყვიით თავი ქონდათ გახვრეტილი. ვაჟი და ქალი დაწოლილიყვნენ ერთად პირაღმა, ვაჟს თავის მარჯვენა მკლავი სასთუმლად დაედო ქალისათვის და ამნაირად ჯერეთ საცოლოსთვის მოეხვედრებია საფეთქელში რევოლვერის ტყვია და შემდეგ თავისთვის და ორივე ასე მდებარე ნახეს. წარმოიდგინე, მკითხველო, რა მდგომარეობაში იქნებოდა დედა ამ ერთად-ერთი შვილისა! გაიარა კარგა ხანმა. პარიჟში გამართეს დიდებულმა პირებმა საქველ-მოქმედო მიზნით სავაჭრო ბაზარი. უცფად ცეცხლი წაეკიდა და შიგ მოჰყვა და ამ დიდებული ქალისა და დაიწვა. გაიარა რამდენიმე წელიწადმა, ეს საცოდავი

ქალი შვეიცარიაში არის და ერთ ადგილს მიდის. მივარდება მხეცივით ერთი ვინმე კაცი კაზერით და გულში დანას ასობს და უღებს ბოლოს. ამათ იყო ამ ქალისათვის ყველაფერი ამ ქვეყანაზე. ამ დიდებული პარკით და მის სასახლით იმას არ მიუღია იმდენი სიამოვნება, რამდენიც ჩვენ ვისიამოვნეთ ერთად ჩვენი მოგზაურობით. ეხლა მითხარით, მკითხველო, მიანიჭა თუ არა ბედნიერება ამ ქალს სასახლეებმა, ბაღებმა და მისმა მაღალმა წოდებამ და ხარისხმა? სრულებით არა. რამდენად უფრო ბედნიერია ღარიბი ქალი ამ უბედურ იმპერატრიცაზე და რამდენს შეენატრებოდა იგი სხვა ქალებს, რომელთაც შვიდ-რვა შვილი ჰყავსთ და სულ ცოტაა საჭირო მათი ბედნიერი ცხოვრებისათვის.

---

## † კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი.

(ნეკროლოგი) *)

საქართველომ დაჰკარგა ერთი იმ დიდებულ კაცთაგანი, რომელიც-კი ჰყოლია მას ამ საუკუნეში. 3 ენკენისთვეს, შუადღის უკან ორს საათზედ, მცირე ხნის ავათმყოფობისაგან მიიცვალა ქვეყნის საყვარელი და იმედი გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი. ვინც-კი ადევნებს და ადევნებდა ჩვენს საქვეყნო და საზოგადო საქმეებს თვალ-ყურს, ყველას გაეგონება რაც იყო ჩვენი ქვეყნისათვის ეს დიდებული და საუკუნოთ დაუვიწყარი კაცი.

კონსტანტინე მამაცაშვილი იმავე თაობითვე იდგა იმ წრეში, რომელიც 1830 წლებიდგან იღვწოდა ქვეყნისთვის, იმას ჰქონდა მოკლე კავშირი ნიკოლოზ ბარათაშვილსა, დიმიტრი ყიფიანსა, გრიგოლ ორბელიანსა, ვახტანგ ორბელიანსა, იოსებ მამაცაშვილსა, ზაქარია ავთანდილოვსა, მიხეილ თუმანიშვილსა და სხვებთან, რომელნიც შეადგენდნენ ლიტერატურულ და საქვეყნო მოღვაწეთა წრეს 1830—40 წლებში და ჰქონდა თავისი დიდი ცოდნით და ნაკითხობით დიდი გავლენა როგორც ამათზედ, ეგრეთვე სხვა მოღვაწეებზედ, რომელთაც ჰქონდათ შემთხვევა ამასთან დაახლოვებისა. ბატონ-ყმობის გადავარდნის დროს ის ყოველი თავისი ღონით სცდილობდა, ყმები განთავისუფლებულიყვნენ დიდი შეღავათით და მრავალი წერილებიც დარჩა იმისი ამაზედ. ის, როგორც ამისი უფროსი ძმა, იოსებ მამაცაშვილი, წინააღმდეგი იყო ბატონ-ყმური დამოკიდებულებისა. ის ეკუთვნოდა იმ დაწინაურებულთა მოაზრეთა, რომელნიც ჰფიქრობენ და სცდილობენ საერთო გაჰხადონ ბედნიერება და ძმური თანასწორობა კაცთა შორის. ბატონ-ყმობის გადავარდნის უკან ის იყო ერთი უკეთესი მოღვაწეთაგანი ჩვენი ბანკის შედგენაში და დ. ყიფიანთან ერთად იღვწოდა ამ საუკეთესო ქართველ საქმისთვის. ის იყო წევრი იმ კომისიისა, რომელსაც ჰქონდა მინდობილი ბანკისა და მისი წესდების შედგენის საქმე. შემდგომ ის დადგა ჩვენი თავად-აზნაურობის სასწავლებლის საქმის თავსა და თითქმის არარაიდამ სხვა თანამოღვაწეებთან ერთად შეჰქნა ის შკოლა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ დღესა. შკოლა იყო უსახსრო, თითქმის უპატრონო. ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ ეს შკოლა გამხდარიყო იმ დანიშნულების შემსრულებლად, რა მიზნითაც ეყრებოდა საფუძველი ჩვენს ბანკს. ის შეეცადა, რომ შემდგარიყო სათავად-აზნაურო ხაზინა შკოლის შესანახად. ამაზედ იმან აღძრა საქმე და მოახდინა უეზდების კრება და შემდეგ თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებაც, სადაც გადასწყდა გაწერილიყო ფული თავად-აზნაურობაზედ ამ საქმისათვის. ამასთან მისი და მისი თანამოღვაწეების მეცადინეობით შკოლა მიაჩემა ბანკს და ბანკის მეტი წილი წმინდა მოგება ყოველ წლიე მიეცა შკოლას. ამითი შკოლა დადგა ისრეთს მკვიდრს საფუძველზედ, რომ უბრალო მოსამზადებელი კლასსიდამ გადაკეთდა სრულს გიმნაზიათ და დღეს ასობით უზრდის საქართველოს საუკეთესო ძეთა და ქვეყნის მსახურთა. ამავე დროს კონსტანტინე მამაცაშვილი, მინამ მოსდევდა ჯანი და შესწევდა ღონე, ემსახურებოდა ბანკის საქმესაც: ის დიდს ხანს იყო ბანკის ზედამხედველ კომიტე-

---

*) ჩვენ სრულებით ურთდებით „ივერიის"-ს გამოთქმულ სიტყვებს განსვენებულ მამაცაშვილის სასარგებლო სამსახურსს შესახებ და სიტყვა-სიტყვით ვბეჭდავთ ნეკროლოგს, რომელიც „ივერიაში" არის დაბეჭდილი ქართველისაგან. რედ.

ტის თავმჯდომარედ და სცდილობდა ყოველი თავისი ცოდნით და გონით ამ ბანკის საქმეების წარმატებას. იმას ეგრეთვე მიუძღვის ღვაწლი „წერა-კითხვის საზოგადოების“ საქმეში, როგორც ერთს' უპირველეს შემადგენელს წევრს. ერთის სიტყვით, ეს კაცი იყო დაუცხრომელი და მაღალ-გონივრული მზრუნველი საქვეყნო საქმეებისა, რაც შეეხება პირად მის დამოკიდებულებას კერძოდ მათდამი, ვისაც უჭირდა ამისი დახმარება, ამისი კარი ყოველთვის ღია იყო იმათთვის და ყველას და ყოველს შემთხვევაში უწევდა მამობრივს მფარველობას, კაცთ-მოყვარულს შემწეობას: მისი კარი და გული გახსნილი იმდენად უფრო მეტი იყო, რამდენადაც დაბალი და გაჭირვებული იყო ის, ვინც სცდილობდა მისი საფარველის მიმართვას. ზრდილობა, ტკბილი სიტყვა, ნუგეში იმისი იზიდავდა ყველას გულს და აძლევდა გაჭირვებულთ მხნეობას. რაც შეეხება გონებრივს მის გავლენას, ვისაც შეხვედრია მასთან ყოფნა და ბაასი, ყველას ეხსომება, რა შთაბეჭდილებას ახდენდა ეს დიდებული კაცი ყველაზედ. ღრმად გახსნილი გონება, მრავალ-გვარი ცოდნა, გასაოცებელი მეხსიერება და მუდამ ბაასი სამეცნიერო ფილოსოფიურს და საზოგადო კითხვების საქმეებზედ, იზიდავდა მისკენ გულს ყველა მათსას, ვინც იცნობდა მას და ვისაც უნდა შეევსო თავისი ცოდნა და გაეგო ბევრი რამ, რაც არ თითონ იცოდა.

რაც შეეხება სამხედრო იმის ნიჭს და სახელ-მწიფო სამსახურს და მოღვაწეობას, უეჭველია უფრო დაწვრილებით იქმნება ცნობა ოფიციალურს გაზეთებში. ჩვენც მოვიხსენიებთ, როდესაც შევადგენთ მის დაწვრილებითი ბიოგრაფიას.

საუკუნოდ იყვეს ხსენება შენი საუკეთესო და დიდებულო ქართველო. არ უნდა იყვეს ის ერი უიმედო, რომელსაც შეუძლიან შენგვარი შვილის შობა. ვაყრით შენს დიდებულ კუბოს ცხარე ცრემლს. სტირდე, საქართველო, ჩვენთან ერთად დიდებულ ქართველის დაკარგვას.

---

## გენერალ-ლეიტენანტის კ. ქ. მამაცაშვილის გვამის დასაფლავება.

7 სექტემბერს, დაკრძალეს გვამი განსვენებულის გენერალ-ლეიტენანტის კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის მამაცაშვილისა, რომელიც, როგორც მკითხველებმა უწყიან, კვირას, 3 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ გარდაიცვალა. დილითვე დიდ-ძალი ხალხი შეიკრიბა განსვენებულის სახლის წინ, ალექსანდრეს ქუჩაზედ, სადაც მოვიდა აგრეთვე ტვერის დრაგუნთა მე-43 რაზმი, ერევნის რაზმი და კავკასიის გრენადერთა რაზმის არტილერიის ბრიგადა. აქედგან განსვენებულის გვამი გამოასვენეს გენერლებმა და სამხედრო წოდების წარჩინებულთა და ხელით მოასვენეს კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში. აქ გორის ეპისკოპოსმა, ყოვლად უსამღვდელოესმა კირიონმა გარდაიხადა ქალაქის სამღვდელოების თანადახმარებით მიცვალებულის წირვა. წირვის გარდახდის შემდეგ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა ამა ეკკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა ზვერევმა რუსულს ენაზედ, რომელშიაც მოიხსენია განსვენებულის ღვაწლი რუსეთის სამხედრო ისტორიის წინაშე.

პანაშვიდის გარდახდის შემდეგ განსვენებული გაასვენეს სამხედრო სამგლოვიარო ეტლზედ და წაასვენეს დიდუბის ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის ეკკლესიაში. წინ მიუძღოდნენ სამხედრო კაცნი, რომელთაც ბალიშებით მიჰქონდათ განსვენებულის მიერ მიღებული ორდენები, შემდეგ მიდიოდნენ დეპუტაციები ტფილისისა, ქუთაისისა, ოზურგეთისა, გორისა და სხ. მაზრების თავად-აზნაურობისა, აგრეთვე ქ. ტფილისისა, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“, ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისა, ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა და სხვათა წარმომადგენელნი, ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მოწაფენი, სამხედრო ხორო მგალობელთა, სამღვდელოება გორის ეპისკოპოსის კირიონის წინამძღოლობით, სამხედრო სამგლოვიარო ეტლი, რომელიც გვირგვინებით იყო მოფენილი და რომელთა შორის ჩვენ შევნიშნეთ შემდეგი გვირგვინები:

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან: «ნამდვილს ქართველს, პატიოსანს მუშაკს და გმირს, დაუვიწყარს კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცა-შვილს".

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან ძვირფასი ვერცხლის გვირგვინი.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან: „პირველს დაუვიწყარს თავმჯდომარეს".

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისაგან.

პეტერბურგის ქართველებისაგან.

გორის მაზრის თავად-აზნაურობისაგან.

თელავის მაზრის თავად-აზნაურობისაგან.

„ივერიის" რედაქციისაგან.

ტფილისის პირველ გიმნაზიის ქართველ მოსწავლეთაგან.

სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეთაგან.

ყარსის ქართველებისაგან:

„რომ შენს ხსოვნას თაყვანი არ სცეს,
მისთანა ჩვენში აბა ვინ არის"!?

ბათუმის ქართველთაგან; „ნამდვილს გულ-მხურვალე მამულის შვილს".

ტფილისის ქალაქის საბჭოსაგან.

ქალაქ ტფილისისაგან.

კავკასიის საიმპერატორო-სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისაგან.

ქართველთა დრამატიულ საზოგადოებისაგან.

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან".

„დაუვიწყარს უანგარო მუშაკს კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილს":

კავკასიის გრენადერთა არტილერიის ბრიგადის უფროსისა და აფიცერთა საზოგადოებისაგან.

მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის კავკასიის გრენადერთა რაზმის საარტილერიო ბრიგადისაგან.

კავკასიის გრენადერთა საარტილერიო ბრიგადის ჯარის კაცთაგან:

„ჩვენს დაუვიწყარს უფროსს".

გორის მაზრის სამეურნეო ამხანაგობისაგან.

ქალიშვილთა და შვილიშვილთა ანდრონიკაშვილებისაგან.

თავ. დაასმიძის სახლობისაგან.

ტფილის დრაგუნთაგან.

სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებლებისა და სხვათაგან.

ამ წესითა და რიგით წაასვენეს მიცვალებულის გვამი დიდუბის ტაძრამდე. ჯარის გარდა განსვენებულის გვამს დიდ-ძალი პატივისმცემელნი მისდევდნენ ქალნი და კაცნი ფეხითა და ეტლებით. მიასვენეს რა დიდუბის ეკკლესიის გალავანში, აქ წესის გარდახდის შემდეგ, ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ქართულად ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებელმა ბ-ნმა რატიშვილმა, რომელმაც აღნიშნა განსვენებულის სამხედრო და სამოქალაქო ღვაწლი. შემდეგ ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თავ. დავით ნიჟარაძემ შემდეგი გრძნობით სავსე სიტყვა სთქვა:

„ფრიად სამწუხარო მოვალეობის შესასრულებლად მივედით ამ სამგლოვიარო დღეს დასავლეთ საქართველოდამ იმერეთის თავად-აზნაურობის სახელით, რომელმაც ვალად დაგვდო მადლობისა და უღრმესის პატივისცემის ნიშნად ამ მცირე გვირგვინით შევამკოთ შენა მცხედარი, სულით და გულით ჭეშმარიტო ქართველო და ერთგულო მამულის შვილო, კონსტანტინე. ძნელია გამოსათქმელად, თუ რა ნაღველი ესხმება ჩვენს გულს და იდუმალი მწუხარება სტანჯავს და ჰქენჯნის, როცა ჩვენ სამშობლოს ეცლება ხელიდგან შენისთანა შვილი, რომელმაც საუმაწვილოდგანვე ვიდრე ვაჟ-კაცური ძალა შესწევდა და მკლავი გიჭრიდა, დაუღალავად ემსახურე შენს სამშობლოს, როგორც სამაგალითო თავდადებული, მხნე და შეუპოვარი მეომარი. 1837-ს წლიდგან არც ერთი ომი არ მომხდარა კავკასიაში, რომელშიაც მონაწილეობა არ მიგეღოს და რუსეთის მხედრობასა და შენთა მოძმეთა და მემამულეთა სასახელოდ და სასიქადულოდ თავი არ გამოგეჩინოს.

როცა წლოვანობამ მოგთხოვა თავისი ხარკი შესვენებისა და მშვიდობი ცხოვრებისა, მაშინ შენ შენის დღემდე შეუცვლელად გამჭრიახის გონებით, მტკიცე და თავდადებულის ხასიათით ვიდრე უკანასკნელ სულის ამოსვლამდე მოახმარე შენის სამშობლოს სამსახურს სამოქალაქო ასპარეზზედ. არ ყოფილა არც ერთი დაწესებულება და საზოგადო საქმე, რომელიც შეიცავდა ჩვენის ქვეყნის ინტერესს, რომ მხურვალე მონაწილეობა არ მიგეღო და სასარგებლო ნაყოფი არ მოგეტანინებინა. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დაუვიწყარო კონსტანტინე ქრისტეფორეს ძევ!..

დასასრულ თავად აკაკი წერეთელმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

„ჩვენთვის მარად სახსოვარო და სასიქადულო მოღვაწეო!.. შენის გარდაცვალების სამწუხარო ამბავმა მე, თვით ავადმყოფი, ფეხზედ წამომაყენა და მომიყვანა ამ სიშორეს, რომ შენს ღირსეულ კუბოს, გამოსათხოვრად, თაყვანი ვცე, როგორც პირადად ჩემის მხრით, ისე იმერეთის მაგიერადაც,— იმ დასავლეთელ ქართველების მაგიერ, რომელნიც შორს მყოფს გიცნობდნენ და ახლოს კი ჰყავდით გულში. შენი მოყვარულნი იმერ-ამერნი, შენ თუმცა არც ოქრო-პირულის მჭერ-მეტყველობით გყოლია გატაცებული, და არცა საზენაო მგოსნობით მოხიბლული, მაგრამ არა ნაკლებად თვისის მგოსნებისა და ორატორებისა, გაფასებდნენ და შემოგტრფოდნენ შენ!.. და მაშ როგორ და რითი დაიმსახურე ეს საერო თანაგრძნობა და პატივი?—უანგარო სიყვარულითვე!.. იმ თავიდგან ამ ბოლომდე, სიყმაწვილიდგან დაწყებული სიბერემდე ქვეყნის ერთგულობა გულიდგან არ გამოგშორებია!.. და სადაც-კი ყოფილხარ, ნებით თუ უნებურათ გახსოვდა სამშობლო, ყოველთვის და ყოველგან გულსა გწყვეტდა მისი წარსული, გაკვნესებდა აწმყო, და ტკბილ საოცნებო იმედით გაღელვებდა მისი მომავალი! და აი რამ მოგაგებია ქვეყნის გული!.. მართალია, ქვეყნის ამ გვარნი მოტრფიალენი ჩვენში ყოველთვის ყოფილან, არიან და იქმნებიან, მაგრამ ამაზედ კიდევ ზედმეტ ღირსებად შენ და შენის წრის მოღვაწეებს, იმ მცირე გუნდს, რომელსაც ასპეტაკებდა განსვენებული, ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი, შუქს აფენდა დიმიტრი ყიფიანი და მათ თანა შექათქადებდნენ ლავრენტი არდაზიანი და სხვანი,—ის გვაკლებათ, რომ საზოგადოსა და საპირადოს ერთმანეთში არ ურევდით: სადაც-კი შენიშნავდით ქვეყნისთვის გამოსადეგ ახალგაზრდა ნიჭს, სიხარულით ეგებებოდით, თანაუგრძნობდით, თუნდა ის კერძო ცხოვრებაში თქვენი უსიამოვნო და არა-სასურველი ყოფილიყო!.. დღეს კი ასე აღარ არის!.. წვრილმა საპირადო ანგარიშებმა ჩაჰყლაპა საერო საზოგადო და ნიჭისა და გულ-წრფელ მოღვაწეობის ადგილს იჭერს საადვილო „ქთინაური“ და „ბალი-ალობა“. ამიტომაც შენი დაკარგვა როგორც უკანასკნელის წარმომადგენელის იმ ზემოხსენებულ სიმპატიურ გუნდისა, ერთი ორად საგრძნობელი და სამწუხაროა ჩვენთვის..! ჩვენს გლოვასაც საზღვარი აღარ ექმნება, რომ იმედი, ის ციური ნიჭი, როგორც საზოგადოდ ყოველ გასაჭირში, ისე დღესაც ნუგეშს არ გვაძლევდეს: თითქმის საზოგადო კანონია, რომ წმინდა მოწამენი სიკვდილს შემდეგ გვიჩენენ სასწაულს და საზოგადო მოღვაწეთა მაგალითნი მათის სიკვდილის შემდეგ გამოიწვევენ ხოლმე მიმბაძავ-მიმდევრებს. ახლაც ის გვანუგეშებს, რომ თქვენ მიერ ნაანდერძევი მაგალითი უნაყოფოდ არ დარჩება მომავლისათვის და საუკუნოდ ჰყოფს თქვენს სახსენებელს“.

საზოგადოდ დიდის გლოვითა და მწუხარებით მიეგება ქართველობა განსვენებულის სიკვდილის ამბავს. სხვათა შორის „ივერიი“-ს რედაქციას მისის სიკვდილის გამო მრავალი დეპეშა მისვლია. მოვიხსენებთ მხოლოდ რამდენსამე მათგანს:

ბათუმი. ბათუმის ქართველი საზოგადოება დიდს მწუხარებას აცხადებს მოხუცის მიცვალებისა გამო, რომელიც მთელს თავის სიცოცხლეს საქმითა და ფიქრით ემსახურა თვისის სამშობლოს კეთილ-დღეობას, იყოსმცა იგი კეთილ-შობილ მაგალითად ნორჩის თაობისათვის. გვირგვინით შეამკეთ განსვენებულის კუბო.

პეტერბურგი. პეტერბურგის ქართველები დიდად შეგვაწუხა საქართველოს ჭეშმარიტის შვილის, მხცოვანის მხედარის, მოქალაქის, გენერალ-ლეიტენანტის მამაცაშვილის სიკვდილის ამბავმა, იმ კაცისამ, რომელიც უანგაროდ ინაწილებდა და იზიარებდა საქართველოს ცხოვრების ყოველსავე ავ-კარგს. თანაგრძნობას ვუცხადებთ მისის სახლობისა და მთლად ქართველ საზოგადოების მწუხარებას. ესუბუქოსმცა მიწა დაუვიწყარს მოღვაწეს, რომელიც დიდხანს ტიპიური წარმომადგენელი იყო ძველებურ ქართველთა ღირსებისა და სამშობლოს და მოვალეობის ერთგულებისა. გთხოვთ გვირგვინით შეამკოთ განსვენებულის კუბო.

სოხუმი. დიდად შეგვაწუხა მხცოვანის მოღვაწის კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის მამაცაშვილის დაკარგვამ. ვუერთებთ ჩვენს მწუხარებას „საერთო გლოვას.

კიევი. კიევის ქართველები დიდად შეგვაწუხა პატიოსანის საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის სიკვდილმა.

ქუთაისი. ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი, დიდად სწუხს რა ქართველ ნორჩის თაობის აღზრდის ჭეშმარიტ გულშემატკივარის, კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის სიკვდილს, გთხოვთ გვირგვინით შეამკოთ მისი სამარე. „ივერია“

გარდაცვალებულის გენერალ-ლეიტენანტის კ. ქ. მამაცაშვილის ქვრივმა, ნატალია დავითის ასულმა, შემდეგი სამძიმრის დეპეშა მიიღო მის უმაღლესობის დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისაგან: „აცხონოს ღმერთმა თქვენი ღირსეული ქმარი, სახელოვანი მეომარი კავკასიის არტილერიისა. გიცხადებთ გულითად მონაწილეობას მწუხარებაში, უფალმა მოგცეთ ძალა.

მიხეილ“

# ჩინელები.

ჩინელის გარეგანი შეხედულობა უმეტეს შემთხვევაში ნაკლებად მიმზიდველია. უმეტეს ნაწილს ჩინელებისას სახე აქვს ტალახის მზგავსი და მოყვითალო ფერისა, განიერი და პრტყელი, რომელზედაც უშნოდ ამოშვერილია ლოყის ძვლები თვალებ ქვეშ, ცხვირი გაპარტყნილი, თვალები აქვსთ ვიწრო, ზაბლის ფერი და მრუდეთ დაწყობილი; პირი დიდი და მუდამ გაღებული, რომელიც მთელს პირის სახეს აძლევს რაღაც სულელურ გამომეტყველებას; პირის სახეზე წვერ-ულვაში ძლიერ ნაკლებად ასხიათ, თმა აქვსთ შავი და საკმაოდ მაგარი, მამაკაცებს თმა დაწნული აქვსთ და ნაწნავის ბოლოზე ჰკიდიათ აბრეშუმის გრეხილი ნაწნავის დასაგრძელებლად, ქალებს კი ნაწნავი სხვა-და-სხვა ფერად აქვსთ გაკეთებული. მამაკაცები იპარსვენ თავის მთელ წინა ნაწილს, საფეთქლებს და კეფას, მხოლოდ თმას იტოვებან კინკრიხზე (თავის ქალა); რომ შეხედოთ ჩინელს, რომელსაც ახლად გაუპარსავს თავი და დაუვარცხნია ნაწნავი, გეგონებათ, რომ მას თავის ქალაზე მიწებებული აქვს პატარა პარიკი, რომელზედაც მიწებებულია გრძელი ნაწნავი. როცა ჩინელი ვინმე მახლობელ ნათესავს იგლოვს, ის არც თმას იპარსავს და არც წვერ-ულვაშს, ისე დროს ჩინელი იპარსავს თმას, წვერს და ივარცხნის ნაწნავს კვირაში ერთხელ, ხან უფრო გვიან, რადგან ამ საქმისათვის საჭიროა დალაქის დახმარება. ამიტომაც უბრალო ჩინელს თმა მუდამ გაწეწილი აქვს. ფეხები და ხელები ჩინელს აქვს პატარა და ხელებზე განათლებულ ჩინელთ აბიათ მეტად გრძელი ფრჩხილები, რომელნიც მოწმობენ, რომ ამ დიდი ფრჩხილების მექონი თავს არ იწუხებს შავი მუშაობით.

ჩინელი გლეხის, ხელოსნის და შავი მუშის ტანთ-საცმელს შეადგენს მოკლე კურტკა, რომელიც წააგავს ქალის კოფთას, მაგრამ უფრო განიერი სახელოები აქვს და განიერი და უშნო შალვარი, რომელიც შეკრული აქვს მუხლის კვირისტავთან გრეხილით. ეს ტანთ-საცმელი მზადდება ბამბის ლურჯი მატერიისაგან, რომელსაც სახლებშივე ქსოვენ და სიცივის დროს უდებენ ბანბას; ზაფხულობით უმეტესნი, განსაკუთრებით გლეხები, იცვამენ უფრო ძლიერ კოფტებს და მოკლე შალვარს ბამბის მატერიისაგან, მაგრამ თეთრი ფერისას. უფრო შეძლებული ხალხი, ვაჭრები, მოხელეები კოფტების ზემოთ იცმენ ხალათებს, რომელიც სიგრძით მუხლებ ქვემოდ უწევს. ეს ხალათები მზადდება უფრო წმინდა ლურჯი, რუხი ანუ შავი ფერის მატერიისაგან და მის ზემოთ იცმენ კიდევ მეორე სახელოებიანს ანუ უსახელო კოფტას: მსგავსი ხალათი და კოფტა არის სადღესასწაულო ტანთსაცმელი უბრალო ხალხისა, ხოლო მდიდრები სადღესასწაულო ტანთსაცმელს იკერავენ სხვა-და-სხვა ღირსების და ფერის აბრეშუმეულისაგან, კარგ მორთულობად მიაჩნიათ, როცა ჩვეულებრივ შალვარს ზემოდ იცმენ კიდევ მეორე შალვარს უფრო მოკლეს, რომელიც მუხლის კვირისტავთან შეკრულია ზონრით და რომელიც წელთან დამაგრებულია ყაითანით. ფეხზე აცვიათ მოკლე ჩულქები, რომელიც შეკერულია ბამბის მატერიისაგან და რომელსაც ზამთრობით უდებენ ბამბას ანუ ცხვრის ბალნიან ტყავს. ფეხზე იცმენ ტუფლებს, რომელსაც კერვენ ბამბის მატერიისაგანდა ქვეშ უდებენ ტყავის სქელ ლანჩას ანუ ნაბადს, რომელსაც წვერები მაღლა აქვსთ აპრეხილი. საპარადო და სამგზავრო ფეხსაცმელი ჩინელისა არის ნალა, რომელსაც უდევს მეტად სქელი ლანჩა. ასეთ ნალებს კერვენ ბამბის ძლიერ სქელი მატერიისაგან ანუ შავი ხავერდისაგან, თვითონ ლანჩა კი თეთრი ფერისაა. ზაფხუ-

ლობით უბრალო ხალხი და სალდათები იცმენ ფეხზე სანდალს, რომელიც მზადდება ჩალის ანუ ბაწრებისაგან. ასეთი ფეხსაცმელი ძლიერ მჩატე და მოხერხებულია გორებზე სიარულის დროს, განსაკუთრებით წვიმის დროს, როცა ჩვეულებრივი ტუფლი ადვილად სველდება და ფუჭდება; საზოგადოდ ჩინელის ფეხსაცმელი სანდალს გარდა მძიმე და მოუხერხებელია.

როცა ჩინელი უბრალოდ არის ჩაცმული, თავზე მას სრულებით არაფერი არ ახურავს, ანუ ახურავს ბამბის ლურჯ ხელსახოცს, რომელსაც ქალებივით იხვევენ თავზე და ნაწნავი კი ხელსახოც ზემოთ აქვს გადმოშვერილი; ამიტომ უულაში და უწვერო ჩინელი, რომელსაც ტანზე აცვია გრძელი ხალათი, ფეხებზე ტუფლები და თავზე მოხვეული აქვს თავსაფარი, წააგავს მოხუცებულ ქალს. როცა ძლიერ სიცხეა, ანუ წვიმს, უბრალო ხალხი თავზე იხურავს ჰილოფის ქუდებს, რომელთაც მეტისმეტად განიერი კალთები აქვს და ქოლგის მაგიერობას უწევს; დიდკაცობა თავზე იხურავს მრგვალ ქუდს, რომელსაც კერევენ ძვირფასი შავი ატლასისაგან. ზემოთ მიკერებული აქვს შალი, ლურჯი ანუ წითელი კოპი, რომელიც მზადდება აბრეშუმის ძაფის ანუ ცხენის ძუისაგან. როცა ჩინელი სადღესასწაულოდ ეწყობა, თავზე იხურავს ზაფხულობით ჰილის მრგვალ შლიაპას, რომელიც სოკოს ზემო თავს მოგაგონებს და ამ შლიაპაზე მიბმულია აბრეშუმის წითელი ფოჩი, ზამთარში კი იხურვენ ბატკნის მატყლისაგან გაკეთებულ შავ შლიაპას ამავე ფოჩით; მოხელეების შლიაპები გარდა ფოჩისა მორთულია სხვა-და-სხვა ფერის ბურთით და ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ რა ჩინის მექონეა; დიდ კაცობას ამ გვარ შლიაპებზე გაკეთებული აქვსთ ფარშავანგის ფრთა ერთი, ორი ანუ სამი სათვალეებით. შლიაპებს და ქუდებს ოთახებშიაც არ იხდიან თავიდამ, გლეხები და შავი მუშა მთელი დღე ძლიერი პაპანაქების დროსაც კი თავზე სრულებით არ-ფერს არ იხურვენ.

ქალების ტანთ-საცმელი იგივე გრძელი ხალათი და კოფტა არის, რომელთაც კაცები ხმარობენ, მხოლოდ ქალების კოფტა უფრო მოგრძოა; სადღესასწაულო ტანთსაცმელი ჩინელი ქალისას წარმოადგენს იუბკა, რომელსაც იცმენ, როგორც წინ საფარს, და უფრო ძლიერ გრძელი და განიერი კოფტა—განიერი სახელოებით. ეს ტანთ-საცმელი მზადდება იმავე ბამბის მატერიისაგან, რომლიდგანაც მზადდება კაცების ტანთ-საცმელიც. ქალების ტანისამოსი უმეტესად იკერება ლურჯი და ხან წითელი ანუ მწვანე ფერის მატერიისაგან, სადღესასწაულო ტანისამოსი კი სხვა-და-სხვა ფერის აბრეშუმეულისაგან, რომელსაც რთევენ სხვა-და-სხვა ლენტებით და ნაქარგებით. თმას ირთვენ ყვავილებით და ვერცხლის ქინძისთავებით. უმეტეს შემთხვევაში ჩინელი ქალი თავშიშველა დადის, ანუ ხმარობს თავსაფარს. შლიაპებს ხმარობს მარტო უბრალო ხალხი და იმასაც ზოგან; ჩინელი ქალები დიდი მოყვარული არიან საყურეებისა, ბეჭდებისა, სამაჯურებისა. ეს ნივთები უფრო სპილენძისა და ვერცხლისანი არიან. მხოლოდ მდიდრები ხმარობენ ოქროსას. აგრეთვე ჩინელი ქალი ძლიერ მოყვარულია უმარილისა, ფერისა და სურმისა, რომლებითაც ილამაზებს პირის სახეს.

ჩინეთში ქალები ჩვეულებისამებრ იპატარავებენ და ისახიჩრებენ ფეხებს, ამიტომ ქალების ფეხსაცმელი განსხვავებულია კაცების ფეხსაცმელისაგან. ქალის ფეხსაცმელია არტახი, რომელიც მაგრად შემოხვეულა დასახიჩრებულ ფეხზე. აგრეთვე ქალები იცმენ ერთი ბეწო ფეხსაცმელებს, რომელთა წვეროები და ლანჩა მეტად წაიწროებულია წვერისკენ. მზგავსი ფეხსაცმელების ლანჩა ხშირად ერთ ვერშოკზე ცოტა მეტია. რამდენათაც ჩინელს პატარა ფეხი აქვს, იმდენად მოსაწონია მისი მექონე, როცა ჯვარის წერის პირობას ადგენენ ხშირად უფრო მეტი ყურადღება მიქცეულია ფეხის სიპატარავეზე, ვიდრე პირის სახის სილამაზეზე და ხასიათის სიკარგეზე; ამ გვარად დასახიჩრებული ფეხი, რომელსაც მუხლამდე შემოხვეული აქვს არტახი ტუფლისა, კაცს წარმოუდგენს ოთხფეხი ცხოველის ფლოქვს, ვინემ კაცის ფეხს.

ზემოთ ვსთქვით, რომ ჩინელი კაცი, რომელსაც ფეხებზე აცვია ფეხსაცმელები, ტანზე გრძელი ხალათი და თავზე აქვს დიდი ნაწნავი, უფრო მამაკაცებს ჰგავს ვინემ ქალს. თუ ასეთი სანახავია კაცი, რა საზიზღარი შესახედავი იქნება ჩინელი ქალი ჩვეულებრივ ტანთ-საცმელში, რომელსაც აცვია უშნო განიერი შალვარი და ტომრის მზგავსი ზედაწელი. აბრეშუმის ტანთსაცმელში გამოწყობილი ჩინელი ქალი, რომელსაც პირის სახეზე წასმული

აქვს უზომოდ ფერ-უმარილი, წააგავს უსულო დედოფალს თავისი რაღაც უგნური და პრტყელი პირის სახით. თავისი დასახიჩრებული ფეხებით მეტად უშნოთ დადის ჩინელი ქალი. დადის აჯი-ბაჯად და რომ სიარულის დროს სწორა დაიკავოს ტანი, ხელები გაშლილი აქვს თითქო თოკზე თამაშობსო, მოხუცებული ქალები კი სიარულის დროს ჯოხებს ხმარობენ.

ამ სახით გარეგანი შეხედულობით ჩინელი ძლიერ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე და როცა ახლოს გაეცნობი და ამ ხალხის განსაკუთრებულ ჩვეულებებს შეიტყობთ, ეს ცუდი შთაბეჭდილებები ერთი ორად ძლიერდება მნახველში.

(დასასრული იქნება).

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

(ომის ამბები)

უკანასკნელი ტელეგრამები ჩინეთიდან გვაუწყებენ, რომ ჩინეთის ცნობილ დიპლომატ ლიხუნჩანგს გადაუცია სახელმწიფოებისთვის რწმუნების სიგელები, რომლებითაც მას მინდობილი აქვს თავისი მთავრობისაგან მორიგების შესახებ მოლაპარაკება დაიწყოს. მაშ შესაძლებელია, რომ ახლო მომავალში ჩინელი ხალხის მოძრაობა ჩაქრეს და ამ ბუმბერაზმა სახელმწიფომ ადვილად ქედი მოიხაროს ევროპის წინაშე? თუმც კაცობრიობის ინტერესები მოითხოვენ ეს ასე მოხდეს, მაგრამ სამწუხაროთ ასეთი დრო ჯერ კიდევ შორს არის. აი ამის რამდენიმე დასამტკიცებელი საბუთიც. ჯერ ერთი ისა, რომ თვით ეს მოლაპარაკება მორიგების შესახებ, ჩინეთის სურვილი არ არის, საქმის ვითარება კი მოითხოვდა, რომ ეს თვით ჩინეთისაგან ყოფილიყო დაწყებული, რადგანაც ევროპის სახელმწიფოები დამარცხებულათ დღეს მას თვლიან. საკვირველება თუ გნებავთ სწორედ ეს არის: გამარჯვებული სახელმწიფოები ემუდარებიან დამარცხებულს: ჩვენ ძლევა-მოსილ ჯარებს თქვენ სატახტო ქალაქიდან გავიყვანთ, და მოდით ღვთის გულისთვის ბოლო მოუღოთ ამ ომსო. დამარცხებული კი შორს დგას, თითქო არ ეყურება, რას ეუბნებიან მას და მხოლოთ თავი რომ არ მოაბეზრონ მეტი თხოვნით ნიშნავს ერთ თავის მოხელეს, წადით და იმას ელაპარაკეთ, რამდენიც გნებავსთ, მე კი ჩემსას ვიზამო. ასეთია გარეგანი სახე ამ მოლაპარაკებისა. მაგრამ როგორ გგონიათ: ნუ თუ ევროპა დღეს გამარჯვებულია ჩვენში? და ნუ თუ მეორე მხრით ჩინეთი დამარცხებულია? აი კითხვები, რომლების გამორკვევა ჩვენ მეტად საძნელოთ მიგვაჩნია ჯერ-ჯერობით. ჩვენ ვიცით მხოლოთ, რომ სამხრეთ ჩინეთში, უმეტესათ ქალაქ კანტონის მახლობლათ ჩინელების მოძრაობა ევროპიელთა წინააღმდეგ სულ უფრო და უფრო მატულობს. ასევე ხდება სხვა ადგილებშიაც და თუმც მანჯურია გარეგნობით დააწყნარა რუსეთმა თავისი მრავალ-რიცხოვანი გაწვრთნილი ჯარებით, მაგრამ სამაგიეროთ ამ უკანასკნელ ხანებში მონგოლიას ეტყობა რაღაც ნაირი მოუსვენრობა, ქალაქ კიახტიდან იტყობინებიან, რომ „მონგოლები რუსეთის საზღვრებისაკენ მიეშურებიან საომრათო, რომ იმათ ზარბაზნებიც აქვთო". რას ნიშნავს ასეთი მოძრაობა, ჯერ გამორკვეული არ არის, მაგრამ ეს რომ მშვიდობიანობის ნიშანი არ არის, ესკი ცხადია.

აშკარაა, რომ ყოველსავე ამას ხედვენ ევროპის სახელმწიფოები და ამიტომაც არის რომ ომის გაგრძელება აღარ სურთ ჩინეთში, რაც აუარებელ ხარჯს თხოულობს თუ ფულით, თუ ადამიანთა მსხვერპლით. პირველი ნაბიჯი მშვიდობიანობის ჩამოგდებისათვის ჩინეთში, როგორც ვიცით, რუსეთის მთავრობამ გადადგა მით, რომ მან წინადადება მისცა დანარჩენ მოკავშირე სახელმწიფოებს ჩვენ-ჩვენი ჯარები გავიყვანოთ პეკინიდან და როცა ასეთ მოქმედებას დაინახავს ჩინეთის მთავრობა მაშინ ის უფრო ნდობით მოგვექცევა და მშვიდობის ჩამოგდებასაც მოისურვებსო. მაგრამ ამ წინადადებამ ეროპის სახელმწიფოები ერთი ერთმანეთს დააშორა. მართალია, ამ წინადადებაზე გადაჭრით უარი გერმანიასა და იტალიას გარდა ჯერ-ჯერობით არავის უთქვამს, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი ზრდილობის დასაცველათ. დღემდე რუსეთის წინადადებაზე სრული თანხმობა განაცხადა მხოლოდ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რაც მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ამ ჟამათ საპრეზიდენტო არჩევნები იწყება და დღევანდელ პრეზიდენტსა მაკ-კინლეის,

ამისთვის აღარ სცალია. იაპონია მზათაა დააკმაყოფილოს მხოლოდ რუსეთის წინადადების ერთი ნაწილი, ე. ი. გაიყვანოს პეკინიდან თავის ჯარების რამდენიმე ნაწილი, და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამაზე ყველა დანარჩენი სახელმწიფოები სრულ თანხმობას განაცხადებენ. რაც შეეხება ინგლისს, მისი ნამდვილი წადილი ამის შესახებ ჯერ არავინ უწყის. გერმანია კი მაგრად დგას თავის უარზე. როგორც ვიცით, იმპერატორი ვილ-ჰემ მეორე მარტო თითონ კისრულობს ჩინეთში ომის გაგრძელებას და ჩინელების სასტიკათ დასჯას. მას წარმოდგენილი აქვს, რომ იგი მოწოდებულია თვით განგებისაგან შური იძიოს ჩინეთში შეურაცყოფილი ევროპიელებისა; ის იმდენს გახდა, რომ ჩინეთის მოკავშირე ჯარების მთავარ სარდლათ თავისი გენერალი გრაფი ვალდირზეე დაანიშნინა. ამასთანავე პირველ სექტემბრისათვის გერმანიის ჯარების რიცხვმა ჩინეთში 10,000 უნდა მიაღწიოს. 12 აგვისტოს კი ევროპის სახელმწიფოთა სამხედრო ძალა ჩინეთში, გარდა რუსეთისა, ასე გამოიხატებოდა: გერმანიას ჰყავდა: 91 აფიცერი, 13,150 ჯარის კაცი, 6 ზარბაზანი და 344 ცხენი; ინგლისს: 218 აფიცერი, 6,747 ჯარის კაცი, 35 ზარბაზანი და 1897 ცხენი; ამერიკის შეერთებულ შტატებს: 181 აფიცერი, 5,427 ჯარის კაცი, 17 ზარბაზანი და 1,239 ცხენი; საფრანგეთს: 195 აფიცერი, 5,186 ჯარის კაცი, 37 ზარბაზანი და 570 ცხენი.—მხოლოდ მომავალი დაგვანახვებს, რა გამოვა დღევანდელი მდგომარეობისაგან, თუმცა სამშვიდობოს ჯერ კიდევ ვერაფერს ვხედავთ.


ჩინელი ქალი


ჩინელი კაცი


მონგოლელი


იაპონელი ქალი


იაპონელი კაცი


მალაიელი ქალი

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ტფილისის გაზეთებს ამ დღეებში შემდეგი წერილი მოუვიდათ ნ. გ. ბაგრატიონ მუხრანსკისაგან, რომელიც ამ ჟამად წმ. ელენეს კუნძულზედ თურმე იმყოფება:

„5 აპრილს 1900 წ. ბოშოფისთან მომხდარ ცხარე ბრძოლის შემდეგ, სადაც გენერალი ვილბუა დემარეილი მოჰკლეს, ჩვენ ტყვეთ წაგვიყვანეს და აქ ინგლისელებმა წმ. ელენეს კუნძულზედ გამოგვზავნეს. წერის ნებას არ მაძლევენ და არა მჯერა, რომ ეს ღია ბარათი (ბარათზედ წმ. ელენეს კუნძულის სხვა და სხვა ადგილებია გამოხატული) თქვენამდე მოაღწევს; როგორც-კი ნებას მომცემენ,—ყოველივეს დაწვრილებით გაცნობებთ“.

თავ. ნ. გ. მუხრანსკი ძმაა აწ განსვენებულის დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ლ. მუხრანსკისა.

* * *

ფინანსთა სამინისტროში აღძრულია კითხვა იმის შესახებ, რომ მოესპოთ პენსიების მიცემა ხაზინიდან იმ პირთ, რომელნიც სამსახურში შესულან კერძო დაწესებულებებში და ჯამაგირს იღებენ.

* * *

უწმ. სინოდიდან ამ დღეებში მოვიდა დამტკიცებული გეგმა ტფილისის სასულიერო სემინარიის ახალის შენობისა. ეს შენობა აგებული იქმნება ვერაზე, საქართველოს სამხედრო გზის დასაწყისში. დაჯდება სულ 260 ათას მანათად, რომელსაც სინოდი სესხად აძლევს სემინარიას; სესხი გადახდილ იქმნება იმ ფულიდან, რომელსაც სასულიერო მთავრობა აიღებს სემინარიის ახლანდელ შენობის გაყიდვიდან.

* * *

გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან, რომ გამოცხადდა ახალი კანონი, რომელიც ეხება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლასა.

## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

### დედ-მამის უკეთურ შვილთა საყურადღებოდ.

ბევრჯერ გვსმენია მოხუც მშობელთაგან გულ ამოსკვნილი საჩივარი თავიანთ ღვიძლ შვილებზე: „დავიმსე და დავიღუპე! ურჩი-უზნეო შვილი გამომივიდა, ყველასფერი თავისი მოსწონს, ძალისობს, მაჯოჯოხეთებს და სიბერის დღეს მიმწარებს“-ო. ოჰ, რა ძნელად გასაგონია საცოდავ მამისაგან ასეთი საჩივარი თავის ნაწვავ ნადაგავ შვილებზე! რაკა დიდი უბედურება და ცოდვის კითხვა არ არის, რომ უსიტყვო პირუტყვს ჰქონდეს ინსტინკტი მშობლიური სიყვარულისა და ღვთის მსგავსი ქმნილება ადამიანი-კი ჰკარგავდეს მას! მაშ ვიღას უნდა უყვარდეს მშობელი, ვისღა უნდა უწევდეს მას მორჩილებას და ჯეროვან პატივის ცემას, თუ არ მისი შვილი, რომელიც მან სიმწრით აღზარდა, რომელსაც გადააყო მთლად თავისი სიცოცხლე და საცხოვრებელი.

მშობელთა სიყვარული, მორჩილება და პატივის ცემა თვით უფალმა ღმერთმა დაგვიდოთ თქვენ მცნებად. „პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსაო“, ბრძანებს მეხუთე მცნება რჯულისა. ამ საზოგადო სჯულს უნდა ემორჩილებოდეს ყოველი ასაკის, წოდების და სარწმუნოების კაცი. ვინც ამ მცნებას არ ასრულებს, იგი თანამდებია სასჯელისა. „წყეულ იყავნ, რომელმან შეურაცხყოს მამა თვისი გინა თუ დედა თვისი (მეორე სჯულისა 27—15) „მგმობარნი და დამტკიებელნი მამისა დაწყეულ ღვთისა მიერ განმარისხებელი დედისა თვისისაო“. ბრძანებს ისოზირაქი (3-17).

შვილო, წარმოიდგინე ამაგი შენის მშობლებისა: საცოდავმა დედამ ცხრა თვეს მუცლით გატარა, ვაით გშობა და უით გზარდა. შემდეგომ მამაშენმა შენს აზრდოსა და ჩაცმა-დახურვაზე იზრუნა. ამას გარდა ვინ იცის, რამდენ ღამეს შენ გამო მათ თვალს ძილი არ უნახავს, რამდენი ვარამი, შეწუხება, ჭირი და ნაღველი გამოსცადეს შენს აღზრდაში და თავიანთ თავს კი ბევრისაგან ბევრი კმაყოფილება დააკლეს. ნუ თუ ამდენი ამაგი, ამდენი შრომა, ღვაწლი და სიკეთე შენ იმით გინდა გადაუხადო შენს მშობლებს, რომ სიბერის დღეს სიცოცხლე გაუმწარო, შიმშილ-ტიტვლა ატარო და სიმშილით სული ამოხადო? ოხ, ღმერთო ჩემო, მიუტევე მათ: რამეთუ არა იციან რასა ქმნიან. უბადრუკნო, უგუნურნო და უკეთურნო შვილნო! განა არ იცით, რომ მშობლის შეურაცხ-მყოფელი შვილი ამ ქვეყნად ღვთის წყევლის ქვეშ იქმნება, და რასაც დასთეს იმასვე მოიმკის? იცოდე, რაც შენ უყავი შენს მშობლებსა, მასვე ელოდე შენი შვილებიდანაც. თუ გსურთ თავიდან აიცილოთ რისხვა ღვთისა მომავალი თქვენზე, ყური მიგდეთ და მტკიცედ აღასრულეთ ეს ჩემ მიერ თქვენდამი ღმობიერი და მამაშვილური დარიგება: 1. შემუსვრილის გულით და წრფელის სინანულით გამოსთხოვეთ შენდობა მშობელთა. 2. სულით და გულით ეცადეთ დაიმსახუროთ მათი სიყვარული და ყურადღება. 3. ჭეშმარიტ მცნებად დაიდეთ მშობელთა მორჩილება და პატივის ცემა. 4. მათის ნება რთვით და ლოცვა კურთხევით შეუდგებოდეთ ყოვლის საქმის აღსრულებასა, რამეთუ კურთხევა მამისა დაამტკიცებს სახლთა შვილთასა, ხოლო წყევა დედის აღმოფხვრის საფუძველამდე." (ისო ზირაქი 3—9).

მღვდელი მიხეილ გავაშელოვი.

კერძო საავადმყოფო ამბულატორიითურთ

## ს. გ. თოფურიას.

ქ. ქუთაისში.

საავადმყოფოში დგას ო რ მ ო ც ი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავადმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან, მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავადმყოფებს მიიღებს—

ექ. ს. გ. თოფურია.

ქირურგიულ შარდით სიფილისით და თვალების ავადმყოფობისათვის.

ექ. ფ. კ. გერრატი.

დედაკაცურ ავადმყოფია და საბებიო ქალი.

ექ. მ. ფ. კოგანი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავადმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. გ. თოფურია.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიტერატურო განყოფილება:** შემობრძანებ იმერეთის ეპარქიაში ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა და პირველი მისი წირვა ქუთაისის საკათედრო ტაძარში, 17 სექტემბერს 1900 წელსა.—ხარება (ლექსი).—ზოგიერთა საგულისხმოდ (ლექსი).—ჩემი სასიხარულო დასამწუხარო შთაბეჭდილებანი აზიასა და ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს —კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე მამაცაშვილი (ნეკროლოგი).—გენერალ-ლეიტენანტის კ. ქ. მამაცაშვილის გვამის დასაფლავება. — ხიზლები. — ჟურნალ-გაზეთებიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები.

**ხუცესთა და მეცნიერება ქრისტიანობრივ საზოგადოება.** და **ქართველ-ზნეობაზე:** დედ-მამის უკეთურ შვილთა საყურადღებოდ.

—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

*Дозволено цензурою, Тифлисъ,* 15 Сентября *1900 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ*

Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Девсадзе на Нѣмецкой ул.

№ 18 1883 – 1900 30 სექტემბერი

# მწყემსი

## ოფიციალური განყოფილება

### უმაღლესი სახელდებული ბრძანება.

უწმიდესს უმართებულესს სინოდს.

უწმიდესის სინოდის წევრს, ნოვგოროდის და სტაროროსკის მთავარ ეპისკოპოზს თეოგნოსტეს ყოვლად უმოწყალესად ვუბრძანებთ იქმნას კიევის და გალიციის მიტროპოლიტად და კიევის პეჩერის მიძინების ლავრის სამღვდელო არქიმანდრიტად.

დედანზედ მის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარ ხელით დაწერილ არს:

„ნიკოლოზი“

18. მარიამობისთვეს 1900 წ.
პეტერგოფი.

---

### უმაღლესი ჯილდო

ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორს არქიმანდრიტს ჰერმოგენს ამ წლის აპრილის 18 რიცხვსა ყოვლად უმოწყალესად ებოძა მისი იმპერატორებითის უდიდებულესობის კაბინეტიდგან მკერდის ოქროს ჯვარი ოქროსავე ძეწკვით, შემკული ბრილიანტით და ძვირფასი ქვებით.

---

### უმაღლესი ბრძანებანი:

1) სასულიერო სემინარიების და სასწავლებლების მოწაფეთა აღმზრდელთათვის სახელმწიფო სამსახურის უფლებათა მიცემის შესახებ.

სახელმწიფო საბჭოს კანონთა დეპარტამენტში და საზოგადო სხდომაზეც განიხილა უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის წარდგენილება სასულიერო სემინარიების და სასწავლებლების მოწაფეთა აღმზრდელთათვის სახელმწიფო სამსახურის უფლების მიცემის შესახებ და გადაწყვიტა: ა) მიენიჭოს სასულიერო სემინარიების და სასწავლებლების მოწაფეთა აღმზრდელების თანამდებობას ხარისხის მიღების საქმეში მეათე კლასის უფლება. ბ) სათანადო კანონდებულებათა შესავსებლად და შესაცვლელად დადგენილ იქმნას: 1) სასულიერო სემინარიების და სასწავლებლების მოწაფეთა აღმზრდელები ოთხის წლის სამსახურის შემდეგ, მტკიცდებიან ხარისხში, რომელიც შეეფერება მათის თანამდებობის კლასსა უფროსობით დღიდგან მათის დანიშვნისა სამსახურზედ და შეიძლება მიეცეთ მათ უკეთუ ერთსა და იმავე თანამდებობაზედ იქნებიან, სამის ხარისხით

მეტი იმ კლასისა, რომელიც დაწესებულია მათის თანამდებობისათვის; 2) მოხსენებულთ პირველს სტატიაში აღმზრდელებს აქვსთ უფლება მიიღონ პენსია და შემწეობა იმ ზომით, რომელიც დაწესებულია სასულიერო სასწავლებლებში მყოფ საშუალო განათლების მასწავლებელთათვის. გ) იმ პირებს, რომელნიც დღეს მსახურებენ აღმზრდელებად სასულიერო სემინარიებს და სასწავლებლებში, ჩაეთვალოსთ მთელი დრო მათის სამსახურისა ხარისხის და პენსიის მისაღებად, უკეთუ ისინი შეიტანენ მთელის ამ დროსათვის სასულიერო სასწავლო თანხაში იმდენ ფულს, რამდენსაც შეადგენს მათის ჯამაგირიდგან გამოკლებული ჯამი, დაწესებული პენსიის მისაღებად. მის იმპერატორებით უდიდებულესობამ ხსენებული აზრი სახელმწიფო საბჭოსი 15 რიცხვს წარსულის მაისისას უმაღლესად დაამტკიცა და ბრძანა მისი აღსრულება.

—

2) სახელმწიფო საბჭომ მრეწველობის, მეცნიერებათა, ვაჭრობის და სახელმწიფო ეკონომიის შეერთებულს დეპარტამენტებში, განიხილა რა უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის წარდგენილება იმის შესახებ, რათა გადადებულ იქმნას სახელმწიფო ხაზინის საშუალებათაგან უწმიდესის სინოდის ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად ყოველ წლობით 3,518,570 მან. პირველ დაწყებითი საეკკლესიო სკოლების მოსაწყობად და შესანახად, დაადგინა: ა) მიეცეთ საეკკლესიო სკოლების სამაზრო მეთვალყურე მღვდლებს, უკეთუ მათ სამრევლო არა აქვსთ, წლიურს ჯამაგირად 1,200 მან. თითოეულს და უფლება 500 მან. პენსიის მიღებისა 25 წლ. სამსახურისთვის. ბ) გადაიდებოდეს სახელმწიფო ხაზინის საშუალებათაგან 1901 წლიდგან დასამატებლად იმ ჯამისა, რომელიც გადაიდებოდა აქამომდე უწმიდესის სინოდის ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად, პირველ დაწყებითის სახალხო განათლების საჭიროებისათვის, სამი მილიონი ხუთას თვრამეტი ათასი ხუთას სამოცდა ათი მან. ყოველ წლობით, ამ რიცხვში: სამი მილიონი ოთხას სამოცდა შვიდი ათასი რვაას ოცი მან. საეკკლესიო სკოლების მოსაწყობად და შესანახად და ორმოცდა ხუთი ათას ორმოცდა ათი მან. ხსენებულ სკოლების უმრევლო სამაზრო მეთვალყურეთა დასაჯილდოებლად: სამასი ათასი მან. ვლადივოსტოკის ეპარქიის საეკკლესიო სკოლების მეთვალყურეს ჯამაგირად და ორი ათას შვიდასი მან. იმავე ეპარქიის სამი საოლქო მეთვალყურეს დასაჯილდოებლად. სახელმწიფო საბჭოს ხსენებული აზრი, 5 თიბათვეს 1900, უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა.

—

## უწმიდესის სინოდის კანონები.

**ა. 2—9 აგვისტოს 1900 წ. მ‑ე—3167 ნომრით, სააღდგომო ღია ბარათებზედ საღმთო გამოხატულებათა დაბეჭდვის შესახებ.**

ბრძანებისამებრ მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა, უწმიდესს უმართებულესს სინოდს ჰქონდა მსჯელობა ერთის საქველ-მოქმედო საზოგადოების შუამდგომლობის გამო იმის შესახებ, რათა მას მიცემოდა ნება სააღდგომო ღია ბარათებზედ—საღმრთო გამოხატულებათა დაბეჭდვისა. ბრძანეს: განხილულ იქმნა რა ხსენებული შუამდგომლობა, უწმიდესი სინოდი ხედავს, რომ დაბეჭდვა სააღდგომო ღია ბარათებზედ საღმრთო გამოხატულებათა არ შეიძლება ნება დართულ იქმნას, ვინაიდგან ამ გარემოებას შეუძლია შეურაცხჰყოს კეთილ-მოწიწებითი გრძნობა მორწმუნე მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა, რის შესახებ დაიბეჭდოს საეკკლესიო უწყებათა «ჟურნალში».

—

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის დასდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

მპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 18 1883—1900 30 სექტემბერი.


## პირველი სიტყვა,

თქმული მის ყოვლად უსამღვდელოესობის ლეონიდის მიერ ქუთაისის საკათედრო ტაძარში 17 სექტემბერს პირველად ეპარქიაში შემობრძანების დროს.

> გარდამოიხილენ ზეცით, უფალო, და იხილე, და მოხედე ვენახსა ამას შენსა, და განამტკიცე ეგე, რომელ დაასხა მარჯვენემან შენმან!

ქვენ უკვე გესმათ ეს საყვედრებელი სიტყვები დღეს თქვენში ჩემ მიერ პირველად შესრულებული წირვის დროს; მოისმენთ მათ შემდეგშიაც ყოველი წირვის დროს. ეს ლმობიერებითი მოწოდება, რომელსაც ასე ბრწყინვალედ წარმოსთქვამს ხოლმე მღვდელ-მთავარი, მიქცეული პირით მლოცველთადმი და მპყრობელი მარჯვენა ხელში ჯვარისა, ხოლო მარცხენაში ბრწყინვალედ ანთებული დიკირისა, აღვსილია ღრმა აზრით და მასთან მეტად საგულისხმო და საგონებელია ეკ-კლესიის მორწმუნე შვილისათვის. ამიტომაც პირველ ჩემ მღვდელ-მთავრულ საუბარს შენთან, საყვარელო ჩემო ახალო სამწყსოვ, ვიწყებ სახელდობრ ამ გულის სიღრმემდე ჩამწვდომი საყვედრებელით. ან კი რაღა უნდა ვისურვო უკეთესი ამ თქვენთან პირველად შეხვედრაზე, თუ არა ის, რომ ზეციური მამა ჩვენი იყოს თქვენზედა მუდამ ჟამს მოწყალე თვალით, ხედავდეს თქვენ კეთილ საქმეებს, შრომათა და გაჭირვებათა, მოუვლინოს თქვენს სულსა და გულსა თვისი მადლი და სიყვარული და განგამტკიცოთ სათნო და ღვთისნიერ ცხოვრებაში? განა შემეძლო მომეტანა და გად-

მომეცა თქვენთვის უძვირფასესი, უმაღლესი, წრფელი და უპირუთვნელესი რამ ამ პირდაპირ გულის სიღრმისაგან წარმომდინარე სურვილისა გარდა: „მოხილენ ზეცით, უფალო, და იხილე, და მოხედე ვენახსა ამას შენსა, და განამტკიცე ესე, რომელ დაასხა მარჯვენამან შენმან!"

აღნიშნულ სიტყვებში თქვენ, საყვარელნო მსმენელნო, მიმსგავსებული ხართ ზვარს, ანუ ვენახს. და ვინ არ უწყის, თუ რა ძვირფასი და საყვარელია ყოველი მევენახისათვის ვენახი? ვინ არ იცის, რომ მევენახე დღე და ღამ იმის ფიქრში და ზრუნვაშია, თუ როგორ მოაშენოს ვაზები, გააპოხიეროს და საუკეთესოდ დაიმუშაოს მიწის ნიადაგი, მორწყოს და გასწმინდოს ვენახი, შემოავლოს ზღუდე, დაიცვას და დაიფაროს იგი ყოველიფრისგან, რაც კი მას ავნებს და აზარალებს? ვინ არ უწყის, თუ რა შრომა და ხარჯი, გასაოცარი მეცადინობა, დღე-ღამითი ზრუნვა და მჭარე ოფლის ღვრა სჭირდება მევენახეს, რომ მან გააშენოს რამდენადმე მაინც რიგიანი, ღირებული და შემოსავლიანი ზვარი?

მაგრამ ვის შეუძლია, გკითხავთ თქვენ, წარმოიდგინოს მთელი სიღრმე, ძალა და უსაზღვრო სიყვარული მწყემსისა სამწყსოთადმი? კაცი არის გვირგვინი ბუნებისა, მეფე ქვეყნისა, მსგავსება და ხატება ღვთისა, იგია ქვეყანაზე ერთად-ერთი ქმნილება, რომელშიაც არის ცხოველი სული, მაშასადამე, რამდენად სხვა-და სხვა ფერი, მრავალკეცი, ძნელი, ბრძნული და მოსაზრებული უნდა იყოს შრომა, ზრუნვა და ფიქრი მწყემსისა სამწყსოთადმი? რამდენი გონიერება, ნიჭი, გამოცდილება, გამჭრიახობა, თავის თავის შეკავება, დიდ-სულოვნება და მოთმინებაა საჭირო, რათა ღირსთა თანა ერთად მწყემსიც შეიქნეს ღირსი, უგრძნობი გულისხმიერ ჰყოს, უსასოოს ნუგეში ჰსცეს, სუსტი განამტკიცოს, ერთი სიტყვით ყოველთა ექმნეს ყოვლად, რათა ყოველნი აცხოვნოს (ა. კორ. 9, 22). აი ამ დიდი საქმისათვის, ამ გულითადი და უსაზღვრო სიყვარულისა, დაუცხრომელი შრომა და ზრუნვისა, მუდმივი ცდა და ფიქრისა რათა ამითი შეგძინო შენ, საყვარელო ჩემო სამწყსოვ, სულიერი ბედნიერება და საუკუნო ცხონება, მოწოდებულ ვარ შენდამი და აღყვანილ იმერეთის ეკკლესიის ძველს ტახტზე, რომელზედაც უძახურნიათ დიდებულ, ღირსეულ და წმინდა მღვდელთმთავრებს და მათგან, თითქმის, თითოეულ თქვენთაგანს ჯერ კიდევ ცხადად თვალ-წინ უდგია ნათელ-მოსილი სურათი ნეტარ-ხსენებული ყოვლად სამღვდელო გაბრიელისა, რომელიც ნათლად ბრწყინავდა ამ სასანთლეზე უმეტეს ოცდა ხუთმეტი წლისა. გულ-წრფელად, ცხადად და გაბედულად ვიტყვი, რომ მე ასე პატივცემულ ვიქმენი არა ჩემი სამსახურისათვის, ვინაიდგან მე ჯერეთ არავითარი სამსახური არ მიმიძღვის; არა ჩემი ნიჭიერებისათვის, ვინაიდგან უძლურ ვარ სულითა, მოკლებულ ნიჭიერებას და მწირ არს საუნჯე ჩემთა ცოდნათა. არა, მარტოოდენ უკეთილმსახურესის ხელმწიფის სათნოყოფამ, მხოლოდ კეთილ-ნებობითმა წადილმა სრულიად რუსეთის ეკკლესიის უმაღლესი გამგეობისამ, მხოლოდ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ფლავიანეს, საქართველოს ეკკლესიის კეთილი ანგელოზის მამობრივმა სიყვარულმა, ჩემ მიერ დაუმსახურებელმა ყურადღებამ და მისმა ნამდვილად მშობლიურმა განწყობილებამ ჩემდამი და არა რაიმე ჩემმა ღირსებამ დამადგინა მე თავად ამ უძველესი ეკკლესიისა. ვითვალისწინებ რა ყოველივე ამას, აღვივსები შიშით და სულიერი კრთომილებით და მზადა ვარ აღვიარო: „უფალო, აღირჩიე, რომელსაც უმეტეს შეუძლია და იგი მიავლინე" (გამოს. 4, 13).

გარნა მანუგეშებს და მამხნევებს მე ის გარემოება, რომ უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, დაადგინა რა თვის ეკკლესიისათვის მწყემსნი, არ დაუტევა იგინი მარტო მათი ძალისა და ნიჭის ანაბარად: „აჰა მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე დასასრულამდე ქვეყნისა; მე ვსთხოვ მამასა, და სხვა ნუგეშინის მცემელს მოგივლენთ თქვენ და იქნება თქვენთან საუკუნოდ, სული ჭეშმარიტებისა, რომელი გასწავებს თქვენ ყოველსავე", რქვა მან თვისთა მოწაფეთა და მათ მიერ თავისი ეკკლესიის ყოველთა მწყემსთა ვიდრე დასასრულამდე ქვეყნისა. მრწამს და მჯერა, რომ იგი არ დამაგდებს მე უღირსსა უმწეოდ; მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ სული ჭეშმარიტებისა, რომელმაც მომიწოდა მე ამ მსახურებისათვის, შემაგონებს, მაცოდინებს და დამამტკიცებს მე ყოველსა ჭეშმარიტებასა ზედა მიუხედავად ჩემი უძლურებისა და უღირსოებისა.

წინაშე თქვენისა და აქა უხილავად მყოფისა მეუფისა დიდებისასა ვდებ მტკიცე აღთქმას, რომ არ დავზოგავ არც დროს, არც ღონეს, არც შრომას აღსასრულებლად განგების მიერ ჩემდამი მონიჭებული დიკი საქმისა, რომელიც შეეხება თქვენი სულის ცხოვნებას. მუდამ გულ-წრფელად, მხურვალედ და თავ გამოდებით ვილოცავ, რათა განმტკიცდეთ თქვენ ქრისტიანული ცხოვრებით და, რამდენადაც შემეძლება, ხშირად შევსწირავ თქვენთვის ყოვლად მოწყალე ღმერთს უსისხლო მსხვერპლს, მოვალეობად მექნება აღიარებული ხშირად მიმართვა საღმრთო წერილისადმი, რათა იქიდან მოგაწოდოთ ხოლმე უხრწნელი საზრდელი სულთა თქვენთათვის. ამას მოვახმარებ ყოველივე ჩემს ცოდნას და თავისუფალ დროს, მთლად ამას ვემსახურები სულით და გულით, და მარტო ეს იქნება ჩემი მსახურების უმაღლესი მიზანი.

ამიტომ გთხოვთ, გულითადად გთხოვთ ყველას და თითოეულს თქვენგანს, ჩემო ძვირფასო მსმენელნო კაცნო და ქალნო, ნუ დამტოვებთ მე მარტოდ ღვთის მსახურების აღსრულების დროს, სიყვარულით და ხალისით მოხვიდოდეთ ხოლმე ეკკლესიის ზარის ხმის გაგონებისთანავე, გთხოვთ დაესწრებოდეთ ხოლმე საღმრთო მსახურებას, როდესაც შეიწირება ჩვენ ცოდვილთათვის მსხვერპლად სისხლი და ხორცი მაცხოვრისა, ყურადღებით ისმენდეთ ხოლმე სიტყვა-მოძღვრებას და მტკიცედ ჩაინერგავდეთ ხოლმე გონებაში ყოველივე მას, რასაც სასარგებლოდ დაინახავთ, მორჩილებით და თავმდაბლობით აიტანეთ თვით მხილებაც კი, როდესაც იგი საჭირო იქნება, რათა თქვენ შორის განმტკიცდეს სარწმუნოება და სიყვარული ქრისტესი.

გარნა თქვენ, პატივცემულნო თანა-მსახურენო სულიერნო მამანო, ნება მიბოძეთ ვიფიქრო და ვიმედოვნო, რომ ჩემს შრომათა და ზრუნვათა დროს სამწყსოის უმაღლეს ბედნიერების შესახებ, პირველნი გამომიწვდით მე დახმარების ხელს და მუდამ მზად იქნებით შემწეობა და დახმარება აღმოუჩინოთ ყოველივე ჩემ კეთილ დაწყებულებათ და განზრახულებათა. მწყემს-მთავარი ჩვენი, იესო ქრისტე გიწოდებს თქვენ მარილს და ნათელს ქვეყნისას. გთხოვთ და გევედრებით საქმით გაამართლოთ თქვენი ესოდენ მაღალი მოწოდება. უპირველეს ყოვლისა იქონიეთ ურთიერთ შორის მშვიდობა და ძმური სიყვარული, დაეხმარეთ ერთი ერთმანეთს გაჭირვებასა და უბედურებასა შინა, ანუგეშეთ ერთმანეთი თქვენდამი მოწევნილ მწუხარებასა შინა. რომელნიც თქვენ შორის უფრო გამოცდილნი და განსწავლილ არიან მღვდელობაში, მათ გაუზიარონ თავიანთი ცოდნა მცირედ გამოცდილთ; რომელიც სუსტია და მცირე ცოდნა აქვს, იგი მოეპყრას შესაფერი პატივით და მორჩილებით თავისს განათლებულ, ნიჭიერ და შეგნებულ თანამოძმეს; ამასთან იყვენით თქვენი სამწყსოისათვის კეთილნი მწყემსნი და არა „ფასით დადგენილნი“, ყოველი ღონის ძიებით დაიფარეთ ისინი ურიცხვთა მგელთაგან, რომელთაც სწყურიანთ წარტაცება და განბნევა მათი, გააცანით ყველას და თითოეულს ყოველ მოხერხებულ შემთხვევის დროს ქრისტეს სწავლა-მოძღვრების ჭეშმარიტებანი, ჩანერგეთ მათ გულსა და სულში ნამდვილი ქრისტიანობა, განწმინდეთ მათი სული, რათა იგი შეიქნეს სადგურად სულისა წმიდისა, დაამკვიდრეთ მათ გულსა და გონებაში უფალი ჩვენი იესო ქრისტე, მოსპეთ მათ შორის ნიადაგი, რომელზედაც ხარობენ სხვა-და-სხვა სათაკილო ჩვეულებანი, გულის გასაგმირავი განყოფილებანი, საზიზღარი მომჩივნობა, ბეზღობა და ცილის წამება. საზოგადოდ გთხოვთ გამხნევდეთ სულით, აღბრთოვანდეთ ახალი გულს-მოდგინებით და აღიჭურვოთ განსაკუთრებითი «შურით» ეკკლესიისადმი.

თუ ასეთი ერთ სულობით და თანხმობით მოვიქცევით, თუ მსგავსი გულ-წრფელი ნდობით მოვეპყრობით ერთი-ერთმანერთს, ასე დავეხმარეთ ერთი მეორეს, უეჭველია არც უფალი მოგვაკლებს თვის კურთხევას, უსათუოდ მოგვანიჭებს თვის მოწყალებას და არ დააყოვნებს მოგვმადლოს ჩვენ ყოველივე სასარგებლო ჩვენი სულისა და სხეულისათვის. მშვიდობა, თანხმობა და ძმური ერთობა ჩვენ შორის საზოგადო მოღვაწეობის

დროს—ღვთის ყანაში, იქნება ჩემთვის უმაღლესი ბედნიერება, რომელიც გამამხნევებს მე ახალი შრომისათვის; მხიარულ მყოფს და მომცემს შვილებრივ კადნიერებას მარად ჟამს შევთხოვო ხოლმე უფალსა თქვენთვის და სამწყსოთა თქვენთათვის ესრეთ: „გარდამოიხილე ზეცით, უფალო, და იხილე, და მოხედე ვენახსა ამას შენსა, და განამტკიცე ეს, რომელ დაასხა მარჯვენემან შენმან!“ ამინ.

## ახალი საბლაღოჩინო ოლქების გაუქმება იმერეთის ეპარქიაში.

ჩვენ მკითხველებს, და იმერეთში არა მკითხველებსაც, კარგად მოეხსენებათ ისტორია ახალი საბლაღოჩინო ოლქების დაარსებისა და ახალი ბლაღოჩინების დანიშვნისა. კარგად იციან აგრეთვე, თუ რას თხოულობდა სამღვდელოება და როგორ ასრულდა მათი თხოვნა*). განსვენებული ყოვლად სამღვდელო ბესარიონის განკარგულება საბლაღოჩინო ოლქების დანაწილებისა და ახალი ბლაღოჩინების დანიშვნისა არ იქმნა მოწონებული სინოდალნი კანტორისაგან და მინდობილი ქონდა ყოვლად სამღვდელო ლეონიდს მათი შეხედულებისამებრ დაებოლოვებია ეს მრავალი საჩივრებით გამწვავებული კითხვა. მათმა მეუფებამ ეს ახალი საბლაღოჩინო ოლქები სრულებით გააუქმა და ყველა ახალი ბლაღოჩინებიც დაითხოვა. საზოგადოებაზე და განსაკუთრებით სამღვდელოებაზე ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ყოვლად სამღვდელოს ამისთანა განკარგულებამ და ყველას იმედი შთაუნერგა, რომ იმერეთის ეპარქია ახალი მღვდელთ-მთავრის წყალობით კეთილ წარმატების გზას დაადგება... სამღვდელოების კეთილ წარმატების გზაზედ დადგომათ ჩვენ ის კი არ მიგვაჩნია, რომ ახალი საბლაღოჩინო მაზრები გაუქმდა და ზოგიერთი საბლაღოჩინოები ამით გადიდდა, არა, ჩვენ ამ განკარგულებაში ვხედავთ მთავრობის სიმტკიცეს და მის შორს გამჭვრეტელობას, ვხედავთ დაცემულთ სიმართლის და მართლმსაჯულების აღდგენას. აი ეს არის სასიამოვნო საზოგადოებისათვის და იმედის ჩამნერგველი.

ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ზოგიერთ საბლაღოჩინოების გაყოფის აზრი თვითონ სამღვდელოებაში იყო აღძრული. 1896 წელში განსვენებულმა იმერეთის ეპისკოპოსმა ბესარიონმა მისწერა სამღვდელოებას, რომ არც ერთი მათგანს ბლაღოჩინის ნება-დაურთველად და უბილეთოთ ქუთაისში ან სხვაგან წასვლა არ გაებედა. ამ განკარგულების გამო სამღვდელოების კრებაზე 1897 წელში ზოგიერთმა დეპუტატებმა აღძრეს კითხვა, რომ ეს განკარგულება ყველა სამღვდელო პირთათვის სავალდებულო არ ყოფილიყო. ზოგიერთმა დეპუტატებმა განაცხადეს: „ჩვენ რომ ბლაღოჩინისაგან ბილეთი ავიღოთ ქუთაისში წასასვლელად, სამოცი ვერსი უნდა გავიაროთ აქეთ-იქით ბილეთის ახლებათო და უბილეთოთ თუ წავედით ქუთაისში, ხუთი ვერსის მეტს არ ვივლითო“. ზოგიერთმა განაცხადა: „საბლაღოჩინოს კრების შედგენა გვიძნელდება სიშორის გამოო“. სამღვდელოების კრე-

*) იხ. „მწყემსი“ № 5 1900 წ.

ბაზე ეს კითხვა კარგად გამოირკვა და ე:რ-ნალიც დაადგინეს, რომ ზოგიერთი დიდი სამღვდელოჩინო ოლქები გაეოფილიეო. მაგრამ, სამწუხაროდ, გაჰქვეს არა ისე, როგორც საუმ-ჯობესო და სასარგებლო იეო სამღვდელოე-ბისათვის, არამედ როგორც მოსახერხებელი და დაახლოებით იქნებოდა სამღვდელოჩინო კანდიდატებზე. ამან გამოიწვია საჩივარები და უკანონოდ ნამოქმედარი დაირღვა. ჩვენ სრუ-ლი დარწმუნებული ვართ, რომ სამღვდელო-ების თხოვნა ზოგიერთი დიდი სამღვდელოჩი-ნოების გაეოფის შესახებ მაინც ასრულდება ბოლოს.

დეკ. დ. ღამბაშიძე

ჩემი სასიხარულო და სამწუხარო შთაბეჭდი-ლებანი აზიის და ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს.

(გაგრძელება*)



წმიდა სტეფანეს ტაძარი.

ველაზე შესანიშნავი ვენის შენობათა შორის არის წმიდა სტეფანეს ეკკლესია. ამ ტაძრის შენობა დაწყებულია მეცა-მეტე საუკუნის დამდეგიდან და დას-რულებულა მეთოთხმეტე საუკუნეში.

ეკკლესია აგებულია რომანიული ხა-სიათის გეგმით. ამა ადგილას ყოფილა ძველი ტა-ძარი მეთორმეტე საუკუნეში, რომლის მცირე ნაშთები ტაძარს დღესაც ეტყობა. სამხრეთით ამ ტაძარს აქვს მაღალი კოშკი მშვენიერი ხელოვნე-ბით აგებული, რომელიც დასრულებულია 1433 წელში და ჩრდილოეთის მხრით დარჩენილია. ტაძარს ჯვრის სახე აქვს. სიგრძე ტაძრისა ორ-მოცდა თორმეტი საჟენია. ეკკლესია შიგნით მობ-ნელოა და რაღაცა უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. შიგნით ტაძარში მრავალი ქანდაკებანი არის და ხელოვნური და გასაოცარი ჩუქურთმებით არის მორთული ეკკლესიის კედ-ლები. ფანჯრის შუბები მოწითალოა და წმიდანე-ბის სახეები არის დახატული, რომელნიც მშვენი-ერად გამოსჭვირის. ეს მხატვრობა ძლიერ შესანიშ-ნავია. საკურთხეველთან ქვის ფიქალია, რომე-ლიც ფარავს მეფეების აკლდამის შესავალს. ამ აკლდამაში ორასი წელი გადის, რომ მეფის გვა-რეულობისანი არ იმარხებიან. მეფის გვარეულო-ბის პირნი კაპუცინის ეკკლესიაში იმარხებიან დღეს. ამ კაპუცინების ეკკლესიის ერთ სამლოცვე-ლოში, რომელიც აგებულია წმიდა თეკლეს სა-ხელზე, არის ფრიდრიხ III „სარკოფაგი“ თეთრი და წითელი მარმარილოსაგან მშვენიერად გაკეთე-ბული. ორგანო ამ ტაძრისა ერთი უკეთესი მუ-სიკა არის მთელს ევროპაში.

გარეშემო ადგილები ვენისა ძლიერ შესანიშ-ნავია და ღირს ნახვათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ, დროს უმექონებლობისა გამო, რადგან პარიჟში ექიმების კონგრესზე მივიჩქაროდით, დაგვრჩა დაუთ-ვალიერებელი.

ბევრისათვის ძლიერ გასაკვირველია, თუ რო-გორ არსებობს ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფო, რომელიც ამდენი სხვა-და-სხვა სარწმუნოების და ენით მოლაპარაკე ხალხებისაგან შესდგება. ამ კითხვის შესახებ, ჩვენის აზრით, ორიოდე სიტყვა მეტი არ უნდა იქნეს მე და შენთვის, ჩემო საყ-ვარელო მკითხველო, და იმედია არ მოგეწყინება, ცოტა რამ რომ მოგითხრათ ამ ხალხების შესახებ.

სწორედ იშვიათია ისეთი სახელმწიფო, რო-გორიც არის ავსტრო-უნგრეთი, სადაც ერთი უფ-ლების ქვეშ შეერთებულია მრავალი სხვა-და-სხვა ერი და ისიც ისეა შეერთებული, რომ არცერთი არ არის არც გადაგვარებული და არც მეორისა-გან შთანთქმულ-დამონებული. ამ ქვეყანაში არის სამი უმთავრესი ჯგუფი: გერმანელები, სლავები

*] იხ. „მწყემსი“ № 17, 1900 წ.

და მადიარები, რომელნიც მეტის-მეტად განსხვავდებიან ერთიერთმანერთში: ბოჰემიის, მორავიის და სილეზის სლავებს გარდა, არიან გალიციის სლავები, პოლნელები და რუტენები; არიან აგრეთვე სლოვაკები, სლოვენები, კროატები, სერბები და სხ. სამზღვრები თვითეული ამ ერების თუმცა გარკვეულია, მაგრამ მაინც თვითეულ მათგანს სხვის სამფლობელოშიდაც შეხვდებით. ეს ხალხის მრავალ-ფეროვნება ისეთ ნიადაგზეა დამყარებული, რომ ძნელი წარმოსადგენია მისი ოდესმე მოსპობა. ვერაფერს ვერ იტყვის კაცი, თუ რომელი რომელს დასძლევს და რომელი რომელს წააჰარბებს, თუმცა სლავების ჯგუფი უფრო მეტია სახელმწიფოში, ვიდრე გერმანელების და მადიარების, მაგრამ ჩრდილოეთის და სამხრეთის სლავები ისე არიან დაშორებული, რომ მათი შეერთება ყოვლად შეუძლებელია. გარდა ამისა თვითეულ ერს, თვითეულ ნაწილს ერისას აქვს საკუთარი დედა-ენა, რომელსაც იგი მეტის-მეტ სიჯიუტით იცავს; ამ ენას ხმარობს იგი მუდამ და ყოველგან თავის კერძო და საზოგადო ცხოვრებაში, დიდ უბედურებად მიაჩნია მისი დავიწყება-დაკარგვა, და ცდილობს, რომ მისი არსებობა თვით კანონისაგანაც დადგენილი და შემოღებული იქმნეს. ამნაირად ეროვნულადაც ენის მხრივაც ყოვლად წარმოუდგენელია ავსტრიის გაერთიანებულ ერის შექმნა, არავითარი კავშირი მათ შორის არ არსებობს, იმის მეტი, რომ ერთის ხელმწიფის უფლების ქვეშ არიან.

ამ ნახევარ ხალხის უფროსობა აქვს ფრანც-იოსებს, რომელიც ითვლება ავსტრიის იმპერატორად და იმავე დროს უნგრიის მეფედ. წინეთ გიამბეთ, თუ როგორი მმართველობა არის ამ სახელმწიფოში. აქ სახელმწიფოს მართავენ ხალხისაგან არჩეული პირები, რომელნიც პარლამენტს შეადგენენ. არა ვითარი შემოსავალი და გასავალი ფულებისა, არავითარი ხარჯი სახელმწიფოში არ მოხდება, თუ პარლამენტმა არ განიხილა და ნება არ დართო. პარლამენტში წარმომადგენლების რიცხვი ყველა ერებს რაოდენობისამებრ არა ჰყავთ. გერმანელებს შემდეგ მეტი გავლენა მადიარებს აქვს. ასე რომ უფროსობა პოლიტიკური აქვსთ ხელთ ჩაგდებული ამ ორ ერს, რომელიც ცდილობს სხვა დანარჩენ ერების დაჩაგვრას; ეს წესი დამყარდა 1868 წლის შემდეგ, როდესაც მადიარებმა ისარგებლეს ავსტრიის სისუსტით და დაითანხმეს ფრანც-იოსები, რომ მათ თვით მმართველობა მინიჭებოდათ და ავსტრიის მეფეც დაგვირგვინებულიყო როგორც მადიართა მეფე. თუმცა გერმანელების და მადიარების რიცხვს სლავების რიცხვი სჭარბობს, და თორმეტ დიდ ქალაქში შვიდი სლავების დედა-ქალაქებს წარმოადგენს, მაინც მათი გავლენა სახელმწიფო საქმეზე მეტად მცირეა. მაგრამ თან და თან დაჩაგრული მხარე ცდილობს მეტი უფლების მოხვეჭას და ეს არის ხოლმე მიზეზი ხშირი გამწვავების და შეტაკების, რომელიც ხდება ხოლმე ხშირად ავსტრიის პარლამენტში და ხან-და-ხან იმდენ ხანსაც გაგრძელდება, რომ იძულებული ხდებიან რამდენიმე კვირის განმავლობაში სულაც შეაჩერონ ხოლმე სხდომები. ხან-და-ხან ისეთ უცნაურობასაც-კი ჩადიან ხოლმე კრებებზე, როგორიც მაგალითად ამ გამოზაფხულის კრებებზე ჩაიდინეს ჩეხელების წარმომადგენლებმა, რომ ერთის შეხედვით სწორედ გასაოცარი რამ არის. მართალია, თუმცა ხშირია ხუბი და უწესოებაც კი, მაგრამ ყოველივე ეს ისეთს ზიზღს არა ჰგვრის გარეშე თვალყურის მადევნებელს, როგორსაც ჰგვრის უმოქმედობა, მიძინებულობა და თავშეუდებლობა ზოგიერთ სხვა ქვეყნებში დამკვიდრებული. პირველი სიცოცხლის ნიშანია, იმედის მომცემი, გამამხნევებელი და მეორე კი იმედის მომსპობი და დამაწუხებელი. და ამით ძალაუნებურად სახარბიელო გამოდის მათი ცხოვრება, თუმცა ბევრი აურ ზაური და დავიდარაბა ჰხდებათ თავს, რადგანაც თვითეული საათი სიფხიზლეშია გატარებული და არა მუდმივ ძილში და გაურკვევლობაში, რომელიც ბევრს ცხოვრების კმაყოფილებათ წარმოუდგენია.

კიდევ ბევრი რამ ითქმის ამ ქვეყანაზე, მაგრამ მეტად გაგრძელდება ჩვენი აღწერა და მკითხველის ყურადღების მოქანცვას ვერიდებით. ვეცდებით ოდესმე დავუბრუნდეთ ცოტას ხნით ამავე საგანს, მხოლოდ იმისათვის, რომ რამოდენიმე ამბავი მოვუთხრათ მკითხველს ჩეხების ისტორიიდან, რომელიც მეტის-მეტად საგულისხმოა და თანაც გასაცვიფრებელი. ამაზედ შემდეგ ვიბაასებთ.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

## ეპარქიის სამღვდელოების პენსიების შესახებ.

ამ უკანასკნელ დროს როგორც სასულიერო ისე საერო დრო-გამოშვებით გამოცემებში ხშირად სწერდენ, რომ დღეს არსებული კანონები ეპარქიის სამღვდელოების პენსიების და ერთ დროებითი შემწეობის შესახებ შეიცვლებაო. ახალი პროექტით პენსიები და ერთ დროებითი შემწეობანი მღვდელ-მოსამსახურეთ გარდა დაენიშნებათ მედავითნეთაცო. ეს უკანასკნელი ამბავი ყველასათვის ფრიად სასიხარულო შეიქნა. საწყალ მედავითნეთ, რომელთა ჯამაგირებიდამ იჭერდენ 2% პენსიის თანხის შესადგენად და კანონით კი არავითარი პენსია არ ენიშნებოდათ. ამ ახალ ამბებში მეორე ის იყო სასიხარულო, რომ მღვდელ-მოსამსახურეთ უფრო მომეტებული პენსიები დაენიშნებათო. ეს კითხვა ამ მცირე ხანში საბოლოოდ გადაწყდება. „პეტერბურგის სასულიერო მახარებელმა, რომელსაც ამ კითხვის შესახებ საჭირო ცნობები მიუღია „საიმედო წყაროსაგან" თავის გამოცემის მე-29—30 №-ში დაბეჭდა ივლისის თვეში ვრცელი ისტორიული ცნობები სამღვდელოების პენსიების შესახებ და თვით პროექტი წესდებისა ეპარქიის სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთა და მათ ოჯახობათა პენსიების და ერთ დროებითი შემწეობის დანიშვნის შესახებ". ეს პროექტი, უ. ობერ-პროკურორის განკარგულებით, შემუშავებულია უწმიდეს სინოდთან არსებულ ეკონომიურ გამგეობაში, განხილულია განსაკუთრებულ მოლაპარაკების დროს ცენტრალური სასულიერო უწყების წარმომადგენელთაგან და დღეს განხილულ უნდა იქმნეს ამ მიზნისათვის წარსულ მაისის თვის 1 უმაღლესად დაარსებულ კომისიაში პეტერბურგის მიტროპოლიტის ანტონის თავმჯდომარეობით და ამ კითხვის განხილვის დროს მონაწილეობა უნდა მიიღონ ფინანსის, იუსტიციის, კანტროლის და სასულიერო უწყების წარმომადგენლებმა.

ალნიშნული პროექტის ძალით პენსიის ანუ ერთ დროებითი შემწეობის მიღების უფლება ეძლევათ მღვდელ-მოსამსახურეთ და მედავითნეთ, რომელნიც გამოვლენ შტატ გარეთ, დადებული წლების სამსახურის გათავების შემდეგ, ხოლო მათი სიკვდილის შემდეგ პენსია და ერთ დროებითი შემწეობა ეძლევათ მათ ქვრივებს და ობოლთ. მღვდელ მოსამსახურენი და მედავითნენი, რომელნიც იმსახურებენ 20—30 წლამდე, შტატ გარეთ გამოსვლის შემდეგ მიიღებენ პენსიის ერთ მესამედს, რომელნიც იმსახურებენ 30 35 წლამდე, ისინი მიიღებენ პენსიის ორ მესამედს და რომელნიც იმსახურებენ 35 წელს და მეტს, მიიღებენ სრულს პენსიას. რომელნიც გამოვლენ შტატ გარეთ სამსახურში დაავადმყოფობის გამო, მიიღებენ 20—30 წლების სამსახურისათვის პენსიის ორ მესამედს, 30 წლის სამსახურისათვის იღებენ სრულს პენსიას. თუ ვინმე ისეთი უკურნებელი ავადმყოფობით გახდა ავად, რომელთა გამო არა თუ სამსახურის გაგრძელება აღარ შეეძლებათ, არამედ სხვის დაუხმარებლად ცხოვრებაც კი აღარ შეეძლებათ, მაშინ ისინი, რომელთაც უმსახურნიათ 5—10 წლამდე, მიიღებენ პენსიის მესამედს, 10—20 წლამდე—მიიღებენ პენსიის ორ მესამედს, ხოლო 20 წლის სამსახურისათვის სრულ პენსიას. პენსია უნდა იქნეს ახალი პროექტით შემდეგი: დეკანოზებს—საკათედრო ტაძრების წინამძღვრებს 420 მან. წელიწადში, კანდელაკებს და ქალაქის სობოროების წინამძღვრებს 360 მან., ქალაქის ეკკლესიების მღვდლებს და საკათედრო ტაძრების პროტო-დიაკვნებს 300 მან., სოფლის ეკკლესიების მღვდლებს 240 მან., შტატის სოფლის დიაკვნებს და საკათედრო ტაძრის იპოდიაკვნებს 150 მ.ნ., ქალაქის ეკკლესიების შტატის მედავითნეთ 120 მან. და სოფლებისას 90 მან., რომელთაც უმსახურნიათ ბლაღოჩინის ანუ სამრევლო სკოლების მაზრის მეთვალყურის თანამდებობაზე არა ნაკლებ 10 წლისა, მათ პენსიას ემატება წელიწადში 60 მან. ქვრივებს ეძლევათ მათი ქმრების პენსიის ნახევარი შესაფერი ნაწილის დამატებით ვაჟისა ანუ ქალის სასარგებლოდ. უდედ-მამო ობოლს ეძლევა მისი მამის პენსიიდგან ერთი მეოთხედი თითოეულს, ასე რომ ოთხი ანუ მეტი ობოლი მიიღებს სრულ პენსიას. ერთ დროებითი შემწეობა ენიშნება იმ სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთ, რომელნიც გამოდიან სამსახურისაგან ავად-მყოფობით და არ უმსახურნიათ პენსიის მიღებისათვის დადგენილი დრო, და აგრეთვე მათ ოჯახობათ.

ასეთია უმთავრესი მუხლები პროექტისა სამღვდელოების ახალ პენსიების შესახებ. შეიძლება, ზოგიერთი მისი ნაწილები, მაგალითად, პენსიის ფულის რაოდენობა, შეიძლება შეცვლილ იქმნეს კომისიის მიერ ამ პროექტის განხილვის დროს, მაგრამ რაც უნდა იქნეს, ეს კი დანამდვილებით შეტყობილია, რომ როგორც მღვდელთ ისე მედავითნეთ დაენიშნებათ მომეტებული პენსია, რომელი ამბავიც გულ-წრფელ სიხარულს გამოიწვევს სამღვდელოებაში.

## კათოლიკეთა მისსიების ფანჩატური (Павильонъ) მსოფლიო გამოფენაზე პარიჟში.

საფრანგეთის პრესსამ, სამღვდელოებამ და კათოლიკეთა გულს მოდგინე მომხრეებმა ჯერ კიდევ გამოფენის გახსნამდე გამოაცხადეს, რომ გამოფენა საფრანგეთისათვის იქნება დამღუპველიო. გამოფენის მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ, რომ გამოფენა დამღუპველი იქნება მრეწველობისათვის. საფრანგეთი დაანახვებს და შეატყობინებს მთელს ქვეყანას ყოველივე მას, რითაც საფრანგეთის მრეწველობა წინა სდგას და უცხო ქვეყნელები შეისწავლიან ყოველივე ამაებს, უცხო ქვეყნელები ქება-დიდებას შემოგვწირავენ, მაგრამ თვითონ კი, საფრანგეთის წყალობით, ოქროებს შეიძენენ. გამოფენა ეკონომიურადაც იქნება დამღუპველი. პროვინციებში მცხოვრებნი პარიჟში მოიტანენ თუ რამ გააბადიათ და აქ უთავბოლოდ გაფლანგვენ თავიანთ უკანასკნელ გროშს. გამოფენა შეიქნება მავნებელი ხალხისათვისაც. გამოფენის მოსაწყობად და ასაშენებლად საჭირო შეიქნება მრავალი მუშა ხალხი; ეს მუშა ხალხი, რასაკვირველია, ბლომად მოიპოვება, მაგრამ შემდეგ, როცა ისინი საჭირონი აღარ იქნებიან, ეს ხალხი დარჩება უსაქმოდ და უსაშუალოდ; ბევრნი მათგანი იწყებენ უსაქმოდ თრიალს და შემდეგში შეადგენენ ფრიად მავნებელ და საშიშო ბრბოს. დასასრულ—და აქ არის უმთავრესი უბედურება, გამოფენა დამღუპველი იქნება ზნეობრივი მხრითაც. პარიჟში თავს მოიყრის უსაქმო ხალხი სხვა-და-სხვა ქვეყნებიდან იმ იმედით, რომ აქ ისინი მოიპოვებენ სიამოვნებას, რომ დროებით მაინც დაივიწყონ მოწყენილობა. ეს უსაქმო ხალხი, რომელიც მარტო სიამოვნებას ეძიებს, შემოიტანს ჩვენში გარყვნილებას.

ყველა ამ მსჯელობათაგან შეგვიძლია გამოვიყვანოთ შემდეგი ლოღიკური დასკვნა: უნდა ვებრძოლოთ, რომ გამოფენა არ გაიმართოს, უნდა მოუწოდოთ, ვისაც კი ხალხის სიკეთე სურს, რომ დახმარება გაგვიწიოს ამ საქმეში და ყოველ შემთხვევაში უნდა ვეცადოთ, რომ არავითარი მონაწილეობა არ მივიღოთ ამ საქმეში, რომელიც, ჩვენის აზრით, სიუგნურე და ხალხის დამღუპველი იქნება“. მაგრამ საქმით სულ სხვა გამოვიდა. გამოფენა, ფიქრობდნენ კათოლიკეთა ინტერესების დამცველნი, ხომ უსათუოდ გაიმართება, ჩვენ მომხრეობას გაუწევთ მას, თუ წინააღმდეგობას, მაგრამ თუ ჩვენც მივემხრობით გამოფენას და გამოვაქვეყნებთ ჩვენს შრომას და ამ ნაშრომის შედეგებს, მაშინ გამოფენის ცუდი მხარეები დაიფარება. საფრანგეთის თითოეულ სოფელში არის ეკკლესია, რომელშიაც ცოტა თუ ბევრი ხალხი დაიარება, და თითოეულ სოფელშივე არის სასმელის დუქანი, რომელიც ხშირად იქვე ეკკლესიის გვერდშივეა და მასში დიდ ძალი ხალხიც დაიარება. ნუ თუ ეკკლესია რომ დავხუროთ, დუქანიც დაიხურება? წინააღმდეგ, უნდა ვიფიქროთ, რომ დუქნის ცუდი ზედ-გავლენა მაშინ ერთი ასად მოიმატებს. კათოლიკეთა ნაშრომის გამოქვეყნება დიდს, მაგრამ მცირე ქრისტიანულ, გამოფენაში, იქნება ეკკლესია მახლობლად სასმელის დუქნისა. გამოფენაზე იქნება მრავალი სასმელის დუქნები, რომელთაც ცუდი ზედ წარწერები არ ექნებათ, მაგრამ ძლიერ მავნებელნი კი იქნებიან ხალხის ზნეობისათვის. და ამ ხალხის ზნეობის გამრყვნელ და გამაფუჭებელ სადგომებთან, კათოლიკენი ააგებენ ხალხის ზნეობის გამაკეთილშობილებელს სადგომს. ამის გამო კათოლიკეთ გადასწყვიტეს ააგონ გამოფენაზე ფანჩატური თავიანთ ნაშრომების გამოსაქვეყნებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ფანჩატურის ამშენებელნი ძლიერ წინააღმდეგნი იყვნენ გამოფენისა და თავის წინააღმდეგობას არ ფარავდნენ არც სიტყვით და არც წერით, მაგრამ საფრანგეთის მთა

რობამ, რომელმაც გამართა გამოფენა, ამ კათოლიკეთა განკარგულებაში უფასოდ გადასცა მიწა ტროკადეროს ბაღებში, ზომით (40$\times$1, 45 მეტრი) ფანჩატურის გასაკეთებლად. კეთილ-მნებელობით შეწირულებით კათოლიკეთ შეჰკრიბეს ფანჩატურის ასაგებად ასი ათასი ფრანკი და ამ ფულებით დღეს მდინარე სენის მარჯვენა მხარეზე სხვა დიდებულ შენობათა შორის ამაღლებულია ორ სართულიანი ფანჩატური, რომელშიაც მნახველს შეუძლია გაეცნოს კათოლიკეთა სამისიონერო საქმეს—განსაკუთრებით საფრანგეთის კათოლიკეებისას და მათ ნაშრომს და იმ განსაცდელს, რომელიც ამ მქადაგებელთ ხვდებათ სხვა-და-სხვა არა ქრისტიანეთა ქვეყნებში თავიანთი სარწმუნოების და სწავლა-განათლების გავრცელების დროს.

ფანჩატურის ქვემო სახურავი ტეატრის მსგავსია. ეს შენობა ოდნავ განათებულია ხელოვნურად. აქ გამართულია ექვსი სცენა მქადაგებელთა ცხოვრებიდამ. (კაცის სხეულები სრული ტანისანი არიან და გაკეთებულია სანთლისაგან). პირველი სცენა (შესასვლის მარჯვნით) წარმოადგენს სიკვდილს მქადაგებლის ჟანა-ლე-ვაშერისას, რომელიც 1783 წელს ალჟირში დახვრიტეს არაბებმა იმისათვის, რომ ამ მქადაგებელმა არ მიიღო მაჰმადის სარწმუნოება. მეორე სცენა წარმოადგენს წმ. ბიკენტის ქალთა მონასტრის ერთ მოლაზონს, რომელიც გაკვეთილს აძლევს პატარა ქალებს. კედელზე ჰკიდია გეოგრაფიული რუქა. მოქმედება სწარმოებს მადაგასკარზე. შემდეგი სცენა წარმოუდგენს მნახველს ბირმანიას, სადაც ერთი მოლაზონი ქალი უვლის კეთროვანებით ავადმყოფს. შემდეგ მნახველი ხედავს თოვლში ჩაფლულ მქადაგებელს იმ ქვეყნებში, სადაც მუდამ თოვლი სძევს. მეხუთე სცენა წარმოადგენს იმ შემთხვევას, როცა ჩინელებმა ტოკინში 1838 წელს თავი მოსჭრეს მქადაგებელს ბორის. მეექვსე და უკანასკნელი (შესასვლის მარცხნივ) სცენა წარმოგვიდგენს, თუ როგორ ასწავლიან ახალგაზრდა ნეგრიტიანკებს შუა აფრიკაში კატეხიზმოს. გაკვეთილს აძლევს სული წმიდის ორდენის მქადაგებელი. ამ სცენებ შორის დადგმულია ასტა ჟანა გაბრიელ პერბუაერისა, რომელიც მიკრულია ჯვარზე. ეს მქადაგებელი ჩამოალრჩვეს ჩინეთში 11 ნოემბერს 1840 წელსა. ამ სამწუხარო სურათის ცოტა მოშორებით არის ნიმუში (**модель**) ობოლთა თავ-შესაფარისა, რომელიც დაარსებულია ბეირუტში წმ. იოსების სახელობაზე დაარსებული საზოგადოებისაგან.

საჭიროა წარმოიდგინო გამოფენის განწყობილობა და იცოდე ყოველივე ის, რაც ამ გამოფენაზე ხდება, რომ გაიგო, თუ რა მოულოდნელ და გამომაფხიზლებელ შთაბეჭდილებას ახდენს ხსენებული სცენები მქადაგებელთა ცხოვრებიდამ მათზე, რომელნიც შემთხვევით შედიან ფანჩატურში. ტროკადეროს მახლობლად ჩამწკრივებულნი არიან თბილი და შორეული ქვეყნების—ეგიპტისა, ჩინეთისა და ალჟირის ფანჩატურები შესაფერი ხალხური თეატრებით, მუსიკით და თამაშობით. აი მნახველმა დაათვალიერა გამოფენა, დასტკბა სანახავებით და სხვა-და-სხვა თამაშობით, იქვე მას იპატიჟებენ კათოლიკეთა ოდნავ განათებულ ფანჩატურში, რათა მნახველმა მოიგონოს აქ, რომ არის სხვა გვარი ცხოვრებაც, არა სასიხარულო და სასიამოვნო, არამედ ცხოვრება, რომელიც ემსახურება დიდ იდეას, ცხოვრება, რომელიც თავს სწირავს მოყვასთა სამსახურს. მის შემდეგ, რაც მნახველმა იხილა მოთამაშენი, რომელნიც მზად იყვნენ ერთი კაპიკისათვის ეთამაშათ ყირამალა და ეხოხათ მუცლით, მას უეცრად აგონდება, რომ იყვნენ და დღესაც არიან ისეთნი პირნი, რომელნიც მზად არიან შესწირონ თავიანთი სიცოცხლე, ვიდრე წარმოთქვან ერთი რამ უბრალო სიტყვა.

მაგრამ ეს კერძო ტრაგიკული სცენები, რომელნიც მოწმობენ, რომ არის ფრიად დიდი საქმე და მასთან არიან ხალხნი, რომელნიც ამ დიდ საქმეს ემსახურებიან, არაფერს არ გვეუბნებიან არც ამ დიდი საქმის ისტორიის შესახებ, არც იმას შესახებ, თუ რა სარგებლობა მოიტანა ამ საქმემ და არც იმას, თუ რა შრომაა წასული ამ საქმეზე. მაგრამ რომ ყოველივე ამაების შესახებ რაიმე ცნობა მიიღო, საჭიროა ფანჩატურის ქვემო სართულიდამ ახვიდე ზემო სართულში. კიბეზე, რომელიც აერთებს ქვემო სართულს ზემოსთან, ჩამწკრივებულია რუქები. ყველაზე უწინ თქვენ ხედავთ რუქას, რომელიც მოგვითხრობს კათოლიკეთ მქადაგებელთა გამრავლებას ქვეყანაზე. ვარდის სალებავით აღნიშნულია ფრანგების მქადაგებელნი. აფრიკა რომ ხაზით გაჰყო ორ ნაწილად ჩრდილოეთიდგან სამხრეთისკენ, ამ აღნიშნულ რუქაზე დავინახავთ, რომ

აფრიკის მთელ დასავლეთ ნაწილს ანათლებენ თავიანთი ქადაგებით საფრანგეთის მქადაგებელნი, ხოლო აღმოსავლეთით, მთელს მადაგასკარზე ამავე მქადაგებელთა მეცადინობით ვრცელდება ნათელი ქრისტეს სწავლისა. შემდეგ ჩამწკრივებულია კერძო გეოგრაფიული რუქები და დიოგრამები. ამ დიოგრამების მიხედვით კათოლიკეთ მქადაგებელთა რიცხვი სულ თან და თან იზრდება, და საფრანგეთი ამ საქმეში კათოლიკეთა ყველა ხალხების მქადაგებლებზე წინა დგანან. დიოგრამები გვიჩვენებენ სხვა-და-სხვა ორდენების—დომინიკანების და ლაზარისტების მქადაგებელთა გაძლიერებას, იგივე დიოგრამები გვიჩვენებენ, თუ როგორ სწარმოებს სწავლის საქმე ამ მქადაგებელთა მეოხებით. ზემო სართულში არის სურათები მქადაგებელთა ცხოვრებიდამ, სურათები იმ პირთა, რომელთაც განსაკუთრებული სამსახური მიუძღვისთ მისიონერთა საქმეში, მინუშები კერვისა, მიწის სამუშაო იარაღებისა, რომელსაც მქადაგებლები და მოლაზონი ქალები ასწავლიან სხვა-და-სხვა ქვეყნების მკვიდრთ. აქ არის საგნები იმ კერპთაყვანის მცემელთა ღვთის მსახურება და ეკკლესიური წესები, რომელთა წინაალმდეგ მოქმედებენ მქადაგებელნი (კერპები, ბაზმანდი (амулетъ) უმეტესად მადაგასკარიდამ მოტანილნი, მაგრამ ასეთი საგნები ძლიერ ცოტაა გამოკიდებული. და ამიტომ ამ საგნების დათვალიერებით არ შეგვიძლია რაიმე აზრი შეადგინო იმ ხალხების სარწმუნოების შესახებ, რომელთაც ეს საგნები ეკუთვნიან.

ფაჩანტურში შეიძლება მიიღო ცნობები მქადაგებელთა მოღვაწეობის შესახებ. კათოლიკეთა მისსიის სტატისტიკური ცნობები გვიმტკიცებენ, რომ სამისიონერო ასპარეზზე უმეტესად მოღვაწეობენ იეზუიტები და სახელდობ საფრანგეთისა; მქადაგებელნი—იეზუიტები დღეს **3789** კაცამდეა, ამათგან 755—ფრანგები (ისპანიელი იეზუიტების რიცხვი—838 მეტია, მაგრამ მათი მოქმედების ნაყოფი იმდენად შესამჩნევი არ არის). საფრანგეთის მქადაგებელნი დღეს მუშაობენ აზიაში და აფრიკაში. ბევრნი არიან ისინი ჩინეთში, ცეილონზე, მადურაში (ინდოსტანის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, აქ საფრანგეთის იეზუიტებს შეტაკება მოუხდათ პორტუგალიის კათოლიკეთა მქადაგებლებთან ერმენიაში და სირიაში. აფრიკაში იეზუიტების მისია იმყოფება ეგვიპტეში და მადაგასკარზე: ერთი შეხედვით ამ უკანასკნელ ადგილზე განსაკუთრებული ყურადღება აქვსთ მიქცეული იეზუიტებს. ისინი შევიდნენ მადაგასკარში მე-XIX საუკუნის ნახევარში. აი რა მდგომარეობაში ყოფილა მქადაგებელთა საქმე 1899 წელს. აშენებული ეკკლესიები ყოფილა 219, მოსასრულებელი 68, აშენებული კაპელლები 579, ასაშენებელი **167**, კათოლიკენი **93,805**, კათაკმეველნი **266,877**, მასწავლებელი კაცი და ქალი **2460**, მოსწავლენი **145,968**, დასაწყისი სკოლები **2,300**, სახელოსნო სკოლები 3, სამეურნეო სკოლა 1, საავადმყოფო (კეთროვან ავადმყოფთათვის) 2, უფულო საავადმყოფოები **4**. საიდუმლოები შესრულებულა: დიდების ნათელ-ღება **5,193**, ბავშთა მონათვლა 6,975, ალსარება **119,367**, ზიარება **104,860**, მირონ-ცხება 1,377, ზეთის კურთხევა **306**, ჯვარის წერა 901.

მისიაში იმყოფება ერთი ეპისკოპოსი, 46 ევროპიელი მქადაგებელი, ერთი ადგილობითი მღვდელი, **17** ძმანი თანაშემწენი, 19 ძმანნი ქრისტიანეთა სკოლებისა, ერთი მათგანი მალდაკია, 46 კლიუპინის წმ. იოსების საზოგადოების დებია, რომელთაგან **4** მალლაკია.

სასიხარულო შთაბეჭდილებას ახდენს ის, რომ მქადაგებელთა საძნელო საქმე ჰპოებს დასავლეთევროპის კათოლიკეთა სახელმწიფოებში ბევრ მუშაკს, ჩვენის ფიქრით საფრანგეთის სარწმუნოებრივი მდგომარეობის საჩვენებლად ის კმარა, რომ იგი თავისი პროვინციებიდან გზავნის ყოველ წლობით ბევრ ძმათ და დებს ჯერ კიდევ გაუნათლებელი ხალხების სამსახურებლად.

ჩვენ კი, სამწუხაროთ, ჩვენიანების, აქეთ-იქით მეზობლებად მცხოვრებთა მოქცევაც გვიძნელდება!..

აი ამიტომაც, ჩვენის ფიქრით, კათოლიკეთა მისსიების ფაჩანტურმა მსოფლიო გამოფენაზე უნდა აღძრას მნახველში სასიხარულო გრძნობები და აზრი.

## ახალი წყარო ჭიათურის ეკკლესია—სკოლისთვის.

ჩვენის ჟურნალ-გაზეთების პატივცემულ მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ამ წლის ივლისის 26-ს ქ. ქუთაისში გაიხსნა ჭიათურის შავი ქვის მწარმოებელთა მესამე კრება, რომელიც დასრულდა 11 აგვისტოს. ამ კრებაზედ მრავალი საჭირო და სასარგებლო კითხვები გაირჩა დ. ჭიათურის საკეთილდღეოდ; კრების დადგენილებანი უკვე წარდგენილია დასამტკიცებლათ სამინისტროში. სხვათა შორის კრებამ გადაწყვიტა: დ. ჭიათურა გადაკეთდეს „პოსადათ“, გაიხსნას მომრიგებელი სასამართლო, ტეხნიკური სასწავლებელი და სხვა-და-სხვა დაწესებულება, ამის გარდა პატივცემულმა კრებამ არც სასულიერო წოდება დატოვა უყურადღებოთ; მან გადაწყვიტა: ჭიათურის საეკკლესიო-სამრევლო სკოლას ყოველ წლობით მიეცეს შემწეობათ 600 მანეთი და რადგანაც ჭიათურაში მართლ-მადიდებელი ხალხი სცხოვრობს უეკკლესიოთ (იხილეთ ამ წლის „მწყემსის“ 9—10 №№), ამიტომ აშენდეს ჭიათურაში ეკკლესია და ამ საქმისთვის მიეცას სასულიერო მთავრობას ოთხი ათას ხუთასი მანეთი სამი წლის განმავლობაში სამ ნაწილათ, ე. ი. წელიწადში 1500 მანეთი და სხვა ფული, რაც დაჭირდება ეკკლესიას. შედგეს კომმისია და შეგროვდეს კერძო შემოწირულებითო. ეს ძალიან სასიამოვნო ამბავია ჭიათურისთვის, რომელიც მთლათ მოკლებული არის წირვა-ლოცვას უეკკლესიობის გამო, რაზედაც დიდი მოიმედეა ჭიათურის საზოგადოება, რომ ჩვენი სასიქადულო და მოღვაწე მღვდელთ-მთავარი ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდი, ეპისკოპოსი იმერეთისა კეთილ ინებებს და დროზედ მიაქცევს თავის მწყემსმთავრულ ჯეროვან ყურადღებას ამ გარემოებას.

აქვე არ შემიძლია არ მოგახსენოთ, რომ ერთ სასიამოვნო ამბავათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ ჩვენს საყვარელს და ყოვლად სასიქადულო მგოსანს თავად აკაკის როსტომის ძეს წერეთელს მისი თავდაპირველი მოღვაწეობისათვის შავი ქვის აღმოჩენის საქმეებში მადლობის ნიშნათ კრებამ ერთხმად გადაუწყვიტა 3,000 მანეთის ჩუქება. აკაკისათვის ამ ფულის რაოდენობა დიდი არაფერია, მაგრამ ამითი გამოიხატება გახსენება და სიყვარული პოეტისადმი.

ჭიათურის საეკ.-სამრევ. სკოლის მასწავ.
ბესარიონ ვაშაძე.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ერთ ნემეცურ გაზეთში ვკითხულობთ: გერმანიის იმპერატორმა ჩინეთის იმპერატორისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „მისი უდიდებულესობა ჩინეთის იმპერატორი მისს უდიდებულესობას გერმანიის იმპერატორს სალამს უძღვნის. ჩვენ უკვე გამოვთქვით ჩვენი სინანული და მწუხარება, რომ ელჩი კეტტელერი ჩინეთში უცბად ატეხილ ამბოხების მსხვერპლად შეიქმნა, რასაც ჩვენმა მოხელეებმა წინააღმდეგობა ველარ გაუწიეს და რომლის შემდეგაც ჩვენი მეგობრული დამოკიდებულება დაირღვა. ჩვენის ბრძანებით ამ დღის თარიღიდგან მივუწერთ, რომ განსვენებულის მოსახსენებლად საკურთხეველს ზედა შეწირულ იქმნას მსხვერპლი და დიდსა მდივანსაცა უნკონუს მივუწერთ მსხვერპლი შესწიროს. ჩვენს მოხელეებს, რომელნიცა ჩრდილო და სამხრეთ ნავთ-სადგურებში ვაჭრობას თვალს ადევნებენ, ვუბრძანეთ ყოველივე ღონისძიება მიიღონ, რომ გვამი მისი სამშობლოში იქმნეს გადატანილი. ხოლო როდესაც კუბოს გერმანიაში მოასვენებენ, მიუწეროთ კვალად შესწირონ მეორე მსხვერპლი, რის შესრულებაცა დავავალეთ ფინანსთა სამინისტროს ვიცე-პრეზიდენტს ლიუნ-ხაი-ხუანს. ამით ვაცხადებთ ჩვენს მწუხარებას და ხსენებას განსვენებულისას. ჩინეთს მუდამ მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა გერ-

მანიასთან; ამისათვის დიდი იმედი გვაქვს, რომ თქვენ. თქვენო უდიდებულესობავ, ყოვლისა უპირველეს დააფასებთ იმას, თუ რა დიდი საერთო ინტერესები აქვს ჩინეთსა და გარეშე სახელმწიფოთ და ყოველ გვარს რისხვაზედ უარს იტყვით, რომ ამით საშუალება მოგვეცეს ადრე და მალე მშვიდობიანობა ჩამოვარდეს და ამასთანავე სამუდამოდ ჩვენ შორის თანხმობა დამყარდეს. ეს არის ჩვენი მხურვალე იმედი და სურვილი".

იმპერატორმა ვილჰელმა 17 სექტემბერს შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა: „ჩინეთის იმპერატორს. მე, გერმანიის იმპერატორმა მივიღე დეპეშა მისის უდიდებულესობის ჩინეთის იმპერატორისა და სიამოვნებით ვსცანი აქედგან, რომ თქვენი უდიდებულესობა თანხმად თქვენის სარწმუნოებრივ ჩვეულებათა და საღმრთო წერილობათა, სცდილობთ გამოისყიდოთ სამარცხვინო მკვლელობა ჩემის ელჩისა, რომელი მკვლელობაც დიდი გასასაცილოება იყო მთლად კულტურისა; მაგრამ მე, როგორც გერმანიის იმპერატორსა და ქრისტიანს, არ შემიძლიან ეგ მსხვერპლთ-შეწირვა ამგვარ დანაშაულობისათვის ღირსეულ დაკმაყოფილებად ვსცნო. ჩემ მოკლულ ელჩთან ერთად ღვთისა წინაშე წარსდგა მრავალი სხვა, ჩვენი ქრისტიანე მოძმე—ეპისკოპოსნი, მისიონერნი, დედაკაცნი, ბავშვნი. თავისის სარწმუნოების გულისათვის, რომელიც იმავე დროს ჩემიც არის, იგინი ტანჯვა-წამებით იქმნენ ძალად დახოცილნი და ზეცათა შინა თქვენს უდიდებულესობასა სდებენ ბრალს. ნუ თუ თქვენის უდიდებულესობის მიერ ნაბრძანები მსხვერპლის შეწირვაა ღირსეული საზღაური ამდენს უბრალო მსხვერპლში? მე პირადად თქვენს უდიდებულესობას არ ვაკისრებ პასუხის მგებლობას არც იმ უსამართლობისათვის, რომელიც საელჩოთა წინააღმდეგ იქმნა ჩადენილი, საელჩოთა, რომლებიც ყველა ერისაგან ხელ-შეუხებლად არიან აღიარებულნი, არც იმ დიდი შეურაცხყოფისათვის, რომელიც ამდენს ეროვნებას, სხვა-და-სხვა სარწმუნოებისა და თქვენის უდიდებულესობის ქვეშევრდომთ, სარწმუნოებით ქრისტიანთ, მიადგათ, მაგრამ თქვენის უდიდებულესობის ტახტის ვეზირთ და მოხელეთ-კი, რომელთაც ამ დანაშაულობაში ბრალი ედებათ და რომელმა დანაშაულობამაც მთლად საქრისტიანო ერნი შიშით შეჰზარა, უთუოდ ღირსეული პასუხი უნდა აგონ ამ სამარცხვინო მოქმედებისათვის და თუ რომ, თქვენო უდიდებულესობავ, ინებებთ და დასჯით დამნაშავეთ, მაშინ ამას მეც ღირსეულ საზღაურად ვცნობ და ყველა ქრისტეან ერებსაც დააკმაყოფილებს იგი. გსურთ, თქვენო უდიდებულესობავ, ხელი მოაწეროთ ამას და შემდეგ საქმეში ჩარეულ ყველა ერების წარმომადგენლების დახმარებაც მიიღეთ? მე ჩემის მხრივ ვაცხადებ, რომ დაკმაყოფილებული ვიქმნები და თქვენის უდიდებულესობის პეკინში დაბრუნებას სიამოვნებით შევეგებები. ამ აზრით ჩემი გენერალ ფელდმარშალი გრაფი ვალდერზეე ბრძანებას მიიღებს არამც თუ იმის შესახებ, რომ თქვენს უდიდებულესობას თქვენის ღირსებისამებრ შეეგებოს, არამედ იმის შესახებაც, რომ თქვენს უდიდებულესობას სამხედრო დარაჯი დაუყენოს, როგორც კი თქვენვე მოისურვებთ და როგორიც კი, შეიძლება, საჭიროც იყოს თქვენთვის მეამბოხეთა წინააღმდეგ. მეც მწყურის მშვიდობიანობა ისეთი, რომელსაც შეეძლება დანაშაულობა გამოისყიდოს, ჩადენილი უსამართლობა დაჰგმოს, გასდევნოს და ყველა უცხოელის სიცოცხლე და ქონება უზრუნველ-ყოფილ ჰქმნას, განსაკუთრებით კი თავისუფლება სარწმუნოებისა. ვილჰელმი".

∴

სტახტო ქალაქების გაზეთების დეპეშები: ინგლისს ჯერ აქამდე არ ამოუღია ხმა ბიულოვის ნოტის შესახებ; იგი თითქო კიდეც თანაუგრძნობს ამ ნოტაში გამოთქმულს შეხედულებათა, მაგრამ გადაწყვეტით ოფიციალურად კი არას აცხადებს. ამიტომ, რა აზრისაა ინგლისის მთავრობა, ამ საგნის შესახებ, ნამდვილად არა იციან რა, და მხოლოდ სხვა-და სხვა ხმებია მოყვანილი გაზეთებში. სხვათა შორის „ინდეპანდან ბელჟისა" კორესპონდენტი იტყობინება, რომ ლორდ სოლსბერის გერმანიის ნოტის პასუხად, ვითომ, ესეთი აზრი წარუდგენია: დაინიშნოს წინ და წინ საგანგებო კომისია, რომელსაც მიენდოს გამოძიება იმისი, თუ ვინ არიან ნამდვილად დამნაშავენი ჩინეთის არეულობაში, ვინ აქეზებდენ მოკრივეთა აჯანყებას და უცხოელთ ამოწყვეტას. რაც შეეხება დამნაშავეთა დასჯას, ინგლისი ამ საგანში ემხრობა შეერთებულ შტატებს და იაპონიას და ჰფიქრობს, რომ ეს დასჯა მოთხოვნად უნდა იყოს მხოლოდ ჩინეთთან ზავის შეკვრის შემდეგ.

პარიზის კორესპონდენტი „ტაიმს“-ისა ამტკიცებს, რომ საფრანგეთს, რუსეთს და გერმანიას გადუწყვეტიათ დაუყოვნებლივ შეთანხმდენ როგორმე ერთმანერთში მიუხედავად იმისა, მიემხრობიან მათ შეთანხმებას ინგლისი და ამერიკა, თუ არა. პარიზის დიპლომატიურ წრეებში აწინდელს დროს სთვლიან ძალიან მარჯვე დროდ ჩინეთის საქმის გადასაწყვეტად, რადგანაც ინგლისი და ამერიკა გართულები არიან ამ ჟამად საარჩევნო საქმეებში. დელკასემაც ამის გამო სწორედ ეს დრო შეარჩია და აპირობს წარუდგინოს სახელმწიფოებს თავისი საკუთარი პროგრამმა ჩინეთის საქმეების გადასაწყვეტად. კორესპონდენტის აზრით დიდი იმედია იმისი, რომ ეს პროგრამმა მიღებული იქმნება სახელმწიფოთაგან. თვით პროგრამმის შინაარსის შესახებ კი კორესპონდენტი არას იწერება.

—

ვენის სარწმუნო წყაროდან „სტანდარდ“-ს სწერენ: უკეთესი მეგობრები გერმანიისა (იგულისხმეთ ავსტრია) ურჩევენ მას, ძალიან ნუ გეებმები ჩინეთის საქმეებშიო, რადგანაც იმედი არ არის, რომ გაჭირების დროს სხვა სახელმწიფო[illegible] მიეშწევიანო და ვაი თუ მარტოკას მოგიხდეს ბრძოლა აუარებელ ჩინეთის ხალხთანო.

—

ენით არ ითქმის და კალმით არ აიწერება ის საოცარი არევ-დარევა, რომელიც ეხლა ჩინეთში ჰსუფევს. ამის დასამტკიცებლად „ჟურნალ-დეშანჰაის“ მოჰყავს შემდეგი ამბავი: „შანჰაის მეფის მოადგილემ ერთის კვირის განმავლობაში მიიღო იმპერატორისაგან ოთხი ბრძანება. პირველში იმპერატორს მეფის მოადგილესათვის სიკვდილით დასჯა გადაეწყვიტა ევროპიელებთან მეგობრულ დაახლოვებისათვის; მეორეში — ნაბოძები იყო დიდი ჯილდო სადიპლომატო ხელოვნებისათვის. მესამეში — მეფის მოადგილეს ატყობინებდენ იმპერატორის კომისარის მოსვლას და ემუქრებოდნენ თანამდებობიდან დათხოვნას და, დასასრულ, მეოთხე ბრძანებაში გამოცხადებული იყო მეფის მოადგილესადმი იმპერატორის სრული ნდობა და წყალობა. აქედან ცხადია, რომ იმპერატორი სწორედ სათამაშო ბურთად გამხდარა სასახლის სხვა-და-სხვა პარტიების ხელში.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

ჟურნალი „მწყემსი“-ს რედაქციამ უკვე შეუკვეთა მოსკოვში ფოტოტიპიის დიდი სურათები მათი მეუფების ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა და მცირე ხანში უკვე მზად იქნება და ყველას შეეძლება ხსენებული სურათები მოიპოვოს ჩვენი რედაქციიდან მცირე ფასით.

*
* *

„მწყემსი“-ს რედაქციას ხშირად მოსდის ზოგიერთებისაგან წერილები, რომლებშიაც თხოვილობენ სხვა-და-სხვა საჭირო გამოწერილობათა და მოწმობათა ბლანკების ნიმუშებს და წიგნების და წიგნაკების ფასის შეტყობას. წიგნების და წიგნაკების ფასი „მწყემსში“ იბეჭდება ხოლმე და იქიდან შეიტყობს ყველა მკითხველი და გამოწერილობათა და მოწმობათა მინუშების გაგზავნას საჭიროთ არა ვსთვლით, რადგან ყველა სამღვდელო პირმა უნდა იცოდეს, რომ ამ საჭირო გამოწერილობათა და მოწმობათა ბლანკები ერთ-გვარია ყველგან და არა სხვა-და-სხვა...

*
* *

პარიჟში და რომში მოგზაურობის დროს ჩვენ ვნახეთ ქართველი პატრი მიხეილ თამარიშვილი. ეს შესანიშნავი პატრი შესდგომია რომის არქივებში საქართველოის და კერძოდ ქართველ კათოლიკეთა ისტორიული მასალების შეკრებას და დიდი ხელთნაწერი შეუდგენია. მრავალი საინტერესო მასალა აღმოუჩენია, რომელთა შორის საბა სულხან ორბელიანის წერილებიც არის და აგრეთვე სხვა ქართველ მეფეთა წერილებიც. ეს წერილები ცხადათ ამტკიცებენ, თუ რამდენად ცრუ და ყალბია ის აზრი სომეხ მეცნიერთა, რომ ჩვენში ვითომც ქართველი კათოლიკენი არ იყვნენ. ამის შესახებ ჩვენ ჟამოცემაში დაიბეჭდება ვრცელი წერილი პროფესორის ა. ს. ხახანაშვილისა, რომლიდანაც ბევრ რამე საყურადღებოს წაიკითხავს ჩვენი ჟურნალის მკითხველნი.

მიიღება ხელის-მოწერა 1900 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულ

## „მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე;

ჟურნალის ფასი:

| | |
|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» 8 მ. | 6 თვით «მწყემსი» 2მ. |
| — „ რუსული „ 8 მ. | — „ რუსული „ 2» |
| — „ ორივე გამოცემა 5 » | — „ ორივე გამოცემა 3» |

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან, ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერეში—ყარამან მაღრძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან; ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე პრეტენდენტებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

კერძო საავადმყოფო ამბულატორიითურთ

## ს. ბ. თოფურიას.

ქ. ქუთაისში.

საავადმყოფოში დგას ორმოცი საწოლი ქირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავადმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავადმყოფებს მიიღებს

ექ. ს. ბ. თოფურია.

ქირურგიულ შარდით სიფილისით და თვალების ავადმყოფობისათვის.

ექ. ფ. კ. ბერრატი.

დედაკაცურ ავადმყოფთა და საბებიო ქალი.

ექ. მ. ფ. კოგანი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავადმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

**ოფიციალური განყოფილება:** უმაღლესი სახელდებული ბრძანება.—უმაღლესი ჯილდო.—უმაღლესი ბრძანებანი.—უწმიდესი სინოდის განჩინება.

**სალიტერატურო განყოფილება:** სიტყვა, თქმული მის ყოვლად უსამღვდელოესობის ლეონიდის მიერ ქუთაისის საკათედრო ტაძარში 17 სექტემბერს, პირველად ეპარქიაში შემობრძანების დროს.—ახალი საბლაღოჩინო ოლქების გაუქმება იმერეთის ეპარქიაში.—ჩემი სასიხარულო და სამწუხარო შთაბეჭდილებანი აზიასა და ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს.—ეპარქიის სამღვდელოების პენსიების შესახებ.—კათოლიკეთა მისსიების ფანჩატური (Павилонъ) მსოფლიო გამოფენაზე პარიჟში.—ახალი წყარო პიატერის ეკკლესია-სკოლისათვის.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.—განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

*Дозволено цензурою, Тифлисъ,* 1 Октября *1900 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ*

Типог. редакціи журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ х. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.

# მწყემსი



[illegible] ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. იოან. 10–11.

[illegible]ოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. მსგრეთ იყოს სიხარული [illegible], ერთისათვის [illegible].

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და [illegible] და მე განგისვენოთ თქვენ, მათ. 11–28.

№ 20 1883—1900 30 ოქტომბერი.

## რედაქციისაგან.

ღვთის შეწევნით ამ ოქტომბრის თვის პირველიდამ ჩვენი გამოცემა „მწყემსი“ გადადგა თავის არსებობის 18 წელიწადში და «Пастырь»-ი მეთექვსმეტეში, ჩვენს პატარა საქართველოში ამდენს ხანს არც ერთ ქართულს ჟურნალ-გაზეთს არ უარსებია. „მწყემსის“ ამდენი ხნის არსებობა ცხადად ამტკიცებს მას, რომ ამ ორგანომ მტკიცე ნიადაგი მოიპოვა ჩვენს საზოგადოებაში. ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ის დამაბრკოლებელნი მიზეზები, რომელნიც ჩვენს მხარეში ყველა გამოცემებს საზოგადოდ და კერძოდ ჩვენსას წინ ეღობებიან. ყველას მოეხსენება, რომ ძველს თაობას გაზეთების კითხვა, მაინცა და მაინც, დიდ საჭიროებად არ მიაჩნია. ახალი თაობა, სხვანაირად გაწვრთნილი, რომელსაც თავისი თავი დიდ განათლებულად მიაჩნია, ჩვენი გამოცემის კითხვას საჭიროდ აღარ რაცხს. მაღალი სწავლა-განათლების მიმღებთ სომ. საჩოთიროდ მიაჩნიათ სოფლის ხუცის რედაქტორობით გამოცემული ჟურნალის კითხვა! საერო წოდება, რომელსაც ერთხელვე გაუგონია, რომ „მწყემსი“ სასულიერო ორგანო არისო, თვალ-ყურს აღარ ადევნებს ამ

გაზეთს. თუმცა ეს გაზეთი არა ერთ გზის შეხებია ჩვენი ცხოვრების ისეთ სავარამო კითხვებს, რომელთა შესახებ არც ერთ ქართულ ჟურნალ-გაზეთს ხმის ამოღება არ გაუბედნია. ამასთან ვინ ჩამოთვლის ყველა დაბრკოლებათ, რომელნიც წინ გვეღობებიან ჩვენ ამ გაზეთის წარმოების საქმეში? მაგრამ, მადლობა ღმერთს, ჩვენს გამოცემას თავიდგანვე აღმოუჩნდნენ საერო და სასულიერო წოდებაში ისეთნი მკითხველნი, რომელნიც დღიდგან ამ გაზეთის გამოცემისა არასოდეს არ დაგვშორებიან ჩვენ*). დანარჩენი საზოგადოება ჩვენი გამოცემის გამოუწერლობას, ვინ იცის, თუ რადარა მიზეზებს არ აბრალებს: ზოგი მიზეზად ასახელებს თვის ნივთიერ სიღარიბეს, ზოგი-ოჯახურ გაჭირვებას, ზოგი დროის უქონებლობას ჟურნალ-გაზეთების წასაკითხად და ზოგი კიდევ სხვას. მაგრამ ამ გვარი მიზეზებით თავის მართლება სულ ტყუილია. ჩვენ რომ ცოტა ოდნავ მაინც გვაღელვებდეს ჩვენი საზოგადოებრივი მდგომარეობა და ჩვენი პირადი მოვალეობა, მაშინ ასეთი უბრალო მიზეზები ვერ დაგვიხშობდა გონების ვარჯიშობას და არც ასე დასაცინი გავხდებოდით. თავი და თავი დამხმარე ჩვენში და ხელის შემწყობი ჩვენი საზოგადოებისა და განსაკუთრებით ჩვენი სამღვდელოებისათვის უნდა იყოს ბეჭდური სიტყვა და ამ სიტყვით გონების ვარჯიშობა. ჩვენთვის სამწუხაროა არა მარტო ის გარემოება, რომ ათასზე მეტი ხელის მომწერი არა ჰყავს ჩვენს გამოცემას, არამედ უმეტესად ის, რომ ჩვენი სამღვდელოების უმეტესობა არავითარ ჟურნალ-გაზეთს არ იწერს და არ კითხულობს...

ვაცხადებთ რა, „მწყემსზე“ ხელის მოწერას მომავალ წლისათვის, გულითად მადლობას ვწირავთ ყველა იმ ჩვენ მოძმეთა, რომელნიც თავის თანაგრძნობას და ზნეობრივ დახმარებას არ გვაკლებენ ჩვენ, თითქმის ჩვენი გამოცემის დაარსების დღიდგან. სრული იმედია შემდეგშიაც არ დაგვშორდებიან ჩვენნი მკითხველნი და სიამოვნებით მოისმენენ ყოველ ამბავს, რასაც «მწყემსი» მოუთხრობს, ერთ დროს დიდებულ, მაგრამ დღეს კი დაბეჩავებულ საქართველოზე...

მომავალ წელიწადში „მწყემსზე“ ხელის მომწერთათვის საჩუქრად ჩვენ დავნიშნეთ დიდი სურათი მათი ყოვლად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდისა, რომლის სახის ნიადაგ უურება თვის ოჯახში ყველასათვის, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენი საზოგადოების რელიგიური და ზნეობითი წარმატებისათვის, სასიამოვნო და სანატრელი უნდა იყოს. სურათის გასაგზავნ ფოსტის სარჯად ხელის მოსაწერ ფულთან ერთად ზედმეტი უნდა გამოგზავნონ ორი შაური ფულად ან მარკებით.

---

*) აქ, სხვათა შორის, მოვიხსენებთ, ერთ უგულასაგან პატივცემულ პირს გუ. ღეიტ. ქრისტეფორე კონს. მამაცაშვილს, რომელიც დღიდგან ჩვენი გაზეთის დაარსებისა, ყოველ-წლობით პირველ ხელის მომწერლად [illegible]შნება რედაქციის ხელის მოსაწერ ჟურნალებში.

## ჩვენი სოფლის ცხოვრების ეხლანდელი საჭიროვარამო კითხვების გამო.

(წერილი მესამე *)

რომ დაუკვირდეთ, არც სახალხო საკითხავებისა და სამღვთო მსახურების გარეშე საუბრების მოწყობა არის გასაჭირი. აქ საჭიროა ისევ საქმიანობის სიყვარული, სოფლის მოღვაწეთა ერთობლივი მოქმედება, ერთი მიმართულება, ერთი აზრი და ერთი ერთმანერთის დახმარება—ხელის გამართვა. დავანებოთ თავი იმ გვარ „ძმობათა“, რომლებიც არსებობენ სხვა ეპარქიებში და რომელთა მიზანი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი სწავლა-განათლების გავრცელებაა. ვსთქვათ, ეს საგანი უფრო რთულია და ჯერ მისთვის ჩვენ არ შეგვწევს ძალ-ღონე. მაგრამ უფრო მარტივი კომისიების (თუნდ კამისიის) დაარსება, რომლებსაც სახალხო საკითხავების მოწყობა-გამგეობა ჰქონდეს მინდობილი, კი ადვილი შესაძლებელია, და ისიც (კამისია) ადვილად მიაღწევს მიზანს. ამისათვის უმთავრესად საჭიროა რამდენიმე „ვოლშებნი ფონარი“ (ერთ მაზრაში), კომისიის მიერ მოხდენილი წიგნაკების არჩევა, და მისი წევრების მიერ მათი გადმოკეთება. პირველი ითხოვს ათიოდე თუმანს, ხოლო მეორე ცოტა ოდენ უანგარო შრომასა და ამ საკეთილო საქმისათვის დროის გადანარჩუნებას. რაც შეეხება ბინებს, დღეს თითქმის თითოეულ ეკკლესიასთან არსებობს სამრევლო სკოლა, რომელსაც თავისი საკუთარი შენობა და მორთულობა აქვს. რა დიდ ხარჯს მოითხოვს ამის შემდეგ, რომ წელიწადში რამდენჯერმე თითოეულ ეკკლესიასთან კრებულმა და მასწავლებლებმა არსებული კომისიის ხელ-მძღვანელობით რამდენიმე სახალხო საკითხავები გამართონ? ნივთიერი შეუძლებლობა აქ არაფერი დიდი ხიფათია. პირ იქით შემჩნეულია, რომ უფრო მუყაითი, თავ-გამოდებული და გულშემატკივარი ის არის, ვინც უფრო ხელ-მოკლეა ნივთიერად. რამდენად უფრო შეძლებულია ადამიანი, იმდენად უფრო ნაზია, ფუფუნების მიმდევარი, სოფლიური განცხრომის მოყვარული. ამას გვიმტკიცებს ქალაქებში მოსამსახურეთა, რომლებიც უფრო უზრუნველ-ყოფილნი არიან,— შედარება სოფლებში მოსამსახურეებთან, რომლებიც უფრო ხელ-მოკლენი არიან ნივთიერად...

როდესაც სახალხო საკითხავების შესახებ ველაპარაკებოდი ერთ-ერთ სოფლის ცხოვრების მცოდნეს, მან ასე მიპასუხა: „უსარგებლო იქნება, ის, ვინც თანაგრძნობის ღირსია, ვერ ისარგებლებს (ვერ ივლის), მხოლოდ ზარმაცნი და „მარად ჟამ მოცლილნი“ ივლიან თავის შესაქცევად და იქნება თავიანთი უმგვანო ქცევით ამ საგნის შესახებ სხვებსაც მადა დაუკარგონო“. ჩვენ არ გვგონია, რომ ეს მართალი შეხედულება იყვეს. ვსთქვათ, მართლა მარტო ეს ზარმაცნი და „მარად ჟამ მოცლილნი“ გამოეშურენ სახალხო საკითხავებზე, მაგრამ ნუ თუ მართლა აღარ შეიძლება მათზე ზედგავლენა? ესენიც იგივე უვიცნი არიან და თუ ზარმაცნი, «მარად ჟამ მოცლილნი» და სხვისი ნაოფლარის მოთვალთვალენი არიან, ისევ უვიცობით, ისევ ზნეობრივ-გონებრივი მხედველობის სიმოკლით. მართალი შეხედულება ცხოვრებაზედ მათ ადვილად გამოსცვლის...

ესეც არ იყოს, განა მარტო ამათ მიიზიდვენ სახალხო საკითხავები და სხვებს ვერა? მართალია, მშრომელსა და ათას ნაირი მოთხოვნილებით დატვირთულ სოფლელს მოცალეობა ნაკლებად აქვს, მაგრამ იმისათვის, რისაც გემოვნება გაღვიძებია, მაინც შოულობს დროს. დღეს არ არიან დაჩვეულნი ყურის გდებას, მაგრამ ადვილად დაეჩვევიან. „წირვის მოსმენა ხომ კარგი იყო, მაგრამ ეგეც ძალიანი ძარღი იყოვო“, გვითხრეს, როდესაც რამდენიმე სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსის საკითხავები მოისმინეს. გამოცდილება აი ამას გვეუბნება.

რას საჭიროებს დღეს ჩვენი სოფელი? რასაკვირველია, ეს საკითხი მეტად რთულია, ის თანამედროვე ლიტერატურის მთავარ საკითხს შეადგენს, და ასე ადვილად ვერც მას გამოურკვევია. მხოლოდ აქ ჩვენ მოკლედ დავასეხელებთ ამ საჭიროებათაგან იმათ, რომლებსაც უნდა ემსახურებოდენ სახალხო საკითხავები. მართალია, დღეს მდაბიო ხალხის ცხოვრებაში უფრო საგრძნობელი ის არის, რომ ის

*) იხ. „მწყემსი“ № 15. 1900 წ.

სარწმუნოებრივი და ზნეობრივი მხრით დაქვეითებულია და ამის გამო მის ცხოვრებაში ბევრ ამაღრჟოლებელ სურათებს შეხვდებით. რაც უნდა იყვეს ამის მიზეზი და რა საშუალებასაც არ უნდა ასახელებდენ მოწინავენი ამ ანორმალურ მოვლენის ასაცილებლად, სახალხო საკითხავები პირველად მაინც იმას უნდა სცდილობდნენ, რომ ხალხს აუმაღლონ, გაუღვიძონ ეს ჩაქრობილ-ჩანელებული გრძნობა: უნდა გააცნონ ქრისტიანობრივი მოძღვრების შინაარსი, დოგმატები, მცნებანი, და სხვა სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსის მოთხრობანი. ამით ხალხს მიეცემა შეძლება თავის-თავად ებრძოლოს რამდენიმედ ცხოვრების მიერ წამოყენებულ იმ გარემოებათა, რომლებიც ასე თუ ისე ურევენ გონებას, უთახსირებენ ზნეობას და სარწმუნოებრივ წარმოდგენას. ჩვენი კაცი არ არის დაჩვეული თავის-თავად საეკლესიო და სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსის წიგნების კითხვას, და თუ სხვაც არ უკითხავთ, რასაკვირველია მაშინ ის სრული უვიცი რჩება ამ მხრივ. ამიტომაცაა, რომ როდესაც მის წინ რომელიმე მატერიალისტ-ატეისტი დაცინვის კილოით იხსენიებს რელიგიურ ჩვეულებათა, ან ცრუ მოწმეების მაძიებელნი, რომლებიც ხშირად მოიპოვებიან ჩვენშიაც, სიყალბის გასაყვანად სცდილობენ მისი სარწმუნოებრივი რწმენა შეარყიონ, ის სრული უიარაღოა და მხოლოდ ამ ერთს ეუბნება პასუხად: „აბა რავა იყო, რომ წინედ სხვაფერ შობოდენო"; რა გასაკვირია, რომ ამ გვარად მცოდნე ადამიანი ადვილად შეარყიონ და მრავალი სიწამხდრე ჩაადენინონ... დიახ, ამ ნაკლის წინააღმდეგ ბრძოლა ერთად ერთი საგანია სამღვთო მსახურების გარეშე საუბრისა, და უმთავრესი საგანია სახალხო საკითხავებისა.

მაგრამ მარტო ეს არ არის ჩვენი სოფლის წყლული, მარტო ამ ერთში არ არის უვიცი მდაბიო ხალხი. მისი გონებრივი მხედველობა სხვა მხრივაც ჩლუნგია. სოფლელ—მუშა ხალხს ბუნებასთან აქვს საქმე, ის ბუნების შვილია, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, და ამ დროს ის ბუნებას კი ვერ იცნობს, მას არც ერთს ბუნების მოვლენაზედ არ აქვს ჭეშმარიტი წარმოდგენა. ამაზედ არის დამოკიდებული ის მრავალგვარი ცრუ-მორწმუნოება, რომელიც დიდ ზარალს აყენებს როგორც ნივთიერ ძალ-ღონეს ხალხისას, ისე მის ჯან-მრთელობასაც... როგორია სამეურნეო ნაწილში? იგი დღესაც, როდესაც, ერთის მხრით ბუნება დაღარიბდა, ნიადაგი მოუძლურდა, ტყე გაიკაფა, ვენახი ახმა, ხალხი გამრავლდა, მიწა გაძვირდა და მეორეს მხრით ხალხის ცხოვრებამ მრავალი ახალი საჭიროება წამოაყენა წინ, ისევ მეურნეობის ერთ დარგს ჩასჩერებია, და ამასაც ადამის ქამში მოგონილ იარაღით ებღაუქება; ახალ გამოგონილ იარაღით ერთის დღის სამუშევარს ათ დღეს კაწრავს, და სხვა... აბა რა ეცოდინება გეოგრაფიისა და ხალხთა ისტორიისა, ცივილიზაციისა, როდესაც არიან ბევრნი ისეთები, რომლებიც თავიანთი სოფლიდან მახლობელ სოფელში გასულან, თორემ მის ცხოვრებაში იმას აღარ წასცილებიან?.. სახალხო საკითხავები ამ მხრივაც დიდ ღვაწლს დასდებენ, დიდ სამსახურს გაუწევენ ბეჩავ ხალხს, ბევრად შეათხელებენ ამ უვიცობის ბურუსსაც. მაგრამ არის კიდევ ერთი დანაკლისი, რომლის ასადგენად დიდი ბრძოლა უნდა გასწიონ სოფლის მოღვაწეებმა სახალხო საკითხავ-საუბრებით. ჩვენი სოფლელნი, მართალია, ეტანება დღეს ვაჟებისათვის წერა-კითხვის სწავლებას, მაგრამ თუ დედათა სქესიც ვაჟისებურად საჭიროებს სკოლებში მიბარებას, ეს სრულიად არ სჯერა. მაგრამ რაკი ეს საგანი უფრო რთულია, ამისათვის ამის შესახებ შემდეგ ვსთქვათ.

ბღ. მღ. დ. ჩხაიძე.

## ჩემი სასიხარულო და სამწუხარო შთაბეჭდილებანი აზიის და ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს.

(გაგრძელება*)

ვენის ქალაქიდამ, როგორც წინეთ ვწერდით, გერმანიის ქალაქ მიუნხენისკენ გავემგზავრეთ. მთელი ღამე ვიარეთ და მეორე დღეს, დილის ათ საათზე, ჩქარი მატარებლით მივედით. მიუნხენი არის გაშენებული მდინარე იზარის ნაპირზე. ეს მდინარე დიდი არ არის, მაგრამ მოდიდება ძლიერ დიდი ცოდნია. ამ ქალაქში 360000 მცხოვრებია. ქალაქ გარეშემო თითქმის სულ მაღლობი ადგილებია. ქალაქი მშვენიერია. აქ ყველაფერს ხელოვნება და სილამაზე ეტყობა. მშვენიერი სასეირნო ბაღები და მშვენიერი გეგმით აგებული სახლები მნახველის ყურადღებას იქცევს. ყოველი ტომის ხალხს მოუხარია ამ ქალაქში ნახვისა და სწავლისთვის. მოგზაური ისეა გატაცებული უცხო სანახავებით, რომ ერთი კვირა თითქმის შეუნიშნავად მიდის მოგზაურთათვის. მოწყენილობას აქ ადგილი არა აქვს. ამ ქალაქში შესანიშნავი სანახავები არის კოროლების სასახლე მაქსიმილიანე პირველის ძეგლითურთ, ეკკლესია კოროლების აკალდამებით, უნივერსიტეტი და მრავალი სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებათა შენობანი. აგრეთვე საყურადღებო და საინტერესო სანახავია ხელოვნებათა აკადემია და სახალხო მუზეი.

რეზიდენციის ახლოს არის ფრაუენკირხე, შესანიშნავი აგურით აშენებული ეკკლესია ორი მაღალი კოშკით, რომელნიც ქალაქის ყოველ ადგილიდან მოჩანან. ეს ეკკლესია არის უმთავრესი ეკკლესია ქალაქ მიუნხენში. ამ ქალაქში არის ბროლის სასახლე, რომელშიც მოთავსებულია მიუნხენის ყველა ფოტოგრაფების გამოფენა. ეს შენობა ძლიერ ახლოს არის რკინის გზის სადგურზე. ყველაზე უმეტესად საყურადღებოა მოგზაურთათვის:

1) ბავარიის სტატუა ბრონზისაგან ჩამოსხმული. ამ სტატუიას გარეშემო გალერია აქვს და გალერეიაზე ოთხმოცი ბავარიის შესანიშნავი მოღვაწის ქანდაკება არის დამდგარი. ბავარიის სტატუია იმდენად დიდია, რომ შიგნით კიბით ადის კაცი. კიბეს აქვს ას ოცდა ექვსი საფეხური და თავში რვა კაცი დაეტევა...

2) კოროლის წიგნთ-საცავი. წიგნთ-საცავის შენობა მშვენიერია, წინ შენობას აშვენებს არისტოტელის, იპოკრატის, გომერის და ფუკიდიდის მთელი ტანის ქანდაკებანი. ამ წიგნთ-საცავში იმექონება ერთი მილიონი და სამასი ათასი სხვა-და-სხვა წიგნი და ოცდა ათი ათასი ხელ ნაწერი. ამ წიგნთ-საცავში იმოქონება ოქროს ასოებით დაბეჭდილი სახარება ძვირფასი ოქროს ყდით და ქვებით მოჭედილი 870 წლისა და სხვანი...

3) პინაკოტეკა. ეს შენობა შესდგება თოთხმეტი დიდი ზალისაგან და 23 კაბინეტიდან, სადაც მნახველს შეუძლია დაათვალიეროს 14000 ძველი მხატვრობა

და 4) პინაკოტეკა. ამნაირივე სურათების გამოფენა ახალი ხელოვნებისა. ყველა ევროპის ქალაქებში მიუნხენი მით არის შესანიშნავი, რომ არსად არ არის იმდენი ლუდის ქარხნები, რამდენიც აქ არის და არსად არ მზადდება იმისთანა მშვენიერი ლუდი, როგორიც აქ. ამასთან ისიც უნდა ვსთქვათ, რომ არსად არ ისმება იმდენი ლუდი, რამდენიც აქ და არც ისე იაფად იყიდება როგორც მიუნხენში.

ჩვენდა სამწუხაროდ, დროის უმექონებლობამ -ბევრი რამ საინტერესო სანახავები დაგვატოვებინა მიუნხენში და საღამოით გავემგზავრეთ შვეიცარიის ქალაქ ციურიხისკენ. მთელი ღამე ვიარეთ, დილით ადრე მივადექით შვეიცარიის ერთ დიდ ტბას. ეს ტბა გავიარეთ ერთი მორჩილი და ლამაზად შემკობილი გემით და მივედით ციურიხში.

შვეიცარიის ქალაქი ციურიხი ერთი უპირველესი ქალაქია ევროპაში, სადაც უმაღლეს წერტილამდე აყვავებულია მრეწველობა. აქ არის მრავალი სასწავლებელნი, დაბალი სასწავლებლებიდან დაწყებული მაღალი სამეცნიერო სასწავლებ-

*) იხ. „მწყემსი“ № 18, 1900 წ.

ლებამდინ. ქალაქი მეტის-მეტად ლამაზია გზებით, ლამაზი შენობებით, ბაღებით, ტრამვაიებით, ქუჩებით და ყველაზე მეტად წყლებით. ქალაქი მთაგორიან ადგილებზე არის გაშენებული, მაგრამ ელექტრონის ტრამვაით სადაც გინდა, იქ წახვალთ. აქ ხშირად შეხვდებით მშვენიერ სასტუმროებს, სადაც იაფად იყიდება სასმელ-საჭმელი. მნახველის თვალს იზიდავენ მშვენიერი ბაღები და ვენახები. ქალაქიდან მოჩანს ალპიის მთები. ტბა ციურიხისა წმინდა არის. აქაურ ხალხის ცხოვრებას რომ დააკვირდები, მაშინ დარწმუნდები, რომ კაცი მართლა ტანჯვა-წვალებისათვის არ არის დაბადებული, როგორც ამას ამტკიცებენ ზოგიერთები: არა, კაცი ღმერთს შეუქმნია უფლად ქმნილებათა და ბატონად ქვეყნისა, და აქ, მართლაც, ბატონობს იგი. ისე მტვრით არ იღრჩობიან როგორც ქუთაისლები. შეუგნიათ მათ სისუფთავის მნიშვნელობა და გაუგიათ შრომის ნაყოფი და სწავლის სარგებლობა. როდესაც ქალაქის მილის წყლები, გაწმენდილი და მორწყული ქუჩები ვნახე, უნებლიედ გამახსენდა ქუთაისის ერთი ახირებული ხმოსანი, რომელმაც იმ დროს, როცა ბ. ინჟინერი მიხაილოვის წყლის გაყვანის და ტრამვაის პირობებს იხილავდა ქალაქის საბჭო, მჭევრმეტყველობით ამტკიცებდა, რომ ელექტრონის ტრამვაი ხალხს დახოცავსო და ქუჩების მორწყვა და მტვერის მოშლა ქალაქში ჭირს გააჩენსო! მე დარწმუნებული ვარ, მსჯელობა რომ ყოფილიყო ტარანა თევზის ყიდვის აკრძალვაზე, ის დაამტკიცებდა, რომ ტარანა პირველი სასიამოვნო საჭმელიაო. მოდი და გააკეთე შენ ქუჩები და მორწყე იგინი წყლით, სადაც ამისთანა ხმოსნებია!..

ლანანებით გამოვეთხოვეთ ამ მშვენიერ ქალაქს და გავეშურეთ პარიჟისაკენ. ვიარეთ ნაშუადღევის სამი საათიდან სალამომდინ, მთელი ღამე და მეორე დღეს ათს საათზე შევედით პარიჟში, ამ შესანიშნავ ქალაქში.

## დღესასწაულობა ცხრამეტი საუკუნის შესრულების გამო,

ერთ იტალიანურ გაზეთში ვკითხულობთ: ამ რამდენიმე წლის წინად ქ. ბოლონიაში პაპის ლოცვა-კურთხევით დაარსდა ხალხთა შორის კომიტეტი. ამ კომიტეტის დაარსების მიზანი ისაა, რომ ღირსეულად იდღესასწაულონ მეცხრამეტე საუკუნის დასასრული დღიდგან ქრისტეს ქვეყნად მოსვლისა. კომიტეტს სახეში აქვს დაადგინოს სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საქმეები: დაარსონ წმ. ადგილებში მიმოსვლა სალოცავად, ეკკლესიური ცერემონიები და სხვ. კომიტეტის უმთავრესი პროექტი, რომელიც პაპისაგან ნება-დართულია, იმაში მდგომარეობს, რომ კათოლიკეთა ყველა ეკკლესიებთან შემოღებულ იქმნეს ჯვარი, რომელზედაც ეწეროს ლათინურად: „იესო ქრისტე, ღმერთ-მამაკაცი, ცხოვრებს, მეფობს და ბრძანებს 1901 წ.“. ასეთი ჯვარი უნდა დაარსონ ეკკლესიებში იმ ღამეს, რომელიც შეაერთებს ორივე საუკუნეს. პაპა ლევ XIII-მ კომიტეტის თხოვნით წარსულს წელშივე ნება დართო გამოიცეს ინდულგენცია, რომელშიც გამოცხადებული იქნეს, რომ ის კათოლიკე, რომელიც, წარმოსთქვამს რა „მამაო ჩვენო“-ს, ემთხვევა ჯვარს, ერთი დღით შეამცირებს სასჯელის ვადას, თუ კი მასზე ეკკლესიის მხრით რაიმე სასჯელი არის დადებული. ამ სამახსოვრო ჯვრებზე იქნება დაწერილი როგორც ზემოთ მოხსენებული სიტყვები, ისე პაპის ინდულგენციის სიტყვები. თითო ჯვარი ეღირება ექვსი ფლორინი. მსგავსი ჯვრები დამაგრებულნი იქნებიან ეკკლესიების კედლებზე.

—

ჩვენ რითი გვსურს აღვბეჭდოთ 19 საუკუნის შესრულება? ვგონებ ძილით. რამდენი კითხვა მივეცით ჩვენს საზოგადოებას, რომ რითიმე აღებეჭდა მეცხრამეტე საუკუნის შესრულება, მაგრამ კრინტი არავის დაუძრავს. რატომ? მიტომ რომ ჩვენში ყოველ კაცს ძილი ყველაფერს ურჩევნია და „ნანინას“ მთქმელებიც ბევრი გვყავან!..

დეკ. დ. ღამბაშიძე.

## ქართული საერო მუსიკა

ჩვენი ქვეყანა, რაც დრო და ხანი გადის, თანდათან თვალ-საჩინო ნაბიჯით მიდის წინ სწავლა-განათლების საქმეში, მაგრამ იგივე არ გვეთქმის ჩვენის ქართული მუსიკის შესახებ, რომელიც ლამის არის ჩვენის დაუდევრობისა გამო, გაჰქრეს. ამ ოცისა თუ ოცდა-ხუთის წლის წინად ჩვენი საერო მუსიკა დიდს ხმარებაში იყო. ყველა შემთხვევა ცხოვრებაში: ჭირი, ლხინი, სიყვარული, მუშაობა, მგზავრობა და ყველაფერი სიმღერით იყო დამშვენებული, რომელიც ხალხის სულსა და გულს ატკბობდა. ახლა-კი აღარ ისმის მძლავრი ჰექა ხმათა ლაშქრობისა, რომელიც დამოუკიდებლობასთან ერთად დავკარგეთ, აღარ ისმის ხმა ყანურისა, ნადურისა და სხ. ახლა აღარ ისმის ძველი ტკბილი ლილინი, ჩონგურსა, თარსა და ჭიანურზედ შეწყობილი და, თუ ისმის მხოლოდ აქა-იქ, ძველ თავად-აზნაურთა ოჯახებში, რომელთაც შეუბღალავად შეუნახავთ ნამდვილი ქართული კილო. სამაგიეროდ ნამდვილ ქართულ სიმღერისა ისმის: გულიმჯან, სულუმ-გულუმ, ჭირიმე, შეეჩვია, სულიკო, ბუზიკა და სხ. ქართული მუსიკის შემცირება თუმცა-ლა დღეს-დღეობით დიდად საგრძნობელია, მაგრამ საქმე ჯერ კიდევ იქამდის არ მისულა, რომ მისი აღდგენა შეუძლებელი და იყოს. ჯერ კიდევ ბევრია სიმღერები, რომლებიც არ დაკარგულან, მაგრამ ხმარებიდგან-კი გამოსულან. ბევრი მოიძებნა და დაიწერა კიდეც ნოტებზედ; ცოტაოდენი დაბეჭდვასაც ეღირსა, მაგრამ ეს არ კმარა, საჭიროა მათი გაცნობა შესწავლა, ყარგი დასის შედგენა და დაარსება. ტფილისში, სადაც საქართველოს ყველა კუთხის ხალხი მრავალია, არა თუ უბრალო დასის, ეტნოგრაფიული დასის შედგენაც მოსახერხებელია. რა საინტერესო, რა სასარგებლო და რა სასიამოვნო იქნება ეტნოგრაფიული დასი და მისი კონცერტი, ამისი ახსნა-განმარტება საჭირო არ არის, რადგანაც ყველასათვის ცხადზედ უცხადესია. და სწორედ დიდი სირცხვილია, რომ ტფილისში ერთი კარგი ქართული დასი არ არსებობს. ხმით, სმენითა და ნიჭით ქართველი ხალხი ბუნებითვე დაჯილდოვებულია, მაგრამ სურვილი და სიყვარული ჩვენის საერო მუსიკის შესწავლისა და ცოდნისა სრულიად არა გვაქვს. როდესაც აგერ გვერდით მეზობლები, სხვა ტომისანნი, რომელთა მუსიკაც ჩვენს მუსიკასთან შედარებით გაცილებით დაბლა დგას, სცდილობენ, სწავლობენ და ავითარებენ თავიანთ მუსიკას, ჩვენ გული გვტკივა, მაგრამ ტკივილს წამალი უნდა მოუძებნოთ. შეიძლება ეს ჩემი მოწოდება უდაბნოსა შიგან მღაღადებლის ხმად დარჩეს, მაგრამ მე მაინც ჩემსას არ დავიშლი და მივმართავ ორთავე სქესის ქართველს ახალ გაზდობას და ვურჩევ შეისწავლონ თავიანთის ერის სიმღერა და მუსიკა, შევადგინოთ სამაგალითო დასი, გავავრცელოთ, განვავითაროთ და ჩვენი საერო მუსიკა მტკიცე ნიადაგზედ დავაფუძნოთ, რომელიც დიდს სარგებლობას მოიტანს. მივმართავ აგრეთვე ქართველ ახალ-გაზრდა მუსიკოსებს და ვთხოვ, თუ ესეთნი მოიპოვებიან ტფილისში, შევიკრიბნეთ, შევიმუშაოთ ნედლი სამუსიკო მასალები, რომელიც საკმაოდ ბევრია შეკრებილი, და ხმარებაში შევიტანოთ. ვთხოვ, ვინც ამ საგნის შესახებ მოლაპარაკებას ან აზრის გაზიარებას მოისურვებს, ამ ადრესით მომმართოს: ფილიმონ ქორიძე, გოლოვინის პროსპექტი, სახლი, ოქოევისა, შესავალი არშაკუნის ვიწრო ქუჩიდგან მარცხნივ, ნიკიტ. [ცირკის გვერდით, ბინა, № 3.

„ივ.“

## ეკკლესიების ცარცვა-გლეჯა.

სოფელი კორბოული (შორპ. მაზრა). 2-ს ოკდომბერს, ღამით ბოროტ-განმძრახველებმა სოფელ კორბოულში გატეხეს ორი ეკკლესია: ერთი წმ. გიორგისა და მეორე წმ. ნიკოლოზის. ორთავე ეკკლესიების კარები დალეწილ-დამსხვრეულია. წმ. გიორგის ეკკლესიის კრებულს წინა კვირაში შეეტყო, რომ სოფელ არგვეთის ღვთის-მშობლის ეკკლესია გაუძარცვავთ და ყველაფერი წაუღიათო. ამ სამწუხარო შემთხვევით გაფრთხილებულთ, ეკკლესიიდგან გამოუტანიათ ფული, ბარძიმ-ფეშხუმი და ეკკლესიის სხვა ძვირფასი სამკაულები, და სწორედ ამ შემთ-

ხევამ გადაარჩინა წმ. გიორგის ეკკლესიის ძვირფასი სამკაულები და ბარძიმ-ფეშხუმი წაღებისაგან. მხოლოდ წმ. გიორგის ეკკლესიიდგან წაეღოთ ორი თუ სამი ორგო წმიდა სამთელი, წონით ორ ფუთამდის და სხვა-და-სხვა წვრიმალი ნივთები. წმიდა ნიკოლოზის ეკკლესიაში, რომ ვერაფერი წასაღები ვერ ეშოვათ, პირიქით გამძარცველთ ხუთ მანეთიანი ოქრო დაეტოვებინათ საყდრის კარებთან და წასულიყვნენ.

ჯერ ეს სამი ეკკლესია გატეხეს ჩვენს მხარეში და ვინ იცის, შემდეგ რომელ ეკკლესიას დაეცემიან და გაგლეჯენ. ქურდები თავიანთ გულის წადილს ადვილად ასრულებენ, რადგან ჩვენსკენ, თითქმის, ყველა ეკკლესიები ღვთის ანაბარათ არიან გაშვებული და ღამით არავინ არ ყარაულობს.

არც ერთს იმ ეკკლესიას, რომელნიც გაძარცვეს, ღამით დარაჯები არ ჰყოლია.

ამ ამბით შეშინებულთ სხვა ეკკლესიების ზოგ-ერთ კრებულთ, ყოველი წირვის შემდეგ გამოაქვს ეკკლესიებიდგან ძვირფასი ნივთები და ჰალავენ სტაროსტა-სტოროჟების სახლებში. მაგრამ არ ვიცით კი, როდემდის უნდა მოვიქცეთ ასე!!! თანაც დიდი შიში და კრძალულება გვაქვს სამღვთო წმ. ნივთებ-სა, როგორნიც არიან მაგალითად ბარძიმ-ფეშხუმი სამკაულებით, რადგან ეს ნივთები წმ. ეკკლესიაში უნდა ინახებოდენ და არა ერის კაცთა სახლებში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ამნაირად ქურდების თავამვებულობას და მიიღებს ზომებს ხალხში ამისთანა უბედური ძარცვის წინააღმდეგ. საყურადღებო ის არის, რომ ამისთანა ქურდობა მატულობს იმ დროს, როცა «სტრაჟნიკები» დაარსეს.

კორბ. მ. ღვთის-მშობ. ეკ.-მღ. ელ. მაჭარაშვილი.

## წესდების პროექტი.

ძმობა წმ. მოწამეთა, არგვეთის მთავართა ძმათა დავით და კონსტანტინეს სახელობაზე.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრების ანგარიშიდან, რომ სამღვდელოების უკანასკნელ კრებას წარუდგინა დასამტკიცებლად მამა მ. კელენჯერიძემ პროექტი ახალი დასაარსებელი ძმობის წესდებისა. იციან აგრეთვე, თუ რა გვარი ბაასი გამოიწვია კრებაზე ამ წარდგენილმა პროექტმა. ეს კითხვა ამ ბოლო კრებაზე ასე დასრულდა: „დაიბეჭდოს „მწყემსში" როგორც წესდების პროექტი, ისე მამა კელენჯერიძის მოხსენება, კრებაზე წაკითხული მისგანვე, ამ სახით შეიტყოს ყველა სამღვდელოებამ, იქონიონ მსჯელობა საბლაღოჩინო კრებებზე და შემდეგ სამღვდელოების კრებაზე დეპუტატებმა იქონიონ მსჯელობა მის მიღებაზე და მიუღებლობაზე». ჩვენ დავპირდით სამღვდელოების კრებას ორივეს დაბეჭვდას უფასოთ. სამღვდელოების ამნაირი დასკვნა ხელ მოწერილ ჟურნალში სრულებით სხვა გვარად არის აღნიშნული. ჟურნალში სწერია, რომ დაიბეჭდოს მარტო რუსულად პროექტი და ქართულად დაბეჭდვაზე არა არის რა ნათქვამი. ჩვენ გადმოგვეცა განსვენებული მღვდელმთავრისაგან მარტო რუსულად დაგვებეჭდა და ქართულის დაბეჭდვაზე არაფერი არ იყო ნათქვამი. რომ ქართულად დაბეჭდილიყო მთელი პროექტი, ჩვენ არაფერს არ ვიტყოდით მის შესახებ, მაგრამ ვინაიდგან ჩვენ სამღვდელოებაში მცირე ნაწილმა იცის რუსული და ამასთან უმეტესმა ნაწილმა ბლაღოჩინებისამ უკვე კრებები მოახდინეს და სამღვდელოება დაითანხმეს წესდების პროექტის მიღებაზე, დღეს არავინ საწყენად არ უნდა მიიღოს, რომ ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ამ პროექტის შესახებ. ჩვენ მკითხველების ყურადღებას მივაქცევთ ძმობის მიზანს, რომელიც პროექტში გარკვევით სჩანს. აი 1-ლი პარაგრაფი რას ამბობს:

„§ 1. ძმობას აქვს მიზნად: ა) გაავრცელოს ხალხში (იმერეთის ეპარქიაში უმთავრესად), სარწმუნოებრივ-ზნეობითი განათლება თანახმად მართლ-

მადიდებელი ეკკლესიისა, აა) ცხოველი სიტყვით (ეკკლესიის კათედრიდამ ქადაგებით და ღვთის-მსახურების გარეშე საუბრებით ხალხთან), ბბ) სარწმუნოებრივ-ზნეობითი სახალხო კითხვებით უმთავრესად კვირა-უქმე დღეებში; გგ) იაფ და უფასო წიგნების თარგმნით და ხალხში ამ წიგნების გავრცელებით, თავისი და სხვათა გამოცემათა, უმთავრესად სარწმუნოებრივ-ზნეობითი შინაარსისა, სამშობლო ენაზე, აგრეთვე საღმრთო წერილის და საეკკლესიო წიგნებით; წმინდანების ცხოვრებით, გამოჩენილ საეკკლესიო მქადაგებელთა ქადაგებებით, ხატების და ჯვრების გავრცელებით, დდ) პედაგოგიური ჟურნალის გამოცემით; ეე) ახალი სამრევლო სკოლების გამრავლებით და რომელნიც უკვე არსებობენ, მათი მკვიდრ ნიადაგზე დაყენებით იმერეთის ეპარქიაში, ამ სკოლებთან წიგნთ-საცავების, სამკითხველოების და წიგნების საწყობების დაარსებით, კითხვით, მოსწავლეთათვის უფასოდ და ან მცირე საფასით სახელმძღვანელოების მიწოდებით".

ძმობის მიზანი შეიძლება კიდევ ფართოთ დასახოს კაცმა, მაგრამ საქმე ის კი არ არის, რომ მარტო ქაღალდზედ დაიწეროს. საქმე იმაშია, როგორ შეიძლოს კაცმა მისი ასრულება. ზოგიერთები გატაცებულნი არიან სხვა-და-სხვა ძმობისა და საზოგადოების წესდებათა მიზნებით, მაგრამ ჩვენ აშკარად ვხედავთ, თუ რა ძნელია საქმით ასრულება იმ მიზნის, რომელიც ასე ადვილად იწერება ქაღალდზე თბილ ოთახში და ისიც მაშინ, როდესაც კაცს საქმე არ აწუხებს. რა ადვილი სათქმელია და დასაწერი ქაღალდზე: ცხოველი სიტყვით ქადაგება ეკკლესიებში და ღვთის მსახურების გარეშე საუბრების გამართვა ხალხთან! რა ადვილი სათქმელი და დასაწერია ჯვრებისა და ხატების გავრცელება ხალხში! რა ადვილი სათქმელია წიგნთ-საცავების დაარსება ყველა სკოლებთან სოფლებში!.. გვეტყვიან: თუ კაცი მოინდომებს და ფულები იქნება, ყველაფერი ადვილი ასასრულებელიაო. მართალია, ჩვენც თანახმა გახლავართ, მაგრამ სად არიან ამ ცხოველი სიტყვის მქადაგებელნი? სად არის საშუალება წიგნთ-საცავების დაარსებისათვის ყოველ სკოლასთან? სად არის საშუალება სახელმძღვანელო წიგნთა იაფფასად ბეჭვდისა?

მამა მელიტონ კელენტირიძის ძმობის წესდების პროექტი მიგვითითებს ამ საშუალებაზე. აი რას ამბობს პროექტის პარაგრაფები.

„§ 8. იმერეთის ეპარქიის ეკკლესიის კრებულის თითოეული წევრი და სამრევლო სკოლების მასწავლებელნი და აგრეთვე მონასტრების ძმანნი ითვლებიან ძმობის სავალდებულო ნამდვილ წევრებად იმ უპირატესობით ძმობის სხვა ნამდვილ წევრთა წინაშე, რომ მათ ძმობის ყოველი გამოცემა დაეთმობათ მღვდლებს 20% გამორიცხვით, ხოლო მედავითნეთ, მთავარ-დიაკვნებს და საეკკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელთ 40% გამორიცხვით.

§ 16. ძმობის რჩევას შეადგენს თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, ოთხი მუდმივი წევრები და ერთი გამოუცვლელი წევრი—საეკკლესიო-სამრევლო სკოლების ეპარქიალური მეთვალყურე, რომელსაც ისეთივე ხმა აქვს, როგორც მუდმივ წევრთ.

§ 17. ძმობის რჩევის თავმჯდომარედ ითვლება მუდამ ეპარქიალური სკოლების სამოსწავლო რჩევის თავმჯდომარე, ხოლო მის მოადგილედ ძმობის რჩევის უფროსი წევრი სასულიერო პირთაგან.

§ 26. საზოგადო კრებაზე თავმჯდომარეობს თვით ყოვლად სამღვდელო, ანუ ძმობის თავმჯდომარე.

§ 38. ძმობას აქვს დამხმარებელი ორგანოები: სარევიზიო, მთარგმნელი, და გამომცემელი კომმისიები, რომელთაგან თითოეულს აქვს განსაზღვრული პროგრამა მოქმედებისა.

§ 39. სარევიზიო კომისია შესდგება თავმჯდომარის და ორი წევრისგან. ეს კომისია ირჩევა საზოგადო კრებისაგან სამი წლით.

ძმობის საშუალებანი და მათი წყარონი.

§ 56. ძმობის საშუალებანი არიან ერთ დროებითნი, მუდმივნი და შემთხვევითნი.

§ 57. ძმობის სასარგებლოდ ხელ უხლებელი თანხის შესადგენად და გასაძლიერებლად ერთ დროებით შემოდის ფული: ა) სანთლის ქარხნისაგან 500 მ., ბ) ეპარქიის შეძლებული ეკკლესიებიდან, რომელთაც თავისუფალი ფულები ბანკში ან კასებში აქვსთ არა ნაკლებ 200 მანეთისა, ოცი პროცენტი, ხოლო ძმობის გახსნის დროს, გ) ძმობის

საპატიო წევრთაგან ას-ასი მანეთი (§ 4) და დ) თითოეულ ნამდვილ წევრთაგან ორ-ორი მანეთი, როცა ისინი ჩარიცხულ იქმნებიან ძმობის წევრებად (§§ 4, 6).

§ 58. ძმობის მუდმივი (ყოველ წლიური) შემოსავალი შესდგება: ა) ნამდვილ წევრთა ყოველწლიურ შემოსატანი ფულებისაგან მოშურნე წევრთაგან, ბ) იმ მონაგები ფულისაგან, რომელსაც ავიღებთ საკუთარი და სხვისი ნივთების გასყიდვისაგან, რომლებიც გვექნება საწყობებში და რედაქციაში, გ) ჟურნალის წლიური საფასისაგან, დ) ჟურნალში განცხადებათა დასაბეჭდი ფულისაგან, ე) თანხის სარგებლისაგან, ათი პროცენტი მდიდარი ეკკლესიების დარჩენილი ფულისაგან, იმ ეკკლესიებისა, რომელთაც წლიურად აქვსთ შემოსავალი არა ნაკლებ 100 მანეთისა, ეკკლესიების კრებულთა სახელმწიფო ჯამაგირებიდამ გამორიცხული 2%, იმ ფულებიდამ, რომელიც შეიკრიბება ეკკლესიის და მონასტრის ყულაბებით 6 აგვისტოს და ხარებას (25 მარტს), 400 მანეთისაგან, რომელიც ყოველ წლობით შემოვა საეკკლესიო ხაზინისაგან და 3% სანთლის ქარხნის მთელი შემოსავლისაგან.

§ 59. ძმობის შემთხვევითი შემოსავალს შეადგენს: ა) ეპარქიებში და მათ გარეშე მოწოდებით შეკრებილი ფულები, ბ) მოულოდნელი კეთილმნებელობითი შეწირულებანი სხვა-და-სხვა პირთა და დაწესებულებათაგან და გ) სასულიერო კონცერტების შემოსავლისაგან.

§ 60. ყველა ამ აღნიშნულ შემოსავალთაგან ხელ უხლებელი თანხის შესადგენად ძმობის ყოველწლიურ შემოსავლისაგან გადაირიცხება 20% ყველა ერთ დროებითი შემოსავალი და სარგებელი თანხებიდგან. დასასრულ ამ თანხის გასაძლიერებლად, ორი წლის შესრულებამდე ძმობის გახსნის დღიდგან, ყოველ გვარი შემოსავალი ძმობისა შერიცხულ იქნება ხელ-უხლებელ თანხაში და მისი დახარჯვა არაფერზე არ შეიძლება.

§ 62. თუ ვინიცობაა, რაიმე მიზეზისა გამო ძმობა დაიხურა; ძმობის წევრთა ორი მესამედის დასწრებით, საზოგადო კრებაზე ხმის უმეტესობით და უწმიდესი სინოდის ნება-რთვით. ძირითადი თანხა, აგრეთვე ქონება და ძმობის სხვა საშუალებანი მოხმარებულ იქნებიან იმერეთის ეპარქიაში სარწმუნოებრივ-ზნეობითი განათლების გასაძლიერებლად".

რა ადვილია, მართლაც წერა ქაღალდზე სხვა-და-სხვა პროექტებისა! მთელს რუსეთის იმპერიაში არ არსებობს ასეთი სავალდებულო ძმობა. არიან სავალდებულო საზოგადოებანი, მაგრამ ძმობა სავალდებულო კი, არსად არ არის, ძმობის წევრნი ყველგან ნება-ყოფლობით იკრიბებიან და მიტომაც ჰქვიან ძმობა.

ჩვენში არსებობენ ზოგიერთი მართლადაც ძლიერ სასარგებლო დაწესებულებანი, მაგრამ საპატიო წევრების რიცხვი ერთი ან ორი ითვლება და მათგან რა უნდა შემოვიდეს. დაიმედება ეკკლესიების შემოსავლით, გასყიდული ნივთებისაგან შემოსული სარგებლით, 6 აგვისტოს და 25 მარტს ყულაბების ჩამოტარებით შეკრებილი ფულებით, ჩვენის აზრით, ისეთი თავის მოტყუება იქნება, რომ არა თუ სამღვდელოებას, ბავშსაც კი არ მიეტყვება. რუსეთის ეკკლესიებში ყულაბების ჩამოტარებით შესაძლოა ფულის შეკრება, მაგრამ ჩვენს ეპარქიებში არ მესმის. განა არ ვატარებთ ლანგრებს და ყულაბებს და ამასთან არ უკითხავთ ხალხს სხვა-და-სხვა მოწოდებათა? და რას ვხედავთ? მთელს საბლაღოჩინოში შემოდის ერთი და ორი მანეთი და ზოგან სულ არაფერი! ნუ თუ ამაში ეჭვი უნდა ვიქონიოთ. ამასთან ზერ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ამ ყულაბების ტარებამ, მლოცველები ბევრს ადგილას დააფრთხო და ეკკლესიაში აღარ დგებიან ყულაბების ჩამოტარების დროს.

საზოგადოდ, ძმობის დაარსება ჩვენში სანატრელი საქმეა, მაგრამ ძმობას თუ თანხა არა აქვს, როგორც ვსთქვით, რას გააკეთებს? წყარონი კი ფულის შემოსავლისა, რომელნიც პროექტში არიან მოხსენებულნი მ. კელენჯერიძისაგან უიმედო და უსაფუძვლონი არიან. მაგალითებრ, რა ფული უნდა მისცეს საეკკლესიო ხაზინამ ძმობას, როდესაც სამღვდელოება სანთლის ქარხნიდან ავსებს ხაზინის ნაკლულოვანებას? როგორ უნდა შემოიტანოს მთელი შემოსავლიდგან სამი პროცენტი სანთლის ქარხანამ, როდესაც სანთლის ქარხნისაგან დასაფარავი სასწავლებლის ხარჯი, თვითონ სამღვდელოებას ხდება? ერთი სიტყვით, ძმობის წესდების პროექტს ისეთი წყაროები აქვს აღნიშნული ფულების შემოსავლისა, რომლიდანაც ერთი გროში არ შემოვა.

სხვათა შორის ძმობის შემოსავლად ნაჩვენებია ძმობის ორგანოში დაბეჭდილ განცხადებათა შემოსავალიც! წელიწადში ამისთანა განცხადებათა შემოსავალი ალბათ შეადგენს სამს ან ოთხს მანეთს!..

ძლიერ უადგილოდ და უჯეროდ მიგვაჩნია დავალება ძმობის გამოცემისა კრებულის ყოველ წევრისათვის და მონასტრებისათვის. ისიც დიდი სასწაული იქნება, თუ ყოველმა კრებულმა გამოიწერა, არა თუ ყოველმა მედავითნემ სათითეულოდ.

მაშ, რომელი შემოსავლიდან უნდა მიეცეს სასყიდელი მთარგმნელებს, წიგნაკების შემდგენლებს და წიგნების გამომცემელთ, ან რომელი შემოსავლიდან უნდა დაიფაროს ხარჯი ორგანოს საბეჭდავად და ისიც სქელი ჟურნალისა, რუსულ და ქართულ ენაზე? მთელს საექსარხოსოში სავალდებულო ჟურნალია „საქართველოს მოამბე“ და როგორ გამოდის, ყველამ კარგად ვიცით. ამის რედაქციაც კი უჩიოდა ამას წინეთ საშუალების უქონებლობას და ერთი ეპარქია როგორ შეიძლებს ერთი ორგანოს ხარჯს და იმასაც ოთხას ორმოცი შტატი?

1885 წელში დაარსდა თფილისში ღვთისმშობლის სახელობაზე ძმობა სიონის ტაძართან. მეტად მეტად მშვენიერი იყო წესდება ამ ძმობისა და მიზანიც ძლიერ საინტერესო. ამ ძმობას, სხვათა შორის, მიზნად ჰქონდა გავრცელება ხალხში რელიგიური და ზნეობრივი შინაარსის წიგნაკებისა. იყო არჩეული სარედაქციო კომიტეტი, რომელიც მშვენიერ წიგნაკებს აწვდიდა სამღვდელოებას ორ კვირაში თითოჯერ. ამ წიგნაკებში იყო გულისა და სულის დამატკბობელნი მოთხრობანი ყველა დღესასწაულებზე სისტემატიურად და საქართველოს ეკკლესია ყველა წმიდანებზე. თითოეული ამისთანა წიგნაკი გაგზავნით ღირდა ორი კაპეიკი. წარმოიდგინეთ, ჩვენმა საზოგადოებამ და განსაკუთრებით სამღვდელოებამ, მეტის-მეტი გულგრილობა გამოიჩინა ამ წიგნაკების გავრცელების შესახებ: დღესაც არა აქვს ბევრს წარმოგზავნილი ამ წიგნაკების ფულები, რომელსაც საკუთრებიდან კი არა, ეკკლესიის ფულიდან ეთხოვებოდათ...

წელიწადში ჩვენ, თითქმის, ოცდა-ათი-ათას სხვა-და-სხვა რელიგიურ და ზნეობრივ შინაარსის წიგნაკს ვბეჭდავთ და ზოგს თითქმის კაპეიკი აქვს ფასი დანიშნული, მაგრამ, სამწუხაროდ, სასურველი გასავალი არა აქვს. ზოგიერთ ადგილას ეკკლესიის ეზოში ბიჭს წიგნაკების გაყიდვის ნებაც არ მისცეს!

აი ეს ზემო ჩამოთვლილი მიზეზები გვაიძულებენ ჩვენ ვსთქვათ, რომ ამისთანა ძმობის დაარსება და ძმობისაგან ორგანოების გამოცემა, რომელშიაც ბელეტრისტიული სტატიებიც კი უნდა იბეჭდებოდეს, შეუძლებლად მიგვაჩნია და უდროოდ. გამოვსცადეთ ჩვენ ყოველივე ეს და ამ გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ ზოგიერთი პირნი აერში კოშკების აშენებას ლამობენ და ამისათვის ფულის შემოსავლის წყაროებსაც აერში ეძიებენ.

დეკ. დ. ღამბაშიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ბურების და ინგლისელების ომის საქმე ამნაირ მდგომარეობაშია ამ ჟამად.

რამდენიმე გამარჯვების შემდეგ რობერტსმა ჩრდილოეთისაკენ დაასხევინა ბურების მთავარ ჯარებს ბოტას უფროსობით. დელაგოას რკინის გზა ხელში ჩაიგდეს ინგლისელებმა. ბურების ჯარის ნაწილები, რომელნიც იბრძოდნენ ამ რკინის გზას ახლოს, დაშორდნენ ერთმანერთს და ვეღარ მოქმედებდნენ თანხმობით. რობერტსმა სწორედ ამ ჯარის ნაწილების დევნას მიაქცია ყურადღება, რადგანაც ისინი მიუხედავად თავიანთ სიცოტავისა ძალზედ აწუხებდნენ ინგლისის ჯარს ტრანსვაალშიაც და ორანჟის რესპუბლიკაშიაც. მდინარე ვაალის ნაპირებზედ მოქმედობდა გენერალი დევეტი. ამის დევნასაც უნდება რამდენიმე გენერალი კიტჩენერის მეთაურობით. თუ როგორი სძულთ ინგლისელებს ბურები და როგორ სცდილობენ ისინი მათ დამშვიდებას, ეს აწერილია „[illegible]-გაზეთში:“

„ფერმებს სწვავენ; ცხენებს, ძროხებს, ცხვრებს იტაცებენ, [illegible] და უთვალავ [illegible] თან მიაქვთ და რაც რჩება წვავენ. ფერმების პატრონები მიჰყავთ ტყვედ, ისინიც კი რომლებიც [illegible]

დაიფიცეს, რომ ომშა არ ერევნენ და რომლებსაც მოწმობა აქვთ თვათ ინგლისელებისაგან, რომ მათ ხელს არავინ ახლებს".

ცხადია, რომ ყოველი ეს ჩამოთვლილი საშინლად გააბრაზებდა ბურებს. და, მართლაც, იმათ ბოლოს დროს ისევ მხნედ და გამწვავებით დაიწყეს ბრძოლა ინგლისელებთან. უკანასკნელი დეპეშები გვატყობინებენ, რომ ბურებმა სწორედ საქმე გაუჭირეს ინგლისელებს და ბევრგან დაამარცხეს კიდეც. ერთი რაზმი გენერალი კლერასი ბურებმა მთლად ტყვედ წაიყვანეს. ესევე ბედი ეწვია წილად ერთ მატარებელსაც, რომელშიაც გენერალ ფერენჩის კალონის ავადმყოფი ჯარის კაცები მიდიოდნენ. ბურები თითქმის ინგლისელების თვალწინ ანგრევენ რკინის გზის ლიანდაგებს და მოურიდებლივ უახლოვდებიან ინგლისელების ჯარების სადარაჯო რაზმებს. კაპის ახალ-შენში ბურების რაზმი ცდილობდა ეძლო ხიდი, რომელსაც ინგლისელების ძლიერი რაზმი იცავდა. დურბანიდან იწერებიან, რომ ბურებმა აიღეს ეს ინგლისელთა ახალ-შენი, დასწვეს რკინის გზის სადგური ვაშბანკში და დაანგრიეს რკინის-გზა. კაპშტადტიდან იუწყებიან, რომ ბურებმა ეხლახან ახლოს 90 ინგლისელ ტყვედ წაიყვანესო. ბურები დასცემიან კაპშტადტის მატარებელს, გაუცარცვავთ და დაუწვავთ იგი. ახალის ცნობებით, განზრახვა აქვთ, რომ შეაერთონ ჯარები ბოტასი და დევეტისა. ბოტა წამოვიდა კიდეც მილდბურგისაკენ, რომ იქიდან პრეტორიას დაემუქროს. ერთის სიტყვით, ამ მოკლე ხანში ხელ-მეორედ გაჩაღდება დიდი ბრძოლა და მასთან ერთად დიდი სისხლის ღვრაც.

რაც შეეხება პრეზიდენტ კრიუგერს, ის წავიდა ევროპაში 7 ოქტომბერს თავისი შვილებითურთ; მას ახლავან მკურნალი გეიმასი და პოლიციის კომისარი ბრედელი.

დასასრულ, ბურებს უთქვამთ ერთის გაზეთის თანამშრომლისათვის, რომ პარტიზანული ბრძოლა არ გათავდება ჩვენში, სანამ ისეთი უფროსები გვყავს, როგორიც არიან ბოტა და დევეტი. მათი სიტყვით, სამხრეთ-აფრიკაში არიან კიდევ ბევრი გამბედავი კაცები, რომელნიც თავს დასდებენ და თავისუფლებას არ უღალატებენ. ბურებს დიდი იმედი აქვთ პრეზიდენტის კრიუგერისა და მისი მეცადინეობისა ევროპიელ მთავრობათა წინაშე.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

27 ამ თვეს კიდევ მოხდა უბედურება ყარსის რკინის გზაზე. სახალხო მატარებელი გადავარდნილა ლიანდაგიდან სადგურ მაცრაზე. ამ უბედურების შესახებ დაწვრილებით შემდეგს იწერებიან: მატარებელი ლიანდაგიდან იმიტომ გადავარდნილა, რომ ლიანდაგს გაუწევია იქით-აქეთ, რადგან ცუდათ გამაგრებული ყოფილა. ორთქლმავალი გვერდზე გადავარდნილა; მას დატაკებია და დამსხვრეულა ბარგის ვაგონი; შემდეგ წაქცეულან საფოსტო ვაგონი და ერთი ვაგონი მე-2 კლასისა; ლიანდაგს გადასცილებია 1 ვაგონი პირველი კლასისა და 2 ვაგონი მესამისა. საბედნიეროდ აქ უფრო ნაკლებ დაზარალებულან, ვინემ გრაკალის სადგურზე. დაჭრილნი არიან კონდუქტორები კახიძე, ლარიძე და ბაქრაძე და ფოსტის მოხელე ალ. მხეიძე. ადვილად დაშავდნენ აგრეთვე მაშინისტის თანაშემწე და 5 მგზავრი. მატარებელში ყოფილა პროკურორი, რომელსაც ექსპერტებთან ერთად მაშინვე მოუხდენია გამოძიება.

დიდათ სასურველია, რომ ამისთანა შემთხვევებში ბლომად მოყვებოდენ სასამართლოს მოხელენი. იქნება მათ მაინც სთქვან რამე!..

* * *

29 ოქტომბერს, ტფილისში უნდა ჩამოსულიყვნენ უმთავრესი ისპექტორი რკინის გზებისა დ. ს. ს. ინჟენერი მ. ნ. გორჩაკოვი და საგანგებო კომისია; ამათ უნდა ყოველის მხრივ შეისწავლონ ის მიზეზები, თუ რის გამო სწარმოებს ესე ცუდად რკინის გზებზე საქონლის გადაზიდვა და მგზავრთა მიმოსვლა.

განა ამას გამოძიება უნდა კიდევ? ეს კომისია ალბათ მოსამსახურეთა დაუდევრობის მიზეზს კავკასიის ჰავაში ნახავს!..

* * *

„ცნობის ფურცელი" შეამდგომლობდა პროგრამის გაფართოვებას. დაწვრილებით ამ დღეებში გამოაცხადებენ პროგრამას და აგრეთვე იმასაც, თუ როდის და რა პირობებით დაიწყება გაზეთის გამოცემა.

* * *

ნოვგოროდის მთავარ ეპისკოპოსად დაინიშნა ეპისკოპოსი გური, თავმჯდომარე სინოდთან არსებული უმაღლესი სამრევლო სკოლების საბჭოისა და წევრი უწმიდესი სინოდისა.

* * *

საქართველოს ექსარხოსს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს ფლაბიანეს, ნოემბრის დამლევს მოელიან.

* * *

ივერიაში ვკითხულობთ: «უწმიდესმა სინოდმა განუმარტა სასულიერო უწყებასა, რომ აუცილებლად საჭიროა საეპარქიო ქალაქებში სასულიერო დაწესებულებათა, მაგ. სასულიერო კონსისტორიისა, სემინარიისა და ადგილობრივის სასულიერო სასწავლებლების ნივთიერ ანგარიშების სარევიზიოთ, სარევიზიო კომიტეტები იქმნას ამორჩეულიო».

გასაკვირველია, რატომ აცხადებს ამისთანა ძველ ამბებს „ივერია" ახალ ამბავათ!..

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და ზნეობაზე.

## სიტყვა,

თქმული იმერეთის ეპარქიალურ გაბრიელის დედათა სასწავლებლის მოწაფეთადმი ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მიერ მათი მეუფების ხსენებული სასწავლებლის ეკკლესიაში პირველად წირვის შესრულების დროს 15 ოქტომბერს.

ძვირფასნო ყრმანო, თქვენ მოგმართავთ სიტყვით, ვინაიდგან ამ წამში მხოლოდ თქვენ ალავსებთ ჩემს გულსა, თქვენზე ფიქრობს ჩემი სული, და მარტო თქვენზეა მიქცეული მთელი ჩემა ყურადღება. ღმერთია მოწამე, რომ დიდი ხნიდამ, თითქმის ამ კურთხეულ ქალაქში ჩემი შემოსვლის პირველ დღიდამ მხურვალე სურვილი მქონდა მენახეთ თქვენ, გარნა ამავე დროს ვთხოვდი უფალსა, რომ პირველად მენახეთ არა კლასებში და კერძო სახლში, არამედ სამყოფელსა შინა ღვთისასა, სახლსა სამლოცველოსა და აი, მადლობა შემომქმედსა, რომ ბედნიერი მყო და ამისრულა ჩემი გულის ნატვრა, რომ ღირსი გავხდი და გიხილეთ ყველანი წინაშე უფლისა, ღირსი შევიქმენ მოვისმინო თქვენ წმინდა და ჩჩვილებრ ბაგეთაგან დიდება ცისა და ქვეყნის შემომქმედისა, მომეცა ბედნიერება მონაწილეობის მიღებისა ამა თქვენს საზოგადო ვედრებაში, რომელიც უმწიკვლო და სპეტაკია, მსგავსად დილის ნამისა მაისის სურნელოვან ყვავილის ფურცელზე და ამიტომაც ეპვს გარეშეა ვითარცა საკმეველს, სუნნად სუნნელად, შეიწირავს მას უფალი.

იცოდეთ, ყმაწვილებო, რომ იმ გვარი მდგომარეობა სულისა, რომელშიაც ვიმყოფები ამ ჟამად, მეტად ძვირფასი და ღმერთოვანებელია, მაგრამ მასთან იმდენად რთული და მაღალია, რომ მისი უმეტ-ნაკლებოდ სიტყვით გამოხატვა ფრიად ძნელია, რაც უნდა მჭევრ-მეტყველების მქონე იყოს კაცი.

მსგავს შემთხვევაში გრძნობით ბევრსა გრძნობ, მაგრამ ვერ მოგიხერხებია ამ გრძნობის დაახლოვებითი გამოთქმა სიტყვით და ხან, შეიძლება, სრულებითაც ვერაფერი სთქვა, გული გიცემს, გსურს ლაპარაკი, გარნა ენა არ გნებდება და დუმილი გიპყრობს. ღრმა სულთქმა, გაბრწყინვებული და ღმობიერი რაღაც მორცხობით მოცული, თვალთ მეტყველება—აი ყველა ის, რითაც კაცი გამოხატავს ხოლმე ჩვეულებრივად თავის მდგომარეობას, როდესაც მისი სული ავსილია ფრიად საშხიარულო და საღმრთო აზრებით. სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვარ მეც დღეს; ესაა მიზეზი, რომ სრულებით მცირე ზეთსა ვპოებ ჩემი სიტყვიერე-

ბის კანდელში, რომელიც ამის გამო ოდნავადა ანათებს და ლამისაა სრულიად ჩაჰქრეს.

მხოლოდ ერთსა ვსთხოვ გულით უფალსა, რათა თქვენ წარმატებით აღიზარდნეთ წინაშე ღვთისა და იმ პირთა, რომელნიც თქვენი განათლების სათავეში დგანან, და მე არასოდეს არ მომიხდეს ვინმე თქვენთაგანის შეწუხება საყვედურის თქმით და შენიშვნით სიზარმაცისა, დაუდევრობისა და უგულთმოდგინეობისა გამო. არ დავფარავ, ყმაწვილებო, რომ ეს საქმე საადვილო არ არის, გარნა, ღვთის შემწეობით, ყველა თქვენგანს შეუძლია ამის აღსრულება, უკეთუ მუდამ სახეში გექნებათ და ნათლად წარმოიდგენთ იმ მიზანს, რომლის მისაღწევადაც ატარებთ დღე და ღამეს ამ სასწავლებელში. თქვენ, ძვირფასნო მოსწავლე ქალნო, მოშორებიხართ თქვენს ძვირფას მშობლებს და ნათესავებს, გამოსცლიხართ მშობელი ოჯახის კერას, დაგიტოვებიათ თქვენი საყვარელი სოფლების მთა და ბარი, ბაღები და ტყეები და შეკრებილხართ ამ სახლში მხოლოდ ერთი მიზნისათვის, მხოლოდ ერთი საქმისათვის—რაც შეიძლება მტკიცედ და საფუძვლიანად შეითვისოთ ის ცოდნანი, რომელნიც ამ სასწავლებლის პროგრამით ნაცნობნი არიან როგორც აუცილებელნი და უსაჭიროესნი თქვენთვის. გარეშე ამ მიზნისა თქვენი აქ ყოფნა უნდა ჩაითვალოს უაზროდ და უმიზნოდ. ამიტომ ნურასოდეს, ერთ წამსაც კი, ნუ დაივიწყებთ თქვენი სასწავლებელში ყოფნის უმთავრეს მიზანს და მაშინ თქვენ შორის აღარ ექნებათ ადგილი სიზარმაცეს და დაუდევრობას. გწამდეთ, რომ გულ-მოდგინებითა და მეცადინეობით ძლევთ ყოველივე სიძნელეთა, რადგანაც უფალი არავის არ დააგდებს თავისი ყოვლად შემძლე ძალის დაუხმარებლად.

თქვენ შეკრებილნი ხართ აქ და მოშორებიხართ თქვენს მშობლებს იმის გამო, რომ მათ არ შეეძლოთ მოეცათ თქვენთვის საჭირო ცოდნა, ამიტომ გაქვნდეთ მხურვალე სიყვარული და უცილობელი მორჩილება თქვენი აღმზრდელებისა, რომელნიცა გიწევენ თქვენ ღვიძლი მშობლების მაგიერობას; თითოეული სიტყვა, თითოეული ბრძანება ამ უკანასკნელთა აღასრულეთ სიყვარულით, როგორც დაურღვეველი მცნება და დარწმუნებულნი იყავით, რომ ყოვლად მოწყალე მამა ჩვენი ზეციური სრული წარმატებით დააგვირგვინებს ყველა თქვენ შრომათა.

გაკურთხოთ უფალმან, განგინათლოთ მან გულნი თქვენნი დაულამებელითა ნათელითა და დაგიცვათ უვნებლად ამა ქვეყნიური ცხოვრების სარბიელზე. ამინ.

---

## შეწირულება.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი მიერ გამოცემული გაზეთის „მწყემსი“-ს საშუალებით გულწრფელი მადლობა გამოუცხადოთ ჩემი და ჩემი მრევლის მხრით, სოფელს უსახელოში მცხოვრებს აზნაურს გრიგოლ გიორგის ძეს წერეთელს და მისს მეუღლეს როზალია ბაქრაძის ასულს, რომელთაც რწმუნებულს ჩემდამი [illegible] დაბის წმიდის გიორგის ეკლესიას შემოსწირეს ერთი წყვილი [illegible].

მღ. სერგი მაჭარაშვილი.

# ისყიდებიან

## დეკანოზი დავით ღამბაშიძისაგან შედგენილი და გამოცემული წიგნები:

თბილისში, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—«მწყემსი»-ს რედაქციის სტამბაში, ძმ. ჭილაძეების და ვ. ბეჟანიშვილის წიგნების მაღაზიებში და ყვირილაში—თვით გამომცემელთან.

### 1. საეკკლესიო და ღვთის-მსახურების წიგნები.

1. ლოცვანი ნახატებიანი, გამოცემა მესამე. მართლ-მადიდებელი ეკკლ. უმთავრესი დღესასწაულების ისტორიული მოთხრობით. ამ ლოცვანში არის მთელი წლის ტროპარ-კონდაკები, სერობა, პარაკლისი ღვთისმშობლისა და ზიარების ლოცვა. აგრეთვე ამ ლოცვნის სრულს თვეთა-მეტყველებაში არიან ჩართულნი საქართვ. წმიდანები მათი ისტორიული მოთხრობით და ტროპარ-კონდაკებით. ფ. ყდით 50 კ. და უყდოთ . . . 40 კ.
2. წესი ნეფისის ზიარებისა და კრებული პანაშვიდისა, ფასი . . . . 10 კ.
3. მიცვალეთა და გარდაცვალებულთა მოსახსენებელი კონდაკი (კარგის ყდით) ფ. . 30—
4. კონდაკი იოანე ოქროპირის წირვისა უყდოთ 40 კ. კარგი ყდით . . 60 »
5. შემოკლებული ლოცვანი ანბანით და თორმეტი საუფლო დღეების ტროპარ-კონდაკებით ფ. . . . . 5 »

### 2, სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები.

1. დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებაზედ, რომელიც უწმ. სინოდისაგან მოწონებულია როგორც სასწავლო საღმრთო სჯულისა სამრევლო-სამრევლო და სხვა პირველ დაწყების სკოლებში—ფასი . 30 კ.
2. იგივე დარიგება საღმრთო სჯულის სწავლებზედ რუსულს და ქართულს ენაზე ხმის ამაღლების ნიშნებით—ფასი . . . 40 კ.
3. დაწყებითი გაკვეთილები საღმრთო სჯულის სწავლებაზე, ფასი . . . 15—
4. ახალი საეპარქიო კონსისტორიათა წესდებულება—ფასი . . . 40 კ.
5. მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო სახელმძღვანელო წიგნი—ფასი ყდით . . . . . 20 კ.
6. საქართველოს ეკკლესიის ისტორია ფასი 45 კ.

### 3. სამკურნალო წიგნები და დარიგება ჯანმრთელობის დაცვაზე.

1. ახალი კარაბადინი, მეორე გამოცემა დამატებით, რომელიც განწილული, შესწორებული და ნებართული კავკასიის საექიმო რჩევისაგან—ფასი . . . 1 მ.
2. დარიგება მხედველობის დაცვისა და თვალების მოვლაზე, ფასი . . . 10—

### 4. შესანიშნავი მონასტრები და ეკკლესიები და ამ მონასტრების აღმაშენებელთა ცხოვრების აღწერილობანი,

1. მცხეთის ტაძარი და წმიდა ნინო, ქართ. განმანათლებელი, ფასი. . . . 25 კ.
2. გელათის მონასტერი და ცხოვრების აღწერილობა მეფის დავით აღმაშენებ. . 25 კ.
იგივე რუსულ ენაზე . . . 20 »
3. შიო მღვიმის მონასტერი და ცხოვრების აღწერა ღირსისა მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.
4. ათავარ-მოწ. დავით და კონსტანტინე და მოწამეთის მონასტერი.—ფასი . 5 კ.
იგივე რუსულ ენაზე . . . . 10 კ.
5. ბარძიის მონასტერი, ფასი . . 5 კ.
6. მარტვილის მონასტერი . . . 2 კ.

### 5. საუფლო და ღვთის-მშობლის დღესასწაულების აღწერა ზნეობრივ სწავლა დარიგებით.

1. ღვთის-მშობლის დაბადება, სურათით . 2—
2. ტაძრად მიყვანება ღვთის მშობლისა, ფ. . 2—
3. ამაღლება პატიოსნისა და ცხოველს-მყოფელისა ჯვარისა, სურათით. . . 2—
4. შობა უფლისა . . . . . 2 კ.
5. მირქმა უფლისა, სურათით.—ფასი . 2—
6. ხარება ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლისა 2—
7. ბზობა სურათით—ფასი . . . 2—
8. აღდგომა სურათით—ფასი . . 2—
9. მიძინება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლისა, 2—
10. ხელთუქმნელი ხატის ისტორია . . 3 კ.

### 6. მოწამენი, ღირსნი მამანი და დედანი საქართველოს ეკკლესიისა, შესანიშნავი საქართველოს მეფენი და დედოფალნი:

1. წმიდა მოწამე რაჟდენი, სურათით, ფასი . 5 კ.
2. წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელი 2—
3. მეფე დავით მესამე აღმაშენებელი 5—
4. თამარ მეფე, სურათით 6—
5. გიორგი მთაწმიდელი 10—
6. იოანნე ზედაზნელი 6—
7. შუშანიკი 3—
8. ქეთევან დედოფალი 2—
19. არჩილ და ლუარსაბი 5—
10. მეფე დავით III აღმაშენებელი 5—
1. იგივე ვრცელი 15 »

### 7. რელიგიური და ზნეობრივი შინარსის წიგნები და საუბრები:

1. **წმიდანი მღვდელ-მთავარნი: ვასილი დიდი, გრიგოლი ღვთის-მეტყველი და იოანნე ოქროპირი**, სურათებით — ფასი 5—
2. როგორ უნდა ვმარხულობდეთ — ფასი . 3—
3. **ცხოვრება წმ. მოც. სწორის დიდის მთავრის ვლადიმირისა** 2—
4. ანდრია პირველწოდებული, ისტორიული პოემა აკაკისა, ფასი 5—
5. სიკვდილი მართლისა, **პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი** 5—
6 ხმა მოძღვრისა სამწყსოსადმი. საუბარი შესწავლა იესო ქრისტესი 3—
7 შვილების მოვალეობა მშობელთადმი 3—
8 მშობლების მოვალეობა შვილთადმი 3—
9 ვინ არიან ჩვენი ცხოვრების მტერნი და როგორ უნდა ვძლიოთ მათ 3—
10 იუნჯებდით საუნჯესა ცათაშინა 3—
11 საუბარი ღვთის სიტყვაზე 3—
12 — შრომაზე 3—
13. სამგვარი სიკვდილი 5 »

### 8. მოთხრობანი დაბადებიდან.

1. **მეფე სოლომონ-ბრძენი** სურათით—ფ. 6—
2. ესთერი (მოთხრობა დაბადებიდამ) სურ. 5—
3. სიბრძნე იესო ძისა ზირაქისა, სურათით. 5—
4. იოსები 5—

### ხატები და მხატვრობანი.

იმექონებიან პატარა იაფ-ფასიანი-ხატები ფიცარზე სამოთხ გოჯიანი ფასი 5—10 კ. ხატები არის მაცხოვრის, ევერის ღვთის მშობლისა, წმიდა გიორგის, ანდრია მოციქულის, პირველ წოდებულისა და ათ თორმეტთა დღესასწაულთა. ვინც დაიბარებს ხატებს არა ნაკლებ ოცისა, იმათ ჩვენს საქართველოში ყველგან ფოსტის გასაგზავნი არა გადახდება. ამასთან იმექონება სქელ ქაღალდზე ნახატი წმიდა ნინოსი, საქართველოს განმანათლებელისა ვარაყით 6+7 გოჯიანი ფასი 15 კ. ფოტო-ტიპიით დახატული წმიდანი მთავარ-მოწამენი დავით და კონსტანტინე 6+5 გოჯიანი ფასი 5 კ. ამავე ზომისა და ამისთანავე სახით წმიდა ნინო ქართველთ განმანათლებელისა და დავით აღმაშენებელისა ფ. თითოი 5 კ.

ვინც ზემო აღნიშნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ ერთი თუმნისა, მას მანეთზე დაეთმობა 20 კ. ვინც ორ კაპიკიან წიგნაკებს იბარებს არა ნაკლებ ასი ცალისა, ის ფოსტით გასაგზავნს არ იხდის.

იმექონება აგრეთვე მრავალი პატარა გულსაკიდი ხატები ფერადოვანი ლითოგრაფიისა, სახელდობრ: ნინოსი, დავით და კონსტანტინესი, დავით აღმაშენებლისა, თამარისა, ანდრია პირველ წოდებულისა და წმიდა გიორგისა. ფასი თითოსი 5 კ. ვინც ასს დაიბარებს ნაღდ ფულზე, მას ჯაჭვებით დაეთმობა, სამ მან. ასეთი იმექონებიან ვერცხლისაც, ფასი 40 კ.

### 11. მხატვრობანი სასულიერო და საერო მოღვაწეთა.

1. შოთა რუსთაველი. 25 კ.
2. აკაკი წერეთელი . 25 კ.
3. თამარ მეფე 25 კ.

იმექონება აგრეთვე შესავალ-გასავალის წიგნები და ყოველგვარი მოწმობების ბლანკები და ამონაწერილობანი.

---

### შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიტერატურო განყოფილება:** რედაქციისაგან. —ჩვენი სოფლის ცხოვრების ეხლანდელი საპროგრამო კითხვების გამო.—ჩემი სასიხარულო და სამწუხარო. შთაბეჭდილებანი აზიის და ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს.—დღესასწაულობა ცხრამეტი საუკუნის შესრულების გამო.—ქართული საერო მუსიკა.—ეკკლესიების ძარცვა-გლეჯა.—წესდების პროექტი. — ჟურნალ-გაზეთებიდან. — ახალი ამბები და შენიშვნები.

**ხვავლა** და **მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნ.** და **კეთილ-ზნეობაზე**: სიტყვა ყ-დ სამღვ. ლეონიდისა.

შეწირულება.—განცხადება.

---

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.
*Дозволено цензурою, Тифлисъ,* 31 Октября *1900 г.* ✦ *Цензоръ прот. Е. Еліевъ*
Типогр. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ. въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვის დადვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 21 1883—1900 15 ნოემბერი.

P 38898

## რედაქციისაგან.

რედაქცია მორჩილად სთხოვს მათ, ვისაც ჯერეთ კიდევ არ შემოუტანია ჟურნალის „მწყემსის“ ფულები, დაუჩქარონ გამოგზავნას. მომავალი წლის ხელის მომწერთ ურჩევთ ისარგებლონ ეხლანდელი არსებული ფოსტის წესით. დღეს ყველას შეუძლია ფული წარადგინოს ფოსტაში და სამ შაურად გაიგზავნება, სადაც სურთ. ამ წესით ფულის გაგზავნა საადვილო და იაფია. ფოსტის წერილების ბლანკზე უნდა იყოს სრული ადრესი ფულის გამგზავნის ან ჟურნალის დამკვეთისა.

## გაენათის მონასტრის შეკეთება-გამშვენების საჭიროება.

რომელი ქართველთაგანი გაენათის მონასტრის დანახვაზედ არ აღივსება მწუხარებითა და არ იტყვის: „რა ხალხი ვართ, ასეთი დიდებული ნაშთი რა ნაირ სატირალ მდგომარეობაშია, და ჩვენ კი მას ყურადღებას არ ვაქცევთ!». გაენათი ყოველ შეგნებულ ქართველისათვის დიდად ძვირფასი და სათაყვანო უნდა იყვეს; ის არის ცხადი ნიშანი, რო ჩვენ გვქონია ისტორია, შესანიშნავი წარსული, რო ჩვენ არ ვყოფილვართ მოკლებული ნიჭს, შემოქმედების ძალას,

და გვქონია კულტურა, განათლება—მწიგნობრობა ცოდნა—ხელოვნება. ის არის ჩვენი დამაკავშირებელი მამა-პაპებთან, მათ აღგვიშენეს იგი, შეგვიმკეს და გადმოგვცეს; ისინი მასში ლოცულობდნენ, ავედრებდნენ უფალსა თვის თავსა და მოძმეთა; და ჩვენ მხილველნი ამ სახელოვან ადგილისა, ვიხსენიებთ მათ სიყვარულით, მადლობით და ქება-დიდებით. ის არის წმიდა ადგილი; იქ აფხაზეთ-იმერეთის ქათალიკოსი და გაენათელი ტრაპეზის წინაშე ალაპყრობდენ თვისს ხელსა მაცხოვრისადმი და გამოითხოვდენ ბედნიერებას ერისათვის; იქ იღვწოდნენ მრავალნი წმიდანი მოღვაწენი. ის არის წმიდათა წმიდა მთელის საქართველოისა. და ესეთი დიადი საგანი დღეს ჩვენგან მივიწყებულია; ის იქცევა. მასში წვეთი ჩამოდის, კედლები ინგრევა, მხატვრობა წაბლალულ-დასახიჩრებულია, მორთულობა ძლიერ ღარიბულია, მონაზონთა რიცხვი ფრიად მცირეა. არ ისმის მასში სულის დამატკბობელი, აღმაფრთოვანებელი და ღვთისადმი აღმყვანელი საეკკლესიო გალობა. ასე დამცირდა ლაუკანასკნელდა ერთ დროს დიდებული გაენათის ტაძარი.

გასაოცარია, როგორ შევიცვალენით და დავკარგეთ ყოველივე მსგავსება ჩვენ წინაპრებთან, რომლებიც თვის მოვალეობად რაცხდნენ აღეშენებიათ და გაემდიდრებიათ ეკკლესიები და ხელი შეეწყოთ მონასტრულ ცხოვრების წარმატებისათვის. დიდი სირცხვილია ჩვენთვის, რო ესრეთ დაუდევარნი ვართ და არ ვიცავთ მოსპობისაგან მას, რაც ჩვენ წინაპრებმა დაგვიტოვეს. და ამიტომაც დაგვცინიან უცხოელნი, რო ვერ ვაფასებთ ძველთ განძთა და გულ-გრილად შევსცქერით, როგორ გვეცლება ისინი ხელიდან. გარნა, დროა გამოვფხიზლდეთ, შევიგნოთ და გავასწოროთ ჩვენი დანაშაულობა. გაენათის მონასტერი განსაკუთრებით (ახალი ან კრადონ) სათაყვანო უნდა იყოს იმერეთის ეპარქიის მკვიდრთათვის, და ამიტომ მის შეკეთება-გამშვენებისათვის უმთავრესად ამათ უნდა იზრუნვონ. იმერლებს, რასაკვირველია, ამ დიდ საქმეში წინ გაუძღვება ის, ვინც მათ სათავეში სდგას, ე. ი. ახლად დანიშნული ენერგიით, სიცოცხლით და იდეალურ ლტოლვილებებით აღსავსე მწყემსთ-მთავარი, ყოვლად სამღვდელო ლეონიდე. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რო მათი მეუფება არ დაიზარებს, ხელს მოკიდებს მაგრად ამ საქმეს, ყოველივე ღონისძიებას იხმარს და თვის მიერ დაწყებულ საქმეს ჯეროვანად დააგვირგვინებს. გაენათის მონასტრის შეკეთება-გამშვენებისათვის, სულ უკანასკნელი რო ვსთქვათ, საჭიროა 100 000 მანეთი. ეს თანხა სასურველია მოგროვდეს ისევ ჩვენ შორის, რათა უცხოელთ დაუმტკიცოთ, რო თუმცა ჩვენ ნივთიერად შეწუხებულნი ვართ, მაგრამ გვესმის წმიდა ადგილების მნიშვნელობა და მათთვის თავს არ ვზოგავთ. მაგრამ როგორ უნდა მოგროვდეს ზემოხსენებული თანხა? მღვდელ-მთავარმა ბლაღოჩინებს და დეპუტატებს საეპარქიო კრებაზედ უნდა განუმარტოს გაენათის მნიშვნელობა და საჭიროება მის განახლებისა, და დაავალოს მათ და მათთან ერთად მთელ სამღვდელოებას, მოეხმარონ მას მის სურვილის განხორციელებაში, ილონონ როგორმე და საკმაო ფული შეჰკრიბონ. ბლაღოჩინები და დეპუტატები საბლაღოჩინო კრებებზედ გამოუცხადებენ მღვდლებს ეპისკოპოზის სურვილს და შეაგულიანებენ მათ ამ საქმეში დახმარებისათვის. მღვდლები თვისს სამწყსოებს აუხსნიან, თუ რა არის გაენათი ქართველი კაცისათვის, რა ცუდ მდგომარეობაშია იგი ახლა, ეტყვიან რო ჩვენ მოვალენი ვართ დავიცვათ, განვაახლოთ იგი, რო ამისთვის საჭიროა საშუალება, რო არ უნდა დავიშუროთ ამ კეთილ სახელოვან საშვილიშვილო საქმისათვის თვისი წვლილი. მღვდლებმა უნდა უქადაგონ ხალხს ამ საგნის შესახებ ეკკლესიაში და კერძო ლაპარაკშიდაც, ერთი თვე, თუ გინდ მთელი წელიწადიც, და დაბოლოს არ შეიძლება არ დაიყოლიონ იგი და კომლზედ თითო მანეთი მაინც არ გამოაღებინონ. მაშინ იმერეთის ეპარქიაში: ქუთაისის, შორაპნის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრებში, რომლებშიც 1886 წლის აღწერილობით 62, 360 კომლი ითვლება, ხოლო ახლა კი უნდა იყოს არა ნაკლებ 63,000-ისა, შეგროვდება 63000 მანეთი. იმერეთში რასაკვირველია ასი კარგა შეძლებული თავად-აზნაური უსათუოდ მოიპოვება, და ისინი არ დაიშურებენ თითო თუმანს და მათ შემოწირულებიდან შესდგება 1000 მანეთი. მღვდელნი იმერეთის ეპარქიაში საშუალოდ, რიცხვით 500 კაცი იქნება, და ამათ რო ხუთ-ხუთი მანეთი გადაიხადონ, მათგან შემოვა 2500 მანეთი; მედავითნეებმა რომ ორ-ორი მანეთი გადაიხადონ, მათგან შემოვა 1000 მანეთი, სულ მღვდლებისა და მედავითნეებისაგან შეგროვდება

3500 მანეთი. ამნაირად ზემოაღნიშნულ წყაროებიდან შესდგება 66,500 მანეთი; გაენათის ტაძრის განახლების საქმეში, რა თქმა უნდა, მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეების მცხოვრებნიც, მაგალითად მკვირცხლი, გონიერი და გრძნობიარე გურულები ყველაზედ უპირველეს გაუწვდენენ იმერლებს დახმარების ხელსა; ქართლ-კახეთიდანაც ბევრი შემოწირულება წამოვა. კიდევ იმედი უნდა გვქონდეს, თბილისის და ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკები ათი-ათას მანეთამდე გადასდებენ ამ საქმისათვის. აგრედვე ჭიათურაში შავი ქვის მწარმოებელთა ამხანაგობა არა უნაკლეს ხუთი-ათას მანეთისას შემოსწირავს. ამას გარდა, უნდა დაარსდეს საზოგადოება, რომელსაც მიზნად უნდა ექმნეს გაენათის მონასტრის შეკეთება-გამშვენება. ამ საზოგადოების წევრები სამ რიგად უნდა იყვნენ დაყოფილნი; პირველი ხარისხის წევრებმა უნდა იხადონ ყოველ წლივ თითო თუმანი, მეორისამ— ხუთ-ხუთი და მესამისამ—სამ-სამი. ასე რომ ხუთი წლის განმავლობაში ღვთის შეწევნით შეგროვდება საკმაო ფული და შესაძლებელი იქნება გაენათის მონასტრის სასურველ მდგომარეობაში მოყვანა, და მით ავიცილებთ თავიდან სირცხვილსა. ღმერთმა ინებოს მოვესწროთ ამ დროსა!

კაჭახაძე.

## შორაპნის საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოების კრება დაბა ყვირილაში ოქტომბრის 12-სა 1900 წელსა.

შორაპნის საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოების კრება მოხდა დაბა ყვირილაში ოქტომბრის 12-ს რიცხვს. კრება თვით ბლაღოჩინის დეკანოზის სახლში იყო. ყველა მღვდლები გარდა ორისა და მედავითნენი გამოცხადდენ. კრებას უნდა მოესმინა მთავრობის სხვა-და-სხვა მოწერილობანი, უნდა აერჩია დეპუტატები და განეხილა მამა მელიტონ კელენჯერიძისაგან შედგენილი ახლად დასაარსებელი ძმობის წესდების პროექტი. პირველად რუსულად იქმნა წაკითხული ძმობის წესდების პროექტი და შემდეგ ქართულად გააგებინეს მათ, რომელთაც რუსული არ ესმოდათ. ყოველის მხრით გასინჯეს ეს პროექტი, მაგრამ კრებამ ერთხმად უარი განაცხადა ამ პროექტის მიღებაზე. ის წყაროები შემოსავლისა, რომელნიც პროექტში არიან დასახელებულნი, სამღვდელოებამ იცნო შეუძლებლად და წინააღმდეგ კანონისა. დეპუტატები აირჩიეს სამი წლის ვადით. კრებამ მოისმინა სხვა-და-სხვა ცირკულიარული სახელმძღვანელო მოწერილობანი და ხელწერილი დასდვეს, რომ აღასრულებენ ყოველივე მას შეძლებისადაგვარად. კრებაზე ბევრი ლაპარაკი გამოიწვია ამ უკანასკნელად კიდევ განმეორებითი განკარგულებამ, რომ მრევლს უპილეთოთ არ გამორდენ სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურენიო. ამ განკარგულებას ყველა კანონიერად სცნობს და მისი აუსრულებლობა უთვლად შეუძლებელია, მაგრამ იმერეთის სამღვდელოება სულ სხვა პირობებით არის შეზღუდული და ამისთვის სამღვდელოებამ ისურვა, რომ ამ კითხვას სამღვდელოების კრებაზე მიეცეს განმარტება და ისე დაბოლოვდეს, რომ სამღვდელოება არ იქნეს შევიწროებულიო...

როცა კრება ყოველივე საქმეს მორჩა, ბლაღოჩინი დეკ. დ. ღამბაშიძე მიიქცა კრებისადმი შემდეგი სიტყვით: «წინეთაც გვითქვამს გაკვრით რამდენიმე დარიგებითი სიტყვა თქვენთვის და ეხლაც გთხოვთ მომიხმა-

ნოთ რამდენიმე სიტყვა შესახებ ჩვენი მოვალეობის აღსრულებისა. მორაჰნის საბლალოჩინო ოლქი პირველი ოლქია მორაჰნის მაზრაში. სულით და გულით მსურს, რომ ყოველ საქმეში პირველნი იყვნენ ამ ოლქის სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურენი. დრო გამოიცვალა და ჩვენც დროის შესაფერად უნდა მოვიქცეთ. ძლიერ საჭიროა, რომ ყველა ჩვენგანი დააკვირდეს თავის საქციელს და თუ ეს საქციელი ამდაბლებს მას საზოგადოების თვალში, აერიდოს მას და ნუ ჩაიდენს. არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ ზოგიერთი მღვდლის სწორედ საძრახისი საქციელი თუთუნის წევისა. ზოგიერთს ისე ავიწყდება თავისი ხარისხი, რომ გამოსაჩენ ადგილზე გამოურჩევია პირში პაპიროსი ან ჩალიოთი და დიდის თავმომწონებით ეწევა თუთუნის საზიზღარ ბოლს. ამის შესახებ განსვენებული მღვდელ-მთავრის გაბრიელისაგანაც იყო ფიცხელი მოწერილობა, რომლის ძალით ყოველი ბლალოჩინი ვალდებული იყო მოეხსენებია მღვდელ-მთავრისთვის თუთუნის მწეველი მღვდელი, რომელი ბლალოჩინოისაც უნდა ეოფალიყო დამნაშავე. აშკარად მდაბლდება მოძღვარი თავის სამწყსოის თვალში და გავლენას ჰკარგავს იგი, როცა ამისთანა უსარგებლო და სხეულის მავნებელ მოთხოვნილებას თავს ვერ ანებებს. იტყვიან ზოგიერთები: «რა ვქნათ, ეს ჩვენი ბუნების მოთხოვნილება არისო!» ეს არაფერი თავის გამართლება არ არის. სხვა ბუნების მოთხოვნილებაც კი აქვს კაცს, მაგრამ არ ასრულებს, ნუ თუ იმდენად დავსუსტდით გონებით და ჭკუით, რომ ზოგიერთ მავნებელ და ხალხის თვალში დამამდაბლებელ სხეულის მოთხოვნილებას ვეღარ ვეწინააღმდეგებით? ზოგიერთი ისე არის აქოთებული თუთუნის სუნით, რომ. შორიდან გრძნობ კაცი ამ საზიზღარ სუნს და გეზარება კაცთან ახლოს მისვლა. დროა ეს ცუდი ჩვეულება მოსპოს მან, ვინც ამას მიჩვევია, თუ სურს, რომ პატივი და გავლენა არ დაეკარგოს სამწყსოთა თვალში, დაუმტკიცოთ სამწყსოთ ჩვენი საქციელით, რომ მაღლა ვდგევართ მათზე.

არის კიდევ ერთი თვისება, რომელსაც მოძღვარმა და საზოგადოდ ეკკლესიის მოსამსახურემ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს, ეს გახლავს, ასე ვსთქვათ—სიდინჯე სიტყვა-პასუხში და ყოველივე საქციელში. სასულიერო პირი და მოძღვარი, რაც უნდა ახალ-გაზდა იყოს იგი, მაინც მსჯელობით და ზრდილობით მაღლა უნდა იდგეს თავის სამწყსოზე. ამისათვის რიგია, რომ იგი იქცეოდეს დინჯად, წყნარად და აუჩქარებლად. არავითარი ხუმრობა და ოხუნჯობა არ შეშვენის მღვდელს, ანუ გადამეტი სიცილი. ყველა ამისთანა საქციელი სამწყსოს თვალში ამდაბლებს მოძღვარს. ძლიერ მოტყუებულია ის, ვინც ფიქრობს, რომ სიცილით, ხუმრობით და ოხუნჯობით დიდ პატივს დაიმსახურებს მრევლთაგან!.. ამ მხრით სხვა ქრისტიანეთა სამღვდელოებას დიდად ჩამორჩენილი ვართ ჩვენ. ამის დასამტკიცებლად საჭირო არ არის უცხოეთის სამღვდელოება მოვიყვანო, მაგრამ ვიტყვი მაინც, რომ არც ერთ ადგილას არ მინახავს მღვდელი არც გზაში, არც ვაგონში, რომ ოხუნჯობდეს, ხუმრობდეს და ან სხვის ხუმრობაზე და ოხუნ-

ჯობაზე ისე გულიანად იცინოდეს, როგორც ჩვენში იციან. იქ სამღვდელოებასთან ხუმრობას და ოხუნჯობას ვერც კი ბედავს კაცი, რადგან სერიოზულად უკავია თავი სამღვდელოებას. სოლომონ ბრძენი ერთ ადგილას ამბობს: „სულელი კაცი სიცილით შეიტყობაო"... თქვენც შენიშნავდით, ალბათ ცხოვრებაში კაცს ჩუმად მეოფს, რომელიც ბრძენად ჩაგითვლიათ, მაგრამ ეს აზრი მალე შეგიცვლიათ, როცა ამ კაცს ხუმრობა და სიცილი დაუწყია რაიმე უბრალოზე ან უადგილოდ თავშეუკავებელი მსჯელობა და ბაასი გაუმართავს.

(გაგრძელება იქნება)

იმერეთის ეპისკოპოსის, ყოვლად უსამღვდელოესის ლეონიდის მიბრძანება ჭიათურასა და საჩხერეში.

ხუთი წელიწადი მეტია, რაც იმერეთის ეპარქია სოფლად მოკლებული იყო მწყემსთ-მთავრის ყურადღებას და მზრუნველობას. სოფლის ეკლესიის სამწყსოთ, ჩვეულთ აწ უკვე განსვენებულის ყოვლად სამღვდელო გაბრიელის სიტყვა-მოძღვრების მოსმენას, ეს ხუთი-ექვსი წელიწადი იქნება, რაც არ სმენიათ ცხოველი სიტყვა თვისი მწყემსთ-მთავრისა. მართალია რევიზიაზედ დაბრძანდებოდნენ აქეთ-იქით, მაგრამ ამ მოგზაურობისაგან არავითარი სარგებლობა არ გამოდიოდა, გარდა უბრალო ხარჯისა და სოფლის ეკლესიების კრებულთა შეწუხებისა. დღეს, მადლობა ღმერთს, იმერეთის ეპარქიას ელირსა ენერგიით სავსე მწყემსთ-მთავარი, რომელსაც არ აბრკოლებს არც ცუდი ტაროსი და არც მრავალნი საქმეები მისდამი რწმუნებული ეპარქიის მართვა-გამგეობის შესახებ. მათი მეუფება მზად არის გაეშუროსოს იქ, სადაც გარემოება ითხოვს მათი მეუფების მიბრძანებას და განკარგულების მოხდენას.

მთელმა ქვეყანამ შეიტყო, თუ რა სიმდიდრე ტრიალებს ჭიათურასა და მის მახლობელ არემარეში. ამ სიმდიდრემ შორეული ქვეყნიდამ შეჰკრიბა ჭიათურაში მრავალი სხვა-და-სხვა თემის ხალხნი. ამ აურაცხელ ხალხს ჭიათურაში დღემდის არ გააჩნია ეკკლესია, სადაც კვირა-უქმე დღეებში ღმერთს შევედროს და თავისი სულისათვისაც იზრუნოს; მართლ-მადიდებელი ერი მოკლებულია არა თუ შესაფერ ეკკლესიას, უბრალო სამლოცველო სახლსაც კი. კვირა-უქმე დღეებში ხალხი დილიდამ საღამომდის ატარებს დროს სამიკიტნოებსა და სასტუმროებში და ლოთობაში ფლანგავს უკანასკნელ გროშს, დიდის შრომით მოპოებულს.

25 ოქტომბერს, დღით ოთხშაფათს, დილის 11 საათზე მათი მეუფება ყოვლად სამღვდელო ლეონიდი მიბრძანდა სახალხო მატარებლით დ. ჭიათურაში. მათ მეუფებას თან ახლდა იმერეთის ეპარქიის საეკკლესიო-სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღვდელი მ. მელიტონ კელენჯერიძე. რკინის გზის სადგურზე მათ მეუფებას მიეგება ადგილობითი სამღვდელოება, სადგურის უფროსი თავადი გ. ბეგთაბეგოვი, ჭიათურის სამრეწველო ბოქაულის თანაშემწე თავადი პართენ ყიფიანი, სამრევლო სკოლის მოსწავლენი და ჭიათურის საზოგადოება.

მათმა მეუფებამ შეკრებილ სამღვდელოებას და საზოგადოებას გადასცა ლოცვა-კურთხევა. თუმცა ამ დღეს ძლიერ ცუდი ტაროსი იყო, მაგრამ მათი მეუფება პირდაპირ გაემგზავრა ჭიათურის საეკკლესიო-სამრევლო სკოლის დასათვალიერებლად. მათი მეუფება საათ ნახევარი დარჩა სკოლაში, სადაც მოწაფეები გამოცადა უმთავრეს საგნებში. აგერ შვიდი წელიწადი იქნება, რაც ეს სკოლა არსებობს და დღემდის არ უხილავს თავის კედლებ შუა მღვდელ-მთავარი.

სკოლის დათვალიერების შემდეგ ყოვლად სამღვდელო წაბრძანდა მღვიმის დედათა მონასტერში. მეორე დღეს მათმა მეუფებამ სწირა მონასტრის ეკკლესიაში სამრევლო სკოლების მეთვალყურის მ. კელენჯერიძის და ბლაღოჩინების მ. მ. იოსებ წერეთლის და აბესალომ ტყემალაძის თანამწირველობით. წირვის შესრულების შემდეგ მათმა მეუფებამ

გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა, შემდეგ ლოცვა-კურთხევა გადასცა მონასტრის დებს, წირვაზე დამსწრე საზოგადოებას და გაემგზავრა დაბა საჩხერეში ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის დასახედავად. მათი მეუფება 26 მწიფობისთვეს, საღამოს 7 საათზე ბიბრძანდა დ. საჩხერესს, საჩხერის ნოტარიუსის და ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის მზრუნველის ბ. დიმიტრი აბაშიძის სახლში. რვა საათზე მათი მეუფების წინაშე წარსდგენ აქაური ორ-კლასიანი სამრევლო სკოლის მმართველი და მასწავლებლები და მიიღეს ლოცვა-კურთხევა. სკოლის მმართველის და მასწავლებლისაგან მათმა მეუფებამ გამოიკითხა სკოლის საქმე: რამდენი ბავშვი სწავლობს სკოლაში, რას იხდიან სწავლის ქირას, რა საშუალებით ინახება სკოლა და სხ. მეორე დღეს, დილის რვა საათზე მათი მეუფება სკოლაში შებრძანდა და აუარებელი საზოგადოების თანადასწრებით, დაუწყო ორივე კლასებში ბავშვებს ყოველ საგნებში გამოცდა. ბავშვების ყოველ საგნებში მშვენიერმა პასუხმა და მგალობელთა გუნდის ქართულ-რუსულმა გალობამ მათი მეუფება დიდად ასიამოვნა და მადლობა გამოუცხადა როგორც მასწავლებლებს, ისე სკოლის მზრუნველს.

დ. საჩხერეში მათმა მეუფებამ ყურადღება მიაქცია იმ სამწუხარო მოვლენას, რომ ამ დაბაში ერთი რიგიანი ეკკლესია არა ჰქონებიათ სახელ განთქმულ თავადთ წერეთლებს. მართალია ამ წერეთლების მამა-პაპათ ჰქონდათ სასახლის ეკკლესიები, მაგრამ დღეს ამ ეკკლესიებში წირვა-ლოცვა აღარ სრულდება; ამ თავადების წინაპარნი დიდ მამულებს სწირავდნენ ეკკლესიებს და მონასტრებს, მაგრამ დღეს ღრმდებულ წინაპართა შვილნი ცდილობენ მათ მამა-პაპათაგან შეწირული ადგილების უკანვე დაბრუნებას. რა არის ამის მიზეზი? ის, რომ ჩვენს ხალხში აღარ არის ძველებული ცხოველი სარწმუნოება და ხალხიც ამიტომ გამოიცვალა. კაი ხანია, რაც საჩხერეში გარდაიცვალა ერთი დიდებული თავადი, რომელსაც მილლიონის საცხოვრებელი დარჩა. ეს თავადი ითვლებოდა საქართველოში წ.-კით. გამავრც. საზ. დამაარსებელ წევრად, მაგრამ მას ამ საზოგადოებისათვის ერთი კაპეიკი არ დაუტოვებია. აქვე გარდაიცვალა ერთი ფრიად მდიდარი თავადი, რომელიც ამავე დაბაში დაასაფლავეს იმ ხმედით, რომ შემდეგ მის სასაფლაოზე ეკკლესია აეგოთ, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მიცვალებულის გვამი ამოიღეს სასაფლაოდამ და დაასაფლავეს ჯრუჭის მონასტერში, რადგან მიცვალებულის სასაფლაოზე დაპირებული ეკკლესიის აღშენება ვეღარ შეძლეს!.

დ. საჩხერედგან ყოვლად უსამღვდელოესი ლეონიდი 27 ოქტომბერს ქუთაისში წაბრძანდა; ჰიათურაში ჩამოვლის დროს მათ მეუფებას ხელახლა შეეგება ადგილობითი საზოგადოება, რომელმაც თხოვა მის მეუფებას ეკკლესია-სკოლის აშენების ნება-რთვა და შემწეობა. ყოვლად სამღვდელომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საზოგადოების ამ ნაირ თხოვნას და ბრძანა, რათა აშენდეს ჰიათურაში სამონასტრო ადგილზე, ეგრედ წოდებულ „ჰერეხზედ" ეკკლესია—სკოლა. მათმა მეუფებამ ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად დანიშნა მოთავე პირნი. ამ საქმეში პირველი თაოსნობა იკისრა მღვდელმა ლავრენტი დევიძემ და ადგილობითი შავი ქვის მწარმოებელმა ბატონმა იორდანე სიხარულიძემ. ამ პატივცემულ ვაჭარს საზოგადო საქველ-მოქმედო საქმეში მრავალი შეწირულება და სიუხვე მიუძღვის; თუმცა თითონ შინაური განათლება აქვს მიღებული, მაგრამ სწავლა-განათლების მიმდევარი და მოშრეა; ბ. ი. სიხარულიძის წყალობით ბევრ ახალ-გაზრდას მიუღია სწავლა როგორც საშუალო სასწავლებლებში, ისე უმაღლესში. იმედია ეს პირნი მტკიცედ შეასრულებენ მათი მეუფების ნდობას და ადგილობითი საზოგადოებაც არ დაიზოგავს თავის წვლილს ამ კეთილი საქმისათვის. მწყემსთ-მთავრის ამისთანა ყურადღებამ დამსწრე საზოგადოებას დიდი სიხარული და იმედი აღუძრა გულში.

ოცი წელიწადია, რაც შავი ქვის წარმოება არის ჰიათურაში და ამ ხნის განმავლობაში რამოდენიმე მილიონი მანეთი აღებულა და შეჰმულება ეკკლესიის აგებისათვის თავი არავის გამოუდვია, რომელსაც ქრისტიანულ ცხოვრებაში ყველაზედ უფრო დასაკლისი უეკკლესიობა არის, რადგანაც სული ხორცზე მაღლა სდგას და სულის საზრდოს მხოლოდ ეკკლესიაში ვპოვებთ. ადგილი მოსახერხებელი იყო აქ ეკკლესიის აშენება მაგრამ მოთავე არავინ აღმოჩნდა. ვინ მოსთვლის, რამდენი ავადმყოფ

ალსარება აუვლელი და უზიარებელი მომკვდარა ქიათურაში და ესეც არ უკმარებიათ: სიკვდილის შემდეგ ოთხ-ფეხ ცხოველივით უკურთხ მიწაში ჩაუგდიათ წეს აუგებელი და უწირავ-ულოცავი; ესეები ყველა მიეწერება უეკკლესიობას. მარგანეცის სინდიკატმა აღუთქვა ეკკლესიის ასაშენებლად 5000 მ.

ბოლოს ღმერთმა არ დაივიწყა იმერეთის ეპარქია, აწი ისეთი კუთხე არ დარჩება ჩვენში, რომ ჩვენი ყოვლად სასიქადულო მღვდელ-მთავრის შორს გამჭრიახობამ და მართლ-მსაჯულებამ არ შეაშუქოს; ეს საერთო ბედნიერება წილად ხვდა ჩვენს დღემდის სულიერად მივიწყებულ ქიათურასაც.

ჩემი სასიხარულო და სამწუხარო შთაბეჭდილებანი ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს.

(გაგრძელება*)

სანამ საფრანგეთის შესანიშნავ პარიჟზე დავიწყებდეთ საუბარს, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა გითხრათ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, საზოგადოდ საფრანგეთის სახელმწიფოზე. საფრანგეთი სივრცით არის 204,000 კვადრატული მილი (ერთი მილი შვიდი ვერსია). ირგვლივ სივრცით საფრანგეთი 3,000 მილია. საფრანგეთის სახელმწიფოს უმეტესი ნაწილი ვაკეა, ზოგან კი მთა-გორიანია, მაგრამ ამ მთა-გორიან ადგილებზედაც მცენარეულობა არის. მთელი საფრანგეთი იყოფა 86 დეპარტამენტად, ამათ რიცხვში შედის კორსიკაც, სამი დეპარტამენცი ალჟირშია. საფრანგეთის მცხოვრებნი, როგორც 1896 წ. აღწერილობიდან სჩანს 38,500,000 არის, რომელთაგან ფრანგები, ადგილობითი მკვიდრნი არიან 98 პროცენტი და მაშ ორი პროცენტი სხვა თემის ხალხნი ყოფილან. სახელმწიფოს მართველობა რესპუბლიკანურია, შესდგება დეპუტატების პალატიდან, რომელთა რიცხვია 584, და სენატისაგან, რომლის წევრთა რიცხვი 300 ია. დეპუტ. და სენატორები ერთად შეერთებულნი წარმოადგენენ ნაციონალურ კრებას. რესპუბლიკის პრეზიდენტი ირჩევა შვიდი წლის ვადით. საფრანგეთში სახელმწიფოს ხარჯი და შემოსავალის მართვა-გამგეობა თვით-ხალხისაგან აღრჩეულ პირებზეა დამოკიდებული და მართებლობის განკარგულებით ერთი მანეთი გადასახადის დადებაც კი არ შეუძლიათ. გადასახადის მოთხოვნილების დროს, პარლამენტის დეპუტატებს უნდა დაეკითხონ და მათ დაუკითხავად არა მოხდება რა. საფრანგეთს მშვიდობიანობის დროს ჯარი ჰყავს 568,000 და ომიანობის დროს შეუძლია გამოიყვანოს გაწვრთნილი ჯარი ოთხი მილიონი და სამასი ათასი კაცი. საფრანგეთის ფლოტი შესდგება 38 ბრონენოსისაგან, 14 გემი ზღვის ნაპირების დასაცავად და 50 კრეისერი და 300-მდე სანაღმე პატარა გემები. სავაჭრო ფლოტი არის 15500 ნავები და 1,220 გემია. საფრანგეთში ყველაზე მეტი წარმოება არის აბრეშუმისა. აბრეშუმის წარმოება საფრანგეთში უფრო მეტია მთელს დედამიწაზედ. აბრეშუმის წარმოების პირველი ადგილია ლიონი. აბრეშუმის გარდა სხვა წარმოება და ვაჭრობა არის: შალეულისა, ღვინისა, სპირტისა, შაქრისა, ბამბეულისა და სხ. მიწას მუშაობს თითქმის მთელი სახელმწიფოის ნახევარი მცხოვრები. მეექვსედი ნაწილი საფრანგეთისა არის ტყით დაფარული. ღვინოს აწარმოებს თითქმის ორი მილიონი მცხოვრები. საზოგადოდ საფრანგეთში რკინის გზები მონოპოლიის წესით არსებობენ და უნდა სთქვას კაცმა, რომ სხვა რკინის გზებთან შედარებით, არ არიან საქებნი. პირველი და მეორე კლასის ვაგონები როგორც არის ვარგან, მესამე კლასის ვაგონები კი სრულებით არ ვარგან. შეტანილ ნივთებში ყურადღებას აქცევენ უმთავრესად თუთუნს, ასანთს (СПИЧКИ) და ჩაის.

ეხლა შევუდგეთ თვითონ შესანიშნავი ქალაქის პარიჟის აწერას. პარიჟია გაშენებული სენის მდინარის ორივე ნაპირზე და ამნაირად მთელი ქალაქი იყოფა ორ ნაწილად, ერთი ნაწილი არის გაშენებული მარცხნივ სენისა და მეორე მარჯვნივ. სენის მარჯვნივ მხარეს არის ძველი ნაწილი ქა-

*) იხ. „მწყემსი“ № 20, 1900 წ.

ლაქ პარიჟისა. ამ ნაწილში ბლომად არის დიდი ბულვარები. სწორედ უმეტეს ნაწილად ამ ადგილს გხვდება სხვა ქვეყნიდან მოსულნი დასადგომად. ამ ნაწილშივე არიან მშვენიერად მოწყობილნი სავაჭრო მაღაზიები და თეატრები. მარცხნივ მხარეს იწყება სენ-ჟერმენის გრძელი ქუჩა და სენ-მიშელისა. ქალაქის ამ ნაწილში არის პარლამენტი სენატი, ყოველ გვარი უმაღლესი სასწავლებელნი, უმეტესად აქვე სცხოვრებენ სტუდენტებიც, ორისავე სქესისანი. ამავე ნაწილში იყო უმთავრესი ნაწილი მსოფლიო გამოფენისაც. დანარჩენი ქალაქის ადგილები მოგზაურთათვის მაინცა და მაინც დიდად შესანიშნავი არ არიან.

საფრანგეთის სატახტო ქალაქი პარიჟი პირველ შესვლაზე მნახველს არ გააკვირვებს თავისი ერთ გვარი, ყუთის მსგავსი, მაღალი სახლებით, მაგრამ კარგად როცა დააკვირდებით სახლების გეგმას და ერთ რიგ სახლებს რომ სხვებს შეადარებთ, მაშინ მნახველი თან და თან განცვიფრდება სხვა-და-სხვა გვარი მშვენიერი გეგმით და მასთან გრძელი და სწორი ქუჩებით. ყველაზე უფრო განსაცვიფრებელია დათვალიერება მოედნების და მათგან ვარსკვლავის სახით მიმავალ თვალ-უწვდენელ სწორი ქუჩების: მაიდნებთან ათ-თუთხმეტ ქუჩას ერთად აქვს თავი მოყრილი და რასაკვირველია ამ თავშეყრილ ქუჩებს ისე ხელოვნურად აქვს ქუჩის გამთავეს სახლები მოწყობილი, რომ არსად მის მსგავსს არას შეხვდებით სხვა სახელმწიფოში. მშვენიერი წმიდა ქუჩები, რომლებიც დილაობით ირეცხება ბლომად მიშვებულის მილის წყლით და რომლებსაც აქეთ-იქით მხარეს უთუოდ მშვენიერი ხეები ამშვენებენ და აჩრდილებენ. ამ ქალაქში პირველად შემსვლელს ანცვიფრებს: თან ხმაურობა ხალხისა, ოხუნჯობა, მეგაზეთეთა და სხვა განმცხადებელთა ყვირილი, მეეტლეთა შოლტის ტკაცუნი ჰაერზე, ცხენების შესაშინებლად. პირველად, იშვიათად შეხვდებით სხვაგან სადმე იმისთანა ცოცხალ ხალხს, მოძრავს და კეკლუცად მორთულს, როგორიც პარიჟელები არიან, მაგრამ ბოლოს ამნაირი ცხოვრება გაბეზრებს კაცს; ყველგან, მართალია, ასე არ სცხოვრებენ, გარდა შუა-გულ ადგილებისა. ქალაქ პარიჟის აწერილობა ძლიერ შორს წაგვიყვანს და ამისათვის შემდეგში ჩვენ შევუდგებით მხოლოდ შესანიშნავი სანახავების აღწერას.

## მცირე შენიშვნა

ვინც კი ჩვენს ცხოვრებას დაკვირვებია ამ ბოლო დროს, უეჭველია შენიშნავდა, რომ ჩვენ საზოგადოებაში დაიბადა ფრიად კეთილი და თანაგრძნობის ღირსი მიმართულება-გრძნობა ერთობისადმი. თუმცა გვიან, მაგრამ ქართველმა კაცმა შეიგნო, რომ ის, რაც კერძო ადამიანის ძალ-ღონისათვის სამძიმოა და მოუხერხებელი, შეერთებულ ძალას ადვილად ემორჩილება და მოსახერხებლად უჩნს, ამ მიზნით გაჩნდენ სხვა-და-სხვა „საზოგადოებანი» და „ამხანაგობანი“, უმეტესად ეკონომიური ძალ-ღონის გასაეითარებლად და ცხოვრების გასაუმჯობესებლად დაარსებულნი. საზოგადო მიმართულებამ აიყოლია სამღვდელოებაც და სთქვა: „არა მხოლოდ ერთითა პურითა ცოცხალ არს კაციო».

იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურემ მამა მელიტონ კელენჯერიძემ მიაწოდა სამღვდელოებას პროექტი წესდებისა „წმიდათა დიდთა მოწამეთა, არგვეთის მთავართა დავით და კონსტანტინეს» სახელობაზე დასაარსებელი ძმობისა, მაგრამ, სამწუხაროდ, წესდება ვერ გამოდგა ჩვენი ცხოვრების ნამდვილი მოთხოვნილების გემოზე შედგენილი და ამიტომ უმეტესობისაგან უარ-ყოფილ იქმნა ჯერ კიდევ წარსული წლის იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების კრებაზე. ამ კრებამვე მოისმინა მეთვალყურისაგან გრძელი სიტყვა, რომელშიაც გატარებული იყო მისი (მეთვალყურის) საკუთარი მოსაზრებანი ძმობის ამა, თუ იმ მოქმედების შესახებ. სხვათა შორის, მეთვალყურემ როცა ძმობის სამისიონერო მოღვაწეობას შეეხო, სთქვა, რომ სვანებსა და სხვა, ქართველთა მოდგმის თემებს მათ საკუთარ ენაზე უნდა მივაწოდოთ სხვა-და-სხვა ზნეობრივი შინაარსის წიგნებიო. მაგრამ კრებას ამ გვარი მოსაზრება ცოტა არ იყოს ეუცხოვა, ვინაიდგან ყველასაგან უარყოფილი და ყბად აღებული უშორდიზმიც, მოგეხსენებათ, ამ მოსაზრებით გაჩნდა ქვეყანაზე და ბოლოს კი უკუღმართი მიმართულება მიიღო; ამის გამო და სხვა ზოგიერთი საეჭვო მოსაზრებათა გამოსარკვევად და გასაცნობად დეპუტატების კრებამ ეს კითხვა ღიად დასტოვა და სთხოვა შემდგენელს, რომ ეს წესდება დაბეჭდილი-

ყო გაზეთ „მწყემსში“; აგრეთვე დაბეჭდილიყო სიტყვაც, რომ უფრო ადვილად გაცნობოდა სამღვდელოება და ყველას შეძლებოდა თავისი შეხედულების წარმოთქმა ამ საგნის შესახებ. მაგრამ დღემდის არც ერთი არ დაბეჭდილან ქართულად. ალბად სამღვდელოების საზოგადო ხმა არ იცნეს ყურადღების ღირსად და ამიტომ გვერდი აუხვიეს. შესაძლებელია ამ შემთხვევაში სხვა რამ იდუმალი მოსაზრება იფარვიდეს თავს, ჩვენ ეს არ ვიცით. ამის გამოცნობა გულის ხმიერი მკითხველისათვის მიგვინდვია. მხოლოდ ჩვენ ეს კი დანამდვილებით ვიცით, რომ რუსულად დაბეჭდილი პროექტი წესდებისა გადასცეს სამღალოჩინო კრებებს და აქაც უარ-ყოფილ იქმნა უმეტესობისაგან.

ჩვენც დავესწარით ერთ ამ გვარ კრებას, რომელზედაც პირველ ყოვლისა დიდს უკმაყოფილებას აცხადებდენ საეკკლესიო და ზოგიერთი, რუსული ენის არა მცოდნე, სამღვდელო მსახურნიც, რომ პროექტი დაებეჭდათ რუსულად, და არა ქართულად, როგორც ამას მოითხოვდა თვით საქმის სიკეთე და... მაგრამ დავანებოთ ამას თავი და ნება გვიბოძეთ ორიოდე შენიშვნა მივსცეთ წესდების შემდგენელს.

დღემდის არ გაგვიგონია არსად, რომ „ძმობა“, «ამხანაგობა“ და „საზოგადოება“ ძალადობით დაარსებულიყოს. პირ იქით შეგვინიშნავს და გვინახავს, რომ ამ გვარი დაწესებულება წევრთა ურთიერთის თანხმობით, ძმობით, და თვით საქმისადმი ჭეშმარიტი სიყვარულით შემდგარიყოს. ჩვენდა სამწუხაროდ ამ ახალი „ძმობის› წესდების შემდგენელს ამ უპირველესი პირობისათვის გვერდი აუქცევია და მოვალეობად უდგენს საეკკლესიო კრებულის თითეულ წევრს, სამრევლო სკოლების მასწავლებელთ და მონასტრის მნათეთ, გინდათ თუ არა. შეგიძლიათ, თუ არა, მაინცა და მაინც ნამდვილ წევრებად ჩაირიცხეთ თავიო (იხ: § 8 წესდებისა). ჩვენ ამ გვარი ვალდებულება ძალ-დატანებად მიგვაჩნია და ძალადობა, მოგეხსენებათ, არავისთვის არ-არის სასიამოვნო, მღვდელი იყოს ის, გინდ ბერი. ასეც რომ არ იყოს, თვით ძმობის მნიშვნელობას ამით სახელი თუ უტყდება და სათაკილო ხდება ყოველი შეგნებული კაცის თვალში, თორემ შემატებით, არა ემატება რა. ასეა ყველგან და ყოველთვის, როცა გარეშე ვალდებულებითი ძალა, და არა საქმის ნამდვილი საჭიროება და მოთხოვნილება აიძულებს მსურველს ჩაეწეროს ამა თუ იმ საზოგადოების წევრად, მაშინ ძმობა კი არა, მტრობა გამოდის, როგორც ეს სამართლიანად იყო შენიშნული დეპუტატების წარსულ კრებაზე. თუმცა პარაგრაფის მეორე ნახევარი ცოტა რამ უპირატესობასაც აძლევს სავალდებულო წევრებს, მაგრამ ეს ჩვენ საქმეში ჩატყუებათ, ან, უკეთ რომ ვსთქვათ, გაბრიყვებათ უფრო მიგვაჩნია, ვიდრე ნამდვილ უპირატესობად. რომ ეს ნამდვილ ასეა, ამაში ყველა ადვილად დარწმუნდება, თუ კი მერვე პარაგრაფს გვერდში ამოუყენებ შემდეგ პარაგრაფებს: §§ 6, 57—დ, 58—ა, ბ, გ და ე. ამათი შეფარდებით გამოდის, რომ თვითოეული სავალდებულო წევრი იხდის 15 წლის განმავლობაში მარტო საწევროს 2 მ. (15 წ. × 3 მ.)=2 + 45=47 მ., ან ერთ დროებით 40 მ. ამას გარდა ჩვენ ვარაუდით ვანგარიშობთ ჟურნალისა და სხვა-და-სხვა წიგნაკების ფასს, რადგან წესდებაში არაფერი არ არის ჯერ-ჯერობით გამოცხადებული ამის შესახებ, თქმა არ უნდა, რომ ჟურნალიცა და სხვა-და-სხვა ძმობისაგან გამოცემული წიგნაკებიც სავალდებულო იქნება ყოველი წევრისათვის თუ არა, სამღვდელო და საეკკლესიო მსახურთათვის მაინც. ამიტომ, რასაკვირველია, ღირს, რომ ამათი ფასიც იანგარიშოს კაცმა. რაც უნდა მცირე იყოს ჟურნალის ფასი, ჩვენის აზრით, ათ მანათ ნაკლებ მაინც აღარ ეღირება. მაგრამ რადგან სამღვდელო და საეკკლესიო მსახურთ ხათრი აქვთ, ამისათვის საანგარიშოა მხოლოდ: 8 მ. მღვდლისათვის და 6 მ. მედავითნეთა და სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის. ამას გარდა გამოცემულ წიგნაკების ფასი საშუალო რიცხვით ჩავაგდოთ 1 მ. 20% და 40% გამოკლებით ე. ი. 80 კ. და 60 კ. ამას რომ კიდევ დაუმატოთ 2% ჯამაგირებიდან, შეადგენს სრულიად: 8 მ.+80 კ.+6 მ. (2% ანგარიშით ჯამაგირებიდან)+3 მ.=17 მ. 80 კ.. ეს მღვდლის გადასახადი წლიურად, ხოლო მედავითნის: 6 მ.+60 კ.+2 (2% ანგარიშით ჯამაგირებიდან) +3 მ. საწევროც=11 მ. 60 კ.. ახლა თქვენ თვითონ გასინჯეთ, თუ რა სამძიმოდ უნდა მიიჩნიოს სამღვდელოებამ ამდენი ფულის გაღება ყოველ წლიურად სხვა-და-სხვა სავალდებულო გადასახადებთან ერთად. არავისთვის არ უნდა იყოს გასაკვირველი, რომ სამღალოჩინო

კრებებმა შორს დაიჭიროს ამ წესდების მიღება. ჯერ მარტო დღევანდელი სავალდებულო გადასახადები სასულიერო სასწავლებელთა შესანახავად მძიმე ტვირთად აწევს კისერზე და ძლივს ასწორებს. ახალი სავალდებულო გადასახადიც რომ მიემატოს, ხუარი უნდა სთქვას უპირველესი და უსაჭიროესი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე და მხოლოდ წალუნოს კისერი და იმისთანა რასმეში აბნიოს თავისი შემოსავალი, როგორიც იქნება ახალი ჟურნალი, თუ როდისმე ეღირსა მას დაბადება ქვეყანაზე. მართლაც და რას ჰგავს ჟურნალის პროგრამა?! იგი ისე უმსგავსოდ არის შედგენილი, რომ ვერავითარ ჩვენს თანაგრძნობას ვერ იზიდავს. მაგალითად: ვისთვის ან რისთვის უნდა იყოს საჭირო ახალ ჟურნალში ოფიციალური ნაწილის ბეჭდვა და ისიც რუსულად?! ვინც რუსული ენა არ იცის, იმისთვის ხომყოვლად გამოუდეგარია, ხოლო ვინც იცის, ის სანამ აქ, ქუთაისში ჟურნალის ნომერი აიწყობოდეს, მანამდი ცხრაჯერ წაიკითხავს პეტერბურღის ჟურნალებში, „Церковныя вѣдомости»-სა და „Народное образованіе»-ში, რომლებშიაც იბეჭდებიან უმაღლესი სასულიერო მთავრობის ყოველივე განკარგულებანი და რომელნიც სავალდებულონი არიან სამღვდელო და საეკკლესიო მსახურთათვის და მასწავლებელთათვის. ამას გარდა არიან კიდევ ადგილობრივი ორგანოებიც, სადაც ქართულად მაინც იბეჭდებიან ადგილობრივი მთავრობის განკარგულებანი. ამიტომ ახალ ჟურნალში ოფიციალური ნაწილის შეტანა მეტ ბარგათ მიგვაჩნია და ქაღალდის ტყუილა დახარჯვათ. აგრეთვე არ გვესმის, რა საჭირო უნდა იყოს ჟურნალში საპედაგოგიო ნაწილის რუსულად ბეჭდვა? რუსულ პედაგოგიურ მწერლობას ჩვენ ამით ვერ გავაკვირვებთ მხოლოდ ასე აჭრელებული ჟურნალის გამოცემით, თავს კი შევირცხვენთ. ამ გვარი ჩიქორთული ჟურნალის კითხვა ქართული მკითხველის გრძნობასაც შელახავს და არც სხვებზე იქონიებს სასიამოვნო შთაბეჭდილებას.

ერთი სიტყვით, ეს წესდება იმდენ საქმეს ახვევს სამღვდელოებას თავზე, რომ მისი გაძღოლა ამ ხანად შეუძლებლად მიგვაჩნია თანამედროვე სამღვდელოების ძალ-ღონისთვის. შესაძლებელია ეს ზოგიერთებისათვის საწყენიც იყოს, მაგრამ, რა ვქნათ, რომ სინამდვილე თავის-თავად ლაპარაკობს.

დასასრულ კიდევ შეცდომად მიგვაჩნია § 29 მოთხოვნილება საზოგადო ყრილობის შესახებ. საზოგადოდ ყრილობის შესადგენად მიღებული კანონიერ რიცხვათ $^{2}/_{3}$ წევრებისა. წესდება კი 30 წევრით საზღვრავს და ამით, შესაძლებელია, შეცდომაში შევიდეს კაცი. საფიქრებელია, წესდების შემდგენელი თავისებური მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ამ შემთხვევაში, მაგრამ ჩვენთვის, სოფლის წევრთათვის ეს ვერაფერი სახეიროა. ალბათ უფიქრიათ, სოფლის სამღვდელოება, რომელიც უმისოდაც თავს გვაბეზრებს დეპუტატების კრებებზე, აქაც საქმეს აგვირევს, თუ ყოველთვის საზოგადო კრების დროს მათი ჩამოსვლა სავალდებულო იქმნაო. 30 წევრი კი ქალაქშიაც ადვილად გამოინახებაო და სხვა და სხვა. წესდებაში არ არის აგრეთვე შენიშნული, რომ საზოგადო ყრილობას ნება ექნება, დამტკიცების შემდეგ, ამ წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლისა თავის შეხედულებისა და მოთხოვნილებისა დაგვარად. იმედია სამღვდელოება კარგად ჩაუფიქრდება ყოველივე ამას და ასჯერ გაზომილს, ერთხელ გასჭრის.

მღვდელი.

---

**ბედის ჩარხი.**

რაც რომ ზეცის კიბედ მწამდა,
ქრისტეს მცნების შესაყვარად
და სიყრმითგან მას შევსტრფოდი
სასუფევლის დასადარად

—

ვერ ვეღირსე, ბედს ვემდური,
გავხდი ქვეყნის დასაზრახი,
ჩემთვის ასე დატრიალდა
უკუღმართი ბედის ჩარხი!

—

რაც რომ გულით მენატრება,
შორა მინდა, მეხარება...
ვერ ვპოულობ ვერასოდეს,
რაღაც შავზე მეფარება!

—

რაც რომ გულით მე არ მიყვარს,
მეზიზლება, მეჯავრება,
ეგ წყეული, სად არ გინდა,
ცხვირ წინ ამომეჩარება!

—

ველარ მშველის: ჩემი აზრი,
სხვისი რჩევა-კანონარხი,
რადგან მრუდეთ დატრიალობს
ასე ჩემი ბედის ჩარხი!

—

მეგობარი გავიჩინე,
გადუშალე მთელად გული,
არ დამზოგა შესაჭმელად,
არ იწამა ქრისტეს რჯული!

—

ვისთვისაც რომ გულით მწადდა
სასიკეთო ყველაფერი,
სინიდისსა გარდაუდგა,
ისიც გახდა ჩემი მტერი.

—

აგერ ერთიც ლუკმას მართმევს,
თუ რომ თავი მომიარა,
მერე ვინა?!—შიმშილით რომ
მოკვდებოდა, თუ მე არა...

—

განა მათი ბრალი არის
ჩემზე მტრობა განაზრახი?—
ბედს ვემდური, უკუღმართად
ბრუნავს ჩემი ბედის ჩარხი!

—

მოთმინებით დაქანცული
ცას და მიწას შევპოტინებ,
ზეცა მიხსნის ამ ტანჯვისგან,
მისს წყალობას ულოდინებ.

რ. საჯაოხელი.

# ჩინელები

(დასასრული *)

ჩინელი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ თავისი გულის წადილი შეისრულოს და მზად არის ყოველივე დაბრკოლება სძლიოს. ვსთქვათ, შეხვდა ჩინელს ისეთი დაბრკოლებანი, რომელთა ძლევა მას ღონით არ შეუძლია, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც იგი გამარჯვებული რჩება: როცა ჩინელი ხედავს, რომ ძალით იგი ვერაფერს გაარიგებს, ეშმაკობას ხმარობს და ამ ეშმაკობით იგი ხშირად სჯობნის სუსტ ნერვიანს და თავზე ხელ ალებულ ევროპიელს. ჩინელს გამარჯვებულად მიაჩნია თავისი თავი, თუ თავისი მოპირდაპირე მოთმინებისაგან გამოიყვანა. მართლაც მომთმენს და ეშმაკ ჩინელს ადვილად გამოჰყავს მოთმინებიდამ ევროპიელი და ამით ამცირებს იგი ევროპიელს თვის თვალში. როცა ჩინელს არ უნდა რაიმეს ასრულება, პირდაპირ არას დროს უარს არ გეტყვით, რადგან ეს ჩინელის ხასიათს არ შეადგენს, იგი იწყებს საქმის გადადებას და ხან, ვითომ, ეს საქმე კიდეც ავიწყდება; ვსთქვათ, ძალა დაატანეს ჩინელს, რომ მან დაკისრებული საქმე შეასრულოს, მაშინ იგი ისე მოიკატუნებს თავს, თითქო მას არ ესმის ეს საქმე და ვერაფერი საშუალებით ვერ დაარწმუნებ, რომ მას შეუძლიან ხსენებული საქმის გაკეთება, თუ კი მოინდომებს; ასეთ ეიუტ ჩინელს მოთმინებიდამ გამოჰყავს ევროპიელი, რომელიც ერთს კარგად შეუკურთხებს მას და ძალა უნებურად უთმობს ჩინელს. ამ შემთხვევაში ჩინელის თვალში ევროპიელი ჰკარგავს „თავის სახეს", ეს იმას ნიშნავს, რომ მოპირდაპირემ შეიგნო თავისი შეცდომა, თავი დაიმდაბლა. „პირის სახის" დაკარგვის უფრო ეშინია ჩინელს, ვინემ დასჯისა.

სიცრუე და გულ-ჩახვეულობა ჩინეთში ძლიერ გავრცელებულია. ჩინეთის მბრძანებელს მუდამ ატყუებენ მინისტრები, გენერალ-გუბერნატორები, რომელთაც აგრეთვე ატყუებენ მათი ხელ-ქვეითნი. ჩინური ოფიციალური გაზეთი „ცინ-ბაო" მუდამ სავსეა სიცრუით. მთავრობის ასეთ საქციელს ძლი-

*) იხ. „მწყემსი" № 19 1900 წ.

ერ ცუდი ზედმოქმედება აქვს ხალხზე, რომელიც თვითონაც ეჩვევა სიცრუეს და მზად არის მოატყუოს როგორც მთავრობა ისე ერთმანერთი; ამიტომაც არის, რომ მთავრობა და ხალხი ეჭვის თვალით უცქერიან ერთი ერთმანერთს და არ ენდობიან. ჩინელი თავის დღეში არ გეტყვის თავის გულის პასუხს პირდაპირ.

ჩინელის საფიქრებელია მხოლოდ სმა-ჭამა. ჩინელის უმთავრეს საზაასო საგანს შეადგენს, თუ რა ჭამოს. ვსთქვათ, აგერ ქალაქის ქუჩაზე ან სოფლად ერთი ერთმანერთს შეხვდა ორი ჩინელი. იგინი მაშინვე ფულზე დაიწყებენ ლაპარაკს და მერე სმა-ჭამაზე. ერთმანერთთან შეხვედრის დროს ჩვეულებრივის მისალმების შემდეგ—ხომ კარგად ხარ? უსათუოდ ჰკითხავენ ერთი ერთმანეთს: „შენ ხომ ჭამე საჭმელი?“ თითქო მარტო ჭამა-სმა შეადგენდეს კაცის ცხოვრების უმთავრეს დანიშნულებას. ასეთ კითხვაზე უსათუოდ უნდა მიუგო: დიახ, გიახელი. ვსთქვათ, ამ კითხვაზე მიუგეთ ჩინელს, რომ თქვენ ჯერ პური არ გიჭამიათ, როგორ ჰგონიათ? ჩინელი მიგიპატიჟებსთ პურის საჭმელად? სრულებითაც არა, იგი მხოლოდ გამოხატავს თავის მწუხარებას, რომ თქვენ აქამომდე პური არ გიჭამიათ და თავის გზას გაუდგება.

საყურადღებოა აგრეთვე ჩინელების სახლ-კარი. ჩრდილოეთ ჩინეთში უმეტესი სახლები აშენებულია გამოუწვავი აგურისა ანუ უბრალო ტალახისაგან, სამხრეთ ჩინეთში სახლებს აშენებენ ხისას და ხან ინდოეთის ლერწმისაგან წნავენ და ტალახით ლესავენ; სახლის სახურავები ან სწორია, ან ცოტა ციცაბო. სახლები დახურულია ჭილით, ფიჩხით და ჩალით და ზემოთ წაცხებული აქვს ტალახი; სადაც წვიმები იცის, იქ კი სახლებს ხურავენ კრამიტით; მაგრამ ჩრდილოეთ ჩინეთშიაც ხშირად ძლიერი წვიმები იცის, ამ დროს ბევრგან იმგვრევა ტალახისგან აშენებული სახლები და სახურავებში ხომ ცოტა წვიმის დროსაც წყალი თავისუფლად ჩამოდის. ჩინეთში სახლებს სრულებით არა აქვსთ ჭერი და თუ სადმეა, ისიც გაკეთებულია ქაღალდისა ანუ ტილოსაგან და გაკრულია ხარიხებზე; ფანჯრებს სახლებში ძვირად შეხვდებით. მდიდარი კაცების სახლებში ბევრი ფანჯრებია გაკეთებული და ეს ფანჯრები დიდროვანებიც არიან, ღარიბების სახლებში ფანჯრები ცოტაა და მასთან პატარაები. უფანჯრო სახლებში სინათლე მარტო კარებიდამ შედის. უმეტესად კი ფანჯრებში ქაღალდია გაკრული; რადგან ჩინეთში დღესაც არ იციან შუშის კეთება. სახლის კარები ხისაა. ჩინელის სასლში თავისუფლად შედის სიცივე ყველა მხრიდამ. მდიდარი ჩინელის სახლში იატაკი გაკეთებულია გამომწვარი აგურისაგან, ღარიბის სახლში კი მიწის იატაკია; მდიდრების სახლის კედლები ან გალესილია თეთრად, ან ქაღალდია მაზე გაკრული, ღარიბების სახლები შიგნით მთლად მჭვარტლისაგან არის დაფარული. სახლის მთელი ნახევარი მოკავებული აქვს საწოლ ტახტს, რომელიც გაკეთებულია ტალახისაგან და იატაკზე არშინ ნახევარზეა ამაღლებული; ეს საწოლი ტახტი შეადგენს უმთავრეს მორთულობას სახლისას; ტახტზე დაფენილია ჭილისაგან ანუ ჩალისაგან მოწნული ჭილოფი. ეს ტახტია კრაოტიც, საჯდომიც, სამუშაოც და პურის საჭმელი ადგილიც, ამიტომაც ამ ტახტზე დადგმულია პატარა ოთხ-კუთხი მაგიდა სიმაღლით მეოთხედი არშინი. ამ მაგიდას გარდა მდიდარი ჩინელის სახლში დგას სხვა მაგიდები, სავარძლები, მოგრძო უბრალო სკამები, კამოდის მსგავსი შკაფები და ზანდუკები; უკანასკნელი ნივთები ხშირად ტახტზეა დალაგებული, ხოლო პირველნი იატაკზე; კუთხეში ტახტზე აწყვია ლეიბები, ბამბის საბნები და ბალიშები, რომლებიც გატენილია ბამბით ანუ ბალახით, რადგან ჩინეთში ფრინველების ბუმბულს და გერმას არ ხმარობენ ბალიშების ჩასადებად; საღამოობით ამ ქვესაგებს აგებენ ტახტზე, სადაც სძინავს მთელს სახლობას. ძილის დროს ჩინელები მონგოლების მსგავსად მთლად ტიტვლდებიან, მხოლოდ იტოვებენ გულის საფარს და მუცლის ასაკრავს.

ჩინეთში სახლების გათბობა არ იციან და ან რითი უნდა გაათბონ, რომ მათ სახლებში ვერ ნახავთ ვერც ფეჩებს და ვერც ბუხრებს, მასთან შეშა და ქვა ნახშირი ძლიერ ძვირია იქ. სახლში მხოლოდ ახურებენ კერას; რომ საჭმელი მოამზადონ, და საწოლ ტახტს; ტახტს ახურებენ ჩალით, ფიჩხით ანუ საქონლის ხმელი ნავალით; ტახტის ქვეშ გაკეთებულია ფეჩი, რომელსაც მისახური კარები არა აქვს და ამიტომ ხშირად უმეტესი კვამლი სახლში გამდგარი. ჩინელისათვის საჭიროა სითბო მარტო ღამით, მას უყვარს ძილი თბილს და ცხელს საწოლზე, დღე კი ბამბის ტანისამოსი აცვია და ხელებს

ითობამს წახშირით გაჟღენთილი მაყალაზეზე ჩინელის სახლში ზამთრობით მუდამ გამდგარია კვამლი. ზოგ სახლებში კვამლის თავიდამ ასაცილებლად ტახტებს გარედგან აქვსთ მოწყობილი გასახურებელი. საწოლი ტახტის გასათბობად იმდენს შეშას ხმარობენ, რომ ჩინელს სახლები კარგად ჰქონდეს მოწყობილი და შიგ გაკეთებული ჰქონდეს ფეჩები, ან ხეირიანი ბუხრები, ამ შეშით მთელს ოთახებს რიგიანად გაათბობდა.

ჩინელს სახლი ღამით ძლიერ ნაკლებად აქვს განათებული; უმეტესი ნაწილი ჩინელებისა ხმარობს ზეთს, რომელსაც ამზადებენ ბამბის კურკისაგან; ამ ზეთს ასხმენ ლამბაქზე, დებენ შიგ ბამბის პატრუქს ანუ ერთგვარი ხის გულს და უკიდებენ ცეცხლს. ზეთს ადის კომლი, რომელიც გამდგარია მთელს სახლში და არც საკმაო სინათლე აქვს. ძლიერ მცირე ნაწილი ხმარობს ქონის მსხვილ სანთლებს, რომელსაც სრულებით არა აქვს სინათლე. სტეარინის სანთელს მარტო მდიდრები ხმარობენ, რადგან გირვანქა სტეარინის სანთელი ღირს 50—60 კაპიკი.

ჩრდილოეთ ჩინეთში ხალხის უმეტესობა ცხოვრებს მიწის გამოქვაბულებში. მსგავს გამოქვაბულებს აი როგორ ამზადებენ: გამოთხრიან მიწას თაღიანი კარიდორის მსგავსად სიმაღლით საჟენ ნახევარს ანუ ორ საჟენს, ხოლო სიგანით ორ-სამ საჟენს, სიგრძით 30—40 ნაბიჯს. ასეთი გამოქვაბულები ხან გამწკრივებულნი არიან და მათში ცხოვრებენ რამოდენიმე სახლობანი. ზოგჯერ ამ გამოქვაბულებს შიგნივე აქვსთ შესავალ-გასავალი კარები, უმეტეს შემთხვევაში კი ამ გამოქვაბულებთ კარები მარტო გარედგან აქვსთ დატანებული. გამოქვაბულის წინა პირი ამოშენებულია აგურით ანუ მიწით და შიგ დატანებული აქვს კარი და ზოგჯერ ფანჯრებიც; ზემოთ ამოჭრილია თაღი, რომ შიგ თავისუფლად გადიოდეს კვამლი და თან სინათლეც ჩამოვიდეს სახლში. შესავალ კარებთან არის მოწყობილი ადამიანების საწოლი, რადგან აქ უფრო სინათლეა, გამოქვაბულის შუა ადგილს აწყვია პური და სხვა სანოვაგე; ზოგჯერ კედლის სიგრძეზე ჩაყოლებულია ბაგები და იქვე ჰყავთ შინაური ოთხ-ფეხი ცხოველები. ამავე სახით მოწყობილნი არიან სადგომი-ქარვასლები ამ მღვიმეთა სოფლებში, ისე რომ მოგზაურნი ღამეს ათევენ ერთსა და იმავე სადგომებში თავიანთ ჯორებთან, ვირებთან და ცხენებთან. ყველასათვის ცხადია, თუ როგორი ჰაერი უნდა იქნეს ამ სადგომებში! ასეთი სადგომები ზოგან ერთი-ორია ცალ-ცალკე, ზოგან კი რამდენიმე ერთად. ამ სადგომთა მღვიმეების ზემოთ არიან სახნავ-სათესი ადგილები. თივის და ჩალის ზვინები, პურის ძნები, კალოები, ხეხილები. ყველა ესეები სოფელს მოგაგონებს, მაგრამ კაცის სადგომებს კი ვერსად ხედავ. ამ სახნავ-სათესების მეპატრონენი არიან ისინი, რომელნიც ამავე ადგილების ქვეშ ცხოვრებენ გამოქვაბულებში თავიანთი ავლა-დიდებით.

საზოგადოდ ჩინეთში ძლიერ ცოტაა ლამაზი შენობანი, რომლებიც საცხოვრებლად იყოს გამოსადეგი. ჩინეთის ის ზოგიერთი უცხო შენობები, რომლებსაც ხშირად ვხედავთ სურათებიან ჟურნალებში, არიან ტაძრები, ძეგლები, ჭიშკრები, თაღები, კედლები და კოშკები, რომლებიც ჩინეთის ადგილების სურათის დასამშვენებლად არიან დახატულნი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

გერმანიის იმპერატორის და მისი უდიდებულესობის ბრიტანიის დედოფლის მთავრობათ ჰსურთ დაიცვან თავიანთი სარგებლობა და უფლებანი ჩინეთში და ამიტომ გადასწყვიტეს დაიცვან ჩინეთში ურთიერთ შორის შემდეგი პრინციპები:

1) კერძოდ ორი მთავრობისა და საზოგადოდ საერთა-შორისო ინტერესი მოითხოვს, რომ ის ნავთსადგურები, რომელნიც იმყოფებიან ჩინეთის ზღვებისა და მდინარეების ნაპირებზედ ყველა მთავრობის ქვეშევრდომთათვის ღია იყვნენ და თავისუფალი სავაჭროდ და სხვა კანონიერ ეკონომიურ მოქმედებისათვის. ორი მთავრობა სდებს ურთიერთ-შორის ხელ-შეკრულობას დაიცვან ეს პრინციპი მთელის ჩინეთის ტერრიტორიაზედ, რამდენადაც კი შეუძლიან იქონიონ გავლენა ამ საგნის შესახებ.

2) გერმანიის იმპერატორისა და მ. უ. ბრიტანიის დედოფლის მთავრობანი, რამდენადაც პირადად მათ შეეხება, არ ისარგებლებენ დღევანდელ საქმეთა ვითარებით და არ ეძიებენ, შეიძინონ რამე ტერრიტორიული უპირატესობა ჩინეთში; მათი პოლიტიკის საგანია, დაიცვან ჩინეთის იმპერიის დღევანდელი ტერრიტორია ხელ-უხლებლად და უცვლელად.

3) იმ შემთხვევაში, თუ სხვა რომელიმე მთავრობა ისარგებლებს ჩინეთის საქმეთა ვითარებით, რათა შეიძინოს ამ გვარი ტერრიტორიული უპირატესობა, რა სახითაც უნდა იქმნეს შექმნილი ეს უპირატესობა, ორ მთავრობას, რომელიც სდებს ურთიერთ-შორის ამ ხელშეკრულობას, ექნება უფლება წინდაწინვე შეთანხმდეს იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღოს ჩინეთში მათის პირადის ინტერესების დასაცველად.

4) ორი მთავრობა შეატყობინებს ამ შეთანხმებას სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოთა მთავრობათ და კერძოდ ავსტრ-უნგრეთს, საფრანგეთს, იტალიას, იაპონიას და შეერთებულ შტატებს ამერიკისას. (ამ დეპეშაში შეცდომით რუსეთი გამოტოვებულია, შემდეგში ეს შეცდომა გასწორებულ იქმნა) და ეცდებიან იგინიც დაითანხმონ ამ პირობაში გამოთქმულ პრინციპებზედ.

—

ღმერთმა იცის, რანაირი მიმდინარეობა აქვს ელჩთა და ჩინეთის წარმომადგენელთა შორის მოლაპარაკებას, აქვს ამას დასაწყისი, ან დასასრული? კერძოდ ელჩთა შორის ხშირად არის ხოლმე მოლაპარაკება, მაგრამ ამასაც ექმნება, თუ არა რაიმე ნაყოფი, არავინ იცის. ამერიკაში კი არა სჯერათ-რა ამ გვარის მოლაპარაკებისა და არავერს ხეირს არ მოელიან ამ ლაპარაკიდან. როგორც „ტანის" კორესპონდენტი ამბობს, საქმე იმაშია, ამბობენ თურმე ვაშინგტონში, რომ მოლაპარაკების რიგიანად დამთავრებას თვით ელჩები უშლიან ხელსა. ყველა მათგანი დასასჯელ დამნაშავეთა განსაკუთრებულ სიას წარმოადგენს ხოლმე და ამ სიაში შეაქვთ იმათი სახელები, რომელთა პირადი მტერი და ჯიბრი სჭირთ. თუ ყველა ეს სახელები შეაერთეს, მაშინ დაუსრულებელი სია გამოვა. ამის გამო შეერთებულ შტატების მთავრობას სურს ამცნოს სხვა სახელმწიფოთა მთავრობათ, რომ მოლაპარაკების გაჭიანურებაში მარტო ჩინეთის მთავრობა არ არის დამნაშავე.

—

ძნელია კაცმა გამოიცნოს, ვინ ვისა სჯობია: ჩინელი მოკრავენი, თუ გერმანელი განმანათლებელნი ველური ადმოსავლეთისა. ამის დასამტკიცებლად კმარა წაიკითხვა გერმანელი ჯარის კაცების წერილებისა. ერთი ჯარის კაცი იწერება პეკინიდან:

„დღეს სვენ იძულებულნი ვიყავით შეგვეწყვიტნა სადილი და გავშურებულიყავით მატროსებისათვის საშველად. 76 ჩინელი დავიჭირეთ ტყვედ, გადავაბით ერთმანერთზედ მათვე საკუთარი ნაწნავებით და თან წავიყვანეთ. ზოგიერთმა უფრო ბრიყვმა ჩვენმა ჯარის კაცებმა ისე დაუწყეს მათ ცემა, რომ მთლად სისხლით შეღებეს ჩინელები. ეს საშინელება იყო. სადილ შემდეგ ყველა ტყვეებს სიკვდილი გადაუწყვიტეს. როცა დასასჯელად წავიყვანეთ, ორი ტყვე გაგვექცა, ერთი—ყველაზედ უფრო ახალ-გაზდა—ცოცხლათ დავტოვეთ და 68 ცალი დავხვრიტეთ. ახ, როგორ იხვეწებოდნენ პატიებას! მაგრამ მალე გაისმა კვნესა, ყვედას მოჰხვდა ოთხ-ოთხი ტყვია, და ყველანი სწრაფად გადაცვივდნენ უკან თხრილში, რომელიც მათვე მოვათხრევინეთ წინათ. ეს იყო კვირა დღეს და ეს დღე საუკუნოდ ჩამეჩრა ხსოვნაში".

მეორე ჯარის-კაცი იწერება 1 ოქტომბერს პეკინის მიდამოდან:

„საყვარელო დედავ! გწერ ჩინურ გასახვევ ქაღალდზედ, რადგანაც უკეთესი ხელთ არა მაქვს. ჩვენ ვდგევართ სიმინდის ყანაში პეკინის ახლო. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, თუ როგორა ვცხოვრობთ. ცუდი გზების გამო, ჩვენი სურსათის ფურგუნები თან არა გვაქვს, ამიტომ შიმშილისაგან ისე დავილიენით, ისე გავხდით, როგორც ჩინური ხისაგან გაკეთებული ღმერთები... თუ რას დაემსგავსა აქ ომის დროს ჩვენი ხალხი, ძვირფასო დედავ, ამის აწერა მე არ შემიძლიან. ისეთი ამოწყვეტა და ხოცვა-ჟლეტაა, რომ ენით არ ითქმის, რადგანაც ჩინელები დგანან საერთაშორისო უფლების გარეშე, ამიტომ არავინ ტყვედ არ მიგვყავს, იქვე დაუყოვნებლივ თოფით ვკლავთ, ან პატრონაების დასაზოგავად უბრალოდ ხიშტით ვხვრეტავთ. კვირას, სადილს უკან, ჩვენ დავხვრიტეთ ხიშტებით 74 ტყვე. შესაზარი ამბავი იყო! ვათავებ ამ წერილს იმედით, რომ ეს ამბები დიდხანს არ გასტანს, თორემ ჩემ თავს ადამიანად აღარ ვგრძნობ".

## ახალი ამბები და შენიშვნები.

—

სივრცე და მცხოვრებლების რიცხვი ევროპის, ჩინეთის და ამერიკის სახელმწიფოთა: ევროპის ნაწილი რუსეთისა სივრცით არის 5,86,539 კვადრატული კილომეტრი. მცხოვრების რიცხვია 115,483,053 მილიონი.

რუსეთის აზიის ნაწილი არის სივრცით 16,023,397 კვადრატული კილომეტრია, მცხოვრებლების რიცხვი არის 13,449,764.

სრულიად რუსეთის იმპერია არის სივრცით 21,885,936 კვად. კილომეტრია, მცხოვრებლების რიცხვია 128,931827.

ჩინეთის იმპერია მთლად არის სივრცით 11081,100 კვად. კილომეტრი, მცხოვრებლების რიცხვია 357,250,600.

მთელი ევროპა სივრცით არის 10,041,866 კვად. კილომეტრი, მცხოვრებლების რიცხვია 389,790,275.

შეერთებული შტატები არის სივრცით 9,212,300 კვად. კილოგრამ, მცხოვრებთა რიცხვია 74,389,000.

დიაღ, საყურადღებო საქმეა.

* *
*

შორაპნის მაზრის უმფროსი უკვე მოვიდა პეტერბურგიდან და შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას.

* *
*

ერთი ახალი „ექიმი“ მოვიდა ყვირილაში გვარად გაბრიჭ—ძე. ეს კაცი „სალდათათ“ ყოფილა წაყვანილი და სადღაც საავადმყოფოში მოსამსახურეთ მიუღიათ. რამდენიმე ხანი ტარსაიძესთანაც ყოფილა მოსამსახურეთ და ეხლა აქ, ყვირილაში ექიმობს! ერთი ვიღაც ცალ-თვალა რუსია კიდევ, რომელსაც საზოგადოება ხშირად იწვევს სოფლებში როგორც მკურნალს...

ხალხის ჯანმრთელობა სამწუხარო მდგომარეობაშია და პატრონი არავინ არის, რომ ქსენონი დაუარსოს. გაზეთებში გამოაცხადებენ ხოლმე ხანდისხან, რომ „შორაპანის მაზრაში ორ-სამ ადგილას ქსენონები გაიხსნებაო“. ესეც საკმაოდ მიაჩნიათ! ამ დაპირების ასრულებას ახალი დგმა ვერ მოესწროს, ვგონებ.

*
* *

პარიჟიდამ ჩვენ მოგვდის ერთი ფრანგული სასულიერო გამოცემა. ამ გამოცემაში დასტამბულია ყოვლად სამღვდელოთ ლეონიდის და კირიონის მოხსენება საქართველოს ეგზარხოსის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის ფლაბიანეს სახელობაზე, რომ პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის შესრულების დღესასწაულობის სანახსოვროდ დაარსებულ იქმნას ქართული ისტორიის კათედრა. ამ სტატიის შესახებ ჩვენ შემდეგ მოველაპარაკებით მკითხველებს.

* *
*

რექტორი თფილისის სემინარიისა არხიმანდრიტი გერმოგენი, როგორც ისმის, ქორ-ეპისკოპოსად დაინიშნა სარატოვის ეპარქიაში და რექტორად თფილისის სექინარიაში დაინიშნა ინსპექტორი ამავე სემინარიისა არქიმანდრიტი სტეფანე (არხანგელსკი).

*
* *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება მოხდება შუა დეკემბრამდის, ამ კრებაზე სამღვდელოების დეპუტატებს დიდი გამჭრიახობა მართებს, რადგან კითხვა იქნება აღძრული ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გაყოფისა და ეპარქიალურ ქალების სკოლაში პანსიონის დაარსების შესახებ.

*
* *

როგორც ივერიას შეუტყვია, ბ. ი. როსტომაშვილს ახალი რუსულ-ქართული ჟურნალის გამოცემის ნება მიუღია, რომელსაც სახელად „მოგზაური“ ეწოდება. ეს ჟურნალი შემდეგის პროგრამით გამოვა იანვრიდგან: 1) მოგზაურობანი, აღწერილობანი, მოთხრობები, ლექსები, პოემები, გადმოცემანი და სხ. საეთნოგრაფიო, საგეოგრაფო და საისტორიო-საარქეოლოგო შინაარსისა, სურათებითურთ; 2) მეთაური წერილები აღნიშნულ საგნების შინაარსის შესახებ; 3) ცნობები კერძო ძალთა და საზოგადოებათა მოქმედების შესახებ რუსეთში და საზღვარ-გარეთ (იმავე შინაარსისა); 4) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია (იმავე შინაარსისა); 5) ნარევი (იმავე შინაარსისა); 6) დამატებანი (პროგრამის შინაარსიდგანვე) და 7) ყოველ გვარი განცხადებანი.

ჟურნალი ყოველთვიური იქმნება, გამოვა 16—64 გვერდამდე, ფორმატი „ჯეჯილისა“ ექმნება და წლიურად ეღირება 5 მან., ხოლო ნახევარის წლით—3 მან. როგორც თითონ ბ-ნმა როსტომაშვილმა გადმოგვცა, სურათები ჟურნალში ფოტოტიპიით იქმნება გამოყვანილი.

* *
*

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქუთაისის ქალაქის თავი ბ. ლოლუა ამ მოკლე ხანში პეტერბურგს აპირებს წასვლას, რათა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე და მალე იქმნას დამტკიცებული გეგმები და პროექტები ქუთაისში წყლის მილის და ელექტრონის ტრამვაის გაკეთების შესახებ. როგორც „ნოვ. ობოზრ.“-ს გაუგონია, ბ. ლოლუა პეტერბურგს ინჟ მიხაილოვის ხარჯით მიდის, რომელსაც ქალაქმა გადასცა კონცესია ყველა ზემოხსენებულის გაკეთებისთვის.

*
* *

ამ დღეებში ტფ. მიხეილის საავადმყოფოში გარდაიცვალა 128 წლის მოხუცი, მილიციის პორუჩიკი ტარიელ კვალიაშვილი. ოფიცრის ჩინი გარდაცვალებულმა მიიღო 1822 წელს მთიულთა წინააღმდეგ ომში.

მიიღება ხელის-მოწერა 1901 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულ

# „მწყემს"-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

## ჟურნალის ფასი:

| | |
|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» 3 მ. | 6 თვით «მწყემსი» 2 მ. |
| — „ რუსული „ 3 მ. | — „ რუსული „ 2 » |
| — „ ორივე გამოცემა 5 » | — „ ორივე გამოცემა 3 » |

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერეში—ყარასან მეიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ ღ. ხახუტოვთან, ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ნ ე თ ა დ.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ" и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი"-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1891 წლის ხელის მომწერთ პრემიად (საჩუქრად) აქვსთ დანიშნული დიდი სურათი ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორიც არიან შოთა რუსთაველისა და თამარის.

კერძო საავადმყოფო ამბულატორიითურთ

## ს. ბ. თოფურიას.

ქ. ქუთაისში.

საავადმყოფოში დგას ო რ მ ო ც ი საწოლი: ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავადმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავადმყოფებს მიიღებს

ექ. ს. ბ. თოფურია.

ქირურგიულ შარდით სიფილისით და თვალების ავადმყოფობისათვის.

ექ. ფ. კ. ვერრატი.

დედაკაცურ ავადმყოფთა და საბებიო ქალი.

ექ. მ. ფ. კოზანი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავადმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

## შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: რედაქციისაგან.—გაენათის მონასტრის შეკეთება-გამშვენების საჭიროება.—შორაპნის საბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოების კრება დაბა ყვირილაში ოკდომბრის 12-ს 1900 წელსა.—იმერეთის ეპისკოპოსის, ყოვლად უსამღვდელოესობის ლეონიდის მიბრძანება ჭიათურაში და საჩხერეში.—ჩემი სასიხარულო და სამწუხარო შთაბეჭდილებანი აზიის და ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს.—მცირე შენიშვნა.—ბედის ჩარხი (ლექსი).—ჩინელები.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.

განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 15 Ноября 1900 г. ✦ Цензоръ прот. Е. Ехіевъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой ул.

᾿ # მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

მპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 22 1883—1900 30 ნოემბერი.

P 38838

## არიან თუ არა ქართველ-კათოლიკენი?

(პასუხი ბ. სარუხანას)

ქართველ-კათოლიკეთა შესახებ ბევრი რამ იწერება არა თუ კავკასიის ჟურნალ-გაზეთობაში, არამედ რუსეთის ჟურნალებშიდაც. ჩემმა ისტორიულმა შენიშვნამ ქართველ-კათოლიკეთა შესახებ (იხ. პეტერბ. ვედომ. 1899 წ. № 334) გამოიწვია ვრცელი პასუხი (იმავე გაზეთ. 1900 წ. № 156-ში), რომლის ავტორიც ბ. სარუხანა ვითომდა „ნამდვილ წყაროების“ საფუძვლით სცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ძველადგანვე საქართველოში კათოლიკობა სომხებს აქვსთ მიღებულ და არა ქართველებსო, და ის სურვილი საზოგადოების რამოდენიმე ნაწილის (სამოცი ათასამდე სულია)—რომელნიც ცალკე სარწმუნოებრივ ჯგუფად, ქართველ კათოლიკებად ისახელებენ თავს—უნდა ჩაითვალოს უსაფუძვლო რამედ და ისტორიულ გაურკვევლობადო. ამ დასკვნამდე მისულა ზემოხსენებული სტატიის ავტორი, რომელსაც მხოლოდ სცოდნია ერთი წყარო, სადაც არის დასახელებული ერთ-ერთი გავლენიანი პირი, რომელსაც კათოლიკეს სარწმუნოება მიუღია. ეს იყო თავადი ორბელიანი, რომელიც პაპის ინნოკენტ მე-XI-ისადმი მინაწერ წერილში უწოდებს თავის თავს „Bardzimo degli Eristavi si Giorgia“, ამასთანავე ბ. სარუხანა ასახელებს Acta Ecles., Acta Eclos. 20 Novemb. 1690, გვ. 268. ეს არის ერთი მისი ნამდვილ წყაროთაგანი. თუ რა წყაროა ის, ან რა ნაირად სარგებლობს იგი ამით,

ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, ეხლა-კი დავასახელებთ მხოლოდ იმ ნაწარმოებს, რომელთაგან იგი იღებს „ისტორიულ ცნობებს“. ხსენებულ Acta Ecles.-ს გარდა, იგი ასახელებს ცნობებს პაპის მისსიონერთაგან მათ მოხსენებებში მოყვანილს და აგრეთვე მე-XVII-XVIII საუკ. მოგზაურთა ცნობებიდგანაც, როგორც მაგ.: შარდენი, ტურნეფორი და კლაპროტი. რადგანაც ბ. სარუხანა ჩვენ გვისაყვედურებს, რომ ჩვენ ვითომ „ნაღვილ აზრს ზოგიერთა წყაროების ცნობებისას (მაგ. შოპენისა და სხ.“) არ ვიხსენიებთ, ამისათვის ჩვენ ვიღებთ მის გამოწვევას და მზად ვართ გამოვიძიოთ იმავე ავტორებისაგან, რომელთა მიხედვითაც იგი მისულა ქართველ-კათოლიკეთა არსებობის უარის ყოფამდე.

როგორც პირველ წერილში, ისე ამ წერილშიდაც ძთავარ მიზნად იმის დამტკიცებას ვისახავ, რომ საქართველოს სამეფოს თვითარსებობის დროსაც იყვნენ და ეხლაც არიან ქართველ-კათოლიკენი, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვსთ სომხის ერთან და სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიასთან. ამასთანავე, რომ ძალიან არ გაგრძელდეს და არც გადავშორდეთ ჩვენს პირდაპირ კითხვას, არ შევალთ იმის განხილვაში, თუ რა ძალითა და ცდით მოიდგა ფეხი სომხის ხალხში კათოლიკობის პროპაგანდამ.

შევუდგებით იმ „ნამდვილ ისტორიულ წყაროთა“ განხილვას, რომელნიც მოწმობენ კათოლიკობის პროპაგანდას საქართველოში, ხოლო არ გავიმეორებთ აქ გზასა და მიზეზებს ჩვენს ქვეყანაში მის გავრცელებისას, რაიცა ჩვენ პირველ წერილში უკვე ავღნიშნეთ.

როგორც ნათქვამია ზემოთ, „ნამდვილ წყაროებადი ბ. სარუხანა სთვლის: 1) Acta Ecles. (ასე სწერს ავტორი და არ ასრულებს უკანასკნელ სიტყვას, და არც ადგილს და წელს უჩვენებს, თუ როდის არიან გამოცემული ხსენებული ნაწერები), 2) მოხსენებანი კათოლიკეთა მისიონერებისა პაპის სახელობაზე და 3) ევროპიელ მოგზაურთა ჩვენებანი. პირველი ამ „ნამდვილ წყაროთაგანი“, რომელიც მოყვანილია ბ. სარუხანის წერილში, ეკუთვნის ავტორის ოცნებას და მოკლებულია სინამდვილეს. ბ. სარუხანი ძლიერ დიდ ნებას აძლევს თავის ოცნებას და შეიძლება გაუგებლობითაც მოდიოდეს, რომ სიტყვა ec, ე. ი. et cetera (ანუ e cetera) გადუკეთებია ecles., ე. ი. eclesiastica და ამ სახით შეუდგენია რაღაც «საეკკლესიო ოქმები“, რომლებზედაც იგი აფუძნებს თავის აზრს და დარწმუნებით ამბობს, რომ თავადი ორბელიანი იგივე ბარძიმ ერისთავიაო. მე ეხლავ განვმარტებ, თუ როგორ შეთხზა ბ. სარუხანმა ეს მის მიერ გამოგონებული «ნამდვილი წყარო“. მე ექვი ავიღე, რომ თავადი ორბელიანი, რომელმანც ფრანგთა აღსარება მიიღო 1714 წ., არ უნდა იყოს იგივე ბარძიმ ერისთავი, რომელიც 1690 წ. გადავიდა კათოლიკეთა ეკკლესიის მხარეზე, როგორც ამას სინამდვილით აღნიშნავს ბ. სარუხანა თავის მეცამეტე შენიშვნაში (20 Novemb. 1690 წ. ვვერდი 258), მე შეუდექი გამოკვლევას, თუ რომელი Acta ecles. იძლევა ამ ცნობებს. დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბ. სარუხანს სინამდვილით ვერ მოჰყავს ეს ნაჩვენები სიტყვები ისტორიული ნაწარმოებისაგან, რომელსაც ეწოდება Acta ecles. P. Roceo de Cezimale. Storia delle missioni dei Cappucini Roma. 1873 წ. 378 გვერდზე, შენიშვნაში C. Rocco მოჰყავს შემდეგი დასაბუთებული ცნობები, რომელნიც ჩვენც შევამოწმეთ რომის კონგრეგაციის არხივში Propaganda Fide: „Giulio da Cremona. prefetto della missioni dei Cappuccini in Georgia. perta a notizzia dell' s. s. v. v. essor convertito alla fide cattolica il principo Barzimi della stirpe dei regi d' Iberia e primo dopo il re di Giorgia-scrive il principe alla santita di N. S.“ ამასთანავე P. Rocco «Acta ec. 20 novemb. 1690, p. 158“. ბ. სარუხანი თუმცა თავის თავს აწერს ამ ცნობათა შეკრებას ბარძიმი ერისთვის ფრანგთა აღსარების მიღების შესახებ, მაგრამ ვერ მოუხერხებია დამალვა, რომ ეს ადგილი მოყვანილია P. Rocco-ს შრომიდამ. უკანასკნელს თავის ისტორიაში კაპუცინების მისიების შესახებ Acta ec სახელწოდებით, სახეში აქვს Acta s. c. de Propaganda Fide, ამიტომ s. და c. ლიტერის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ sacra congregatio. P. Rocco, სათაურის შესამოკლებლად Acta Sacrae congregationis de Propaganda, Fide, საკმაოდ რაცხს შემდეგ ვვერდებზე აღნიშნოს „Acta ec.“, ე. ი. «Acta» et

cetera. მართალია საქმეს იმით არაფერი არ ევნება, რომ „Acta s. c de prop. fide" მაგიერ ნახმარია საეკკლესიო აქტები. მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ვსთქვათ, რომ ბარძიმ ერისთავი, რომელმანც მიიღო ფრანგთა აღსარება 1690 წ., იყოს იგივე თავადი ორბელიანი, რომელიც გადავიდა კათოლიკეთა სარწმუნოებაზე, როგორც ეს დანამდვილებით ვიცით, 1714 წ. არ შეიძლება ბ. სარუხანს არ უსაყვედუროთ იმისთვისაც, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი ადგილიდამ, რომელიც მას უსათუოდ უნდა სცოდნიყო, მას არ გამოჰყავს სრული დასკვნა. უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ არა თუ ბარძიმ ერისთავი, არამედ იმაზე უფრო ადრე, საქართველოს მეფე შეუერთდა კათოლიკეთა ეკკლესიას. აი რა „მიუდგომლად" სჯის ბ. სარუხანა ქართველ-კათოლიკეთა კითხვის შესახებ! იგი უმართლოდ ამბობს, რომ ბარძიმ ერისთავი და თავადი ორბელიანი ერთი და იგივე პირნი არიანო, ამით მას სურდა გაემართლებია მის მიერ აღიარებული აზრი, ვითომც ამ საგნის შესახებ იყვეს მხოლოდ ერთი საბუთი, რომელშიაც აღნიშნულია საპატიო პირი, რომელმაც მიიღო კათოლიკეთა აღსარება", ე. ი. თავადი ორბელიანი პაპა ინოკენტი XI-ეს სწერს წერილს, რომელშიაც თავის თავს უწოდებს Bardsimo degli Eristavi sc di Giorgia. ეს ადგილი კაპუცინების ისტორიკოსამ ან ვერ გაუგიათ, ან განგებ ამახინჯებენ. თავადი ორბელიანები არას დროს თავის თავს ერისთავებს არ უწოდებდნენ. რაც შეეხება ბარძიმ ერისთავის და თავ. ორბელიანის (რომლის მაგიერ, ცხადია, უნდა ვიგულისხმოთ საბა სულხან ორბელიანი) *), ჩვენ გვაქვს სარწმუნო წყაროები და ამ ორი პირის ერთად შეერთება ქართველ-კათოლიკეთა რიცხვის შესამცირებლად არ მტკიცდება მისიონერთა მოხსენებისგან. ე. ი. იმ წყაროსაგან, რომელიც ბ. სარუხანს მიაჩნია ნამდვილ წყაროდ. Propagandi Fide არხივში ინახება პაპა ინოკენტი XI-ის წერილი 1692 წ. ბარძიმ ერისთავისადმი მინაწერი, რომელიც აღნიშნულია კაპუცინების ისტორიის P. Rocco-ს 359—370 გვერდზე. ამ წერილში ბარძიმ ერისთავს კათოლიკეთა ეკკლესიის თავი ულოცავს კათოლიკეთა ეკკლესიასთან შემოერთებას და მადლობას სწირავს მას, რომ იგი მფარველობას უწევს ქართველ კათოლიკეთ, რომელთაც სდევნიან სომეხნი. ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო კათოლიკეთა აღსარება ს. ს. ორბელიანმა და ან როგორ მოიყვანა მან ევროპიდამ საქართველოში კაპუცინების თორმეტი ბერი, კარგად უწყის ბ. სარუხანმა, და ამიტომ აღარც ჩვენ გავაგრძელებთ ამაზე სიტყვას. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ბ. სარუხანი მართალია იმაში, რომ იგი ცდილობს დაასაბუთოს თავისი აზრი „კატოლიციზმობის" წარმატებით საქართველოში გავრცელების შესახებ პაპის მისიონერების მოხსენებათა ზედა. უკანასკნელთა მოხსენება მან რამდენიმედ კიდეც უწყის «კაპუცინების ისტორიისაგან» P. Rocco, მაგრამ ამ შრომიდან მას გამოუკრებია ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები, რომელიც ხელ-ჩასაკიდებელია და სახეიროა სომეხ-კათოლიკეთათვის, ხოლო საწინააღმდეგოა ქართველ-კათოლიკეთათვის. ბ. სარუხანი იწყებს თავის ისტორიულ მიმოხილვას კათოლიკეთა ქადაგების შესახებ და XIV საუკუნიდამ პირდაპირ გადადის XVII საუკუნეზე და სრულებით არ იხსენიებს სამი საუკუნის განმავლობაში მისიონერთა მოღვაწეობის შედეგს კავკასიელ მკვიდრთა შორის. ეს ისტორიული ნაკლი შეიძლება დღეს შევავსოთ ნამდვილი დასაბუთებული ცნობებით, რომელნიც მე გამოვკრიბე Propagandi fide-სა, ვატიკანისა და სხვა არქივებისაგან.

ა. ხახანაშვილი.

(გაგრძელება იქნება)

*) იხ. მისი სტატია „ქართველი კათოლიკენი" სომხის გაზეთს „მშაკში" 1897 №№ 137, 138, 144, 146, და სხვ. ეს სტატიები იყო მიზეზი ჩემი პასუხისა ამ სათაურით: „ჭეშმარიტება ქართველ კათოლიკეებზე" (პეტერ. უწყებ. 1900 წ. № 156.

## საუბარი,

თქმული დეკ. დავით დამბაშიძის მიერ გარდაცვალებულის როსტომ თაბაგრის წესის აგების შემდეგ შრომის წმიდის გიორგის ეკკლესიაში 6 ნოემბერს 1900 წელს.

გარდაცვალებულის კუბოზე სიტყვას ამბობენ ხოლმე, როცა სურსთ აღნიშნონ გარდაცვალებულის სხვა-და-სხვა ნაირი კეთილი მოღვაწეობა და მისი ქვეყნისათვის სასარგებლო სამსახური, ანუ კიდევ როცა გარდაცვალებულის ს.მაგალითო და მისაბაძავი ცხოვრების მოთხრობით სურსთ მსმენელთა შორის აღძრან სურვილი და ლტოლვილება კეთილი და პატიოსანი ცხოვრებისადმი. ჩვენ სულ სხვა მხრით შევეხებით განსვენებულის ცხოვრებას. განსვენებული როსტომა თაბაგარი იყო ერთი მრევლთაგანი ამა ეკკლესიისა, იგი ცხოვრებდა პატიოსნად, შეძლებისადაგვარად არჩენდა თავის ცოლშვილს; ცხოვრებდა ამ ქვეყანაზე ოთხმოცი წელიწადი და ბოლოს ღირსი შეიქმნა „ქრისტიანულის აღსასრულისა", რომელსაც იგი ნიადაგ სთხოვდა უფალსა და ამ სახით განვიდა ამა ქვეყნიდან.

ჭეშმარიტად ფრიად სასურველია ქრისტიანულად ცხოვრების აღსრულება ყოველ ქრისტიანესათვის. წმიდა მართლ-მადიდებელი ეკკლესია ყოველს წირვაზე და ლოცვაზე იმეორებს შემდეგ ლოცვას: „ქრისტიანობითნი აღსასრულნი ცხოვრებისა ჩვენისანი, უჭირველნი, ურცხვენელნი, მშვიდობითნი და კეთილი სიტყვის გება წინაშე საშინელსა სამსჯავროსა ქრისტესა"... ამისათვის მე მსურს, ძმანო ქრისტიანენო, განვიმარტოთ, თუ რაი არს ქრისტიანული აღსასრული, რომელსაც ასე ნიადაგ ვითხოვთ უფლისაგან, როგორი უნდა იყოს ეს აღსასრული, როგორ სრულდება იგი ჩვენში და როგორ აღსრულდა იგი ჩვენ წინაშე მდებარე განსვენებულზე.

ყოველ ჭეშმარიტ ქრისტიან კაცს ნიადაგ უნდა ახსოვდეს თავისი უკანასკნელი დღე და მზად უნდა იყოს განსვლად ამა ქვეყნიდან. თუ კაცს საზოგადოდ, და ქრისტიანეს განსაკუთრებით რამდენადმე შეუგნია თავისი დანიშნულება, მას არასოდეს არ უნდა დაავიწყდეს ის, რომ იგი სტუმარია ამა ქვეყნისა და მცირე ხნის შემდეგ სამუდამოდ უნდა მოშორდეს ამ ქვეყანას.

მრავალ გვარია, ძმანო, ამ ქვეყნიდან გასვლა კაცისა: ზოგი უეცრად წყალში იღრჩობა უზიარებელი და უაღსარებო, მეორე უეცრად ცეცხლში იწვის; მესამე ხიდან ან მაღლობიდან ვარდება და სიცოცხლე ესპობა, მეოთხე ჩხუბში თავის ტოლ-ამხანაგებში საშიშარი ჭრილობით ერთ წამში კვდება. მეხუთე, თავის ოთახში ღამით მოსვენებული, დილით მკვდარი უნახავთ. და რამდენია ამისთანა უბედური შემთხვევა, როცა კაცი უცბად ესალმება სიცოცხლეს უზიარებელი და უაღსარებო. ვინ იცის, ამისთანა უეცრად გარდაცვალებულთა შორის რამდენს დარჩა აღსარებაში უთქმელი თავისი შეცოდება ღვთისა და კაცის წინაშე! ვინ იცის, რამდენ მათგანს გულში ცეცხლის ალმურივით ტრიალებდა სხვა-და-სხვა ცოდვები, მაგრამ შიშით ან სირცხვილით ვერ ამხელდა და იმედობდა ამ ქვეყნიდან განსვლის დროს, უკანასკნელად აღიარებია თვისი ცოდვები მოძღვრისთვის. აი, ძმანო, რატომ უნდა ევედრებოდეს ღმერთს ნიადაგ ყოველი ქრისტიანე, რომ უფალმა მიანიჭოს მას „ქრისტიანული აღსასრული".

ჭეშმარიტად მორწმუნე ქრისტიანე, რომელიც ღირსი ხდება ქრისტიანული აღსრულებისა, იგრძნობს თუ არა სნეულებას ერთსა და იმავე დროს მიაშურებს როგორც ხორციელ მკურნალს, ისე სულიერსა ლოცვასა, ზიარებასა და ცოდვათა სინანულსა. თვით საღმრთო წერილი გვირჩევს ექიმის დახმარებას, მაგრამ ამავე დროს ქრისტიანე კაცი მხურვალედ უნდა ევედრებოდეს ღმერთს განკურნებას და უნდა მიიღოს ქრისტეს სისხლი და ხორცი, რომელიცა ჰკურნავს ყოველსა ჩვენსა უძლურებასა და მოგვიტოვებს ცოდვათა, რომელთაცა შემუსვრილითა გულითა აღვიარებთ მოძღვრის წინაშე, ნიადაგ ლოცვა-ვედრებას ღვთისადმი, ნიადაგ ფიქრს და აზროვნებას მაცხოვარზე და მის წმიდა სახარებაზე შეუძლია შეგიმსუბუქოს შენ ყოველი მწუხარება ამ ქვეყანაზე და ყოველი სასტიკი გვემა სნეულებისა და ტკივილნი ადვილად გადაიტანო. სასოება საუკუნო ნეტარ ცხოვრებაზე შეგიმსუბუქებს შენ იმ ტანჯვა-წვალებას და სულის კვეთებას, რომელსაც ასე ხშირად გრძნობენ სიკვდილის წინ ურწმუნონი და უსასონი და რომელთა

მრავალ-ჟამიერი, ფუფუნებითი და განცხრომითი ცხოვრება უკანასკნელ ჟამს მთლად იწამლება და იშხამება; იგინი გრძნობენ ამ გვარი ცხოვრების არარაობას, მაგრამ რაღა დროს!.. მათ ღვთისაგან მოცემული ძვირფასი დრო დაჰკარგეს და მასთან ერთად დაჰკარგვენ ყველა მას, რასაც აღუთქვამს უფალი ჩვენი იესო ქრისტე თავის მიმდევართა და ვისაც იგი ეტყვის: „მოვედით ჩემდა კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ სასუფეველი ღვთისა, რომელიც გამზადებულ არს თქვენთვის“.

განსვენებული ესე მონა ღვთისა როსტომა, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანე მოემზადა წინდაწინ, მან სთქვა აღსარება და მიიღო წმიდა საიდუმლო ზიარება, დალოცა ოჯახი, შვილები, გამოეთხოვა ყველას და განუტევა სული უშფოთველად და უტანჯველად. როგორც ითხოვდა სიცოცხლეში, მას მიანიჭა უფალმა ნამდვილი ქრისტიანული აღსასრული ცხოვრებისა. სიკვდილის შემდეგ ჭირისუფალნი და მონათესავენი, და თუ ნათესავი და ჭირისუფალი არავინ ჰყავს გარდაცვალებულს, საზოგადოება, რომლის წევრიც იყო გარდაცვალებული, ვალდებულია აღასრულოს განსვენებულის დასაფლავება ქრისტიანულად. რაში მდგომარეობს ქრისტიანული დასაფლავება გარდაცვალებულისა? მასში, რომ გარდაცვალებული, შემდეგ განბანისა, უნდა შესუდრონ, ჩაასვენონ კუბოში, სამი დღის განმავლობაში იხადონ განსვენებულისათვის პანაშვიდი და აღასრულონ წირვა. დასაფლავების დღეს, უთუოდ მესამე დღეზე, წაასვენონ ეკლესიაზე, შეასრულონ წესის აგება ეკლესიის ტიბიკონისამებრ და მიაბარონ მიწას. ეს არის ქრისტიანული დამარხვა ქრისტიანეთათვის. ასე ქრისტიანულად და საქებურად აღასრულეს დასაფლავება განსვენებულის შვილთა და ნათესავთა. ჭეშმარიტად საქებია ამისთანა არის საქციელი განსვენებულის შვილთა და ნათესავთა. ჭეშმარიტად სამაგალითოა ჩვენს დროში და ჩვენს ხალხში მოქმედება ამა გარდაცვალებულის ჭირისუფალთა იმ დროს, როცა ჩვენში იშვიათად ეღირსებიან მაღალი წოდების გარდაცვალებულნიც ამ ნაირ ქრისტიანულად ცხოვრების აღსრულებას და დასაფლავებას. ამ სიტყვების თქმას გვაიძულებენ ჩვენ ის უბედური და კერპთ-თაყვანისცემლური ჩვეულებანი და წესნი გარდაცვალებულთა დასაფლავებისა, რომელთაც, ჩვენდა საუბედუროდ, და განათლებულ ქრისტიანეთა გასაკიცხად, მხოლოდ ჩვენში მოუკიდნია მაგრად ფესვი და მის მოშლას ვერავინ ბედავს. ამ სამარცხვინო წესებს და ჩვეულებათ, რომელთაც ასე მტკიცედ ასრულებენ, ისიც მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არა თუ სხვა ქრისტიანეთა შორის, არამედ ველურ ხალხთა შორისაც იშვიათად შეხვდებით..:

გასაოცარია ზოგიერთის გულ-გრილობა და აღსარების და ზიარების მნიშვნელობის უვიცობა. ჯერ მძიმე ავადმყოფიც არ სურვობს აღსარების თქმას და ზიარებას იმ შიშისა გამო, რომ იგი ვითომც ზიარების შემდეგ უთუოდ მოკვდება და სწორედ იმ დროს მოუწოდებენ მოძღვარს, როდესაც სნეული უკანასკნელად ებრძვის სიკვდილს და აღსარებაც აღარ შეუძლია. რაიცა შეეხება შვილების და თავის ოჯახობის დალოცვას, ვის ახსოვს იგი. შემდეგ გარდაცვალებისა უარ-ყოფილია ეკლესიური ტიბიკონი განსვენებულის დამარხვისა და პატივისცემისა, ეკლესიური წესი თხოვილობს, რომ განსვენებული უთუოდ მესამე დღეს დაიმარხოს და წესის აგება და დასაფლავება მესამე დღეს არ გადაცილდეს. ჩვენში კი არა თუ მესამე დღეს, არამედ ხშირად ათი დღე და ორი კვირა არის მიცვალებული სახლში. განსვენებულის სულის მოსახსენებლად არც წირვაა და არც ლოცვა. ჭირისუფალთა უმთავრესი ყურადღება არის მიქცეული სასმელ-საჭმელის მოპოებაზე მომსვლელ მომტირალთათვის. ეკლესიური მგალობლების მაგიერ, მოზარეებს იწვევენ, პანაშვიდების მაგიერ, ზარით თვალთ-მაქცურად ტირიან, იჭყანებიან და ქვითინებენ. ას მომტირალში ხუთია, რომელნიც მართლად ჭირისუფალნი არიან გარდაცვალებულისა და ნამდვილ ტირიან განსვენებულს. დანარჩენნი პირდაპირ კომედიას წარმოადგენენ. ამ შემთხვევაში ყველაზე საწუხარო ის არის, რომ ამ გასაკიცხი წესების ასრულების დროს ითხოვენ, რომ ეკლესიის კრებულნი შემოსილნი ფეხზე იდგნენ, ზარის სიმღერას ისმენდენ და თვალთ-მაქცურად მომტირალთა საცეცხლურის კმევით მიეგებებოდნენ! დახედეთ სამღვდელოების დამდაბლებას, ისინიც ხშირად ასრულებენ მრევლთა ამისთანა უკანონო თხოვნას. ერ-

თის მხრით ამისთანა მწყემსნი ამდაბლებენ თავიანთ ხარისხს და მეორეს მხრით მრევლი, რომელიც აშკარად ხედავს, რომ მღვდელი გულ-გრილად და ზოგიერთ ადგილას თანაგრძნობითაც ეკიდება ამისთანა უწესო მოქმედების აღსრულებას, რწმუნდება, რომ ეს უმგვანო ჩვეულება ნამდვილი სავალდებულოა ყველასათვის და ეკკლესიის ტიბიკონიც ვითომც მოითხოვს ამის ასრულებასო.

ეკკლესიური წესი კი გარდაცვალებულთა ქრისტიანულად დამარხვისა სრულებით უარ-ყოფილია. ყოველი საგალობელი და საკითხავი გარდაცვალებულთა ზედა აღსასრულებელი, ერთის მხრით სანუგეშებელია ჭირისუფალთა და მგლოვიარეთათვის, მეორეს მხრით ლოცვა-ვედრება და თხოვნა არის სამღვდელო მოსამსახურეთა, მონათესავეთა და საზოგადოდ მოყვასთა პირთა საშუალებით ვედრება უფლისადმი განსვენებულის ცოდვების მიტევებაზე. აი რას ითხოვს პირველად ყოვლისა განსვენებული მონათესავეთა და ნაცნობთაგან. რომელ კაცობრიულ სიტყვას შეუძლია დაამშვიდოს მგლოვიარეთა მწუხარება ისე, როგორც საეკკლესიო და საღმრთო წერილის სიტყვებს? რომელ მომტირალს შეუძლია ნუგეში სცეს მგლოვიარესა, როდესაც იგინი უნუგეშოდ მიეცემიან მწუხარებას რომელიმე თავიანთი ნათესავის და მახლობელის გარდაცვალებითა? ვინ უნდა ანუგეშოს ზოგიერთთა მომტირალის ამ სიტყვებმა, რომელნიც ხშირად გვესმის ხოლმე, მაგალითად: „შე ცუდო კაცო, როგორ წევხარ და ხმას არა მცემ? ასე უნდა მიგებება კაცისა, როგორი სახლი გაგიკეთებია ეს? რა გაგიჭირდა, კაცო, მაგისთანა, რომ მოკვდი. ჰი, შეარცხვინოს ღმერთმა მაგისთანა პატივისცემა“ და სხვანი. დაათავებს თუ არა ამისთანა და სხვა სიტყვებს, ტოვებს კუბოს და მიდის ჭირისუფალთან და ეუბნება: «ასე შემოგითვალა, მე კარგად ვარო, გაფრთხილდითო, ნუ გეშინიათო» და სხვ.

დასრულდა ეს უბედური ცერემონია ტირილისა. ჭირისუფალნი ან პურის საჭმელად დასხდებიან ან ისვენებენ, სამღვდელო და საეკკლესიო პირთ გამოუცხადებენ აღასრულონ თავიანთი წესი გარდაცვალებულზე. მომტირლებმა სადილი მიირთვეს და უკვე შინ წავიდნენ, დანარჩენ პირთა უმეტესობა ზოგი პურის ჭამას შეექცევა. მხოლოდ რამდენიმე მათგანი ასწრება წესის აგებას, მაგრამ ხშირად, ხმაურობისაგან არა გესმისთ რა წაკითხულისა. ეკკლესიაზე მისვენდება გარდაცვალებული საღამოითა და რამდენიმე პირის თანდასწრებით მიაბარებენ მიწას. ამ ნაირად მოკლებულია ჩვენში ყოველი გარდაცვალებული ქრისტიანულად დამარხვის წეს. ძლიერ იშვიათია სოფლებში დამარხვა გარდაცვალებულისა იმ ქრისტიანული წესის აღსრულებით, როგორიც ეღირსა გარდაცვალებულ მონას ღვთისას როსტომას.

როცა ჩვენ სიტყვა ჩამოგვიგდია ზოგიერთებთან ჩვენებური საძრახისი და მასთან ოჯახის დამღუპველი და არა ქრისტიანული დამარხვის ჩვეულებათა მოსპობის შესახებ, ბევრს უთქვამს: «ყოვლად შეუძლებელია ტირილის მოშლა. ასე ყოფილა დღემდის და ეხლა მე როგორ მოვშლი ამას. უტირლად გარდაცვალებულს როგორ დავმარხავ? რას ემგვანება უტირლად დამარხვა? ყოველი კაცი ხომ იმას იტყვის, რომ გარდაცვალებული სძულდათ, არაფერი გაიმეტა ტირილისთვისო“ და სხ.

შემცდარია ამისთანა მსჯელობა ზოგიერთ პირთა. ტირილი კაცის ბუნების ისეთი მოვლენაა, რომ იგი არასოდეს არ მოიშლება, ვინემ კაცობრიობა იქნება ქვეყანაზე. ჩვენ სრულებით წინააღმდეგი არა ვართ, რომ ჭირისუფალთა და მონათესავეთა იტირონ გარდაცვალებული. აი რას ეუბნება გარდაცვალებული მომტირალთა: „სტიროდეთ ჩემთვის, ძმანო და მეგობარნო, რამეთუ გუშინ თქვენთანა მზრახველ ვიყავ და დღეს მოიწია ჩემზედა სიკვდილი“ და სხვ.

„ვგოდებ და ვიგლოვ მე, რაჟამს გულისხმა-ვყო სიკვდილი და ვიხილო საფლავსა შინა მდებარე შვენიერება ჩვენი ხატად ღვთისა დაბადებული, შეურაცხად, უპატიოდ და უსახუროდ. ეჰა საკვირველი, რაი არს ესე ჩვენი ქვეყანისა ნაშობნო საიდუმლო? ვითა მივეცენით ხრწნილებასა, ვითარ შევეყვენით სიკვდილსა, ჭეშმარიტად, განჩინებითა ღვთისათა, ვითარცა წერილ არს, რომელი მიანიჭებს მიცვალებულთა განსვენებასა“.

„ვითარი არს ცხოვრება ჩვენი, ძმანო, ყვავილი და კვამლი და ცვარი განთიადისა. მოვედით უკვე ვიხილოთ ცხადათ საფლავსა შინა, სადა არს სიკეთე ხორციელი? სადა არს სიჭაბუკე? ანუ სადა არიან თვალნი და ხედვა ხორციელი? ყოველივე დასჭკნა, ვითარცა თივა და ყოველივე განიჰლია. მოვედით შეუვრდეთ ქრისტესა ცრემლით, რათა განუსვენოს მიცვალებულსა ამას“. განა შეუძლია კაცმა ამ სიტყვებზე უკეთესი რამე სთქვას და გაიგონოს

ტირილი და გლოვა მიუცილებელია ყველა გარდაცვალებულის ნათესავთა და ნაცნობთა, მაგრამ ტირილი და გლოვა წესიერი, არა თვალთ-მაქცური, და არა ზარით. ვისაც ეტირება, ვისი გულიც მწუხარეა მისი საყვარელი პირის გარდაცვალებით, მას ზარი არ სჭირდება და ზოგი ხშირად მოზარეებს აჩუმებს და ხმას აწყვეტინებს. ხშირად ვხედავთ, რომ ამისთანა მწუხარე კაცის ტირილზე და მოთქმაზე მთელი საზოგადოება ქვითინებს ცრემლით, ვერც ერთს ტირილი ვერ შეუკავებია. აი დღესაც არ ყოფილა სამარცხვინო ზარი, მაგრამ ტირილით სტიროდენ მონათესავენი, მოგვარენი და მეგობარნი განსვენებულისა. ხშირად ვნუგეშობ ხოლმე ზოგიერთების მოთქმით, როცა ისინი თავიანთ ახალ გარდაცვალებულთა დაატირებენ გარდაცვალებულს კუბოზე. სწორედ ნუგეშობ კაცი მომტირალის სიტყვებით, როცა ის გარდაცვალებულს აბარებს სიტყვებს თავიანთ გარდაცვალებულთან სათქმელად. ამ სიტყვებში ცხადად სჩანს მომტირალის ჭეშმარიტი სარწმუნოება და სასოება მკვდრეთით აღდგომაზე.

ღმერთსა ვსთხოვ და ვისურვებ, რომ მშვენიერი მაგალითი და საქციელი განსვენებულის შვილთა და ნათესავთა, რომელიც მათ უჩვენეს თავის სოფლის მცხოვრებთა გარდაცვალებულის ქრისტიანული წესით და ეკკლესიური ტიპიკონით დამარხვისა იქმნას მისაბაძველი მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის, რომ ამიერიდგან გარდაცვალებულნი არ იქმნენ მოკლებულნი ქრისტიანულ დამარხვას, ხოლო ჭირისუფალნი არ იქმნენ დამძიმებულნი უსარგებლო და ფრიად საზარალო ხარჯისაგან.

## ქუთაისის საბჭოს სხდომა 20 ნოემბერს 1900 წელსა.

სხდომა გაიხსნა საღამოის ცხრა საათის ნახევარზე. წინა კრებაზე შედგენილი ჟურნალების წაკითხვის შემდეგ კრება შეუდგა მომავალი წლის ქალაქის ხარჯთა აღრიცხვის განხილვას. სხვათა შორის აღიძრა კითხვა იმის შესახებ, თუ რამდენი ფული გადიდვას გზების; ბოგირების და მოედნების გასაკეთებლადო. რამდენიმე ხმოსანმა მოითხოვა, რომ ხსენებული, საჭიროების ხარჯს კიდევ მიმატებოდა, ესრეთ წოდებული, ფრანგების მოედნის გასაკეთებლად ოთხასი მანეთი. ამ კითხვამ ბევრი ბაასი გამოიწვია.

ხმოსანი დ. ხელთუფლიშვილი. ფრანგების ქუჩა ისეთ მივარდნილ ადგილას არის, რომ იმისი ქვა-ფენილით დაგება იმდენ საჭიროებას არ შეადგენს, რამდენსაც სხვა ადგილები და თუ ფული არის, სჯობია სხვა უფრო საჭირო რამეზე მოვიხმაროთ. ბევრი ადგილებია ქალაქში, რომელნიც მიუცილებლად საჭიროებენ გაკეთებას და ჩემის აზრით ჩვენ ამ ადგილებს უნდა მივაქციოთ ყურადღება. ზოგიერთ ადგილას, როგორც ამბობენ, უგზობისა გამო მოსწავლეები ვეღარ მიდიან სასწავლებელშიო და აი ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება და არა მიგდებულ ადგილას მოედნების ქვა-ფენილით გაკეთებას.

დეკ. დ. ღამბაშიძე. ჩვენ წარსულს წელში საბჭოს ვსთხოვეთ ტროტუარის გაყვანა გოგმეისტრის სახლიდან ეპარქიალური ქალების სასწავლებლამდის, რომ მოსწავლეთა შეძლებოდათ დაუბრკოლებლად სიარული სასწავლებელში. ჩვენ თხოვნაში ცხადათ უმტკიცებდით საბჭოს, რომ ამ სასწავლებლის წყალობით ქალაქს დიდი შემოსავალი აქვს. სხვა ადგილას ქალაქი ამისთანა სასწავლებელს მუქთად აძლევს ადგილს და შენობასაც კი, ან არა და ფულით ერთ დროებით შემწეობას აძლევს. ქ. ქუთაისს ერთი გროში არ მიუცია ამ სასწავლებლისათვის. არა თუ ფულს, გზასაც არ აკეთებს ქალაქი, რომ მოსწავლეებმა სასწავლებელში იარონ დაუბრკოლებლად. ორი დღე ხსენებულ სასწავლებელში სწავლა შეწყვეტილი იყო, რადგან სასწავლებლის წინ ისეთი ტბა იდგა, რომ ნავებით თუ შეიძლებოდა ბავშვების გადაყვანა, თორემ სხვა ნაირად არ მოხერხდებოდა. წვიმების დროს ნიაღვარი მოდის მაღლობი ადგილებიდან, გზას არხები არა აქვს აქეთ იქით, რომ წყალი თავისუფლად წავიდეს, გზაში დგება ტბა და სხვა გზა, სასწავ. შესასვლელი, ქუჩის მეტი არ არის. რადგან ქალაქი სხვა არავითარ შემწეობას არ აძლევს სასწავლებელს, გზა მაინც გაუკეთოს, რომლის გაკეთება მისი ვალია, რადგან ეს სასწავლებელი ქალაქის ფარგალშია. ამას ითხოვს ახალი მღვდელ-მთავარიც და ნუ თუ სირცხვილი არ არის ამისთანა თხოვნის აუსრულებლობა ქალაქის მხრით? წარსულ წელში, როგორც მახსოვს, საბჭომ კიდეც გადაწ

წყვიტა ტროტუარის დაგება, მაგრამ დღემდის იქ არავითარი ტროტუარი არ არის გაკეთებული.

საბჭომ ერთხმად გადასწყვიტა ეპარქიალური სასწავლებლამდისინ რიგიანი ტროტუარის გასაკეთებლად დახარჯოს ოთხასი მანეთი და წყალი, რომელიც დგება სასწავლებლის წინ, გაყვანილ იქმნას არხებით გზის ქვედა გვერდზე.

ქალაქის თავმა მისცა წინადადება კრებას, რომ სამასი მანეთი გადადებულიყო საკვირაო სკოლისათვის.

ხმოსანი მ. დარახველიძე. ვინაიდგან ჩვენში მრავალ გვარი სასწავლებლებია, ვისაც სურს სწავლება ბავშვისა, იქ შეუძლია შეიყვანოს. ამიტომ საკვირაო სკოლა სრულებით საჭირო არ არის და არც არაფერი ხარჯია მისთვის საჭირო.

დეკ. დ. ღამბაშიძე. დიდად სამწუხაროდ მიმაჩნია, რომ ამისთანა სიტყვები მესმის საკვირაო სკოლის მნიშვნელობის შესახებ და ისიც ნასწავლი კაცისაგან. მე არ მჯერა, რომ სოფელში არ აწუხებდეს ხალხს ის სამწუხარო ხმები, რომ ჩვენი სკოლები ვერ აკმაყოფილებენ ხალხის სურვილს სასწავლებელში ბავშვების მიცემისას. გაზეთებში ხშირად სწერენ, რომ სკოლაში შესვლის მსურველნი ამდენი იყვნენ და მიიღეს მათგან მეხუთედი და მეათედიო. ახლა რამდენია, რომელნიც წლოვანობამ დააბრკოლა? რამდენია, რომელსაც სრულებით შეძლება არა აქვს სწავლის ქირა გარდაიხადოს? რამდენია 15—20 და მეტის წლისა, რომელთაც წერა-კითხვა, ენა და ანგარიშის შესწავლა სურსთ! ვის შეუძლია მათი დაკმაყოფილება, თუ არა საკვირაო სკოლას? ნუ თუ ერთხელ მაინც არ შესულა საკვირაო სკოლაში ბ. დარახველიძე, სადაც ის ბავშვებთან ერთად ნახავდა მოზრდილ ვაჟებს, რომელნიც კვირა დღეს ისე მოწადინებით სწავლობენ აღრჩეულ საგნებს. მე არა მჯერა, რომ ვინმემ ამ ხარჯის წინააღმდეგ თქვას რამე გარდა ბ. დარახველიძისა.

მართლაც, ხმოსნებმა ბ.ბ. ხელთუფლიშვილმა, ჭილაძემ, კირილე ლორთქიფანიძემ და სხვებმა ერთხმად უარი ჰყვეს დარახველიძის აზრი და საბჭომ გარდასწყვიტა სამასი მანეთი ქუთაისის საკვირაო სკოლისთვის.

ხარჯთა აღრიცხვაში ნაჩვენები იყო ორასი მანეთი ქუთაისის კათედრის საკრებულო ტაძრისათვის მგალობელთა გუნდის სასარგებლოდ. ამ კითხვამაც დიდი ბაასი გამოიწვია კრებაზე.

ხმოსანი მ. დარახველიძე. მე მაკვირვებს ეს ხარჯი. რა ჩვენი დახმარება ეჭირვება სობოროს, როდესაც დიდი შემოსავალი აქვს მას. ამ სობოროს სტაროსტამ მითხრა, რომ წელიწადში წმიდა შემოსავალი ორი ათას მანეთამდე ექნებაო და ქალაქს სად აქვს იმდენი შეძლება, რომ კიდევ სობოროს დაუნიშნოს შემწეობა?

ბ. დარახველიძის აზრს მიემხრო რამდენიმე ხმოსანი. ზოგიერთმა ხმოსნებმა სთქვეს, რომ ვითომ ქართული გალობისათვის უნდათ შემწეობაო, მაგრამ ჩვენ არასოდეს ქართული გალობა არ გვესმის ამ ტაძარშიო. ზოგმა სულ გასაკვირალად მიიჩნია ესეთი ხარჯი.

დეკ. დ. ღამბაშიძე. ზოგიერთებს კიდეც უკვირსთ, რომ ქალაქის ხარჯთა აღრიცხვაში შეტანილია ორასი მანეთი კათედრის ტაძრის სასარგებლოდ. ეს ხარჯი ზოგიერთებს უკანონო მოთხოვნილებად მიაჩნიათ. მაგრამ მათ, რომელნიც ასე ფიქრობენ, ალბად არ იციან, თუ რა ხდება სხვა ქალაქებში. აბა მოიკითხეთ, ბატონებო, თუ რამდენს ხარჯავს სხვა ქალაქები კათედრის ტაძრის მგალობელთა გუნდის სასარგებლოდ და თქვენ დარწმუნდებით, რომ სხვაგან არა თუ ორასი მანეთი, გაცილებით ბევრი ეძლევა საკათედრო ტაძარს. რაიცა შეეხება ხმოსნის ბ. დარახველიძის განცხადებას, რომ ქუთაისის საკრებულო ტაძარს დიდი შემოსავალი აქვსო, ეს სიმართლეს მოკლებულია. ამ კათედრის სობოროს არა ჰყავს საკუთარი მრევლი და არც მამულები აქვს და საიდან ექნება მას დიდი შემოსავალი? მის უმთავრეს შემოსავლის წყაროს შეადგენს სანთლის შემოსავალი, იმ სანთლის შემოსავალი, რომელსაც მლოცველები ყიდულობენ წირვაზე დასწრების დროს. თუ გინდათ შეიტყოთ ამ შემოსავლის რაოდენობა, ერთი ჰკითხეთ თქვენ თავს, თუ რამდენ სანთელს ყიდულობთ თქვენ თვითონ, როცა ამ ტაძარში შებრძანდებით ხოლმე და იმის მიხედვით შეგიძლიათ შეადგინოთ ამ სობოროს შემოსავალზე მართალი აზრი. 1886 წელს უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი მობრძანდა ქუთაისში და როცა ნახა ეს ტაძარი, ფრიად გაუკვირდა მისი სიღარიბე. ვისაც სხვა კათედრის ტაძრები უნახავს,

რასაკვირველია, იმას გაუკვირდება ამ ტაძრის სიღარიბე და ვისაც სხვა ამისთანა ტაძრები არ უნახავს, იმას, რასაკვირველია, უკვეთესის წარმოდგენა არ შეუძლია. ზოგიერთებმა გაკვირვებით ბრძანეს: რა ჩვენი საქმეა ეკკლესიების ხარჯით. ეკკლესია კათედრისა ქალაქის არის და ზრუნვაც, რასაკვირველია, მასზე ქალაქს ეკუთვნის. იმედია, რომ ამ მცირე შეწევნაზე უარს არ ეტყვით.

მოხდა კენჭის ყრა. ამ ხარჯის მიღების მსურველი აღმოჩნდა 15. და წინააღმდეგნი 17. ხმოსანმა ბ. კირილე ლორთქიფანიძემ განაცხადა: „როცა საბჭო ამ გვარ კითხვებზე კენჭის ყრას მოახდენს ხოლმე, მაშინ სხვა აღსარების ქრისტიანების ხმოსნებს უფლება არა აქვსთ მონაწილეობის მიღებისათ. აქ ამისთანა ხმოსანი სამი ბრძანდება". ქალაქის მოურავმა ეს განცხადება კანონიერად არ ჩარიცხა.

დამსწრე.

## «მწყემსის» კორრესპონდენცია

ტბეთის წმ. გიორგის ეკკლესია. მდინარე ჩხერიმელისა და ძირულის ხეობებს შორის გაწოლილი მთის ჩრდილოეთის დაღმართზე, სამ ვერსზე სოფ. გეთსამანიიდამ, მაღლობს საკმაოდ ვაკე და მოხდენილ ადგილას, არ ვიცით ვისგან და როდის, აშენებულია წმ. გიორგის სახელზე მორჩილი ქვითკირის ეკკლესია, რომელიც დღეს მიწერილია გეთსამანიის შტატის ღვთის-მშობლის ეკკლესიაზე. ამ ეკკლესიას დარქმევია ტბეთის ეკკლესია ალბათ მისს მახლობლათ ტბების სიმრავლისა გამო, რომლებიც დღეს მთლად დამშრალი არიან. ძირულის ხეობის მცხოვრებლებს, როგორც მოხუცებულები მოგვითხრობენ, ძველად ხშირად თავს ესხმოდენ ხოლმე ახალციხის თათრები და ბევრი კიდევაც მიჰყავდათ ტყვეთ. წარსული საუკუნის დამლევს ეს მოუსვენარი და დაუზოგავი მტრები მართლ-მადიდებლობისა, დასხმიან თავზე გეთსამანიის ეკკლესიის დეკანოზს მ. გიორგი ლომიძეს და ცოლშვილიანა წაუყვანიათ ტყვეთ, საიდამაც თავისთვის გამოპარვით უშველია. შვილი ამა დეკანოზისა, დეკანოზი დავითი ამ ნახევარი საუკუნის წინეთ ყოფილა ბლაღოჩინათ ძირულის ხეობაში მდებარე სოფლების ეკკლესიებისა, რომლებიც იმ დროს ქართლის ეპარქიაზე იყვნენ მიწერილი. თათრები ბარბაროსული შემოსევის დროს ხშირად სძარცვავდენ ხოლმე ტბეთის ეკკლესიასაც, რომელშიც ბევრჯელ ცეცხლით დაუწვავსთ მთელი შინაგანი მოწყობილება, მაგრამ კედლები კი დღემდის უვნებლად შენახულან. წმ. გიორგის ხატიც შექმნილა მსხვერპლი ცეცხლისა, მაგრამ ქრისტეს მხედარმა წმ. გიორგიმ, ტბეთის ეკკლესიის ერთი ასეთი გაძარცვა-ოხრების დროს სასწაულებრივ თავს ზარი დასცა თათრებს, რომლებმაც ფეხის გადადგმაც ველარ შესძლეს ეკკლესიის გალავნიდამ, სანამ მათ, როგორც შენანებულ სიწმიდის შემბღალავთა, თავისი ხმლები არ მიართვეს შესაწირავად წმ. გიორგის. ამ ხმლების ტიტველა პირები დღესაც ბლომათ არის ტბეთის ეკკლესიაში. ტბეთის ეკკლესიას დიდ პატივს ცემენ არა თუ მარტო ძირულის ხეობაში, ქართლის დასავლეთის ნაწილშიაც, სადაც მრავალი გადასახლებულები არიან ამ ხეობიდამ. ტბეთის წმ. გიორგის პატივის საცემლად დიდი ხნიდამ დადებულია დღესასწაულათ ტბეთობა, რომელიც ყოველთვის ოკდომბრის თვის უკანასკნელ ორშაბათს დაემთხვევა ხოლმე და როდესაც ამ ეკკლესიაში უსათუოდ ადგილობრივი მღვდელი სწირავს ხოლმე. ამ დღეს იქ მრავალი მლოცველი მიდის და ყველას მიაქვს შეძლებისამებრ შეწირულება, რაიცა საერთოდ არ შეადგენს ას მანეთზე ნაკლებს. ამ ეკკლესიას ჯერ არ ჰქონია არავითარი ხარჯი. ყველა მისი შემოსავალი ხმარდება შტატის ეკკლესიას და თითონ ტბეთის ეკკლესიაში კი მარტო ნახევრობით წაშლილი წმ. გიორგის პატარა ხატიასვენია. ეს ისეთი უმადურობა და უპატივისცემლობაა რამოდენიმე ნაწილად ისტორიული მნიშვნელობის მქონე ღვთის სახლისადმი, რომელიც ყველას უნებურათ თვალში ეჩრება. რას გავს, მართლა, ის გარემოება, რომ ზოგიერთი მლოცველები ალბათ კვირაობით სტოვებენ ოჯახს იმ იმედით, რომ მხურვალეთ ილოცვენ ტბეთის წმ. გიორგის ხატის წინაშე და აქ კი ხედვენ მარტო ტიტველა ეკკლესიის კედლებს და მათ გარშემო — ას წლოვან ვებერთელა ცაცხვასა და წიფლის ხეებს. მერე რამდენ გაკვირვებას იწვევენ

მლოცველნი მგზავრობის დროს! მართალია, განათლებული გონებისა და მორწმუნე გულის პატრონს ყველგან და თვალსაჩინო საგნების დაუხმარებლადაც შეუძლია ღვთის ვედრება, განსაკუთრებით ტბეთში, სადაც მომხიბლავი ბუნების გავლენით კაცი ისედაც რაღაც ღმერთთან დაახლოვებულად გრძნობს თავის თავს, მაგრამ უსწავლელი კაცისათვის თვალსაჩინოებას (НАГЛЯДНОСТЬ) სარწმუნოების საქმეშიაც უეჭველად დიდი მნიშვნელობა აქვს. უსწავლელი ხალხი უსათუოდ აღფრთოვანდება და გული სასოებით აღევსება, როდესაც თავისი თვალით ხედავს წმ. გიორგის ხატს, განსაკუთრებით თუ წმიდანი ცხენზე ზის და სასწაულებრივ გველეშაპსა კლავს. ასეთი ხატის წინაშე იგი განიმსჭვალება ზედმეტი სიყვარულით ღვთისა და მისთვის წამებულის წმ. გმირგისადმი. ერთი სიტყვით, უქონელობა ამ ეკლესიაში წმ. გიორგის კარგი ხატისა უეჭველად გულს გაუგრილებს ხალხს ამ სიძველეთა ნაშთისადმი და ბევრ სარგებლობას მოაკლებს შტატის ეკლესიას. ამიტომ ურიგო არ იქმნება, როგორც ეს გადაუწყვეტია ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდს, მოპოებულ იქმნეს ტბეთის ეკლესიისათვის სრული ტანის წმ. გიორგის ხატი 30—40 მან. ღირებული. ამ მცირე ხარჯით სამი საქმე გაკეთდება: ერთი—შესრულებულ იქმნება მწყემსის მოვალეობა ამ ეკლესიისადმი, მეორე—დაკმაყოფილებულ იქმნება სარწმუნოებრივი გრძნობა მლოცველებისა და მესამედ—ამ ეკლესიის წყალობით მუდამ ნივთიერი საშუალება ექმნება შტატის ეკლესიას *).

მღ. სიმონ ჭუმბურიძე

*) ვბეჭდავთ რა ამ კორრესპონდენციას, ძლიერ სამწუხაროდ მიგვაჩნია, რომ დღემდის ამისთანა ადგილებზე არ მოიპოება შესაფერისი პატარა ეკლესიები მაინც. აგიღოთ, მაგალითებრ, კახთრის ეკლესია ფარცხნალის მთაში. ამ ეკლესიას დიდი შემოსავალი აქვს. ამ ეკლესიის შემოსავლით აშენდა თითქმის შტატის ეკლესია, მაგრამ დღემდის კიდევ არ არის რიგიანი ეკლესია ამ მთაში და შესაბამი ხატი წმიდა გიორგისა... რედ.

## სატახტო ქალაქის გაზეთებიდან.

ისე ცუდად მიდის ამ ბოლო დროს ინგლისის საქმეები სამხრეთ-აფრიკაში, რომ ომის წინააღმდეგებს გული შიეცათ ისევ. მათ გააახლეს თავიანთი პროპაგანდა, რომელიც უნაყოფოდ არა რჩება. გუშინ მათ გამართეს ლივერპულში დიდი კრება, რომელზედაც დაესწრნენ გამოჩენილი წევრები ოპოზიციისა. დღეს ლიბერალური ორგანოები ურჩევენ მთავრობას გაათაოს ომი და მოურიგდეს ბურებს ამ ნაირად, რომ ისინი დაემორჩილნენ ინგლისის მფარველობას (სიუსერინიტეტს) და მათ მიეცეთ სრული თვით-მმართველობა.

საფინანსო ორგანომ „აღძრა ლაპარაკი შესახებ იმისა, რომ ინგლისის მთავრობამ მოლაპარაკება დაიწყოს დევეტსა და ბოტასთან და რამე ნაირად მოურიგდეს მათ.

—

ბურებთან ომი ინგლისელებს უკვე ერთ მილიარდ მანეთამდე უზით; ამას გარდა მათ დაჰკარგეს 75 ათას კაცამდე ჯარის-კაცი ომში მოკლული, დაჭრილი და სატკივრებისაგან დახოცილნი და დასნეულებული. ბურებს, როგორც ირწმუნებიან, თავის დღეში არ ჰყოლიათ 50 ათას კაცზე მეტი ჯარი; გამოდის, რომ თითო ბურის ჯარის კაცი ინგლისს 20,000 მანეთი დაუჯდა.

მაგრამ ჯერ ომის გათავებამდე შორს არის; ხარჯი უფრო იზრდება, ჯარის-კაცები აკლდება. ბოლოს და ბოლოს ინგლისელებმა იქნება ინანონ კიდეც, რომ, ომის მაგივრად, მათ არ მისცეს ყოველ ბურს კარგა მოზრდილი თანხა და სამუდამო ჯამაგირით არ შეისყიდეს მისი დამოუკიდებლობა.

ნამდვილად უფრო იაფად დაუჯდებოდა; მხოლოდ უბედურება იმაშია, რომ ბურებს დამოუკიდებლობა და თავისუფლება ზოგიერთებივით გასაყიდ საქონლად არ მიაჩნიათ.

—

გამოაცხადეს ოფიციალური ცნობები შესახებ მოსახლეობის რიცხვისა საფრანგეთში 1899 წ. ამ ცნობებიდან ჩანს, რომ ფრანგების რიცხვი ძალიან მცირედ მატულობს.

უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში საფრანგეთში ყოველ წელს დაბადებულა—867,372, მომ-

კვდარა—829,232, ესე იგი წელიწადში ქვეყანას ემატება სულ მცირე რიცხვი—28,140 სული. დაწვრილებითი გამოკვლევა სტატისტიკური ციფირებისა გვიჩვენებს, რომ საფრანგეთში ყოველ წლივ მიცვალებულთა რიცხვი შედარებით მცირეა, ჯვარდაწერილთა რიცხვი საკმაოდ დიდია, უშვილო ოჯახები საზოგადოდ ცოტაა და მცირე ზრდა მოსახლეობის რიცხვისა უმეტესად აიხსნება იმისთანა სახლობების სიმცირით, რომლებსაც სამი და მეტი ბავშვი ჰყვანდეთ.

ფრანგებს ამ საკითხში ყველაზე მეტად აღონებთ შედარება გერმანიასთან, უკანასკნელს 1850 წ. ჰყავდა იმდენივე მოსახლეობა, რაც საფრანგეთს:—35 მილიონი, ეხლა კი მას ჰყავს 55 მილიონი სული, როდესაც საფრანგეთს მხოლოდ 38 მილ. ჰყავს. დაბადებულთა რიცხვი ამავე წელს გერმანიაში ყოფილა 1,965,731, ესე იგი $2^1/_3$ მეტი საფრანგეთში დაბადებულთა რიცხვზედ, საფრანგეთის მამულიშვილნი ამის გამო დიდის შიშით მოელიან, რომ 7 წლის შემდეგ, გერმანიას ერთი-ორად მეტი რიცხვი ეყოლება ჯარში წასაყვან ყმაწვილ-კაცებისა; სანამ საფრანგეთს და ამის გამო ერთი-ორად ძლიერი იქნება მასზედ.

ეს ისეთი სატკივარია, რომლის წამალი ჯერ არავის მოუგონია.

---

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და ვეთილშობილებაზე.

—

## სიტყვა,

თქმული ორს ოქტომბერს მოწამეთის მონასტერში.

სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სულისათა.

მეტად ლამაზი და მოხდენილია ეს ჩვენი ქვეყანა, საოცნებოა მისი საზოგადო მოხაზულობა, მეტის-მეტი სიტურფით და მშვენიერებითაა იგი შემკულ-შეზავებული, მორთულ-მოქარგული! ეს მოხდენილება, ეს წმინდა შვებით, უანგარო სიამოვნებით აღმავსო მოხაზულობა ამ კურთხეული ქვეყნისა არის, უნდა ვიფიქროთ, უმთავრესი მიზეზი იმ გარემოებისა, რომ იგი მიმზიდველი და გულითადი საყვარელია მისს მკერდზედ და დედობრივ კალთაზედ დაბადებულ-აღზრდილთათვის. ან კი რა წარმოსადგენია, რომ ადამიანს არ უყვარდეს და არ ენატრებოდეს სამოთხის მსგავსება, ედემის სახე!

გარნა რით იყო შესანიშნი და კაცის გულის მიმზიდველი ედემი? ნუ თუ მხოლოდ გარეგანი მოხდენილება, მარტო საამური შეხედულება და საოცნებო განწყობილება შეადგენდნენ ედემის უმაღლეს მშვენებას, უპირველეს ღირსებას? არა! ედემი ძვირფასი და სანატრელი იყო პირველი კაცისათვის იმითი, რომ იქ ეცხადებოდა მას ცისა და ქვეყნის გამჩენ-დამბადებელი ღმერთი და პირის-პირ, გულშემატკივარი მამის მსგავსად, ასწავლიდა და სწვრთნიდა მას სიკეთეში. აი უმაღლესი მშვენიერება სამოთხისა, აი უმთავრესი ღირსება მისი! სწორეთ ესევე უნდა ითქვას შესახებ ჩვენი ქვეყნისა. გვიყვარს და ვაფასებთ ჩვენ სამშობლოს არა მხოლოდ სილამაზისა და გარეგანი მოხდენილებისათვის, არამედ უმთავრესად და მხოლოდ იმისთვის, რომ იგი, მსგავსად ედემისა, არის ხილული საყოფელი ღვთისა. თვითეული კუთხე მისი გაბრწყინვებულია ცის მსგავსი ტაძრებით, რომელთა შინაც განისვენებენ უხრწნელნი გვამნი წმინდათა მოწამეთა, ღირსთა მამათა და მოძღვართანი, რომელი კუთხე გნებავთ აიღოთ საქართველოსი, რომ არ გეყოლოთ ყოველგან თანამყოფად და თანამავლად ღმერთი, რომ არ იხილოთ ყოველგან საკვირველება მისი წმინდათა შორის, იმ წმინდათა შორის, რომლებთაც სისხლით და ოფლით მოურწყავთ საქართველო და, სულით წამდგარნი წინაშე უფლისა, დღევანდლამდე მხურვალედ ავედრებენ მას ამ მათ მიერ შეყვარებულ ქვეყანას და ჩვენ, მმოსავთა მათთა. დიდა დ გვანუგეშებენ თავიანთი უხრწნელად დაცული გვამებითა, ვინ მოიგონებს, მაგალითად, თავისუფლებით გალაღებულ ქიზიყს ისე, რომ უცბად არ წარმოუდგეს მას გონებაში დიადი სურათი ბოდბის ტაძრისა, სადაც განისვენებს გვამი საქართველოს განმანათლებელისა, კერპთაყვანისმცემლობის სიბნელიდამ გამომხსნელისა და ჩვენ შორის ქრისტეს ტკბილი მმონების დამამყარებელისა ღირსისა დედისა ჩვენისა ნინოსი? ვინ მოიგონებს „ოქრო ყა

ფურცელს“, მშვენებით სავსე კახეთს უიმისოდ, რომ ყველაზე უპირველესად არ წარმოიდგინოს გონებაში ტაძართა გოლიათი—ალავერდი, განბრწყინვებული იოსებ ალავერდელის გვამით და ქართველთა დედათა სიქადულის,—ქეთევან დედოფლის წ. ნაწილებით? რომელი ქართველი იქნება ისეთი, რომ ქართლი, ეს საქართველოს სიცოცხლის მაჩვენებელი მაჯა,—არ იყოს მისს წარმოდგენაში შეერთებულ-დაკავშირებული სვეტი-ცხოველთან, რომელიც აღვსილია ურიცხვთა წმინდანთა ნაწილებით და გაბრწყინდება წ. ნინოს ლოცვით აღმართული სასწაულთ-მოქმედი სვეტით? მოწამეთი?—ეს ხომ დიდება იმერეთისა და ისეთი საუნჯე, რომელიც სულიერით ტკბილი და ძვირფასია იმერელისთვის განურჩევლად წოდებისა, სქესისა და ჰასაკისა!

აი უმაღლესი შვენება ჩვენი ქვეყნისა, აი ღირსება, რომელსაც დიდად უნდა ვაფასებდეთ ყველანი. აი განსაკუთრებითი თვისება საქართველოსი, რომლის გამოც ყოველთვის ძვირფასად და საამოდ უნდა მიგვაჩნდეს იგი!

საბედნიეროდ ჩვენდა, ქართველი ერის უმეტეს ნაწილს სწორეთ ამ მაღალი და უბრყვილო შეხედულობის მხრივ უყვარს თავისი სამშობლო; მას ძვირფასად მიაჩნია და ეთაყვანება სამშობლოს იმდენად, რამდენადაც იგი მოაგონებს ღმერთსა და მისთა წმინდანებს. აგერ საქართველოს აღმოსავლეთის ნაწილი დიდიან პატარიანათ თავ მოყრილი იყო გუშინ სვეტი-ცხოველის კარს და, მსგავსად ადამისა სამოთხეში, გულ-დადებით სტკბებოდა ღვთის სიტყვისა და საღმრთო გალობის მოსმენით! აქა აქაც, თითქოს გატაცებული აღმოსავლეთის ძმების მაგალითით, შეგროვილა თითქმის მთლათ იმერეთი და თავისებური მხნე-მარჯვეობით ისმენს ღვთის სწავლა-მოძღვრებას, ავედრებს თავს დიდთა მოწამეთა დავითს და კონსტანტინეს!

ნეტარია ერი, რომელიც ამ გვარად შემოზღუდულია ყოველ მხრივ სიწმიდით, ბედნიერია იგი, თუ ცხოვლად გრძნობს ყველაფერ ამას, უკვდავი და სამარადისო იქნება მისი არსება, თუ არ გადუხვევს ამ სამეფო გზას!

დიდნო მოწამენო დავით და კონსტანტინე, აღახვენით გარემოს თვალნი თქვენნი, და იხილეთ შეკრებულნი შვილნი თქვენნი (ისაია 60, 4), და გამოუთხოვეთ მათ ღვთისა და მამისაგან შენდობა ცოდვათა, კურნება სენთა და უძლურებათა, მშვიდობა და უშფოთველობა და ყოველთა საქმეთა ზედა მათთა კურთხევა! ამინ.

ეპისკოპოზი ლეონიდი

# ს ი ტ ყ ვ ა,

თქმული 19 ოქტომბერს 1900 წელსა ს. მეჯრუხევში კონსტანტინე გიორგის ძის გამრეკელის მიერ, ერმის იპოლიტე ზაქარიას ძის გამრეკელის დასაფლავების დროს.

შემდეგ ღვთის სიყვარულისა, კაცობრიობის ზნეობაში უმაღლესი და უწმიდესი ყოველ ღირსებაზე არის მშობლების შვილთან ურთიერთი სიყვარული, დასაბამიდამვე ადამიანის ბუნებაში შთანერგული მიუწდომელ განგებისაგან.

რაც უფრო მტკიცეა ეს სიყვარული, მით, უფრო მძიმეა ერთმანერთის დაშორება. ვინ არ იცის, რანაირად გასტირის ჩჩვილი ყრმა დედას თვალიდამ მოშორებისათანავე; ან თვით მშობლები რა რიგ სწუხრან, როდესაც ერთად-ერთ შვილს სასწავლებლად გზავნიან, მაშინ როდესაც იმ აზრით ხელმძღვანელობენ, რომ ის შეიქმნება კაცი—სათნო ღვთისა, სასარგებლო საზოგადოებისა და თავ-დადებული მოღვაწე დევნულთა სიმართლისათვის მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა, და ამით დაატკბობს მათ სიცოცხლეს სიბერის დროს, აცხოვრებს და ანუგეშებს მათ.

აი ამ იმედების და ნეტარების დროს ზოგიერთ მშობლებს უსხლტებათ ხელიდამის ერთად-ერთი შვილი გარდაცვალებით, და მით ენთქმებათ ღრმა უფსკრულში ყოველი მათი ბრწყინვალე მოლოდინი,

რის გამო უნებურად ეძლევიან თავის დავიწყებას და მის შედეგებს: თავგანწირულებას, უნუგეშობას და უიმედობას.

ამ მდგომარეობაში არიან დღეს ჩვენი პატარა მიცვალებულის, იპოლიტეს დედ-მამა, თუმცა მათ სწამთ, რომ ეა მათი შვილი გადავიდა დაუსრულებელ, სანატრელ ცხოვრებაში იმ ანგელოზებთან, რომელთან ერთად ამიერიდგან მარადის იხილავს პირსა მამისა ჩვენისა ზეცათასა, იხარებს და განცხრების იქ, „სადაც არ არის ჭირი, არცა მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი“.

ამას თვალდათვალ გვიმტკიცებს ის ჩვენთვის მომკვდარი და აღდგომილი ღმერთი—მაცხოვარი ჩვენი მით, რომ თავის ქვეყნიერად ცხოვრების დროს ეტყოდა ყმაწვილებზე თავის მოციქულებს: „უტევეთ მაგათ, მოვიდნენ ჩემთან, რამეთუ მაგათია სასუფეველი ცათაო“; და კვალად იტყოდა: «უკეთუ არ იქმნებით, ვითარცა ყრმანი უბიწონი და უმანკონი, ვერ შეხვალთ სასუფეველსა ცათასაო“, და მისთვის ისი ჟყვარდა და ეალერსებოდა, ლოცავდა და აკურთხევდა მათ.

მაშასადამე, მტკიცედ და შეურყევლად უნდა გვრწამდეს, რომ ჩვენი პატარა ჩვენ წინ მდებარე იპოლიტე ამიერიდგან დამკვიდრებულია იმ სანატრელ საუკუნო ცხოვრებაში, რომლის სიმშვენიერეს, ბრწყინვალებას, განცხრომას და დიდებას ვერავითარი აღტაცებული პოეტის ენა ვერ გამოთქვამს და ვერავითარი დაბრძენებული ფილოსოფოსის გონება ვერ მიუწვდება, როგორც გადმოგვცემენ თვალით მნახველნი წმინდანი მოციქულნი, წინასწარმეტყველნი და მოძღვარნი.

ხოლო ხორციელ აღდგომაზე მაცხოვარი ჩვენი გარდა იმისა, რომელიც გვიჩვენა ნათლად თავის დიდებულის მკვდრეთით აღდგომითა, გვიბრძანებს: ყოველი, რომელი მომცა მე მამამან, არა დავღუპო იგი, არამედ აღვადგინო იგი უკანასკნელსა მას დღესა. პავლე მოციქული დასძენს: „დაითესვის ხრწნილებით და აღდგების უხრწნელებით, დაეთესვის დამცირებით და აღდგების დიდებით, დაეთესვის უძლურებით და აღდგების ძლიერებით, დაეთესვის ხორცი მშვინვიერი და აღდგების ხორცი სულიერი“. ეს სულიერი ხორცის აღდგომა მიიყვანს მართალთა და უმანკოთა სამუდამო, განუწყვეტელ და დაუბოლოვებელ ცხოვრებისადმი, რადგანაც მათი არსება იყო თვით დაუსაბამო და დაუსრულებელ გამჩენთან წინა საუკუნოებში, მისგან განხორციელდა ქვეყნად დროებით და მასთანვე წარვალს სამუდამო, საუკუნო ცხოვრებისათვის სიწმინდით, ნეტარებით, სიხარულით და განცხრომით.

მოკლედ მოგაგონებთ რა ყოველივე ზემოთ ნაჩვენებს, მშობელნო ამა ნეტარის ყრმისანო, ამასთან ერთად შევთხოვ ზეციურ მამას და მეუფეს მოგცესთ მოთმინებით, დამშვიდებით, იმედით და მადლობით მორჩილება მისი მიუწდომელი ღვთაებრივი განგებულებისა. ამინ.

## საეჭვო კითხვების განმარტება.

კითხ. ბლაღოჩინი ითხოვს, რომ ამა 1900 წლის ცნობა წარუდგინოთ ათს დეკემბერს, თუ რამდენი დაიბადა ჩვენს სამრევლოში, რამდენი დაქორწინდა და რამდენი გარდაიცვალა. კანონიერია ეს მოთხოვნილება თუ არაჰ ამისთანა ცნობებს თხოულობენ ჩვენგან პოლიციის ბოქაულებიც.

მიგ. თუ მთელი წლის განმავლობაში რაც დაბადება, ქორწინება და გარდაცვალება მოხდა, იმის ცნობას ითხოვენ 10 დეკემბერს, არ შეიძლება ვინმემ ამისთანა ცნობა წარადგინოს, რადგან 10 დეკემბრის შემდეგ კიდევ მოხდება რო-

გორც დაბადება, ისე გარდაცვალება. ამითანა ცნობის მოთხოვა მოგვაგონებს ჩვენ ერთი ეპარქიის კანცელარიის გამოუცდელ მწიგნის საქციელს, რომელიც სავადო ცნობების წარდგენას ითხოვდა ბლაღოჩინებისაგან სეკდემბრის 15 რიცხვისათვის. ყველა ამ გვარი ცნობები შეიძლება მოითხოვონ და კიდეც წარდგინდეს იანვრის თვის პირველ რიცხვებში და არა 10 დეკემბერს.

კითხ. მამასახლისს აქვს თუ არა უფლება მოითხოვოს მრევლის მღვდლისაგან მეტრიკული გამოწერილობა, რომელიმე დაწესებულებაში წარსადგენად და, თუ აქვს უფლება, კანონიერი იქნება თუ არა, გერბის მარკები მოთხოვოს მღვდელმა?

მიგ. მეტრიკის გამოწერილობანი შეუძლია მოითხოვოს და მრევლის მღვდელიც ვალდებულია მისცეს. მამასახლისი, როგორც თანამდებობის კაცი; უმარკოდ უნდა მიიღებდეს მეტრიკულ გამოწერილობათა, მაგრამ გამოწერილობაზე მღვდელმა უნდა დააწეროს, რომ გამოწერილობა ეძლევა თანამდებობის პირს, თანახმად მისი მოთხოვნილებისა. იხილე უქაზი აშაზე 12 ივლისიდან 1878 წ. და 5 ქუხლი წესდებულებისა გერბის ფულის გადახდევინების შესახებ.

კითხ. ორი მედავითნე არის ეკკლესიაზე; ერთი მათგანი სამრევლო სკოლაშია მასწავლებლად და ამისათვის კვირა-უქმე დღეს გარდა მღვდელ-მოქმედების აღსრულებაზე არ ესწრება. ერგება თუ არა მას წილი შემოსავლისაგან, რადგან არ ესწრება მღვდელ-მოქმედებათა აღსრულებაზე?

მიგ. თუ მედავითნე უჯამაგიროდ მსახურებს სამრევლო სკოლაში, მას წილი ყველა შემოსავლისაგან ერგება, დაესწრება თუ არა მაინც, მაგრამ იმ პირობით, რომ იმ დროს, როცა მღვდელ-მოქმედებას არ ესწრება, მასწავლებლობას უნდა ასრულებდეს სკოლაში.

კითხ. მღვდელს ერთი მედავითნის მეტი არავინ ჰყავს მოსამსახურე. შეუძლია თუ არა მას, რომ მოსწავლე ქალები იმსახუროს საკურთხეველში?

მიგ. მოსწავლე ქალების მსახურება საკურთხეველში არ შეიძლება.

კითხ. მიეცემა თუ არა ანნას მესამე ხარისხის ორდენი სამრევ. სკ. სახლის თავის ხარჯით ამშენებელს და მასთან რამდენიმე შემწეობის აღმომჩენს?

მიგ. კანონით მესამე ხარისხის ორდენი მიეცემა ვინც ააშენებს თავის ხარჯით რიგიან შენობას სკოლისათვის და შვიდი წლის განმავლობაში შეინახავს სკოლას ისე, რომ ამ სკოლისათვის შემწეობის მიცემა არ დასჭირდება არც სამასწავლებლო რჩევას, არც მის განყოფილებას და არც ეკკლესიას.

კითხ. სასულიერო ოთხ-კლ. სასწ. მოწაფეს, თუ გინდ სემინარიისას, აქვს თუ არა უფლება, რომ ადგილობითი მღვდლის ნება-დართველად შევიდეს კლიროსზე და, რაც სურს, ის წაიკითხოს? თუ ვალდებულია, რომ კლიროსზე დასადგომათ, საკითხავად და საგალობლად ნება-რთვა აიღოს მღვდლისაგან?

მიგ. ადგილობითი მღვდლის ნება-დაურთველად არავის არა აქვს უფლება კლიროსზე დადგეს და იგალობოს ანუ იკითხოს რამე. სემინარიის და ოთხ-კლ. სასწ. მოწაფენი ვალდებულნი არიან კლიროსზე იდგნენ და წირვა-ლოცვაზე ეხმარებოდნენ მედავითნეთ, მაგრამ ეს გარემოება წინდაწინვე უნდა ეცოდინოს მღვდელმა. თუ შეგირდი მოძღვრის ნება-დაურთველად და წინააღმდეგად იქცევა კლიროსზე, ეს მოწმობაში უნდა ჩაუწეროს მას და სასწავლებლის მთავრობა მოექცევა მას კანონისამებრ.

კითხ. რიგია თუ არა მღვდელმა, როცა მოწმობას აძლევს სასძლოს, ერთი თუმანი გამოართვას მოწმობის? ნუ თუ კანონი აძლევს ნებას ამდენი ფული აიღოს მოწმობისათვის?

მიგ. ყოველ გვარი მოწმობისათვის ანუ გამოწერილობისათვის მღვდელს აძლევენ ათ შაურს და ზოგი თავისი ნებით მანეთსაც. მაგრამ როცა სასძლო სთხოვს გვირგვინის კურთხევის მოწმობას, მაშინ მღვდელს შეუძლია მთლად გვირგვინის საკურთხი გამოართვას, რადგან ჩვენში სასძლოს მღვდელი იღებს გვირგვინის საკურთხს და არა სასიძოსი, თუმცა სასიძო იხდის გვირგვინის საკურთხს სასძლოს მაგიერ. გვირგვინის საკურთხს ერთნაირად არ იღებენ მღვდლები, რადგან მრევლიც ერთნაირად არ იხდის მღვდლის ფრამას.

## რედაქციის პასუხი

**ბოდბისხევის მღ. ი. წ—ძეს.** თქვენი მადლობა ძლიერ ნაადრევად მიგვაჩნია. როცა შემოიტანოს ასი მანეთი, მაცნობეთ და დიდის სიამოვნებით დავბეჭდავთ. საჩხერის სასწავლებლის სულის ჩამდგმელია სამღვდელოება, რომელმაც თავისი საშუალებით ააგო სასწავლებელი და ხაზინის ფული, რომლიდანაც ეძლევათ ჯამაგირი მასწავლებლებს.

**ერთ სემინარიელთაგანს.** სემინარიიდან ბევრს რამეს იწუნებს კაცი, მაგრამ როცა ცხოვრებაში გამოდის კიდეც გადააჭარბებს იმათ, რომელთაც წინეთ ამხილებდა. ცხოვრებაში გამოდით და იქიდამ დაუმტკიცე საზოგადოებას შებრალება და უანგარო სამსახური.

**ერთ ჩვენ ახალ ხელის-მომწერს.** მე დალოცვილო, რაზე იწუხებდით რუსული წერით თავს. ნუ თუ ქართული გამოცემის რედაქციაში ქართული არ გვეცოდინებოდა, რომ ქართულად მოგეწერა წერილი? არ გეხერხებათ ქართული? თუ ღმერთი გწამს ოთხ-აბაზიანი მარკა არ დააკრათ გაზეთის დასაკვეთ წერილს!..

**რამდენიმეს.** ჩვენ გვაქვს დიდი ზადიკი, ლოცვანები და დავითნები. დღეს ეს წიგნები ალარსად არ არის გასასყიდელი. ჩვენც არა გვაქვს ბევრი. საცეცხლურის ნახშირი ბევრი გვაქვს.

**ზოგიერთებს.** წარსული წლების „მწყემსის“ ნომრები იმექონება სრული ეკზემპლიარი მთელი წლისა ყდით, გაგზავნით ღირს ორი მანეთი და ათი შაური.

**რამდენიმე მღვდელს.** თითო რიგის გამოწერილობათა ბლანკები ასი ღირს ათ შაურად, ე. ი. თითო ნახევარ კაპეიკად, ისიც გაგზავნით. როცა საზოგადოება იქნობამდისინ დაბრმავდება, რომ მდივანოვის მასხრული კალენდრით კმაყოფილდება, მაშინ არა ღირს რიგიანი კალენდრის გამოცემა... იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, 1808 წ. კიდევ ირიცხებოდა იმერეთის მეფედ, მაშასადამე ასი წლისწადი რუსეთთან იმერეთის შეერთებისა იქნება 1908 წელში და არა 1901 წელში.

**ოდესელ სტუდენტებს.** რა მიზნითაც უნდა იყოს გამოცემული თქვენ მიერ ჩვენი მოღვაწეების ფოტოტიპიები, მართალი უნდა გითხრათ, რომ ერთობ ძვირია. იმას, რასაც თქვენ 30 კ. ყიდით, ჩვენ ორჯერ იმაზე მეტს და უკეთესს ქაღალდზე ვყიდით 20 კაპეიკად.

**ერთ დეპუტატს.** რადგან საბლაღოჩინო ოლქები ისევ შეიშალა, ვგონებ დეპუტატების ოლქებიც აირ-დაირია.

**ქბზ. დამწყებს ერთ მთ. დიაკ.** მე ვგონებ, რომ ეგზამენის დასაჭერად მიცემული ხარჯი უსარგებლო უნდა იყოს. დღეს იმდენი სემინარიელები არიან, რომ არც მეცერა საჭირო იქნეს ეკზამენის დამჭერნი. იყო დრო, როცა ამ მოწმობების პატრონები მღვდლათ ეკურთხებოდნენ და სემინარიელები რჩებოდენ, მაგრამ დღეს დრო გამოიცვალა და უსამართლოება ამ მხრით დაიმხო.

მიიღება ხელის-მოწერა 1901 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულ

# „მწყემს"-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

## ჟურნალის ფასი:

| | |
|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» 3 მ. | 6 თვით «მწყემსი» 2 მ. |
| — „ რუსული „ 3 მ. | — „ რუსული „ 2 » |
| — „ ორივე გამოცემა 5 » | — „ ორივე გამოცემა 3 » |

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუთუცაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭარიანთან; საჩხერეში—ყარამან მაჭავარიანთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან; ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში დეისაძის სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

[illegible] ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ" и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი"-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1891 წლის ხელის მომწერთ პრემიად (საჩუქრად) აქვსთ დანიშნული დიდი სურათი ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორიც არიან შოთა რუსთაველისა და თამარის.

კერძო საავათმყოფო ამბულატორიითურთ

ს. ბ. თოფურიას.

ქ. ქუთაისში.

საავათმყოფოში დგას ორმოცი საწოლი. ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავათმყოფთათვის. მუწუკებიანი და გადამდები სენით ავათმყოფნი არ მიიღებიან. მოსიარულე ავათმყოფნი მიიღებიან ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვების ავათმყოფებს მიიღებს

ექ. ს. ბ. თოფურია.

ქირურგიულ შარდით სიფილისით და თვალების ავათმყოფობისათვის.

ექ. ფ. კ. ბერრატი.

დედაკაცურ ავათმყოფთა და საბებიო ქალი.

ექ. მ. ფ. კოგანი.

რჩევა დარიგების ფასი 50 კ., კონსილიუმის ფასი 3 მ. დღე და ღამე ქირა საავათმყოფოში სრული ხარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ოპერაციის ფასი გარიგებაზეა.

სამკურნალოს დირექტორი ს. ბ. თოფურია.

## შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: არიან თუ არა ქართველი კათოლიკენი?—საუბარი, თქმული დეკ. დ. ღამბაშიძის მიერ გარდაც. როსტომა თაბაგრის წესის აგების შემდეგ შრომის წმ. გიორ. ეკკლესიაში 6 ნოემბერს 1900 წ.—ქუთაისის საბჭოს სხდომა 20 ნოემბერს 1900 წ.—„მწყემსის" კორრესპონდენცია.—სატახტო ქალაქის გაზეთებიდგან.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნ. და კეთილ-ზნეობაზე: სიტყვა, თქმული ორს ოქტომბერს მოწამეთის მონასტერში ყ.-დ უსამღ. იმერეთის ეპისკ. ლეონიდის მიერ.—სიტყვა, თქმული კონსტ. გ. გამრეკელის მიერ. საეკლ. კითხვების განმარტება.—რედაქციის პასუხი.

განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 30 Ноября 1900 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елiевъ

Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. А. Дейсадзе на Нѣмецкой у.

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. მათ. 11—28.

№ 23—24 1883—1900 15—30 დეკემბერი.

## ზოგიერთი საჭირო გაფრთხილება მოსწავლეთა მშობელთათვის.

ჩვენ წინა წერილში (იხ. „მწყემსი“-ს მე-13 №-ში) დავჰპირდით სამღვდელოებას რამდენიმე რჩევის მიცემას, თუ რა ღონისძიებასა და წესის შემოღებას უნდა მიჰმართოს მან, რათა მოზარდ თაობას, სასულიერო სასწავლებლებში და სემინარიებში მყოფს, შეძლებისა-და-გვარად ასცდეს ფილტვების ავადმყოფობა—ჭლექი, რომელიც ამ ბოლო ხნებში ისე გახშირებულია მათში. ისიც მოვიხსენეთ წინა წერილში, თუ რა გულ-დასაწყვეტი დანაკლისი არის მშობლებისათვის კერძოდ და საზოგადოებისათვის საერთოდ, როდესაც ახალ-გაზრდა, სიცოცხლით სავსე ჭაბუკი გონების საწვრთნელად სასწავლებელში შესული, რამდენიმე წლის შემდეგ უბრუნდება თავის აღმზრდელ კერას და შეაქვს იქ სიხარულისა და იმედის ნაცვლად—მწუხარება, სასოწარკვეთილება და სამუდამო გლოვა. როდესაც ამნაირი სამწუხარო მოვლენა ხშირდება, გონიერება და წინდახედულება მოითხოვს მის შემცირებისათვის ზრუნვა-მუშაობას. ამისათვის ის არის საჭირო გაითვალისწინოს ადამიანმა, რითაც კი შეიძლება ამ მიზნის მიღწევა. რა არის შემოსავლები ან სავალდებულოდ დასადგენი—ეს ცხადად გამოჩნდება მაშინ, როდესაც დავინახავთ, თუ როგორ ჩნდება და იდგამს ფესვს ადამიანის სხეულში ზემოხსენებული ავადმყოფობა. რა უწყობს მას ხელს, ან რა უმზადებს შესაფერისს ნიადაგს?

ამიტომაც ეს წერილი ორ ნაწილად იქმნება გაყოფილი. ჯერ მოვიხსენებთ მეცნიერებისაგან მტკიცედ დადგენილს დასკვნას ჭლექის გადამდებობაზე და იმ პირობებზე, რაც მას ხელს უწყობს, და შემდეგ-კი, მეორე ნაწილში, მოვიხსენებთ შემოსაღებ ღონისძიებათა, რაიც კი აუცილებლად საჭირო არის ამ სენის მძვინვარების თუ სულ არა, ცოტად მაინც შესამცირებლად. ვინც ყურადღებით ჩაუკვირდება პირველ ნაწილს, იგი უეჭველად მეორეზედაც თანახმა და მოწადინებული შეიქნება, თუ კი მას მოზარდი თაობისათვის გული შესტკივა. როდესაც ამას ცხადად შეიგნებს თვითეული მშობელი, მაშინ იგი უფრო გამჭრიახედ შეჰხედავს საქმეს და არ მოიწადინებს თავშეუდებლობით მწარე განსაცდელში ჩავარდნას.

რომ არ გაგრძელდეს ძალიან წერილი, იძულებული ვართ მხოლოდ მოკლედ აღვნუსხოთ მეცნიერებისაგან აღსარებული ცნობანი ამ საგნის შესახებ.

ფილტვების ავადმყოფობა—ჭლექი უჩნდება ადამიანს ან მემკვიდრეობით, ან და გადამდებობით.

1) მემკვიდრეობით გარდაიცემა ეს ავადმყოფობა ორნაირად: შეიძლება გარდაეცეს შვილს ავადმყოფ დედ-მამისაგან შთანასახი ჭლექის, ესე იგი თვით ჭლექიანი ბავში დაიბადოს—ამას ეძახიან შთასახებით გარდაცემას, ან და შეიძლება მხოლოდ მიდრეკილება გარდაეცეს ამ ავადმყოფობისადმი—ამას ეძახიან ნიადაგის გარდაცემით მემკვიდრეობას. პირველი მეტად იშვიათია, მეორე-კი მეტად ხშირი. უმეტეს ნაწილად მემკვიდრეობით მზადდება თვით ნიადაგი, ესე იგი იმნაირი განსხვავებულობა აგებულების, რომელსაც მიდრეკილება აქვს ამ სენის ბაცილების *) მიღებისა და განვითარების. ეს ეხლანდელმა მეცნიერების გამოცდილებამ უტყუარის და მრავალის მაგალითებით დაამტკიცა. მშობელთა ჭლექით ავადმყოფობას გარდა, სხვა მიზეზებსაც შეუძლია ამ მიდრეკილების შვილებზე გარდაცემა. ამ გვარ მიზეზებს ეკუთვნის მშობელთა სისუსტე, მათი ხნიერობა და სხვა და-სხვა ავადმყოფობა ბავშის შთასახვის დროს, მეტადრე ნერვებ-აშლილობა, ზნედა და მოჭარბებული სიმთვრალე. ყველაფერი ეს დიდ გავლენას იქონიებს ხოლმე ბავშის სხეულის ძალ-ღონეზე, გადაჯიშებას იწვევს მასში და იმნაირად ასუსტებს, რომ მას მერე არ შეუძლია რიგიანად შებრძოლება იმ მრავალ მავნე პირობებთან, რაიც ყოველ სხეულს მუდამ არტყია დაბადებიდგან მოკიდებული სიკვდილამდე.

2) მემკვიდრეობას გარდა ეს სენი უჩნდება ადამიანს სხვა გარეშე მიზეზითაც, რაიც თანდაყოლილი მიდრეკილების ბრალი კი არ არის, არამედ იმ პირობების, რომელშიდაც სხეული მერე ვარდება. ამ ცუდ პირობებს შეუძლია დააუძლუროს სხეულის ძალ-ღონე და ამნაირად გააჩინოს მასში მიდრეკილება ამ სენისადმი, რომ კიდევაც არ იყოს ეს მიდრეკილება თანდაყოლილი, და თუ არის მაშინ ხომ მეტის სისწრაფით შეუწყობს მას ხელს. ამ მთავარ მავნე პირობებში მოკლედ დავასახელებთ უმთავრესს:

ა) ქალაქის ცხოვრება, შეხუთული მოსახლეობა მრავალ ადამიანთა მცირეოდენ მანძილზე, ქუჩაეზოების უსუფთაობა, ჰაერის ნაკლულევანება რაოდენობითაც და ღირსებითაც, მრავალი უწმინდურების ხრწნა და ლპობა, ბინის სივიწროვე, სიბნელე და ნესტი—ყოველივე ეს, რაიც ქალაქების განუშორებელ კუთვნილებას წარმოადგენს, ძალიან უწყობს ხელს და უმზადებს ნიადაგს არა თუ ზემოხსენებულ ავადმყოფობას, არამედ მრავალს სხვასაც;

ბ) სასმელ-საჭმელის უვარგისობა, ცუდი ღირსების ანუ შეუფერებელი საჭმელი, მისი ნაკლებულობა, ერთად ტანთ-საცმელის უვარგისობასთან, თანდათანის ნაბიჯით აღატაკებს სხეულს და აცლის მას ძალას, იმ ძალას, რომელიც ყოველ წუთს საჭიროა მისთვის საარსებო ბრძოლაში;

გ) სხეულის მოქანცულობა შეუსაბამო და გადაჭარბებულის მუშაობით, გონებრივი დაღალვა, ჯავრი, დარდი და სილარიბეც;

დ) ზოგიერთი ავადმყოფობა, რომელიც ასუსტებს საზოგადოდ სხეულს და მეტადრე ის, რომელიც უსუსტებს ადამიანს სასუნთქავ იარაღს—ფილტვებს: ხშირი სურდო, ბრონხიტი, პლევრიტი ფილტვის ანთება და სხვ.;

*) ამ სახელს უწოდებენ თვალთ-უჩინარ პატარა ნაწილაკებს, რომელნიც აჩენენ სხვა-და-სხვა სენს. ზოგიერთს სენს საკუთარი ბაცილა აღმოუჩნდა მეცნიერების გამოკვლევით, რომელიც წარმოადგენს მის ხათავეს. სხვათა შორის, ჭლექის ბაცილაც აღმოჩენილია.

ე) გადაჭარბებული ღვინის სმა და სხვ.;

ყოველივე ეს შესაფერისს ნიადაგს უმზადებს ზემოხსენებულ სენს. ეხლა ორიოდე სიტყვით მოვიხსენებთ, თუ რა გზით მოდის შთანასახი ამ ნიადაგზე დასანერგავად, რანაირად გადადის ამ სენის გამჩენი ბაცილები ავადმყოფიდგან კარგადმყოფ სხეულზე? ჭლექით დაავადმყოფებულის ნახველში არის მრავლისგან-უმრავლესი ბაცილები. (ერთი მეცნიერის გამოანგარიშებით, რასაც თვითეული ჭლექიანი ამოახველებს ოცდა-ოთხი საათის განმავალობაში, იმაში არის შვიდი მილიარდი და ორასი მილიონი, ესე იგი შვიდი ათას ორასი მილიონი ბაცილა). ავადმყოფს მუდამ ნახველი ამოაქვს და აფურთხებს, სადაც შეხვდება. ნახველიც ყველგან ვარდება: ქუჩაში, სახლებში, სასტუმროებში, სასწავლებლების ოთახებში, თეატრში, სხვა ყოველგვარ შესაკრებელ ადგილზე, ვაგონებში და სხ. შემდეგ ეს ნახველი შრება, ხმება, მტვრად იქცევა და ერთვის ჰაერს. ამ ნაირად ეს ბაცილები ჰაერში ტივტივებენ, და სუნთქვის დროს ჩადიან ფილტვებში, სადაც შეიძლება ფეხი მოიდგან და დაიწყონ გამრავლება, თუ კი სხეულიც მათთვის მომზადებულ ნიადაგს წარმოადგენს.

ამ ბაცილებს დიდხანს შეუძლიათ გაძლება; მხოლოდ მრავალი თვის შემდეგ ეკარგება მათ გადამდებობის ძალა, ისიც სინათლიან ოთახში, თორემ ბნელში თითქმის სამუდამოდ ინახავენ ამ ძალას; სიმშრალე, მზის შუქი და წმინდა ჰაერი-კი აკლებს და სულაც უსპობს ამას. თუ ვიგულისხმებთ იმ სიმრავლეს ბაცილებისას, რასაც თვითეულ ავადმყოფს შეუძლია ამოახველოს, და ამასთანავე ასეთს გამძლეობას ამ ბაცილებისას, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ ადვილად და ხშირად შეიძლება შთაისუნთქოს ხოლმე ადამიანმა ჰაერთან ერთად ეს მავნე ნაწილებიც, და რა საზრხე მოელის ყოველ სხეულს, რომელსაც კი აქვს მიდრეკილება ამ ავადმყოფობისადმი, თანდაყოლილი იქნება ეს მიდრეკილება, თუ შემდეგ შეძენილი. სტატისტიკურის ცნობებით სასწავლებლებში, კაზარმებში, სატუსაღოში და სხ. ამგვარ შეხუთულ ადგილებში მეტის-მეტად არის კიდეც გავრცელებული ეს სენი.

შთასუნთქვას გარდა სხვა გზითაც გადადის ამ სენის ბაცილები ადამიანზე, მაგალ. ავადმყოფ ხარისა და ძროხის ხორცით, (მეტადრე შინაგანი ნაწილებით), თუ საკმაო ხარშვა ან წვა არ ექნა მას, აგრეთვე ავადმყოფი ძროხის რძითაც. ორივე ამ შემთხვევაში ბაცილები საჭმელთან ერთად კუჭში ჩადიან და, თუ შესაფერისი ნიადაგი შეხვდათ, შეიძლება წელებში მოიდგან ფეხი და იქ გაუჩინონ ადამიანს ჭლექი. სხვა გზითაც ვრცელდება კიდევ ეს სენი—მაგრამ ამას აღარ მოვიხსენებთ—რადგანაც იშვიათიც არის ეს მაგალითები და შორსაც წაგვიყვანს მათი აღნუსხვა.

ამნაირად კარგად არის მიგნებული მეცნიერებისაგან ამ ავადმყოფობის სათავეც და მისი გავრცელების გზაც და წესიც. დიდი ხანია რაც შეუდგნენ გულდასმით მუშაობას და ბევრგან დაწინაურებულ ქვეყნებში მრავალი ზომაც შემოიღეს ამ სენის გასამკლავებლად. ჩვენამდე ჯერ ასე მალე ვერ მოაწევს ეს, რასაკვირველია, მაგრამ, თუ მის განხორციელებას ჩვენი დაჩაგრული ბედი შეუძლებლად გვისახავს, შორიდგან რომ მაინც გავეცნოთ სხვების დაწინაურებას და წინდახედულ მუშაობას ამ საგნის შესახებ—არ იქმნება უმნიშვნელო. (ამას ჩვენ შემდეგში დავუბრუნდებით).

ეხლა გადავალთ მეორე ნაწილზედ და აღვნუსხავთ მოკლედ, თუ რა ღონისძიება არის საჭირო და შემოსაღები ამ სენის მძვინვარების შესამცირებლად. რადგანაც ჩვენ აქ კერძოდ სასულიერო სასწავლებლების და სემინარიების შეფარდებით გვაქვს აღებული განსახილველად ეს კითხვა, ამისათვის მხოლოდ ის გვექმნება ნაგულისხმევი, რაც საჭიროა, სამღვდელოებამ შემოიღოს, ზოგ. საკუთარის დადგენილებით და ზოგიც სათანადო მთავრობასთან შუამდგომლობით. ასე იქნება, თუ ისე, აუცილებლად საჭიროა შემდეგი წესის შემოღება:

1) სავალდებულოდ იქნეს დადგენილი, რომ სასწავლებლის ექიმმა ყოველ სამ თვეში გულ-მოდგინედ დასინჯოს ყოველი მოსწავლის სხეული. როგორც-კი რომელიმეს დაეტყობა ან სისუსტე ან რაიმე მოსალოდნელი ავადმყოფობის ნიშანი, (ბუნებრივი, თანდაყოლილი მიდრეკილების გამო იქმნება ეს, თუ მერე გამოწვეულ ცვლილებათა გამო), დაუყონებლივ მიეცეს განსხვავება ყველაფერში: შრომაც, საზრდოც და ბინაც მისი განსხვავებულ იქმნას დანარჩენთაგან. ამას მოითხოვს გონივრული მოვლა-პატრონობა ბავშის და წინ-დახედული მზრუნველობა მათი მომავლისათვის. თორემ როდესაც ჭაბუკი

უკვე დასნეულდება, მხოლოდ მაშინ მისი გასინჯვა და წამლობა—ბევრს ვერაფერს წარმოადგენს სანუგეშოს და ვერც რიგიანის შედეგით გვირგვინდება ავადმყოფისათვის.

2) ყოველთვის მოსწავლეთა სადგომ ბინების დათვალიერების დროს მიღებულ იქმნას მხედველობაში მათი სადგომის ყოველ-მხრივი თვისება: მდებარეობა, სინათლე, ჰაერის მოძრაობა ოთახებში, საკმაო სივრცე, შიგ მდგომთა რაოდენობასთან შეფარდებული, ეზოს სანიტარული მდგომარეობა და სხ., ყოველივე, რაიც კი ჰიგიენის მხრით ცნობილია აუცილებელ საჭიროებად. ამ მიზნით მოსწავლეთა ბინის დამთვალიერებელთან ერთად წელიწადში ორჯელ მაინც სავალდებულოდ იქნეს თვით ექიმის წაყოლაც, რომ მან საკმაო დაკვირვების შემდეგ თვით შეამოწმოს სადგომი და დაავალოს პატრონს საჭირო ცვლილების შემოღება; მანვე უნდა განსაზღვროს, რამდენ პირს შეუძლია ჯანმრთელობის უვნებლად მასში მოთავსება, და ბინის პატრონსაც არასოდეს არ უნდა ჰქონდეს ნება ამ განსაზღვრულ რიცხვზე გადაჭარბების. ჯერ ისედაც ქალაქის ჰაერი განსაკუთრებულ ვნებას აძლევს სოფლიდგან ჩამოსულებს, და თუ ეს ჰაერიც საკმარისად არ ემქნა მოზარდ სხეულს, ეს ხომ მეტის-მეტი დაჩაგვრა იქნება მისი და პირდაპირ დასასუსტებლად გაწირვა!

ხოლო სადაც პანსიონებია, *) ან საერთო სადგომები უთუოდ საჭიროა მათი სულ სხვანაირად მოწყობა: როგორც სამუშაო, აგრეთვე საწოლი ოთახებიც იმდენ ჰაერს უნდა შეიცავდენ, რამდენიც მეცნიერულად საჭიროა იქ მყოფთა რაოდენობასთან შეფარდებით; რომ ჰაერის მუდმივ ცვლასთან ერთად, შეიძლებოდეს ერთნაირი სითბოს დაჭერა და არა ყოველ-მხრივად მისი დახშვითა და დაბუგებით. შეშის დაზოგვის გრძნობაზე მაღლად უნდა იქმნეს დაყენებული ადამიანის ფილტვისა და სხეულის ჯანმრთელობის დაზოგვა!

3) ჯანმრთელობით სუსტს მოსწავლეს, რომელსაც ექიმის შემოწმებით ან ემჩნევა ზემოხსენებული თანდაყოლილი მიდრეკილება, ან და ვისაც საკმაო ძალ-ღონე ar მოეპოვება, რომ გაუძლოს მრავალ მავნე პირობათ და დაუზიანებლად აიტანოს ყოველივე, მიეცეს შეღავათი და განსაკუთრებულ პირობებში ყოფნის უფლება; ნუ ჩამოერთმევა აუცილებელ საჭიროებად მარხვაში მხოლოდ სამარხო საჭმელის მიღება, სანამ მისი სხეული, ავადმყოფის მსგავსად, წამლობასა და საექიმო ხელმძღვანელობას ჰსაჭიროებს; განთავისუფლებულ იქმნეს აგრეთვე ამ გვარი სხეული ყოველ გვარ მომქანცავ და დამასუსტებელ დავალებათაგან; თუ პანსიონშია, მიეცეს კერძოდ დაბინავების ნება, და თუ კერძო, ნაკლოვან ბინაზეა, დაევალოს ექიმისაგან რიგიან ბინაზე გადასვლა. ხოლო თუ ეს ყოველივე ძნელი შემოსადეგია და განუხორციელებელიც, მაშინ მშობლებს ეუწყოს წინდაწინვე მათი შვილის მოსალოდნელი დასუსტება და დაავადმყოფება, რომ მათ დროზე მაინც იზრუნონ. ან სულ ნუ მიიღებს სასწავლებელი სუსტსა და დაუძლურებულს, ან და ნუ მიიყვანს მის მზრუნველობისადმი მიბარებულ არსებას იმ ქედემდე, როდესაც სხეული ძირითად დაუძლურებას არის მიღწეული და სამუდამოდ ავადმყოფის სარეცელზე წოლას თუ, თორემ სხვას ველარას მოახერხებს თავის აღსასრულამდე.

ამ მხრით დროზედ გაფრთხილებული მშობელი უფრო პატრონობას გაუწევს თავის შვილს, ვიდრე სასწავლებლის საავადმყოფო, რაც უნდა კარგად იყოს იგი მოწყობილი. და ზოგიერთ მშობელსაც ეგებ ის უფრო ურჩევნია, რომ დიდ-ხანს დასტკბეს თავისი თუნდა სწავლა-დაუმთავრებელი შვილის ყურებით, ვიდრე სიცოცხლე გაიმწაროს თავის ნასწავლის შვილის ნაადრი დამარხვით.

4) შემოღებულ იქმნას სავალდებულო წესად: თუ რომელიმე მასწავლებელთაგანი ფილტვების ჭლექით არის დაავადმყოფებული, მან იქონიოს განუშორებლად საამისოდ მოწყობილი, ჯიბით სატარებელი საფურთხი, სადეზინფექციო საშუალებით და ყოველთვის მასში აგროვებდეს ნახველს, რომ ამით მისი ნახველი სხვისათვის უვნებელი გახდეს. თორემ, თუ გავიხსენებთ შვიდ მილიარდს და ორას მილიონ ბაცილას დღე-და-ღამეში ჭლექიანის ფილტვებიდან ამომავალს, და იმ საათებს, რომელსაც ბავშები მის ნაფურთხიან ოთახში გაატარებენ, მაშინ ცხადი წარმოსადგენია ის მავნებლობა, რაც ბავშებს მისგან მოელის.

5) წელიწადში ოთხჯელ მაინც დეზინფექცია გაუკეთდეს სასწავლებლის ყველა ოთახებს და სადგომებს

*) საზოგადოდ პანსიონების შესახებ, ჰიგიენურის მხრით, ჩვენ მერე გვექნება საუბარი მკითხველთან. ავტ.

იმ მანქანითა და საშუალებით, რომელიც უკანასკნელ ხანებში მიკვლეულია საუკეთესოდ და სასარგებლოდ ჭლექის ბაცილების ოთახში მოსასპობლად.

მეცნიერებამ მტკიცედ აღიარა, რომ რამდენადაც იგი სუსტია და უძლური მორეულ ჭლექთან ბრძოლაში, იმდენად მძლავრია იგი ძ მაკურნებელი ამ სენის პირველ დასაწყისს ხანაში. როგორც ბევრ სხვა ავადმყოფობაში, აგრეთვე ამაშიდაც, წინასწარ ნახმარი ღონისძიებით ბევრს იგებს ადამიანი, ვიდრე გვიან გამოკიდებით. ამიტომაც სასწავლებლის ექიმიც მუდამ უნდა დარაჯობდეს წინასწარ მოქმედების სარბიელს, რომ წარმატებაში მიდიოდეს მოზარდი თაობის ჯანმრთელობა. მისს გამოცდილს თვალს არ უნდა გამოეპაროს, თუ ვინ არის მოსალოდნელი ავადმყოფობის უახლოესი მსხვერპლი, და ყოველი ღონისძიებაც უნდა იყოს ნახმარი, რომ ამგვარი სხეული განსაკუთრებულ პირობებში იქნეს ჩაყენებული, თვით სასწავლებლის მიერ და მშობლების მხრითაც. სასწავლებელს და მის მესვეურთ არ უნდა ავიწყდებოდესთ, რომ როდესაც იგინი იბარებენ მშობლებისაგან გაუფუჩქვნელსა და ჯანმრთელს პატარა არსებას, ზნეობრივად ვალდებულნიც არიან, დაუბრუნონ იგი თავის მშობლიურ კერას გონიერ და ჯან-წაურთმეველ, სასარგებლო წევრად, და არა ღონე-გამოლეულ და მიხრწნილ, მუდამ ექიმებსა და საავადმყოფოებში სატარებელ აჩრდილად. სასწავლებელმა არ უნდა წაართვას ნორჩ არსებას ის ბუნების განძი—ჯანმრთელობა, რომელიც ბავშს თან ჩააქვს იქ. და რაც უნდა ნაყოფიერი იყოს სწავლა, მაინც ვერ აუნაზღაურებს იგი სხეულს შეფერხებულს ჯანმრთელობას, იმ ჯანმრთელობას, რომელიც ეგრე ძვირფასი და დიდმნიშვნელოვანია ყოველი არსებისათვის.

ჩვენ იძულებული ვიყავით, მოკლედ გვეთქვა ის, რაზედაც მრთელი წიგნიც კი დაიწერებოდა. (შეიძლება ოდესმე, ცნობის-მოყვარე მკითხველისათვის მრთელი წიგნიც გამოვსცეთ ამავე საგნის შესახებ), მაგრამ ეს მოკლე ცნობებიც უნდა იყოს დამარწმუნებელი ყველასათვის, რადგანაც ყოველი ცნობა უტყუარ სამეცნიერო საფუძველზე არის დამყარებული. ვისაც ჰსურს ამ ბედ-შავი მდგომარეობის შველა—ის ამითაც გულს აიძგერებს სამოქმედოდ და ხმის გამოსაღებად, ხოლო ვინც მოუწადინებელია და გულ-გაქსუებული—მას ხომ გრძელი სიტყვითაც ვერას ჩააგონებს კაცი. ამიტომაც, ჩვენც ეს მცირე სიტყვა ვიკმარეთ მშობელთადმი მიმართული, რადგანაც გვრწამს, რომ ესეც საკმარისია, რომ მათი მშობლიურის მზრუნველობით აღსავსე გული გაიმსჭვალოს საერთო მოქმედების სურვილით, რათა ეს ცუდი მდგომარეობა, და მაზედ დამყარებული მწარე შედეგი, როგორმე შეცვლილ იქმნეს. საამისოდ საჭირო იქმნება კერძოდ აღძრულ სურვილს, საერთო გამომეტყველებაც მიეცეს და საყოველთაო შუამდგომლობად გარდიქცეს მათ წინაშე, ვის ხელთაც იქმნება ამის დასტურის დაცემა და წესად დადგენა.

მაგალითად, ეხლა იმერეთის სამღვდელოების წარმომადგენელთა კრებისათვის ძალიან მოხერხებული იქნებოდა, ამ მწვავე კითხვის შესახებ მსჯელობას აღძრავდენ და საერთო შუამდგომლობასაც გასწევდენ, სადაც ჯერ-არს, რაიმე ზომების შემოსაღებად. მართალია, ეგებ სულ პირველი მაგალითი იყოს ამ გვარ რამეზე მსჯელობის აღძვრა, მაგრამ ოდესმე ვინმემ ხომ უნდა დაიწყოს, და თუ ცდამ განხორციელებას მიაღწია, მაშინ ხომ სხვა ბევრი მიმბაძველიც გამოუჩნდება იმერეთის სამღვდელოებას. ესეც რომ არ იყოს, მარტო ისიც კმარა სიამოვნებად, რომ მათი მოზარდი თაობის ჯანმრთელობა უკეთეს ნიადაგზე დამყარდება და უფრო საიშვიათო გახდებიან იმნაირი მაგალითები, როგორსაც ეხლა სამწუხაროდ ხშირად ვხედავთ.

ამ ჟამად ამით ვათავებთ ჩვენს საუბარს ამ დღიურ ვარამზე და შემდეგში კიდევ ხშირად დავუბრუნდებით ამავე საკითხს, რადგანაც ერთის თქმით უცხოეთის დაწინაურებულ ქვეყნებშიდაც არა გაკეთებულა-რა, ამ საქმის შესახებ, და ჩვენში ხომ უფრო მეტი და მიჯინებული ჩაცივებაა საჭირო, სანამ უზრუნველობის სასთუმალზე მყოფი ჩვენი ადამიანი საერთო საქმის გასაკეთებლად წამოიწეოდეს.

ექიმი გ. დ—ძე.

## არიან თუ არა ქართველ-კათოლიკენი?

(პასუხი ბ. სარუხანს)

გაგრძელება *)

პირველ წერილში ჩვენ ვამბობდით, რომ ერთობა და მიწერ-მოწერა საქართველოსა და პაპის ტახტის შორის იწყება XIII საუკუნიდამ. 1240 წელსა საქართველოს დედოფალმა რუსუდანმა მიიღო დომინიკანცები და არა მისსიონერებო Fratres praedicatores ორდენისა, როგორც შეცდომით ფიქრობს ბ. სარუხანი. რუსუდანი დათანხმდა პაპა გონორი III-ის წინადადებაზე შესახებ მისა, რომ იგი მიიღებს მონაწილეობას ჯვაროსანთა ომში. მათი მეგობრული მიწერ-მოწერა გრძელდება მათ მემკვიდრეთა შორისაც: პაპი ნიკოლაი IV წერს (1283 წ.) მეფე დიმიტრის და უწოდებს მას „carissimum in Christo filium", ხოლო წერილში, რომელსაც სწერს საქართველოს ეკკლესიის თავს კათალიკოს თავის თავს პაპა უწოდებს «venetabilen fratrem patriarcham georgianorum". პაპის მსგავსი წერილები და ბულლები ცოდვების მიტევების და მოსლემანთა წინაალმდეგ წაქეზების შესახებ მოწმობენ, რომ პაპის ავტორიტეტი ფესვს იკიდებს, თუ საქართველოს მთელს ხალხში არა, ზოგიერთ ქართველებში მაინც. მისსიონერთა რიცხვი ერთი-ორად მატულობს საქართველოში მე-XIV საუკუნის დასაწყისში; მეფე გიორგი V დროს პაპა კლიმენტი V 1307 წ. და იოანნე XXII 1318 წ. აგზავნიან საქართველოში ფრანცისკანებს და დომინიკანცებს. მათი ქადაგება არ დარჩენილა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ქართველთა შორის მოინახენ ისეთი გულ-მოდგინე პროზელიტებიც, რომ აიღეს ჯვარი და სხვა მისსიონერებთან ერთად იწყეს ქრისტიანობის გავრცელება შორეულს ინდოეთში. ერთმა ქართველთაგანმა, რომელმაც მიიღო ფრანგთა ალსარება 1321 წ. მიიღო მოწამის გვირგვინი, როგორც ამის შესახებ მოთხრობილია დომინიკანცების ისტორიაში. ეს იყო ვინმე დიმიტრი ტფილისიდამ, ქართველთაგანი, მცოდნე აღმოსავლეთის ენებისა [1].

იმავე XIV საუკუნეში პაპა იოანნე XXII 1321 წ. წინადადებას აძლევდა მეფე გიორგის შეერთებიათ საქართველოს ეკკლესია კათოლიკეთა ეკკლესიისათვის [2], მეფეს, შეიძლება სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო, არ მოუყვანია სისრულეში პაპის წინადადება, მაგრამ ამ დროიდგან არსდება ტფილისში კათედრა კათოლიკეთა ეპისკოპოსისა diocesis Thefeleciensis. ვინ იყო კათოლიკეთ სამწყსო ტფილისის ეპარქიაში, ამის შესახებ ზოგიერთი ცნობების შეკრება შეგვიძლია მოგზაურთა და მისსიონერთა მოთხრობათაგან: ამ საზოგადოებას შეადგენდენ მხოლოდ ქართველები, ვინაიდგან სომეხ კათოლიკენი ჩნდებიან საქართველოში შემდეგ დროებში. იმ დროიდამ, რაც საქართველოში დაინიშნა კათოლიკეთა ეპისკოპოსი, პაპები არა ერთ გზის მიქცეულან ბულლებით «universis catholicis christianis civitatis et diocesis Thefeleciensis» [3]. დღეს ჩვენ შეგვიძლია წარმოვადგინოთ ტფილისის მღვდელთ-მთავართა

---

*) იხ. „მწყემსი" № 22 1900 წ.

[1]) Anno 1321. Idus aprilis gloriarum subierunt martyrium feria quinta ante dominica Palmarum quatuor illustres Fidei Agonathetae ex ordine Minorum frater Thomas Toletinus. fr. Iacobus de Padua, fr. de senis et frater Demetrius. laicus de Fefelicio, natione georgiana fratrum interpres qui optime collebat linguas, orientales. Passibunt in partibus Indiae in Thana. (Luca Waddingo. Annales minorum, t 6, p. 353).

[2]) საყურადღებოა, რომ ეკკლესიების გაყოფის შემდეგ 1054 წ. საქართველოში იწყეს პაპების მოხსენება მსოფლიო ხუთ პატრიარქთა შორის. ჟორდანია, გუჯრები და წარწერანი XII—XIII საუკ. მის „ქრონიკებში", გვერდი 75, 101: 140· 142, 150.

[3]) კათოლიკეთა რიცხვის გაძლიერება საქართველოში სჩანს მისსიონერთა პასუხისაგან, რომელნიც თავის მომდევართა შორის ასახელებენ „multitudo hatibantium" XIV საუკ. (ვატიკანის არხ. და Propaganda Fide).

სია. პირველი მათგანი ივანე ფლორენტიელი იყო დანიშნულ გამგედ ტფილისის ეპარქიისა 1818 წ. მისი სიკვდილის შემდეგ 1348 წ. პაპა კლიმენტ VI გაგზავნა საქართველოში ბერტანდო [4]). მის მოადგილედ ინიშნება 1368 წელს პაპა ინოკენტი VI-ის დროს ბერტრან ფრანცისკანელი. მის შემდეგ ინიშნებიან 1382 წ. ეპისკოპოსი ცილგელმი და 1391 წ. ლეონადო დე ფილაკო (ბანიფაცი XI-ის დროს). ამ სახით XIV საუკუნეში საქართველოში მუდამ დაჭერილი იყო კათედრა კათოლიკეთა ეპისკოპოსებისა. XV საუკუნეშიაც იყვნენ მთელი წყება მღვდელთ-მთავრებისა, რომელთაც ნიშნავდა პაპა. 1424—5 წ. გარდაიცვალა ეპისკოპოსი იოანნე. 1493 წ. პაპა ალექსანდრე VI გაგზავნა საქართველოში ალბერტო ენგელია.

ჩვენ იმიტომ ჩამოვთვალეთ ტფილისის კათოლიკეთა ეპარქიის ეპისკოპოსები, რომ გვეჩვენებია, რომ პაპის მისსიონერთა მიმდევართა რიცხვმა იმდენად იმატა, რომ ტფილისში გადმოტანილ იქნა მღვდელ-მთავრის კათედრა სმირნიდამ, სხვათა შორის ეს იმიტომაც მოხდა, რომ იქ კათოლიციზმი შესუსტდა თათრების ზედგავლენისა გამო. თუ რამდენად დიდი იყო სამწყსო მისსიონერთა, ამის თქმა, რასაკვირველია, ამის შესახებ სტატისტიკური ცნობების შეკრება ძნელია, მაგრამ ზოგიერთ შესანიშნავ შემთხვევებში მისსიონერები ასახელებენ იმ პირთ, რომელთაც მიიღეს კათოლიკეთა აღსარება. პაპა კალლისტე მე-III-ის დროს კათოლიკეთა ეკკლესიას შეუერთდა ყვარყვარე, მმართველი სამცხე-საათაბაგოსი [5]). დასავლეთ საქართველოში კათოლიკეთა აღსარებას თანაგრძნობას უწევდნენ მეფე იმერეთისა ბაგრატ და Bedia მეფე მინგრელიისა. აღმოსავლეთ საქართველოში კაპუცინების ბერების მოხსენებისაგან 1698 წ. სჩანს, რომ კათოლიციზმი მიუღიათ მელიქიშვილს, პიტუაშვილს და სხვათა. 1698 წელს კათოლიკეთა აღსარების მიმბაძველმა ბარძიმ ერისთავმა დაიფარა კაპუცინები სომეხთა დევნისაგან. თვით ბ. სარუხანის მიერ აღნიშნული Padre Giuseppe მოწმობს მოხსენებაში მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარში, რომ ტფილისში და ქუთაისში ყოველ დღე იღებდნენ კათოლიკეთა აღსარებას სომეხნი და ქართველები. დავასახელებ კიდევ რამდენიმე სახელებს იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ მარტო ერთ „თავად ორბელიანს", (რომელსაც ბ. სარუხანი შეცდომით სთვლის ბარძიმ ერისთავად), კი არ მიუღია კათოლიკეთა აღსარება, Propaganda Fide-ს არხივში დაცულია ქართული წერილი, პაპისადმი მიწერილი 1751 წლიდამ, რომელსაც ხელს აწერენ ორი თავადი—იოანნე და ვახტანგ ორბელიანი, ბიძაშვილებ საბა სულხან ორბელიანისა, რომლის შესახებ ნათქვამი გვქონდა ზემოთაც: წერილში ისინი თავის თავს უწოდებენ ნამდვილ კათოლიკეთ და ამბობენ, რომ ასეთებივე არიან მთელი მათი გვარი („მთელი ჩვენი გვარი"). ეს კიდევ ცოტაა, მეფე ვახტანგ VI, გამოჩენილი სჯულის მდებელი და მოკავშირე პეტრე დიდისა სპარსეთის ომის დროს, წერილში 1722 წლიდამ, 29 ნოემბრიდამ თავის თავს უწოდებს კათოლიკეს პაპის მიმბაძველ სხვა მრავალ ქართველთა შორის: „con meco sono di credenta cattolici in buon numero" [6]). მაგრამ ყველაზე უფრო სასურველია აღმოჩენა ქართულს ენაზე Professione delle Fede giusta l'ordine di s. m. di urbano VIII in giorgiano. აქ არის მოყვანილი სიმვოლო

---

[4]) ბულლა პაპის 1349 წ. «dilecto filio Bertrando» და განსაკუთრებით „dilectis filiis universis vassalis ecclesiae Thefeleciensis"...

[5]) Platina. Vita Callisti III, lib. 14, p. 267. ამ ყვარყვარეს სურდა დაკავშირებოდა ბურგუნდის გარტოგს იერუსალიმის განსათავისუფლებლად, ამასთან მეფლობელთ გურიისა და მეგრელიისამ აღუთქვეს მას თავისი შემწეობა. ნიკოლოზ ტფილისის ეპისკოპოსი (ტფილელი) გაგზავნილ იქმნა პაპასთან ამის შესახებ როგორც посла Luca. Waddingus. Annales Minorum, t. II, p. 274, XII, 290, XIII, 27).

[6]) Lettera di re Vactang all'internunzio Imenial Dirling en favore d'intervenie all' interno deichristioni di Giorgia (Achivia Ces. Reg. d. Viena). პაპის მიწერ-მოწერა მეფე ლუარსაბთანაც. Antoine de Gowea. Relat. des grandes guerres et victoires de chach Abbas. პაპა პავლე III მადლობს მეფეს მისსიონერთა მიღებისათვის. (ვატ. არხ.).

სარწმუნოებისა, რომელსაც ხელს აწერს როსტომ ერისთავი, თავადი რაჭისა და კათალიკოსი ბესარიონ, თანახმად კათოლიკეთა მარნამსისა; იგინი აღიარებენ სული წმიდას, რომელი მამისაგან და ძისაგან გამოვალს (სული წმინდა უფალი და ცხოველთ მყოფელი, რომელი მამისაგან და ძისაგან გამოვალს. «suli tzminda uphali da chovelth mgopheli. romeli mamisagan da zisagan gamovals"—ასე მომყავს მე ადგილი ქართული არიგინალისა ლათინური ასოებით.

თუ ბ. სარუხანი არ დაკმაყოფილდება ამ პატივცემულ პირთა რიცხვის ჩვენებით, რომელთაც მიიღეს კათოლიციზმი, გარდა „მხოლოდ ერთის", მის ნაცნობ თავად ორბელიანისა და გაკვრით მოხსენებულ კათალიკოს ანტონ I, რომელიც თანაუგრძნობდა ფლორენტიის უნიის აზრს, მაშინ მე მზად ვარ მეორე წერილში დაუსახელო მას მთელი წყება ქართველებისა კათოლიკეთა აღსარების მიმდევართა.

ა. ხახანაშვილი.

(გაგრძელება იქნება)

## სიტყვა,

თქმული დეკ. დ. დამბაშიძის მიერ შორაპნის სამბლაღოჩინო ოლქის სამღვდელოების კრებაზე.

გაგრძელება *)

სხვათა შორის საჭიროა სამღვდელოებამ ყურადღება მიაქციოს თავის ჩაცმა-დახურვას. საზოგადოებას თვალი აქვს მიჩვეული სამღვდელოების ერთ გვარ ჩაცმა-დახურვაზე და ვერ წარმოიდგენ კაცი მათ გაკვირვებას, როდესაც საზოგადოებაში გამოერევა ხოლმე ვინმე მღვდელი არა ჩვეულებრივად ჩაცმულ-დახურული. სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე ამას კი არ უნდა ცდილობდეს, რომ ძვირფას ტანისამოსში გამოეწყოს; ის უმეტეს ყურადღებას უნდა აქცევდეს სუფთად და წესიერად ჩაცმა-დახურვას. ანაფორა უნდა ეცვას შავი ან სხვა შესაფერი ფერისა, ქუდი ჩვეულებრივი მღვდლისა და წაღები სრული და შესაფერი გარეგანათ.

ნამეტანი სამწუხარო სანახავია ჩვენში მედავითნეთა ჩაცმა-დახურვა. როგორღაც ჩვენ გვაქვს თვალი შეჩვეული მათ ახირებულ ჩაცმა-დახურვაზე, თორემ უცხო კაცს მეტის-მეტად აკვირვებს მათი მორთულობა. რას გავს, მაგალითებრ, უმეტეს ნაწილად ჩვენ მედავითნეთა ჩოხები? უცხო კაცს აკვირვებს და სიცილსა გვრი-ს ჩვენი ჩოხის საქილეები და ზოგიერთების ტანზე ძვლებით და ვერცხლით მორთული ქილეები. იყო დრო, როცა ამ ქილებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და კაცს თოფი ნიადაგ თან ქონდა, მაგრამ დღეს, როცა კაცს თან თოფი არა აქვს და არც თოფის წამალს ინახავს ქილებში,—იგი მეტი ბარგია. ერის კაცებს კიდე მიეტევებათ ჩოხის ტარება საქილეებით და ქილებითაც, მაგრამ საეკკლესიო მოსამსახურეს—სრულებით არ შეეფერება. წარმოიდგინე, რომ ამ ნაირ ახირებულ ჩოხებს ის მედავითნეებიც კი ხმარობენ, რომელნიც მღვდელ-მთავარს ემსახურებიან კათედრის ტაძრებში და ეს მაგალითი ცუდ გავლენას ახდენს მთელს ეპარქიაში მედავითნეებზე. ერთი სიტყვით, დროა ყურადღება მივაქციოთ, რომ მედავითნეები ერთგვარად და შესაფერისად იმოსებოდნენ.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია სამღვდელოების ყურადღება მივაქციოთ ერთ-ნაირ ზოგიერთ მეტის-მეტად ცუდ ჩვეულებას. ეს ცუდი ჩვეულება საერო წოდებაში უფრო არის გავრცელებული და სამღვდელოებაში მადლობა ღმერთს ძლიერ იშვიათად შეხვდები კაცი. ეს ცუდი ჩვეულება იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთები სიჭაღრის დასაფარავად თმას და წვერს იღებავენ. ეს საქციელი მიეტევებათ იმ ახალ-გაზრდა ერის კაცთა, რომელთაც რაღაცა მიზეზით ზოგიერთ ადგილას თმა გათეთრებიათ და ერცხვინებათ ხალხისა ქორწინების დროს. ხნოვანებაში შესულთა მეცადინობა კი, რომ ახალ-გაზდად აჩვენონ თავი და ამიტომ თმის შეღებვა მეტის-მეტი საძრახისია. მადლობა ღმერთს, რომ სასულიერო პირთა შორის ერთი-ორი თუ შეხ-

*) იხ. „მწყემსი" № 21 1900 წ.

ვინიშნავს და, ისიც, სამწუხაროდ, ნასწავლთა და მეცნიერთა შორის, რომელნიც თმას იღებავენ და ამით ძლიერ ამდაბლებენ თავიანთ ღირსებას საზოგადოების თვალში...

ყოველივე ის, რაც მოგახსენეთ, შეეხებოდა სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთა საქციელს ეკლესიის გარეშე, სადაც მღვდელი ისე არ იპყრობს საზოგადოების ყურადღებას, როგორც ეკლესიაში ლოცვისა და ღვთის-მსახურების დროს. ეკლესიაში ყველას თვალი და ყური მიქცეული აქვს სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთადმი. სულ უბრალო საქციელი, სულ ცოტა რამ დაკლება ან მომატება საქმისა, სულ მცირე შეცდომა გამოიწვევს საზოგადოების ყურადღებას და განკვირვებას. ამიტომ მღვდელი და მედავითნე ეკლესიაში ყოველ ლოცვა და მღვდელმოქმედების დროს ძლიერ ფრთხილად უნდა იყონ და დიდის ყურადღებით ეპყრობოდენ თავის საქმეს.

საჭიროა ყურადღება მიექცეს, რომ მედავითნეებმა და პონომრებმა შეისწავლონ ზარების რიგიანი რეკა. სომხების და ფრანგების ეკლესიებზე ყველგან ერთნაირად რეკენ და ჩვენს ეკლესიებზე კი სულ სხვა-და-სხვა რიგად ირეკება ზარები. ქალაქებშიაც კი ძნელად ნახავთ, რომ ერთნაირად რეკდენ ეკლესიის ზარებს და სოფლებში რაღა იქნება. რასაკვირველია, ამ გარემოებას მღვდელმა უნდა მიაქციოს ყურადღება, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ მღვდელს ეს საგანი სრულებით საყურადღებოდ არ მიაჩნია და სულ ერთია მისთვის, როგორჯ უნდა დარეკონ ზარები...

ზოგან დაწყებისათანავე ისე ჩქარა რეკენ ზარებს, რომ ქალაქის ადგილას ამ გვარ რეკაზე ცეცხლის მქრობი რაზმი უთუოდ ფეხზე დადგება. ზოგი ისე ნელ-ნელა რეკს, რომ სწორეთ დიდმარხვას მოგაგონებსთ. ერთი სიტყვით ძნელია ჩვენში ეკლესიების ზარების რეკა ერთნაირად მოისმინოთ. მერე რისგან ხდება ზარების რეკის ასეთი არევ-დარევა? კრებულის დაუდევნელობისა და მათის მხრით თვისი მოვალეობის უვიცობისა გამო. გადაშალეთ ჩვენი საეკლესიო წიგნები და წაიკითხეთ ყოველი დარიგება ზარების რეკის შესახებ. იქ დაწვრილებით არის აწერილი, თუ როდის და როგორ დარეკონ. იქ გარკვევით არის მოთხრობილი დიდი ზარა როგორ დაირეკოს და თუ დიდ ზარას გარდა არის სხვა მორჩილი ზარებიც, როგორ და რა დროს უნდა დარეკონ ისინი. მართალია ქავნის საათი ეხლანდელს საათზე არ არის შედარებული,. მაგრამ ამის გასწორება ყველას ადვილად შეუძლია, რადგან ქამნით ღამის საათი ცალკე ითვლება და დღის ცალკე. ზოგან რუსების ეკლესიებში წირვაზე ხშირად იმაზე მეტს რეკენ, რასაც ტიბიკონი უჩვენებს და ჩვენში კი ტიბიკონზე ნაკლებსაც.

ტიბიკონით ნაჩვენებია, თუ როდის უნდა დაირეკოს დიდი ზარით, მაგრამ ჩვენში დანიშნულ დროს ან დაასწრებენ და ან დააგვიანებენ. ტიბიკონში სწერია: მრეკელი ზარებისა მივალს და კურთხევას მიიღებს წინამძღვრისაგან ზარების დარეკისათვის. ჩვენში სანამ მღვდელი მივიდოდეს ეკლესიაზედ, მანობამდისინ სტაროსტა ან მედავითნე რეკს ზარებს. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ მღვდელი სრულებით არ ყოფილა მომზადებული საწირავად და აღარ მოდის. ხალხი უცდის ცოტა ხანს და შემდეგ შინ მიდის წირვა მოუსმენელი: ასეთი შემთხვევა სამწუხარო შთაბეჭდილებას ახდენს ხალხზე. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ შეცდომას ყველა ნიშნავს, მაგრამ გასწორება ვერ მოუხერხებია, და ვერ მოუხერხებია მიტომ, რომ სურვილი არა აქვს წესიერად საქმის ასრულებისათვის...

მღვდელმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს სამწყსოს შეხედულებას ზარების რეკაზე. ზოგან ზარის რეკას რომ გაიგონებენ, მაშინ მოემზადებიან და წავლენ ეკლესიაზე წირვის მოსასმენად, ფიქრობენ, რომ ზარები დარეკეს მიტომ, რომ ხალხი შეიკრიბოს ეკლესიაზედ. ზარების რეკითვე ტყობილობს მრევლი, რომ მღვდელი მწირველი იქნება იმ დღეს. ზოგიერთი მღვდელი, ტიბიკონისამებრ, დარეკენ თუ არა ზარებს, მაშინვე დადგება წირვად და სანამ შორი ადგილიდან მრევლი მოვიდოდეს ეკლესიაზე, წირვა უკვე გამოსულია. ზოგან დილით ადრე დარეკენ და როცა ხალხი მოვა, მერე შეუდგებიან წირვას. წირვის შესრულებაც ერთობ განსხვავებულ დროს იციან. ერთი წირვას ათავებს ცრა საათზე, მეორე შუადღისას. დღეს, მადლობა ღმერთს, თითქმის ყველა მღვდელს აქვს საათი და ადვილი მოსახერხებელი

ერთსა და იმავე დროს წირვის დაწყება. ზამთრობით ათ საათზე ადრე არ უნდა იწყებოდეს წირვა და ზაფხულობით—რვა-ცხრა საათზე ადრე.

ერთვან ზარებს რეკენ წირვის დაწყებისას, მარტო დიდი ზარით ხუთჯერ შემოკვრენ ზარას, როცა მღვდელი იტყვის: «მიიღეთ და სჭამეთ». ერთჯერ რეკენ მწუხრზე და ერთჯერ ცისკარზე. ზოგან მწუხრზე და ცისკარზე ერთს დაწყებისას დარეკენ და მეორეს გათავებისას. ზოგან, განსაკუთრებით, რუსეთში რეკენ „მრწამსის“ გალობის დროს და წირვის გათავებისასაც.

ჩვენის აზრით რეკა უსათუოდ უნდა სრულდებოდეს ტიბიკონისამებრ და არა ტიპიკონის გარეშე; გთხოვთ, რომ ყველამ მიაქციოთ ამ ნაკლს ყურადღება და სავალდებულოდ დაუდგინოთ თქვენ მედავითნეთ და პონომრებს შეისწავლონ რიგიანი რეკა. მე ყველას განუმარტებდი აქ, თუ რა დროს და როგორ უნდა რეკდენ, მაგრამ დრო არ გვრჩება. მოითხოვეთ თქვენ მედავითნეთა და მნათეთაგან, რომ მათ თქვენდა ნება-დაურთველად არასოდეს არ გაბედონ ზარების რეკა ეკკლესიაზე და თქვენის ნება-დართვით რეკავდენ იმ დროს, როცა რიგია ზარების დარეკა, და ისე, როგორც ამას მოითხოვს ტიბიკონი.

(შემდეგი იქნება)

## ჩემი სასიამოვნო და სამწუხარო შთაბეჭდილებანი ევროპის საკულმწიფოებში მოგზაურობის დროს.

### პარიჟის ღვთის-მშობლის საკრებულო ტაძარი.

(გაგრძელება*)

საზოგადოდ ყოველ სახელმწიფოის სატახტო ქალაქებში არის თითო დიდი ტაძარი. ასეთი ტაძრებია რუსეთში: პეტერბურღში ისაკის ტაძარი და მოსკოვში ტაძარი ქრისტესი, ვენაში—წმიდა სტეფანეს ეკკლესია, რომში—პეტრე-პავლეს ეკკლესია და პარიზში ღვთის-მშობლის ეკკლესია (ნოტრ დამე).

პარიჟში პირველად ამ ტაძრის დათვალიერება განვიზრახე. ეს ტაძარი აგებულია პარიჟის ძველ ნაწილში, მდინარე სენის ახლო. ტაძრის და მაღლობი დასათვალიერებელი ადგილები და ეკკლესიის გვერდების ჭალერეის კარები ღიაა მნახველთათვის ათი საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე. ამ ტაძრის შენება დაწყებულა მეთორმეტე საუკუნეში და შენებულა მეთოთხმეტე საუკუნემდის. ამ ხნის განმავლობაში თუმცა ბევრი ცვლილება მოუხდენიათ შენების დროს და ბევრჯერაც განსაცდელი გამოუვლია ტაძარს, მაგრამ თავისი პირველი გეგმა და შენობის ხასიათი არ გამოუცვლია მას. პირველად რომ ნახავთ ამ ტაძარს, იგი, მაინცა-და-მაინც, არაფერ შესანიშნავად გეჩვენებათ და პარიჟის სხვა ეკკლესიები კიდეც უფრო მოგეწონებათ, მაგრამ რამდენს მეტს დააკვირდები, იმდენად თქვენ დიდებულად წარმოგიდგებათ ძველის-ძველი გოტიური გეგმა და ხასიათი შენობისა და ბოლოს რწმუნდებით, რომ მთელს პარიზის ეკკლესიებში ეს ეკკლესია არის ყველაზე დიდებული და ლამაზი შენობით. შენობა თუმცა კარგა მოზრდილია, მაგრამ რადგან გარშემო დიდი სახლები აქვს და მახლობლად შესანიშნავი ხელოვნურად აგებული სხვა-და-სხვა საზოგადო და კერძო ძეგლები და შენობებია, ამისათვის დიდი შესამჩნევი აღარ რჩება იგი მნახველთათვის.

როცა ჩვენ შევედით ამ ტაძარში დასათვალიერებლად, ჩვენთან ერთად შემოვიდნენ ინგლისელი და გერმანელი მოგზაურები თითქმის 50 სულზე მეტი. ჩვენი შესვლის დროს სწორედ წირვის წინეთ ლოცვა დაიწყეს. ლოცვის მკითხველი სწორედ რუსის არხიდიაკონს მოგვაგონებდათ. იგი ბოხი და მაღალი ხმით კითხულობდა ლათინურად. შემდეგ ლოცვისა დაიწყეს წირვა. ამ ეკკლესიაში მრავალი უფროსი და უნცროსი სამღვდლო პირები არიან. ლოცვა, მგალობელთა გალობა და მუსიკა სწორედ კაცის ყურთა სმენას ატკბობს. ამ ტაძარში მრავალი ტრაპეზები (ჩვენებურად სამწირველო) და მრავალი საალსარებო პატარა ოთახებია. ეს ეკკლესია მეცამეტე საუკუნეში ძლიერ მაღლობ ადგილზე იყო, მაგრამ დღეს სხვა ადგილებთან შედარებით თითქმის მდაბლად მოჩანს.

*) იხ. „მწყემსი“ № 21, 1900 წ.

უმშვენიერესი ნაწილი პარიზის ღვთის მშობლის ტაძრისა არის პირველად მისავალი დასავლეთის მხრისაკენ კედელი, რომლის შენობა ეკუთვნის მეცამეტე საუკუნის დასაწყისს. დასავლეთის მხრის კედლის სიმაღლე არის ოცდა თორმეტი საჟენი ეკკლესიის კოშკების სიმაღლემდე. შენობა სამ სართულიანია. მეორე სართულის ქანდაკება წარმოადგენს მეორეთ მოსვლის საშინელს სამსჯავროს. კარები და კედლები თითქმის დაფარულია მშვენიერი ქანდაკებებით საღმრთო ისტორიიდგან. მეორე სართულშია გალერეია, რომელშიც გამოფენილია საფრანგეთის კოროლების 28 ქანდაკებანი ხილდებერტიდამ დაწყებული ფილიპე ავგუსტომდე. გალერეიის ზემოთ არის ქანდაკება ღვთის-მშობლისა, რომლის აქეთ-იქით ანგელოზები დგანან და მარჯვნივ და მარცხნივ ადამ და ევას ქანდაკებაა. უმთავრესი შვენება მეორე სართულისა არის რგვალი ფანჯარა, რომლის სიგრძე-სიგანე არის შუა გულზე ცხრამეტი არშინი. ეკკლესიის სახურავ ზემოთ ამართულია ორი დიდი ოთხ-კუთხიანი კოშკი ყოველი გვერდით ოც-და-ოთხი არშინიანი და სიმაღლითაც ამოდენოვე. თითეულ ამ კოშკში არი დიდი ზარები. გარეგანი შეხედულებით ეს ტაძარი თუმცა დიდი არ გეჩვენება, მაგრამ შიგ რომ შეხვალთ, მაშინ ცხადათ შენიშნავთ მის სიდიდეს. შიგნით ეს ტაძარი არის სამოცი და სიგანით ოც-და-ოთხი საჟენი, სიმაღლით ჩვიდმეტი საჟენი. ამ ტაძარში არის მუსიკა, რომელიც უკრავს 86 სხვა-და-სხვა საგალობელს და აქვს 6000 დასაკრავი ხმის მილები. შესანიშნავია მგალობელთა ადგილები და სამღვდელო პირთა დასაჯდომელი ადგილები, რომელნიც მშვენიერად მორთულნი არიან სხვა-და-სხვა ისტორიული ქანდაკებით იესო ქრისტეს და ღვთის-მშობლის ცხოვრებიდან. ტრაპეზის და სამგალობლის შესავალი კარები არის რკინისა მშვენიერი ხელოვნების რიკულით, რომლის წყალობით ყველაფერი იხედება საღმრთო ლიტურღიის და ლოცვის დროს. ეკკლესიაში შიგნით თაღებია გადაყვანილი მშვენიერ გოტიურ გეგმაზე და თაღები დანდობილია ოცდა ათ დიდ სვეტზე. ტრაპეზი, მგალობელთა და მკითხველთა ადგილები თავისუფალია ამ თაღებისაგან და ეს ადგილი სულ სხვა ნაირად ლამაზად არის მოწყობილი. ამა ტაძრის სალაროს, ე. ი. შესანიშნავი ნივთების შესანახავის ოთახში შესვლა შეიძლება მხოლოდ ბილეთით, რომელიც ღირს ნახევარ ფრანკად (ჩვენებურად 18—19 კაპეიკია). აქ არის შესამჩნევი ნივთები, მაგრამ დიდი შესანიშნავი მაინც და მაინც არაფერია.

ტაძრის მაღალი კოშკებიდან დათვალიერება პარიზისა ძლიერ სასიამოვნო არის. სანამ კოშკზე ახვიდოდეთ, თქვენ გარდაგახდევინებენ კიდევ ბილეთისათვის ერთ აბაზს და გაჩვენებენ ღვთის-მშობლის ზარას, რომელიც შესანიშნავად დიდია. ეს ზარა არის 16000 კილოგრამი და ენა იწონის 488 კილოგრამს.

რომ ნამდვილი აზრი შეადგინოთ პარიჟის ღვთის-მშობლის ტაძრის სიდიადეზე, უნდა შემოუაროთ გარშემო და კარგად დაათვალიეროთ მისი რკინის რიკულით შემოღობილი ბაღი, რომელშიაც არის მშვენიერი შადრევანი და სხვა და სხვა შესანიშნავი ქანდაკებანი.

ამ შესანიშნავი ტაძრიდან ძლიერ ახლოს არის ერთი სახლი, რომელსაც ქვიან მორგ. აქ ყოველ დღე გამოდგმულია ტახტით ქალაქში ნახული უპატრონო მკვდრები ხანდის ხან თითო კვირაობით. ოთახის ჰაერი გაცივებულია, რომ მიცვალებულის გვამი მალე არ გაიხრწნას. ნიადაგ მიდის ხალხი და ათვალიერებს ამ ოთახში მიცვალებულთ. კედლებზე ჩვენ ვნახეთ შემდეგი განცხადება: „მართებლობა სთხოვს ყველას, რომ უჩვენონ და შეატყობინონ ვინაობა გარდაცვალებულთა, თუ იცნობენ მათ. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ მართებლობა გახდის მათ ვალდებულად ხარჯი მიიღონ დასაფლავებაზე, თუ გინდ რომ იგინი მახლობელი ნათესავნიც იყვნენ გარდაცვალებულთა. მართებლობას მხოლოდ სურს გაიგოს ვინაობა გარდაცვალებულთა, თორემ იგი თვითონ კისრულობს ყოველ გვარ ხარჯს მიცვალებულთა დასაფლავების შესახებ“. თუ არავინ აღმოუჩნდა პატრონი ამ გარდაცვალებულთა, შემდეგ სურათს იღებენ ამ გარდაცვალებულთაგან და მიწას მიაბარებენ. ყოველ დროს შეუძლია კაცმა შეიტყოს ამბავი უეცრად დაკარგულ კაცის შესახებ, თუ იგი მკვდარი უნახავთ პარიზში და ამ სადგომში ყოფილა დასვენებული. ხშირი შემთხვევაა, რომ არ იციან, ვინ არის მკვდარი და არც არავინ პატრონი აღმოუჩნდება ხოლმე. დიაღ, დასაფიქ-

რებელია ეს გარემოება ამისთანა დიდებულ ქალაქში. მართალია, ქალაქის მცხოვრებნი სამ მილიონ ნახევრამდისინ არიან, მაგრამ მაინც არავინ არ უნდა მოკვდეს ისე, რომ პატრონი არ ალმოუჩნდეს. ეს სამწუხარო მოვლენა ცოტა არ იყოს წინააღმდეგია იმ ძმობისა და ერთობისა, რომლითაც ასე ამაყობს საფრანგეთი.

ღვთის-მშობლის შესანიშნავ ტაძარში ორჯერ კიდევ შევედით პარიზში მყოფობის დროს და უნდა მართალი გითხრათ, რომ ყოველთვის მშვენიერ შთაბეჭდილებით გამოვედით ეკკლესიიდან. მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე მლოცველების ხშირი სიარული ტაძარში სალოცავად. ერთხელ შევნიშნე ეკკლესიაში აქეთ-იქით დამჯდარი ხალხი, რომელიც ლოცვილობდა საიდუმლოდ. მე მეგონა, რომ მღვდლის მოსვლას ელოდენ იგინი, მაგრამ მღვდელი არსად სჩანდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთი ნაწილი მლოცველებისა რომ გავიდა გარეთ და წავიდა, მერე სხვები მოვიდნენ და მათ დაიწყეს ლოცვა, ზოგმა მუხლმოდრეკით, ზოგმა მჯდომმა. ბოლოს შევიტყვეთ, რომ აქ ხალხი წირვისა და საზოგადო ლოცვებს გარდა, ისეც დადის ეკკლესიაში სალოცავად. ამისათვის ტაძრის კარები ღიაა. თუ მლოცველს თავისი პატარა ლოცვანი არა აქვს, მაშინ ლოცვები წინ ტრაპეზების სიახლოვეს არის რამკებში ჩასმული და რომელი ლოცვაც უნდა, იმას წაიკითხავს., ამ საიდუმლო ლოცვების დროს არც გალობა, არც მუსიკა და არც კითხვა არ არის სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთაგან. დღის განმავლობაში ამ ნაირი მლოცველები მრავალი შედის ტაძარში, სანთელს ყიდულობს, ანთებს ტრაპეზთან და მიდის თავისთვის. სანთელის სიწმინდეზე არ ყოფილა ყურადღება მიქცეული. სანთელი ცვერზედ ნარევია და მისი სამაგელი კომლი აფუჭებს კედლებს.

ერთ ადგილას კედელზე შევნიშნე „ტაქსის“ მსგავსი დაბეჭდილი ქაღალდი ჩამოკიდებული, სადაც ფასები იყო ნაჩვენები ოცი სანტიმი, ათი და ხუთი. (ფრანკი დღეს ღირს 38 კ. ერთ ფრანკშია ასი სანტიმი და აქედამ გამოდის; რომ სანტიმი ნახევარ კაპეიკზე ნაკლებია). მე ვიფიქრე, რომ ეს ფასი, „ტაქსა“ ალბათ მღვდელ-მოქმედების შესასრულებელია-მეთქი, მაგრამ როცა გამოვიკვლიე, შევიტყვე, რომ ეს ფასები სკამების ქირა ყოფილა წირვაზე და სხვა საზოგადო ლოცვების დროს... ნეტავი რა იქნებოდა, რომ ჩვენშიც რომე ქირა ყოფილიყო დადებული ეკკლესიაში შესვლისათვის?!.

ამ ეკკლესიას გარდა ჩვენ დავათვალიერეთ პარიზის სხვა რამდენიმე ეკკლესიებიც, რომელნიც მდიდრულად არიან აგებულნი და მშვენიერად მოწყობილნი. შესანიშნავია ყველა ამა ეკკლესიების ერთნაირობა და სიმარტივე ყველაფერში. ზოგიერთი ეკკლესიები თავისი „პორტალებით“ და მშვენიერი დიდრონი სვეტებით თქვენ მოგაგონებსთ რუსეთის სატახტო ქალაქების ეკკლესიებს. პეტერბურღის ყაზანის ტაძრის წინა მისავალი მოედანი და შესავალი ადგილი თავისი სვეტებით და აგრეთვე ისაკიევის ტაძრის გეგმა პირდაპირ პარიზის ეკკლესიებისაგან არიან გადაღებულნი. ისაკის ტაძრის გეგმა შედგენილია ფრანცუზის მონფერანდისაგან და ამისათვის ეტყობა კიდეც გეგმას უცხოეთის ხასიათი.

(გაგრძელება იქნება)

# სიკვდილი.

ქვეყანა, ჩვენ მიერ ხილული, სავსეა მღვთის მიერ გაჩენილის მრავალ გვარ სულიერ არსებაებით, რომელნიც, როგორც კაცი, იბადებიან, იზრდებიან, ცხოვრობენ, მოქმედებენ თავიანთ არსებითი დანიშნულების წეს-რიგზე და შემდეგ იხოცებიან, ქრებიან დედა-მიწის პირიდამ... მაგრამ ვერც ერთი სადედამიწოთ შექმნილი სულიერი არსება ვერ შეედრება ადამიანს. ადამიანი ყველაზე უდიდებულესია, უსრულესია, უჭკუიანესია, უმეცნიერესია, უგონიერესია, უმშვენიერესი და უძლიერესია... კაცი მეფეა ამ ქვეყანაზე მცხოვრებ ყოველ გვარ სულიერ არსებათა. ადამიანი უდიდებულესი დამამშვენებელი

გვირგვინია მთელი მსოფლიო ქვეყანისა. ეს, რასაკვირველია, ასეც უნდა ყოფილიყოს, რადგან კაცი უბრალო და მდაბალ ხარისხოვანი ქმნილება კი არ არის უზენაესის შემოქმედისა, არამედ მზგავსება და ხატება მღვთისა. ადამიანი უმახლობელესი ნათესავია კაცთათვის ჯვარცმულის მაცხოვრისა; ე. ი. თვით მღვთისა... მაგრამ ამ უმაღლესის დიდებით შემოსილს არსებას, ამ ხატებას მღვთისას, მრავალ გვარი უბედურება და განსაცდელიც დაჰყოლია თან, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს ამ სოფლად ყოფნისა და ცხოვრების ხანაში. მაგრამ არც ერთი უბედურება, არც ერთი განსაცდელი, რომელიც უნდა გამოიაროს ადამიანმა ამ წუთის სოფლის ცხოვრებაში, არ შეედრება სიკვდილს; სიკვდილი ყველაზე უსაშინელესი და უმძიმესი უბედურება არის ადამიანისა, ყველაზე უმწარესია და უფრო თავზარ დამცემი და ღრმად აღმაშფოთებელი... მარტო ერთი სახელის ხსენება, ოცნებით წარმოდგენა ამ საშინელის სტიქიონისა საკმაოა, ადამიანი, ეს უჭკვიანესი და უძლიერესი არსება მღვთისა, სულითა და გულით აღაშფოთოს და მოიცვას შიშის ზარით. ხოლო სიკვდილის მოახლოების ჟამს კი, დიდი და პატარა, სუსტი და ძლიერი, მდიდარი და ღარიბი, მეცნიერი და უმეცარი, ჭკუიანი და უჭკუო, გონიერი და უგნური, ერთნაირად თრთიან და ჰგმინავენ... თვით მსოფლიო გენიოსები, ბრძენები და მეცნიერნი ვერ ძლებულობდნენ, რომ სიკვდილს დამშვიდებულის სულითა და გულით დახვედროდენ, და ვერ ძლებულობენ დღესაც... მაგრამ რა საჭიროა მომაკვდავ ადამიანებით დავასაბუთოთ ზემო თქმული, როდესაც თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტეც მცირეოდენ შეშფოთდა ხორციელ სიკვდილის მოახლოების ჟამს და ბრძანა: „შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკვდილადმდე". დიახ, ასეთი საშინელი რამ არის სიკვდილი; ასეთი მწარეა ადამიანის ხორციელ ტაძრიდამ აღმოსვლა და განშორება მღვთის მიერ შთაბერილის სულისა. ისეთი შემაძრწუნებელია დარღვევა ადამიანის მშვენიერ და სიცოცხლით სავსე ხორციელ აგებულებისა... მაგრამ თუ კი მოვიხმართ და გამოვიყენებთ იმ უმაღლესს და უსრულესს ჭკუა-გონებას, რომელიც მიუნიჭებია კაცისათვის ღმერთს და განვიხილავთ დამშვიდებულის წმ[illegible]ელობით ამ ღრმა საიდუმლოებით მოცულს მოვლენას, მაშინ ცხადათ დავინახავთ, რომ სიკვდილიც არ გაუჩენია ღმერთს კაცთათვის უსარგებლოდ. როგორ!! რითია სიკვდილი სასარგებლო?! — რა უნდა ისარგებლოს ადამიანმა ამ სიცოცხლის მქრობელ საშინელ მოვლენისაგანო, იკითხავს განცვიფრებული მკითხველი; — როგორ არა?! სიკვდილი, დიდი ჭკუის მასწავლებელი და გონების თვალის ამხელი მოვლენა არის ადამიანთათვის. ადამიანი რომ შეგნებული იყოს სიკვდილის გაჩენის დედა აზრის და ყოველთვის მეხსიერებაში ჰქონდეს იგი აღბეჭდილი, მაშინ ამ ქვეყნად კაცობრიობის ცხოვრება სწორედ ანგელოზური იქნებოდა. მაგრამ ადამიანს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია როგორც სიკვდილის მნიშვნელობა, მეორეც თვისი ამ ქვეყნად მოწოდების დედა აზრი... კაცი თუ იმაზე არ არის დარწმუნებული, რომ უკვდავი მკვდარია ამა ქვეყნისა. იმაზე ხომ დაჯერებულია, რომ ხანგრძლივი მოინახეა ამ ქვეყნად მღვთის მიერ გამართულის მეჯლიშისა. ამ რწმენის გამო ბუნება ადამიანისა გატაცებულია, რომ შოიპოვოს ამ ქვეყნად ყოველ გვარი უპირატესობა: მაღალი ხარისხი, დიდება, მოიხვეჭოს მრავალი სიმდიდრე და დასტკბეს ხორციელად ამ ქვეყნიურ ნეტარებით. ადამიანი არა გვარ ღონისძიებას არა ზოგავს ამ მიზნის მისაღწევად. ძმა-ძმას არა ზოგავს, რომ მისი დაცემითა და დამდაბლებით თვითონ აღსდგეს და ამაღლდეს, ერთი მეორეს პირში ლუკმას ართმევს, სცარცვავს, სარჩო-საბადებელს ხელიდამ აცლის, რომ ამით თავის ნივთიერი ავლა-დიდება გაიორკეცოს! ერთი მეორის შურით არის აღვსილი, თუ თავის თავზე უპირატესობა რამ შეამჩნია და სცდილობს როგორმე დალუპოს იგი!.. კაცი, რაც უნდა მან მაღალს ხარისხზე მიაღწიოს, რაც უნდა ბევრი სიმდიდრე მოიპოვოს, მაინც არა ძღება, არ არის კმაყოფილი და კიდევ იმის ზრუნვაშია, მეტი მოიხვეჭოს; საზოგადოდ ადამიანი გატაცებულია ერთი მხოლოდ ამ ქვეყნიურ ხორციელ ნეტარების და სიმდიდრის მოპოების მიზნით. აი აქ შეგვიძლია გამოვიყენოთ და ვისარგებლოთ სიკვდილით, და მრუდი, შემცდარი გზიდამ გადავიდეთ სწორსა და ჭეშმარიტების გზაზედ. მართლა რა არის სიკვდილი? თუ არ მამხილებელი მისა, რომ ადამიანი საუკუნო მკვიდრი და პატრონი კი არ არის ამ სიმპატიურის ქვეყანისა,

არამედ დროებითი მოწვეული სტუმარია; რა არის სიკვდილი, თუ არ სამღვთო საბუთი იმისა, რომ ამ ქვეყნად არსებობა და ცხოვრება ადამიანისა არის ერთი მხოლოდ მოსამზადებელი კლასი მომავალის უკვდავის და ნეტარის სულიერ ცხოვრებისათვის... დიახ, იხილეთ, ამ აზრის მოწინაალმდეგენო: მაღალ-ხარისხოვანი ძლიერნი ამა ქვეყნისანი, რომლის ერთი შუბლის შეჭმუხვნა მილლიონ ხალხს შიშის ზარს სცემდა. იხილეთ მდიდარნი ამა სოფლისანი, რომელთ ნივთიერს სიმდიდრეს ვერ იტევდა მათი უზარ-მაზარი სალაროები, მდებარე ცხედარსა ზედა და ისწავეთ ჭკუა... რითი განირჩევა ამ ქვეყნის დიდებულთა და პატრონთა, ამ ყანგარიში მილ-ლიონთა მქონებელთა გვამი, საწყალ ღარიბის უსულო გვამიდამ? რა უშველა, რას მოეხმარა მდი-დარს თავის ანგარებით მოხვეჭილი სიმდიდრე სიკვ-დილის ჟამს? რა მიყვება მას თავის უანგარიშო ქონებიდამ? არავითარი გარდა რამოდენიმე არშინის ტილოსი და ორიოდე ლერი ფიცრისა. სად არის სრა-სასახლე მდიდრის, მდიდრულის ცხოვრებით და ფუფუნებით დამთვრალის ხორციელ აგებულებისა? დედა-მიწის ღრმა თხრილში... დიახ, სიკვდილზე უფრო თვალ-საჩინოდ დამამტკიცებელი იმისა, რომ ადამიანი დროებითი მოწვეულია მიწიერს ქვეყანაზე და რომ ის ისე კი არ უნდა სცხოვრებდეს ამ სო-ფლად, როგორც უცხოვრია ანუ დღეს ვსცხოვრებთ, არამედ სულ სხვა ნაირად, რაღა უნდა გაეჩინა უმაღლესს შემოქმედობას?! ადამიანი, სხვათა შორის, იმითია უმაღლესი და უდიდებულესი ამ ქვეყნის ყოველ გვარ ხორციელ არსებაზე, რომ იგი მარტო საამქვეყნოდ არ არის გაჩენილი. ყოველ გვარი ხორციელი არსება გარდა კაცისა, მოკვდება თუ არა, საუკუნოდ ისპობა მისი არსებობა, რადგანაც მათთვის მეორე მსოფლიო სულიერი ცხოვრება აღარ არსებობს, ადამიანი კი, როგორც ხატება ღვთისა, მოკვდება თუ არა ხორციელად, იგი გარდაიცვლება სიკვდილისაგან ცხოვრებად. გან-შორდება თუ არა სული თავის ხორციელს ტაძარს, იგი მიემართება ზეციურს მსოფლიოში, სადაც არ-სებობს და სიცოცხლე ადამიანის სულთა დაუსრუ-ლებელია... ამისათვის ადამიანი თავის ამ ქვეყნად ცხოვრების ხანაში მარტო ხორციელის ნეტარების, დიდ-კაცობის და სიმდიდრის მოპოვებისათვის კი არ უნდა ზრუნავდეს, არამედ უფრო სულიერ ცხოვნებისა და ნეტარების მოპოებისათვის. მაგრამ ადამიანს თითქო ყოველივე ეს გაუშვია მხედველო-ბიდამ, და ამ ქვეყნიურ ხორციელ ნეტარებისა მა-ღალის ხარისხისა და სიმდიდრის მოპოებისათვის უფრო ზრუნავს და იბრძვის, ვიდრე სულიერ ნეტა-რების მოპოებისათვის ადამიანს მაინც ხორცი გა-უხდია ბატონად სულისა და მის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელად ხმარობს იმ უმაღლეს ჭკუასა და აზროვნობას, იმ გონებრივ ძალას, რომელიც მიუნიჭებია მისთვის ყოვლის შემომქმედს, რათა მათის შემწეობით შესძლოს დაუახლოვდეს ღმერთს და მოიპოვოს სულიერი უკვდავი ცხოვრება ზეცი-ურს მსოფლიოში...

ქაიხოსრო გედევანი.

## ძველი დროის დივანბეგის ეპისტოლე.

მე არ მიყვარს „თემიდა“-ში
მაღალს ფრაზზე საუბარი,
ვინც რომ ჩემთან სჩივის რასმეს
ჩუმად მიძღვნას საურავი...

—

საქმეს მაშინ გავუკეთებ,
გავამარჯვებ კამერაში,
თუ არ ქრთამით, მე სამართალს
არვის ვაძლევ „თემიდა“-ში.

—

მეჯავრება მე მართალი;
რადგან არის ჯიბე ხმელი,
მტყუანი კი გულს მიხარებს
ბლომად ოქროს მისგან ველი.

—

ცარიელის სიმართლითა
ფონს არ გამყავს მომჩივარი,
თუ მას ჩემი თანაგრძნობა
წინვე არ აქვს ნაშოვარი...

ქაიხოსრო გედევანი.

## «მწყემსის» კორრესპონდენცია.

ქ. ფოთი. 5 ნოემბერს გურია-სამეგრელოის ეპისკოპ. ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ ფოთის საკათედრო სობოროს მღვდლად აკურთხა იმავე სობოროს პირველი დიაკონი გიორგი გეგეჭკორი, რომელიც მსახურებდა ამ საკათედრო სობოროში ოცდა-ექვსი წელიწადი. მამა გიორგი მსახურებდა ოთხი მღვდელ-მთავრის ხელში: ნეტარ ხსენებულ გაბრიელთან, ბესარიონთან, გრიგორთან და აწ ალექსანდრესთან. თვისი კაი მსახურებით მ. გიორგიმ დაიმსახურა ხსენებულ მღვდელთ-მთავრების ყურადღება და ერთგულება. ფოთის მართლ-მადიდებელმა საზოგადოებამ მ. გიორგის უძღვნა მკერდის ჯვარი ვერცხლისა და შემდეგი სიტყვა უთხრა მამა გიორგის:

«მამაო გიორგი! დღევანდელი დღე ღირს სასიხარულო დღეა ყველა ჩვენთვის, რადგან თქვენ ჩვენ შორის იმსახურეთ თუთხმეტი წლის განმავლობაში დიაკვნად და დღეს დაინიშნეთ სულიერ მწყემსად. თქვენ ჩვენ შორის დღემდის მსახურებდით დიაკვნად, უმდაბლესად ვმადლობთ მათ მეუფებას ყოვლად სამღვდელოს ალექსანდრეს, რომ ასეთი ყურადღება მოიღო ჩვენზე და თქვენ დაგნიშნათ ჩვენ სულიერ მწყემსად. ჩვენც წინდად ჩვენი თქვენდამი ღრმა სიყვარულის და პატივისცემისა გილოცავთ ვერცხლის მკერდის ჯვარს, რათა მადლი ჯვარისა გიძლოდესთ თქვენ ამ ახალს სამსახურში».

საზოგადოებას მამა გიორგიმ მადლობა გადაუხადა და შემდეგი სიტყვა უთხრა: „ამ თქვენი ჩემდამო ბოძებულ ჯილდოთი თქვენ წამაქეზეთ და გამაფრთხილეთ მომავალში თქვენს წინაშე კეთილ და სასარგებლო მსახურებაზედ. იმედი მაქვს, რომ თქვენ ყველანი მოძღვრებასა და დარიგებასა ჩემსა ყველა თქვენგანნი მიიღებთ ჩემგან სიყვარულითა და აღასრულებთ სათნოებითა ღვთისათა. მასთანვე გთხოვთ ილოცოთ ყველამ, რომ ჯვარი ესე როგორც გარეგანად გულზე დასაკიდებელია ისე მნიშვნელობა მისი შინაგანათაც გულსა-ჩემსა მუდამ იყოს განმსჭვალული, რათა ძლიერებითა მისითა განვატარო მძიმე ტვირთი მსახურებისა ჩემისა წინაშე თქვენსა სათნოდ ღვთისა და სასარგებლოდ ქრისტეს ეკკლესიისა".

ყოვლად სამღვდელო ალექსანდრემ მადლობა გამოუცხადა საზოგადოებას, რომელმაც წარსული დროის გატარებული სამსახური მ. გიორგისა ჯეროვანად დააფასა. შემდეგ ყოვლად სამღვდელომაც მიმართა მამა გიორგის სიტყვით და უსურვა, რომ იგი მომავალშიაც იქნეს მხნე მსახურად ქრისტეს ყანაში. მამა გიორგიმ ყოვლად სამღვდელოს პასუხად მოახსენა შემდეგი: „ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, უმოწყალესო მწყემსთ-მთავარო! შთამომავლობით კეთილ-შობილი და ერის კაცის ოჯახში აღზრდილი სიყრმიდანვე ვხედავდი მშობლებთა მუდამ ღვთისადმი ლოცვა-ვედრებასა. მეცა გული აღმევსო სათნოებითა და სიყვარულითა ღვთისათა და გავხდი მოშურნე სასულიერო წოდებისა. მსურდა ვყოფილიყავი ქრისტეს ყანაში მწყემსად მისი ეკკლესიისა. თავიდანვე სასულიერო უწყებასა შინა სამსახური ვიწყე მარტვილის საკათედრო სობოროსა შინა. განუსვენოს ღმერთმან ნეტარ ხსენებულთა გაბრიელ და ბესარიონ ეპისკოპოსთა, რომელთაც მე წამახალისეს ეკკლესიის მსახურებისადმი. აცოცხლოს და აღდეგრძელოს ღმერთმან ყოვლად სამღვდელო ეპისკ. გრიგოლი, რომელმანც მე დიაკვნად ხელი დამასხა, მარტვილის საკათედრო სობოროიდგან გადმომიყვანა აქ ფოთის საკათედრო სობოროსა შინა და აგერ თუთხმეტი წელი მიმდინარეობს, რაც აქ ვმსახურებ. დღიდან დიაკვნად კურთხევისა ვცდილობდი მღვდლად კურთხევასა და დღეს ვეღირსე სურვილის აღსრულებასა. დღეს, თქვენო მეუფებავ, აღმიყვანეთ თქვენ მღვდლობის ხარისხზედ. საკათედრო სობოროში ოცდა-ექვსი წლის სამსახურით დამაშვრალი, შემთხვევით შვილების მძიმე ავადმყოფობით მეტის მეტი დასჯილი და მორჩენის უიმედობისა გამო თითქმის ხორციელი ძალა გამოლეულ მდგომარეობასა შინა მყოფი ამა

წარსულს 22-ს სეკდემბრის თვისას თქვენ, მეუფეო, უეცრად გამომიხმეთ მე და დანახვისთანავე თქვენ თქვენის ოქროს პიროვან სიტყვებით, მზგავსად მთავარ ანგელოზის გაბრიელისა, მახარეთ ღვთისა მიერი თქვენი მოსაზრება, მიბრძანეთ: თქვენ გსურთ გაკურთხოთ მე დრომდი ფოთის კათედრის მღვდლად? ადვილად წარმოიდგენთ თქვენ, მეუფეო, და ყველა აქ მსმენელნი, თუ ესრეთი მწყემსთ-მთავრისაგან რა სულიერი სიხარულის გრძნობებს დაბადებდა ჩემში, გარნა ესრეთი მოულოდნელი მოვლენისათვის მადლობელ ღვთისა და თქვენის მეუფებისა სიმდაბლით მივიღე გამოცხადება იგი და დღეს კიდევაც განახორციელეთ. უმდაბლესად გმადლობთ, მეუფეო, ამ ყურადღებისათვის, ღმერთმან ორთავე ცხოვრებასა შინა თქვენცა მოგაგოსთ ყოველივე კეთილი. რასაკვირველია მანამდინაც კრძალვით და სიმდაბლით მიგეგებულ ვიყავ, მარა ეხლა მაინც, შემდგომ თქვენ მიერ ჩემზედ სულის წმიდის გადმოწვევისა უმეტესად ვშიშობ და ვძრწი, მეუფეო, ამ მძიმე მოვალეობისადმი: რადგან ძალა მხილებას მიყოფს და აჩრდილივით წინ წარმომიდგებიან და მეუბნებიან: შენთვის ცა და ქვეყანა ახალია, ძრწოდე და გეშინოდეს მძიმე მწყემსებრივ მოვალეობისა! მასთანვე, სიტყვა მოციქულისა: „ეკრძალენით თავთა თქვენთა და ყოველსავე სამწყსოსა, რომელი ეგე დაგადგინა თქვენ სულმან წმინდამან მოღვაწედ და მწყსად ქრისტეს ეკკლესიათა, რომელი მოიგო სისხლითა თვისითა“. ამით აწ უნდა განვეკრძალო თავსა თვისსა სიტყვითა და საქმითა სულ სხვა უნდა ვიქნე, სიფრთხილით უნდა დავმწყსო ქრისტეს სისხლით გამოხსნილი ქრისტეს ეკკლესიის—სამწყსონი ჩემნი ისე, რომ თუ არ შევმატებ სიკეთესა და მადლსა, ის დამწყსილი მაინც არ წარუწყმიდო და ისე წარუდგინო მეორედ მოსვლის დროს მაცხოვარსა ჩვენსა. უძლურება ჩემი, ყველა სამწყსოთა ჩემთა კეთილ მიმართულება და კეთილ ზნეობასა უნდა შევუფარდო (შეუთვისო) ე. ი. მწუხარეთა და მგლოვარეთა ნუგეშინის მცემელ ვიქნე, მოლხინეთა ულხინო, ქვრივ-ობოლთა და გაჭირვებულთა მივსცე ხელი შეწევნისა, უსწავლელთა და უვიცთა უნდა ვასწავლო და მრავალი მსგავსი ამისა...

თქვენო მეუფებავ, რომ ესენი ჭეშმარიტად გავამართლო, მე უნდა ვიყო უმაღლესად სამღვთის მეტყველო საგნებში განვითარებული დახელოვნებული, უმაღლესად ჭკუიანი, გონიერი და შორს გამჭვრეტი, უმაღლესად ჯანმრთელობის მქონი და გადამეტებულად ნივთიერი საშუალებაებით განზეჯითებული... მე თითქმის ყველა ამათაგან ჩამოქვეითებულსა ვითარ ძალ-მიძს გამართლება ესრეთი მძიმე საპასუხის გებო დანიშნულებისა; ამისათვის მოვიქცევი ისევ თქვენი მეუფების წინაშე უმდაბლესი თხოვნით, რათა თქვენ, მეუფეო ჩემო, და მწყემსო ჩემო, აწცა მოიღებდეთ ჩემს ულირსებაზედ თქვენსა უხვსა ყურადღებასა. სიტყვითა და საქმით თუ ნივთიერებით აღმომიჩენდეთ ამ მოვალეობისადმი თქვენგან მოსალოდნელსა დახმარებასა და შეწეობასა. მამხელდეთ ნაკლულევანებათა ჩემთა და განმამტკიცებდეთ მოვალეობასა შინა ჩემსა. ილოცავდეთ ჩემს ულირსობაზედ, რათა გარდამატებულმან მადლმან და ლოცვამან თქვენის მეუფებისაგან გადაემატოს ჩემთა ნაკლულევანებათა და ულირსებათა, რომ მსახურება ჩემი იქნეს სათნოდ ღვთისა და სასარგებლოდ ქრისტეს ეკკლესიისა ისე, რომ მეორედ მოსვლის დროს შემეძლოს მაცხოვრის წინაშე თამამად წარსდგომა და თქმა: აჰა! მე და სამწყსონი ჩემნი, რომელნი მომცა მე ღმერთმან».

საზოგადოება ძლიერ მოხარული იყო, რომ მ. გიორგი მათ მწყემსად დაინიშნა. მამა გიორგის ამ დღეს მოსკოვიდან გრიგორი ეპისკოპოსისაგან და სხვებისაგანაც მრავალი მოსალოცი დეპეშები მოუვიდა.

დ-მსწრკ.




ელექტრონის პავილიონი.

## ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

პირველ დეკემბრიდან გამოდის „ცნობის ფურცელი“ გაფართოებული პროგრამით და ფორმატით. მადლობა ღმერთს საქართველოს ეღირსა მეორე გაზეთი, რომელიც, ვგონებთ, თავის ფურცლებს არ დაუთმობს და მკითხველებს არ შეაწუხებს უშინაარსო სამასხარო „ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები“ სტატიებით. აგერ ორ კვირაზე მეტია, რაც „ცნობის ფურცელი“ გამოდის და გულს გვიტკბობს და მეტად სასიამოვნოდ მიგვაჩნია მისი მიღება და კითხვა. ამ გაზეთის ნამეტანი სიიაფეც, რასაკვირველია, დიდ საშუალებას მისცემს მკითხველს მის გამოწერისთვის. აი რას წერს რედაქცია, სხვათა შორის, თავის საპროგრამო წერილში:

„უფრო ხშირათ ჩვენს საქმეებს იკვლევ-იძიებენ ადგილობრივი რუსული გაზეთები; ამიტომაცაა, რომ ქართველი მკითხველი ჰშორდება ქართულ ჟურნალ-გაზეთობას. ჩვენ გვსურს შევებრძოლოთ ამ ანორმალურ გარემოებას ჩვენის ქვეყნის საქმეების შესახებ სჯითა და ბაასით, ჩვენის თანამედროვე ცხოვრების შესწავლა-გაცნობით და ამასთანავე გაზეთის ყველა განყოფილებათა გავსება-გაუმჯობესობით დავუბრუნოთ ქართველი მკითხველი ქართულ პრესსასო“.

ღმერთმან ინებოს ამ მშვენიერი აზრის შეგნება და გავრცელება ჩვენს ხალხში.

# ახალი ამბები და შენიშვნები.

---

როგორც გაზეთები მოგვითხრობენ, ტფილისში სახელ. ბანკში უნდა გაიყიდოს 46 მამული, რომელთა მეპატრონეთ ხვედრი შესატანი ფული არ შეუტანიათ ამ ბანკში, სადაც მამულების დაგირავებას ასე უჩქარიდნენ ჩვენი თავად-აზნაურნი. ეს სახელმწიფო ბანკი პირველად ბლომად იძლეოდა სესხს, მაგრამ მერე შეამცირეს, თორემ ჩვენი თავად-აზნაურების მამულები დღემდის მთლად დაგირავებული იქნებოდა ამ ბანკში.

* *
*

გაზეთები მოგვითხრობენ, რომ ბატონი ნ. ტატიევი, რომელსაც იმერეთის ეპარქიის სამღვდელოება კარგად იცნობს ქუთ. ოთხ-კლასიანი სასულ. სასწავლებლის ზედამხედველობის დროიდან და რომელი სამღვდელოებაც ბ. ტატიევისაგან ფულების დაბრუნებას ითხოვს, სარატოვის სემინარიის ინსპექტორად დაუნიშნავსთ. დიდი ხანია, სურდა ბ. ტატიევს რუსეთში გადასვლა და იქ სამსახური და ამ ბოლო დროს მაინც აუსრულდა სურვილი.

* *
*

მცირე ხანში შვიდი ეკკლესია გაქურდეს შორაპნის მაზრაში და დღემდის არ აღმოუჩენიათ ამ ეკკლესიების გამძარცველნი... ერთი პირი დავითნის დატრიალებით ურჩევს ამ ქურდების აღმოჩენას, მაგრამ ჯერეთ ადმინისტრაციას არ უშინჯავს ეს საშუალება...

* *
*

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურების წარმომადგენლებმა და საგანგებოდ არჩეულმა კომიტეტმა ბ. ილია ჭავჭავაძის მონაწილეობით თავი ისახელა ამ დღეებში, გარდასწყვიტა ასი წლის საქართველოს რუსეთთან შეერთება იდღესასწაულონ ამ ნაირად: დაპატიჟონ ყველა მინისტრები და გუბერნიის მარშლები მთელი იმპერიისა ტფილისში და სადილები გაუმართონ მათ. მოკრიბონ ფულები ქართველებში და ამ ფულებით დაარსონ სასწავლებლებში ოთხი-ექვსი რუსის აფიცრის შვილებისათვის სტიპენდია და ტფილისში ააგონ დიდი ძეგლი ამ შეერთების მოსაგონებლად...

* *
*

ქუთაისის საგუბერნიო მთავრობას, როგორც „ახ. მიმოხ." გადმოგვცემს, შუამდგომლობა აღუძრავს ზოგიერთ მაზრასა და ოლქში ორ-ორ სამკურნალოს და საერთო სადგურის დაარსების შესახებ. სულ საჭიროა, მთავრობის აზრით, 20 სასოფლო სამკურნალო, და აწ არსებულს ქსენონებს უნდა მოემატოს კიდევ 8 ქსენონი. ამას გარდა სასოფლო-სამკურნალო შტატს უნდა მიემატოს 15 მკურნალი, 55 ფერშალი და 15 ბებია ქალი.

ამისთანა ამბები ბევრი გამოცხადებულა, მაგრამ ნათქვამის აღსრულებას აღარა ეშველა რა.

*
* *

ეპარქიის მეთვალყურეთ ქართლ-კახეთის ეპარქიაში დაუნიშნავსთ, როგორც ხმები ისმის, მღვდელი ვოსტორგოვი. მღვდელს ვოსტორგოვს სემინარიის კურსი აქვს გათავებული...

* *
*

ნამეტნავად გავრცელდა ქურდობა და ცარცვა გლეჯა სოფლებში. ხალხი ნამეტნავად შეშინებულია.

* *
*

გაზეთი „სევერნი კურიერის" ხუთ დეკემბრის ნომერში (№ 380) დაბეჭდილია კორესპონდენცია ტფილისიდან. კორესპონდენტი ეხება ტფილისის თავად-აზნაურობის უკანასკნელ არა ჩვეულებრივ კრებას და მის დადგენილებებს ასი წლის რუსეთთან შეერთების დღესასწაულობის გამო. („ც. ფ.")

*
* *

სამრევლო სკოლების მართვა-გამგეობის შესახებ ჩვენს საექსარხოსოში ახალი რეფორმების შემოღება ისმის. ხმებია, რომ საექსარხოსოში მეთვალყურეთა შტატი შემოკლდება.

*
* *

ნიჟნი-ნოვგოროდის ეპარქიალურ სასწავლებლიდან მოიპარეს სასწავლებლის თანხის ფული 47 ათასი მანეთის თითქმის სულ სარგებლიანი ქაღალდები.

---

# სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

—

## სიტყვა,

თქმული 8 ნოემბერს ქუთაისის მთავარ-ანგელოზის მიხაილის ტაძარში.

ეკრძალენით, ნუ უკვე ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი, გეტყვი თქვენ, რამეთუ ანგელოსნი მათნი ცათა შინა მარადის ჰხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა (მათ. 18, 10).

აჰა სწავლა და მოძღვრება, წარმოთქმული არა ბაგეთაგან ჩვეულებრივი მამაკვდავი კაცისა, არამედ გამოტანილი გულის სიღრმიდგან იმისა, რომელიც არის თვით უკვდავი ჭეშმარიტება (იოან. 14, 6). აჰა სწავლა და მოძღვრება, რომელსაც აქვს საგნად არა რაიმე საწუთო და დროებითი, არამედ საუკუნო და დაუსრულებელი ხვედრი ჩვენი ცხოვრებისა საიქიოს. აჰა, მაშასადამე, ისეთი სწავლა და მოძღვრება, რომელიც აუცილებელია ყველასთვის და ამის გამო თვითეულს ჩვენგანს უნდა ჰქონდეს იგი მტკიცედ აღმონჭდეული გულის ფიცარზედ, განუშორებლად ატარებდეს გონებით და ახსოვდეს მუდამ ცხოვრების ყოველგვარ გარემოებაში.

შენთხვევა, რომლისა გამოც წარმოსთქვა მაცხოვარმა მოყვანილი საგულისხმიერო მოძღვრება, თანახმად მახარებელი მათეს მოთხრობისა, იყო ის, რომ ერთხელ იესო ქრისტეს მიმართეს მისმა მოწაფეებმა კითხვით: „ვინმე უფროს იყოს სასუფეველსა ცათასა“-ო. მაცხოვარმა, ნაცვლად პირდაპირი პასუხის მიცემისა, მოუწოდა ყრმასა, დააყენა იგი მოწაფეთა შორის და უბრძანა უკანასკნელთ: ამინ გეტყვით თქვენ, უკეთუ არა მოიქცეთ, და იქმნეთ ვითარცა ყრმანი, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა. რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ვითარცა ყრმა ესე, იგი უფროს იყოს სასუფეველსა ცათასა (მათ. 18 1—4)... ეკრძალენით, ნუ უკვე ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი; გეტყვი თქვენ, რამეთუ ანგელოსნი მათნი ცათა შინა მარადის ჰხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა (18, 10).

აღნიშნული ღვთაებრივი მოძღვრებიდან უნდა გამოვიყვანოთ, საყვარელნო მსმენელნო, ორი შეურყეველი ჭეშმარიტება: ერთი, რომ ყრმანი, მცირე-წლოვანი ბავშები, ზეცისა და ქვეყანის შემოქმედის განუსაზღვრელი სიყვარულის გამო არ არიან დატოვებულნი ბედის ანაბარად, არამედ თვითოეულს მათგანს ჰყავს საკუთარი მოჰირისუფლე, საკუთარი მზრუნველი, საკუთარი მცველი და მფარველი ანგელოზი; მეორე, რომ ანგელოზი ესე დაუღალავი და განუწყვეტელი გულსმოდგინებით ზრუნავს მისს მფარველობის ქვეშე მყოფის ზნეობრივი სიკეთისათვის და ამის გამო, როგორც მარადის ღვთის პირის მხედველი, სისწრაფით და დაუყონებლივ აღძრავს პირუთვნელსა და საშინელსა სასჯელსა ღვთისასა მას ზედა, რომელიცა ცუდითა მაგალითითა, ბიწიერითა სიტყვითა და წარმწყმედი საქმითა „შეურაცხ-ჰყოფს“, ე. ი. დააბრკოლებს, ან შეაცდენს ყრმასა.

მაგრამ ვაი ჩვენდა შეცდომილთა, ვაი ჩვენდა უკეთურთა! ანგელოზი უფლისა ცდილობს და მარადის წამს მოღვაწობს, რომ ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩვენი შვილები იყვნენ დაცულნი უმანკოებასა და სიწმინდეში, ხოლო ჩვენ, შეპყრობილნი საბრმითა გულისთა, მარად წამს ვცდილობთ, რომ ჩვენი შვილები გავხადოთ მოწმებად და მონაწილედ ჩვენი ზნეობრივი ბოროტებისა, ერთმანეთის შურისა, გაუტანელობისა, დამცირებისა და უშვერი სიტყვებით შეურაცხებისა! ანგელოზი ღვთისა ფრთხილობს და დაუღალავად შრომობს, რომ არაფერი მავნე და ზნეობის დამამხობელი არ მიაკაროს ჩვენ შვილებს, ხოლო ჩვენ იმდენად დაგვიბრმნა გონებანი ღმერთმან ამა სოფლისამან, რომ ყოველ მხრივ ვაბრ-

კოლებთ მისს წმინდა შრომას და, წინააღმდეგ მისი საღმრთო სურვილისა, ყოველ წამს ვასაზრდოებთ ჩვენ შვილებს ზნეობრივი ტალახით და ვაყნოსებთ ზნეობრივად გამხრწნელ ჰაერს.

მაგრამ აქ თითქოს ჭეშმარიტებას გადავდიოდე, თითქოს სურათს განგებ სამგლოვიარო ფერადებით ვახამებდე, რადგანაც წარმოუდგენელია, რომ მშობელს არ სურდეს თავისი შვილისთვის ყოველ გვარი სიკეთე, არა ცდილობდეს მისი ზნეობრივი აღზრდისათვის. ახ, რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ მართლა ეს ჩემი აზრი მოკლებული ყოფილიყო სიმართლეს! რა გახარებული ვიქნებოდი სულით, რომ ამ ჩემ მიერ აღნიშნულ სამგლოვიარო გარემოებას სრულებით არ ჰქონდეს ალაგი ჩვენ ცხოვრებაში! მაგრა გთხოვთ, გულითად გთხოვთ ყველას დამარწმუნოთ, რომ ნამდვილად შემცდარი ვარ და არა დასაჯერებელ აზრებს წარმოვსთქვამ! დამარწმუნეთ საქმით. რომ თქვენ, როგორც მშობლებს, გაგიწევიათ არა მცირედი შრომა თქვენი მცირე წლოვანი შვილების ზნეობრივად აღზრდისათვის და დაგინერგიათ კიდეც მათ ნორჩ გულში შიში ღვთისა, მიმზიდველობა პატიოსნებისა, ჩაგრულთა სიბრალული და სხ. აბა რომელია, რომ ამოდენა ყრმებში შეეძლოს აზრიანად პირჯვრის გამოსახვა? რომელია, თუ გინდ რვა წლის ბავშვი, რომ შეეძლოს უფლის ლოცვის წაკითხვა? ჰკითხეთ, რომელსაც გნებავთ—ვინ არის ღმერთი, ვის ვეძახით იესო ქრისტეს, ვინ იყო ღვთის-მშობელი და ცხადათ დარწმუნდებით, რომ ამ მხრივ თქვენ სრულებით არ გიზრუნვიათრა თქვენი შვილებისათვის. სამაგიეროდ გაიარეთ როდისმე მორიდებით თქვენი შვილების კრებისკენ გზაში ან ეზოში, ათხოვეთ ცოტა ხნობით სმენა მათ ლაპარაკს, და, თქვენდა სამწუხაროთ, ცხადათ დარწმუნდებით რა მდიდრები არიან იგინი უშვერი სიტყვების ცოდნით, რამდენ სამარცხვინო წარმოდგენას უშოვნია ალაგი მათ გონებაში და რამდენ საზიზღარ გრძნობას გაუდგავს ფესვი მათ ახალგაზრდა გულში! არა, ნუ გეწყინება სიმართლე, უმჯობესია გამოვტყდეთ და ვაღვიაროთ, რომ მცირენი, მეტად მცირენი არიან ჩვენში ისეთი მშობლები, რომლებიც ზრუნავენ თავიანთი შვილების ჯეროვანად აღზრდაზედ...

იხილეთ, საყვარელნო, რა ზომ დავიწყებული და შეგინებული გვაქვს ბრძანება უფლისა—ეკრძალენით, ნუ უკვე ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი, გეტყვი თქვენ, რამეთუ ანგელოსნი მათნი ცათა შინა მარადის ჰხედვენ პირსა მამისა ჩემისასა! იხილეთ და სცანით, ძმანო და დებო ჩემნო, რა ზომ დამნაშავენი ვართ იმ ანგელოზთა ბრწყინვალე გუნდთა წინაშე, რომელთა სადღესასწაულოთ შემოვკრებულვართ დღეს!

მაგრამ ნუ შესწუხდებით უზომოდ! ღმერთი მრავალ-მოწყალეა, მას არას ოდეს არ ნებავს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხონება მისი. შევინანოთ ჩადენილი დანაშაული, ვცნათ სიმძიმე მისი, გულით შევთხოვოთ შეწყალება ჩვენი და გვწამდეს, რომ არა ძვირის მხსენებელ გვექმნება იგი უკუნისამდე (იერ. 3, 12). ნიშნად ცოდვის შეგნებისა და წრფელი სინანულისა, სახსოვრად ამ თქვენი ძვირფასი დღესასწაულისა დასდეთ მტკიცე და შეუვალი პირობა წინაშე თქვენი მცველი და მფარველი მთავარ-ანგელოზის მიხეილისა მას ზედა, რომ დღეის ამას იქით უკლებლად შეუდგებით თქვენი პატარა შვილების ქრისტიანულად აღზრდის ზრუნვას, არ დაიშურებთ მცირეოდენ ხარჯს, ააგებთ თქვენივე ტაძრის ფრთეთა ქვეშე სასწავლებელს და ესრეთ თქვენი შვილების სულიერი ბედნიერების საქმეს ჩააბარებთ მთავარ-ანგელოზის მიხეილის ზეციურ მფარველობას, რომელმანცა მოგცეთ შეძლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბძანების განხორციელებისა; ეკრძალენით, ნუ უკვე ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა მათგანი; გეტყვი თქვენ, რამეთუ ანგელოსნი მათნი ცათა შინა მარადის ჰხედვენ პირსა მამისა ჩვენისასა, რომელ არს ცათა შინა! ამინ.

ეპისკოპოზი ლეონიდი

## შეწირულებანი.

### I.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ რწმუნებულ ჩემდამი სამრევლო სკოლის მზრუნველს ლეონტი საბიას ძე უდრელიძეს, რომელმანც კანონიერი საბუთით შემოსწირა სამრევლო სკოლას ერთი ქცევა ადგილი, რომელშიდაც უკვე არსებობს სკოლა. ეს ადგილი ხსენებულმა პირმა მოიპოვა ორას მანეთად.

მღ. ილარიონ თევზაძე

### II.

მ. რ! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული ჟურნალი „მწყემსის“ საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე, ისე ჩემმა მრევლმა ქვემოთ აღნიშნულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს რწმუნებულს ჩემდამი სოფ. აბაშის წმ. გიორგის ეკკლესიას სხვა-და-სხვა ნივთები: მიხაილ ბ. თოფურიძემ შემოსწირა ბარძიმ-ფეშხუმი თვისის სამკაულებით და დაფარნებითურთ, ღირებული 50 მ.; ლუკა ბ. თოფურიძემ უბის სანაწილე, ღირებული 3 მან., შანდალი, ღირებული 5 მან. და ხის ჯვარი ტრაპეზისა, ღირებული 3 მანეთი.

მღ. კონსტ. თოფურიძე.

### III.

მ. მ! უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის «მწყემსის» საშუალებით, უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ჩემდამი რწმუნებულ სოფლის კარათის წმ. გიორგის ეკკლესიას ბარძიმ-ფეშხუმის სასყიდლად საკმაო ფული. სია შემომწირველთა: დარია ზაბახიძისამ შემოსწირა 6 მან., ლევან მოსეშვილმა 5 მან., კნ. დესპინე წერეთლისამ 3 მ., მღ. ანტონ ნოზაძემ 2 მ. 50 კაპ., მღ. დავით და დიმიტრი ლომიძეებმა ორ-ორი მან., თითო მანეთი შემოსწირეს: კნ. ბარბალე წერეთლისამ, კნ. ნადიკვა აბაშიძისამ, სოლომონ როსტომის ძე აბაშიძემ, მამიკო დიმ. ას. იაშვილისამ, მღ. გერასიმე ჯაჯანიძემ, მარიამ ჯაჯანიძისამ, ნატალია ტყემალაძისამ, იორდანე ჩედლიშვილმა, პრიჩ. გიორგი ნოზაძემ, ასპან ლომიძემ, ნესტორ პავლეს ძე ლომიძემ, ევდოკია ლომიძისამ, კატო ალიბეგიშვილისამ. ამირიდონ ლომიძემ, იოსებ ლომიძემ, გიორგი ლომიძემ, ერმინე ლომიძემ, ზაქარია სულაბერიძემ. მინადორა ლომიძისამ, მოსე ნარაიშვილმა, მაქსიმე კირვალიძემ, ევგენია კირვალიძისამ, ოლღა დიასამიძისამ, დიმიტრი ლომიძემ, პრიჩ. ზურაბ გულაშვილმა. პრიჩ. პავლე გულაშვილმა, დიმიტრი ივანეს ძე ლომიძემ გიორგი გულაშვილმა, ატატო ბაქრაძისამ, ზაქარია ლომიძემ, გოლმ ლომიძემ, აპოლიონ ლომიძემ (ამანვე შემოსწირა ერთი წყვილი შანდალი, ღირებული 20 მან.), არქიპო ვაშაძემ, ოქროპირ ვაშაძემ. კოსტა არჯევანიძემ, ევთიმე ლომიძემ, პრიჩ. მალაქია ლომიძემ—60 კ.. ათ-ათი შაური შემოსწირეს: ნარიმან ლომიძემ, ხარიტონ გრიგოლაშვილმა, ატატო ციცქიშვილისამ, დიმიტრი პავლეს ძე ლომიძემ, ხარიტონ ტაბატაძემ, ბარბალე ტაბატაძისამ, იოსებ ხარაიშვილმა, ელენა ლომიძისამ, დარო ლომიძისამ, გიორგი კუპრაშვილმა, მაქსიმე აბჟანდაძემ, ლეზო ლომიძემ, ერმინე ლომიძემ, ვანო ობოლაძემ, ყარამან ლომიძემ, ჯიბო ლომიძემ, ივლიანე კუპატაძემ, იოსებ ლომიძემ, სალომე ლომიძისამ, თინათი ჯიბაძისამ, ელისაბედ ლომიძისამ, ნატალია კირვალიძისამ, ილო ბარბაქაძისამ, მასწ. ბესარიონ ჯუღელმა,—პრიჩეტ. კირილე ციცქიშვილმა 20 კ., აზ. ნონია ამაშუკელმა 30 კ., ზურაბ ლომიძემ 40 კაპ., პავლე ლომიძემ 40 კ., ილიკო ლომიძემ 40 კ., სულ 72 მან. 80 კაპეიკი.

კარათის წმ. გიორ. ეკ. მღვდელი
ილარიონ ზაბახიძე

## რედაქციის პასუხი.

—

მღ. ანტ. გოგოლაძეს. თქვენ რომ შვილი-შვილები გყავდეს ბევრი და მათ გამოზრდისთვის ფულები გეხარჯებოდეს, ამაში «მწყემსის» რედაქცია სრულებით დამნაშავე და ვალდებული არ არის, რომ მუქთად გიგზავნოს ჟურნალი. შემწეობად ისიც უნდა ჩაეთვალოს რედაქციას, რომ ასე იაფ-ფასად შეუძლია მოგაწოდოს ჟურნალი.

თ. ქ. ბელოვანს. თქვენგან გამოგზავნილი ფული «მწყემსის»-სათვის მომავალი წლისა, მივიღეთ. გმადლობთ თქვენი თანაგრძნობისათვის.

მრავალთ. „მწყემსის“ ხელის მომწერთათვის მომავალი წლისათვის საჩუქრად ჩვენ დავნიშნეთ ყოვლად სამღვდელო ლეონიდის დიდი სურათი. ეს სურათები უკვე მივიღეთ. ხელის მომწერლებმა ორი შაური უნდა შემოიტანონ ფოსტის ზედ მეტ ხარჯად თითო სურათზე. ზოგიერთები ითხოვენ ისეთის კითხვების განმარტებას, რომელნიც წინეთ განმარტებულნი არიან. ამისათვის ძველი ნომრების გადათვალიერებას ურჩევთ ამ პირთ.

მღ. ნ. დაით—ს. ნეტავი თქვენ, რომ ასეთი იმედი გაქვსთ იმ პირების, რომელნიც სრულებითაც არ ფიქრობენ მასზე, რასაც თქვენ მოელით მათგან.

# განცხადებანი

მიიღება ხელის-მოწერა 1901 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

## „მწყემს“-ზე

და

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ჟურნალის ფასი:

| | |
|---|---|
| 12 თვით «მწყემსი» 3 მ. | 6 თვით «მწყემსი» 2მ. |
| — „ რუსული „ 3 მ. | — „ რუსული „ 2» |
| — „ ორივე გამოცემა 5 » | — „ ორივე გამოცემა 3» |

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ქვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუთუკაშვილთან. ფოთში—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერეში—ყარახან ჩაფიძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხაბუროვთან; ახალსენაკში—ბლაღოჩინ მა-ა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში დეისაძის სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

ხარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1901 წლის ხელის მომწერთ **პრემიად** (საჩუქრად) აქვსთ დანიშნული **დიდი სურათი** ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორიც არიან შოთა რუსთაველისა და თამარის. ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ფოსტის ზედ-მეტ ხარჯად ორი შაური. ამ პრემიის გასაგზავნი.

დამდეგ 1901 წლისათვის
მიიღება ხელის მოწერა
## „მოამბე“-„ცნობის-ფურცელზე“

—

ყოველ თვიური ჟურნალი

# „მ ო ა მ ბ ე“

(წელიწადი მერვე)

ფასი ჟურნალის გაგზავნით:

რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში 1 წლ. 10 მან., 6 თვით 6 მ. 3 თვით 3 მან. საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 13 მან. 6 თვით 7 მან. სამი თვით 5 მან.

წლიური ფასის განაწილება: პირველად 5 მან. 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მანეთი.

ყოველ დღიური გაზეთი

# „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეექვსე)

გაზეთის ფასი გაგზავნით:

რუსეთის და კავკასიის ქალაქებში 1 წლით 6 მ. 6 თვით 4 მ. 1 თვით 75 კაპ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 9 მან., 6 თვით 7 მ., 1 თვით 90 კ.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—3 მან., პირველ აპრილამდე—3 მ., თითო ნომერი—3 კ.

ვინც „მოამბეს“ მთელი წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოთ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისთვის უნდა დაუმატოს 1 მან., რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილ.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოდის 1... წ. პირველ დეკემბრიდან გაფართოვებ... რამით და გადიდებული ფორმატით.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრ... თხეზე 5 კაპეიკ.

თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი ... დაბეჭდვა ნაკლები ღ...

ადრესი რედაქციისა: Тифлис
„Моамбэ“ и

---

# „ივერია“

გამოვა 1901 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინათ

ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ. — კ. | 6 » | 6 მ. » კ. |
| 11 » | 9 » 50 » | 5 » | 5 » 50 |
| 10 » | 8 » 75 » | 4 » | 4 » 75 |
| 9 » | 8 » — » | 3 » | 3 » 50 |
| 8 » | 7 » 25 » | 2 » | 2 » 75 |
| 7 » | 6 » 50 » | 1 » | 1 » 50 |

საზღვარ გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაუთმობათ 8 მან.

ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція «Иверія».

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მან.; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის მომწერელი ერთის ადგილიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოუგზავნოს ორი აბაზი.

ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამ გვარად: ხელის მოწერის დროს 8 მან. პირველ ... —... მან. პირველ მაისს—3 და პირ... ტემბერს—2 მან.

ფასი განცხად...

მეორეზე გვ...

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახატებიანი გაზეთი

# „კვალი“

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა 1901 წელში ყოველ კვირაში ერთხელ გაფართოვებული პროგრამით ერთიდგან სამ თაბახამდე.

რედაქციისაგან: რადგანაც ახალ წლიდგან „კვალის“ გამოცემის საქმე ახალ პირობებში დგება, ამისათვის შესაძლებელი ხდება გაზეთის სივრცით გაფართოვება, ახალი მუდმივი განყოფილებების შემოღება და მით მკითხველისათვის მეტი საკითხავი მასალის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის ყველა მესანიშნავ მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მან., ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლით გაუგზავნელად 3 მან. და 50 კაპ. გაგზავნით 4 მანეთი, სამი თვით 2 მან., თითო ნომერი სამ შაურად.

ხელისმომწერლებს წლიურ ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში» (სათავადაზნ. ქარვ.) და თვით «კვალის» რედაქციაში — საპერნის ქ., № 15, ალექსანდრეთ.

[illegible]-სთან და ვ-
[illegible]

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

# „ჯეჯილი“

წელიწადი მე-11-ე

გამოვა 1900 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორითაც აქამდე

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ღირს—4 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

## ხელის მოწერა მიიღება:

1. თბილისში — «წერა-კითხ. გამ. საზოგადოების» კანცელარიაში და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში (არტილერიის ქ. № 5, კადეტთა კორპუსის ახლო).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала «Джеджили».

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალიტერატურო განყოფილება:** ზოგიერთი საჭირო გაერთხილება მოსწავლეთა მშობელთათვის, ექიმი ვ. ლ—ძისა.—არიან თუ არა ქართველ-კათოლიკენი? ა. ხახანაშვილისა.—სიტყვა, თქმული დეკ. დ. ღამბაშიძის მიერ შორაპნის სამღვდელოების კრებაზე,—ჩემი სასიამოვნო და სამწუხარო შთაბეჭდილებანი ევროპის სახელმწიფოებში მოგზაურობის დროს.—სიკვდილი ქრისტიანი მოსავისა.—ძველი დროის დივანბეგის ეპისტოლე (ლექსი).—„მწყემსის“ კორრესპონდენცია.—ბიბლიოგრაფიული შენიშ.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**[illegible] მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებაზე:** სიტყვა, თქმული 8 ნოემბერს ქუთაისის მიხაილის ტაძარში ყ-დ უსამღვდელოესი [illegible].—შეწირულებანი.—რედაქციის [illegible].

[illegible]тель П. Д. Гамбашидзе.
[illegible] прот. Е. Еліевъ
[illegible]ейсадзе на Нѣмецкой ул.